

ჰიბრიდული გამოწვევების რეგულირების სირთულე თანამედროვე სამყაროში

ალექსანდრე კიკნაძე

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების

ფაკულტეტის დოქტორანტი

Kiknadze.aleko@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-7403-1641>

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.01>

აბსტრაქტი

დღევანდელ არაპროგნოზირებად სამყაროში კაცობრიობა მუდმივად ცვალებადი რეალობის პირისპირ აღმოჩნდა, სადაც ინფორმაციული ნაკადების სწრაფი დინება საზოგადოებრივი ყოფიერების ნებისმიერ სექტორში სულ უფრო ართულებს სიტუაციური კონიუნქტურის მართვასა და კონტროლს. სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ჰიბრიდული გამოწვევების პირობებში, ერთსა და იმავე დროსა და სივრცეში მიმდინარე პროცესების არასტაბილურობა, გაურკვევლობა, კომპლექსურობა და ორაზროვნება (VUCA) ართულებს კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირების გზებისა და მეთოდების ძიებას. სტატია მიზნად ისახავს ხაზი გაუსვას მიმდინარე გლობალური კონტექსტის რთულ ხასიათსა და ეძიოს მისი დარეგულირების გზები.

საკვანძო სიტყვები: არასტაბილურობა, გაურკვევლობა, კომპლექსურობა, ორაზროვნება, გამოწვევა.

The Complexity of Regulating Hybrid Challenges in the Modern World

Aleksandre Kiknadze

PhD student, Faculty of Law and International Relations,

Georgian Technical University

Kiknadze.aleko@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-7403-1641>

Abstract

In today's unpredictable world, humanity is confronted with an ever-evolving reality, where the swift flow of information across all sectors of society makes it increasingly difficult to manage and control the prevailing situational dynamics. From a state security perspective, the complexity and uncertainty of hybrid challenges – exemplified by the VUCA (Volatility, Uncertainty, Complexity, and Ambiguity) conditions – complicate the identification of effective methods to address and regulate conflict situations. This article highlights the intricate nature of the current global context and proposes potential solutions to mitigate these challenges.

Keywords: Volatility, Uncertainty, Complexity, Ambiguity, challenge.

ცივი ომის დასრულების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა მანამდე არსებული მსოფლიო წესრიგი და გეოპოლიტიკური სურათი სრულად შეცვალა. ძალთა ბალანსის რღვევამ ორპოლუსიანი სამყარო უნიპოლარულად აქცია, სადაც დომინანტი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატები აღმოჩნდა. გლობალიზაციის პროცესებმა დაჩქარებული სახე მიიღო, რომლის საბოლოო მიზანს სხვადასხვა ქვეყნების, რეგიონების, ხალხთა საყოველთაო ინტეგრაცია და ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბება წარმოადგენს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში განვითარებულმა ღრმა სოციალურ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ძვრებმა ახალი რეალობა შექმნა, რომელმაც საერთაშორისო ურთიერთობები სულ სხვა საფეხურზე აიყვანა.

თავდაპირველად ჩანდა, რომ გლობალიზაციამ შეამცირა სახელმწიფოთაშორისი ომების საფრთხე, რამდენადაც ქვეყნის სუვერენიტეტი მხოლოდ ტერიტორიული საზღვრების დაცულობით აღარ განისაზღვრებოდა და სცდებოდა კონკრეტული ქვეყნების მთავრობათა ნებას, დამოუკიდებლად ეწარმოებინათ საგარეო პოლიტიკა - საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. არასახელმწიფო აქტორებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ალიანსებმა, მოიპოვეს მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიო მმართველობის პროცესებში, რითაც გარკვეულწილად დააკნინეს სახელმწიფო სუვერენიტეტის შინაარსი.¹ დასავლურ სამყაროში თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით გამოიკვეთა არასათანადო დამოკიდებულების ტენდენციები და პრიორიტეტული კეთილდღეობაზე ორიენტირებული მიდგომები გახდა. ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა შეამცირეს თავდაცვის ბიუჯეტი, არმიები და განახორციელეს საბრძოლო ტექნიკის უტილიზაცია.

მოვლენების ამგვარმა განვითარებამ ცხადყო, რომ ეს მდგომარეობა ვერ აღმოჩნდა მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი. უფრო – პირიქით, უნიპოლარულ სამყაროში მსოფლიო ძალთა არათანაბარმა გადანაწილებამ ძალაუფლების მოყვარე ქვეყნებში გაზარდა აგრესიული და რევანშისტული განწყობები. ასპარეზზე გამოჩნდა, კარგად შეიარაღებული ტრანსნაციონალური კრიმინალური თუ ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, აგრესიული ქვეყნების მთავრობების მხარდაჭერითაც სარგებლობდნენ. წარმოიქმნა ისეთი ტიპის რისკები და საშიშროებები, რომელთაგან თავის დაღწევის შესაძლებლობა ერთეული სახელმწიფოების ეროვნული კონტროლის არეალს

¹ გიორგი სანიკიძე, ნინო კილურაძე. „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“, გამომცემლობა - თბილისი : მერიდიანი, 2001. გვ.50-51, 80

გაცდა, გახდა უფრო მასშტაბური და მრავალწახნაგოვანი.² პროცესებში ჩართული აღმოჩნდა, როგორც სახელმწიფო ძალის ყველა ელემენტი და საზოგადოებრივი ყოფიერების ნებისმიერი სფერო, ასევე საერთაშორისო ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო ალიანსები და სხვა არასახელმწიფო აქტორები.³ შეიქმნა ახალი დაბრკოლებები, რომლებიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა მრავალშრიან და ფართო დიაპაზონის მქონე ჰიბრიდულ საფრთხეებად. თანდათანობით გამოიკვეთა ჰიბრიდული ომის კონტურები, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

თანამედროვე მსოფლიოს წინაშე არსებული ჰიბრიდული საფრთხეები გამოირჩევა ბრუტალური ხასიათით, კომპლექსურობითა და გაურკვევლობებით. სამყარო ნაკლებად მოქნილი და ადვილად მოწყვლადი გახდა იმ სერიოზული გამოწვევის წინაშე, რომელსაც სისტემატურად აწყდება.

მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობამ და ინფორმაციის სწრაფმა დინებამ, მოვლენების გაანალიზების, სათანადო დასკვნების გამოტანის, სწრაფად ადაპტირებისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების დეფიციტი შექმნა. კაცობრიობამ თავი რომ გადაირჩინოს უმართავი პროცესებიდან და ქაოსიდან, საჭიროებს ახლებურ ხედვასა და კომპლექსური მიდგომების შემუშავებას, რისთვისაც აუცილებელია მიმდინარე პროცესები შესწავლილ იქნას ფართო სპექტრით. ასევე მოხდეს წარსული პროცესების ღრმა ანალიზი - ფართო ინტერდისციპლინური პერსპექტივიდან, რაც რელევანტურია/ მიზანშეწონილია მოვლენათა სისტემური გააზრებისთვის.

თანამედროვე გამოწვევების ჰიბრიდულ ბუნებას განსაზღვრავს მისი ოთხი ძირითადი მახასიათებელი: **არასტაბილურობა, გაურკვევლობა, კომპლექსურობა და ორაზროვნება.**⁴ ერთსა და იმავე დროში და სივრცეში, ამ მახასიათებლების ერთობლიობა ართულებს კონფლიქტური სიტუაციების გზების დარეგულირების მეთოდების ძიებას.

² გუგული მაღრაძე და ვახტანგ მაისაია, *21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რელობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები*, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი. 2017, გვ. 25

³ ირაკლი გაბელია, „საერთაშორისო უსაფრთხოების გამოწვევები თანამედროვე მსოფლიოში“. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020. გვ. 23

⁴ The World of Work project, *VUCA – A Way to View our Unpredictable World*. 2024.

<https://worldofwork.io/2024/08/vuca-a-way-to-view-our-unpredictable-world/> (30.12.2024)

არასტაბილურობა: დღეს კაცობრიობას უწევს იცხოვროს სწრაფად ცვალებად, არაპროგნოზირებად რეალობაში, სადაც მოვლენები სპონტანურად და მოულოდნელად ვითარდება, ისე, რომ შეუძლებელია მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის გაკეთება. ინფორმაციას ახასიათებს ფართოდ გავრცელების უნარი და მასშტაბურობა, სწრაფად მოიცავს ერებს, ქვეყნებსა და კონტინენტებსაც კი, თანამედროვე სამყარო უკვე საინფორმაციო ეპოქად მოიხსენიება.

გაურკვევლობა: არასტაბილურობის, სპონტანურობის, სისწრაფისა და მასშტაბურობის გამო, მეტად რთული ხდება მოვლენების წინასწარ განჭვრეტა და პროცესების განვითარების პროგნოზირება. ისტორიული გამოცდილება კარგავს შესაბამისობასა და იშვიათად ერგება ახალ რეალობას, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის რისკების დროული შეფასებისა და პრევენციული ზომების მიღების შესაძლებლობას. მაშინაც კი, როცა პროცესები მიზეზებსა და მიზნებში წარსულ გამოცდილებასთან თანხვედრაშია, სწრაფად განვრცობადობის გამო, ანალოგების გათვალისწინება და პრაქტიკაში გამოყენება ყოველ ჯერზე დაგვიანებული და უპერსპექტივოა. მეორეს მხრივ, მუდმივი გაურკვევლობა არახელსაყრელ გარემოს ქმნის გრძელვადიანი დაგეგმარებისათვის, რადგან არასტაბილური პირობები ართულებს პროგნოზებს, რესურსების ეფექტიან განაწილებასა და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრას.

კომპლექსურობა: სამყაროში მიმდინარე პროცესების კონიუნქტურა იმაზე უფრო რთულია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ის ხასიათდება მრავალშრიანი სპექტრით, რომელიც ძნელად აღსაქმელი და გასაგებია. ყოველი შრე ისე ერწყმის და გადადის მეორეში, რომ შეუძლებელი ხდება ერთმანეთისგან მათი მკვეთრად გამიჯვნა და დადგენა, თუ როდის სრულდება ერთი ეტაპი და იწყება სხვა. პრობლემათა მსგავსი კომპლექსურობა ამცირებს მოქნილობას, აფერხებს სწორი გადაწყვეტილებების მიღებისა და ამოცანების დასახვის უნარს. ქმედება-უკუქმედების ჯაჭვში რთულდება მკვეთრად ჩამოყალიბებული სწორი გზის დროულად არჩევა, რადგან ურთიერთდაკავშირებული, დინამიკურია ცვალებადი გარემო და მრავალფუნქციური ფაქტორების შემცველი.

ორაზროვნება: წარსულში ჩამოყალიბებული კლასიკური მიდგომები და საუკეთესო გამოცდილება, თანამედროვე სამყაროში, ფაქტობრივად, არ მუშაობს. ეპოქალური რეალობიდან გამომდინარე, არსებული გამოწვევები დღეს მოქმედი მკაცრი კონტროლის წინაშე აყენებს ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნებს. ისინი წინააღმდეგობრივი და პარადოქსულია, რაც ხშირ შემთხვევაში, იწვევს უკვე არსებულ ღირებულებათა

სისტემების გადაფასებას. სამყაროში მიზეზ-შედეგთა უწყვეტი ცვლა განაპირობებს პროცესების დინამიკას, რაც ყოველი შედეგი ახალი მოვლენების საფუძვლად გვევლინება. ხილული რეალობის ფესვები ღრმადაა ჩამარხული და მისი „საცეცები“ საზოგადოებრივი ურთიერთობების უამრავ სფეროს სწვდება, წინასწარ დადგენილი წესებით მოქმედება კი უკეთესი შედეგის მიღწევის გარანტია ვერ იქნება. ასეთ პირობებში გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს გამბედაობას, ფართო ცნობიერებას, კომპლექსურ და ჰიბრიდულ მიდგომას. ამდენად, სიტუაციური გადაწყვეტილებები შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც ორაზროვანი; სამოქმედო წესები დადგინდეს ინდივიდუალურად, ხშირად აბსოლუტურად განსხვავებული, ერთმანეთის საპირისპირო მეთოდებით, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე - კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით. ასეთ დროს შესაძლებელია, გაჩნდეს ორმაგი სტანდარტებით მოქმედება, რადგან სიტუაციის გასაკონტროლებლად და დასარეგულირებლად ზოგჯერ საჭიროა დადგენილი წესების წინააღმდეგ წასვლა. ყოველივე ამის თავმოყრა და სისტემატიზაცია არის გლობალური მსოფლიოსი და ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის თანამედროვე მართვა-კონტროლის მთავარი პრიორიტეტი. რამდენადაც საქმე ეხება ჰიბრიდულ კონფლიქტებს, რომლებიც მომავალი ათწლეულების განმავლობაში გადამწყვეტ გავლენას მოახდენს თანამედროვე საზოგადოების განვითარებაზე, უნდა შემუშავდეს ახალი სისტემური მიდგომები, რომლის მთავარი ხერხემალი, ნებისმიერი რთული ჰიბრიდული კომბინაციის შემთხვევაში, უცვლელი დარჩება, მაგრამ თავისუფალი მოქმედების არეალისათვის ღიად დატოვებს შესაძლებლობების ფანჯარას. ჰიბრიდული ომის, როგორც კონფლიქტის ახალი ფორმის აღმოცენება, ძირეულად ცვლის უსაფრთხოების ლანდშაფტს და უამრავ კითხვას აჩენს არსებული უსაფრთხოების ინსტიტუტების შესაძლებლობების თვალსაზრისით. ამ საფრთხეების შეკავებისა და დაძლევისთვის აუცილებელია, სახელმწიფოებმა შეიმუშაონ ერთიანი სტრატეგიული მიდგომები სხვადასხვა მიმართულებით და განახორციელონ კოორდინირებული მოქმედებები. სისტემა უნდა იყოს ცენტრალიზებული, მაგრამ იმდენად მოქნილი, რომ შეძლოს სწრაფად გადაწყობა ნებისმიერი ახალი ტიპის გამოწვევების შესაბამისად.⁵

⁵ Yarger R., & Harry Dr. *Strategic Theory for the 21st Century: The Little Book on Big Strategy*. US Army War College, USAWC Press, 2006. pp.18-19

ეროვნულ დონეზე, ახალი თავდაცვითი სისტემის უმთავრეს ამოცანად ისახება აგრესორის სავარაუდო მიზნების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა და განსაზღვრა, რაც აუცილებელი და საკმარისი წინაპირობა გახდება სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურების დროული გადაწყობისა და საომარ ოპერაციებში ჩართულობის მზადყოფნისათვის. აგრეთვე, სისტემა მოქნილი იქნება ყველა – ეროვნული თუ კოალიციური – რესურსის მობილიზებისა და მათ რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად, რათა უმცირეს დროში და ნაკლები დანაკარგით მიღწეულ იქნეს მოწინააღმდეგის შეკავება და მასზე საბოლოო გამარჯვების მოპოვება. საჭიროების შემთხვევაში, ყველა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურამ, მათ შორის, კერძო თუ საჯარო დაწესებულებამ, ასევე თითოეულმა მოქალაქემ, უნდა იცოდეს საკუთარი როლი და ყოველგვარი პანიკის გარეშე ჩაერთოს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის აუცილებელ ღონისძიებებში. აღნიშნული თავდაცვითი სისტემის არსებობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა მიმართოს ინტელექტუალური თუ მატერიალური რესურსი მისი შექმნისა და სრულყოფისათვის. ასეთი სისტემის ამოქმედება ქმნის რეალურ ბარიერებს პოტენციური მოწინააღმდეგისთვის და აშკარა მესიჯია აგრესორისთვის, რომ მისი ჩანაფიქრის ხორცშესხმა შეუძლებელი, ან რთულად განსახორციელებელი. ასეთი სისტემა, ქვეყნის შიგნით, ზრდის დაცულობისა და სტაბილურობის განცდას, რაც დადებითად აისახება საზოგადოების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

ასიმეტრიული კონფლიქტები - ხასიათდება ძალთა არათანაბარი თანაფარდობით და ხშირად მოიცავს არასახელმწიფო აქტორებს, როგორიცაა ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც ებრძვიან სახელმწიფოს ან უფრო დიდ სამხედრო ძალებს. ⁶ 21-ე საუკუნემ აშკარა გახადა წინააღმდეგობის შესაძლებლობების განვითარებისა და ყოვლისმომცველი ტოტალური თავდაცვის კონცეფციის შემუშავების აუცილებლობა. წინააღმდეგობის, შეკავების, გამძლეობისა და მდგრადობის ეროვნულმა კონცეფციამ გამართულად უნდა იმუშაოს, როგორც მტრის შემოჭრამდე, ასევე ქვეყნის ნაწილობრივი ან სრული ოკუპაციის შემთხვევაში. ეს კონცეფცია მოითხოვს ინოვაციურ მიდგომებს და დამატებით ინსტრუმენტებს თანამედროვე თავდაცვით არსენალში. საუბარია არა მხოლოდ

⁶ Frank G. Hoffman, „*Conflict in the 21st century: The Rise Of Hybrid Wars*“, Potomac Institute for Policy Studies Arlington, Virginia December 2007, p.11.

სახელმწიფოებრივი დანიშნულების სამხედრო ძალაზე, არამედ სამოქალაქო საზოგადოებაზე, მოსახლეობაზე, რომელშიც მოიაზრება მთლიანად სამოქალაქო თავდაცვა. მათ ერთობლიობას შეიძლება თავისუფლად ეწოდოს ერთიანი, ტოტალური, ყოვლისმომცველი თავდაცვითი ძალები.

წინააღმდეგობის გაწევა, როგორც ომის ფორმა, შეიძლება ჩაითვალოს მრავალშრიან, სიღრმისეულ ეროვნული თავდაცვის ნაწილად. ამ მიზნით, **ყოვლისმომცველი, ტოტალური თავდაცვის კონცეფცია** პირველ რიგში ცდილობს განსაზღვროს ეროვნული მდგრადობის კონცეფცია კრიზისამდე გარემოში. ცდილობს, შეიმუშაოს წინააღმდეგობის მოთხოვნები და მხარი დაუჭიროს დაგეგმვასა და ოპერაციებს იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე კომპრომისზე წავა, ან – პირიქით, დაარღვევს ქვეყნის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. კონცეფციამ უნდა აჩვენოს ეროვნული მდგრადობის, ლეგიტიმურობის შენარჩუნების კრიტიკული მნიშვნელობა - წინააღმდეგობრივი ოპერაციების წარმოებისას ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენისთვის ბრძოლის დროს.

ტოტალური თავდაცვის კონცეფციამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა პატარა ერებისთვის, რომლებიც მუდმივად დგანან ასიმეტრიული კონფლიქტების წინაშე და ერთი შეხედვით, არ გააჩნიათ საკმარისი ძალა და რესურსები წინ აღუდგნენ თანამედროვე, ჰიბრიდულ გამოწვევებს.

თანამედროვე კონფლიქტები ხშირად ჰიბრიდულია, რაც მოიცავს არა მხოლოდ სამხედრო ძალას, არამედ კიბერშეტევებს, დეზინფორმაციას, ეკონომიკურ ზეწოლას და სხვა არატრადიციულ მეთოდებს. ტოტალური თავდაცვა მოიცავს მზადყოფნას ამ მრავალფეროვანი საფრთხეების მოსაგერიებლად.

ტოტალური თავდაცვა მოითხოვს ეროვნულ ერთიანობასა და სოლიდარობას. სადაც ყველა მოქალაქე გრძნობს, რომ იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის დაცვაში, ეს აძლიერებს ეროვნულ თვითშეგნებასა და წინააღმდეგობის უნარს.

ტოტალური თავდაცვის დოქტრინა ასევე ემსახურება შეკავების ფაქტორს. პოტენციურმა აგრესორმა უნდა იცოდეს, რომ მცირე ერიც კი, რომელიც მთლიანად არის მობილიზებული, სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს და მისი დამარცხება ადვილი არ იქნება.

ამრიგად, ტოტალური თავდაცვის კონცეფცია პატარა ერებს საშუალებას აძლევს, ეფექტურად დაუპირისპირდნენ თანამედროვე გამოწვევებს და დაიცვან საკუთარი

სუვერენიტეტი, მაშინაც კი, როდესაც ძალთა თანაფარდობა ერთი შეხედვით მათ სასარგებლოდ არ არის.

საქართველო და ზოგადად, სამხრეთ კავკასია, ოდითგანვე წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინს, დომინანტი ძალების გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთის ადგილს, კერძოდ, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს, ასევე დასავლეთსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, რაც მას სამხედრო ესკალაციის მაღალი რისკის რეგიონად აქცევდა. თანამედროვე ეპოქაში აზია-ევროპის დამაკავშირებელ უმოკლეს სახმელეთო დერეფანზე კონტროლის მოპოვება ჰიბრიდული ინსტრუმენტების გამოყენებით კიდევ უფრო მიმზიდველი და მარტივი აღმოჩნდა. საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად და რეგიონზე გავლენის დასაბრუნებლად გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთი გამუდმებულ ცდილობს კავკასიაში შექმნას არასტაბილური გარემო, რაც აფერხებს სუვერენული ქვეყნების დემოკრატიულ რელსებზე გადასვლას და რეგიონის სატრანსპორტო დერეფნად გადაქცევის პროცესს.

რუსეთისგან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეების წინაშე მდგარი პატარა ქვეყნის, თავდაცვითი სტრატეგიის მიზნის პროცესში გამოიკვეთა, რომ გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტებს სიტუაციური ანალიზისა და ზუსტი რეაგირებისთვის სჭირდებათ სხვადასხვა ინსტიტუტებთან თუ საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივ კოორდინაციაში ყოფნა. სწორედ ეს უნდა უზრუნველყოს სისტემამ, რაც საკუთარ თავში მოქნილობასა და გამოწვევებზე ეფექტურ საპასუხო რეაგირებას მოიაზრებს.

VUCA (არასტაბილურობა, გაურკვევლობა, სირთულე, ორაზროვნება) ტერმინი ზუსტად აღწერს იმ გამოწვევებს, რომლებიც თანამედროვე სახელმწიფოებსა და საზოგადოებებს ატყდებათ თავს. ჰიბრიდული ომები, ტერორიზმი, კიბერშეტევები, დეზინფორმაცია, ეკონომიკური კრიზისები - ეს ყველაფერი VUCA სამყაროს გამოწვევაა და მოითხოვს მათთან გასამკლავებელ თანამედროვე სტრატეგიებს.

დასკვნა:

ამრიგად, თანამედროვე გლობალურ სამყაროში, რომელსაც ახასიათებს არასტაბილურობა, გაურკვევლობა, კომპლექსურობა და ორაზროვნება, ჰიბრიდული გამოწვევების დარეგულირების გზების ძიება სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისა თუ ექსპერტთა კვლევის საგნად იქცა. სახელმწიფო უსაფრთხოების თვალსაზრისით, თავდაცვის ყოვლისმომცველი მიდგომა, სადაც ინფორმაცია თავისუფლად მიედინება

დაინტერესებულ მხარეებს შორის, საშუალებას იძლევა ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირდეს ჰიბრიდული საფრთხეები, რათა დროულად დაიწყოს მათი დამუშავების პროცესები ანალიზის, შეფასებისა და გადაწყვეტილების მისაღებად.⁷ ეს ამცირებს ქვეყნის მოწყვლადობას და უფრო დაცულს ხდის მას ჰიბრიდული გამოწვევების წინაშე.

ჰიბრიდული საფრთხეები შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სფეროს - პოლიტიკურს, ეკონომიკურს, საინფორმაციოს, კიბერნეტიკულს და ა.შ. ყოვლისმომცველი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ყველა ეს განზომილება იყოს გათვალისწინებული და საფრთხეები კომპლექსურად შეფასდეს.

ინფორმაციის დროული მიღება და ანალიზი ხელს უწყობს არა მხოლოდ რეაგირებას არსებულ საფრთხეებზე, არამედ მათ პრევენციასა და პროაქტიულად მოქმედებას.

ჰიბრიდული საფრთხეები ხშირად საერთაშორისო ხასიათისაა და მოითხოვს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას. ინფორმაციის გაზიარება და ერთობლივი ქმედებები აძლიერებს საერთო უსაფრთხოებას.

ამრიგად, თავდაცვის ყოვლისმომცველი მიდგომა, წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს თანამედროვე ჰიბრიდული გამოწვევების დასაძლევად და ქვეყნის უსაფრთხოების გასაძლიერებლად.

გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული წყაროები:

1. გაბელია, ირაკლი. „საერთაშორისო უსაფრთხოების გამოწვევები თანამედროვე მსოფლიოში“. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020. (25)
2. მალრაძე, გუგული და ვახტანგ მაისაია, *21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რელობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები*, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი. 2017. (207).
3. სანიკიძე, გიორგი. კიდურაძე ნინო, *თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია*, გამომცემლობა - თბილისი : მერიდიანი, 2001. (218)
4. Hoffman F.G., „Conflict in the 21st century: The Rise Of Hybrid Wars“, Potomac Institute for Policy Studies Arlington, Virginia December 2007. (72)
5. Yarger R., & Harry Dr. *Strategic Theory for the 21st Century: The Little Book on Big Strategy*. US Army War College, USAWC Press, 2006. (94)

⁷ Tuukka Elonheimo, „Comprehensive Security Approach in Response to Russian Hybrid Warfare“, (Strategic Studies Quarterly, 2021, pp113-137), 124. <https://www.jstor.org/stable/48618299?seq=13> (25.05.2023)

6. Elonheimo T., „Comprehensive Security Approach in Response to Russian Hybrid Warfare“, (Strategic Studies Quarterly, 2021, (113-137).
<https://www.jstor.org/stable/48618299?seq=13> (30.12.2024)
7. The World of Work project, *VUCA – A Way to View our Unpredictable World*. 2024.
<https://worldofwork.io/2024/08/vuca-a-way-to-view-our-unpredictable-world/> (30.12.2024)

შუა დერეფანი და საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები

თამარ კიკნაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,

tamara_kiknadze@yahoo.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-1071-6490>

დავით კუხალაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

davit.kukhalashvili2390@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0006-8249-296X>

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.02>

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს, როგორც „შუა დერეფნის“ პროექტის მნიშვნელოვანი მონაწილის როლი და შესაძლებლობები, ის პოტენციური ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებელი, რომელიც შესაძლოა საქართველომ მიიღოს, აგრეთვე ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზის (TITR) მნიშვნელობა საქართველოს პოლიტიკური უსაფრთხოებისთვის.

გაჩნდა რა სახელმწიფოთა ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობა, სავარაუდოდ არსებობენ აქტორები, რის გამოც პროექტის განხორციელება შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს. შესაბამისად, ჩვენს სტატიაში განხილულია პროექტის განხორციელების პროცესში სახელმწიფოთა მხრიდან მოსალოდნელი სადაზვერვო აქტივობები და მათ საპასუხოდ საქართველოს სავარაუდო ქმედებები.

კვლევაში იდენტიფიცირებულია საფრთხეები, რომელთა ზეგავლენამ შესაძლოა შეაფერხოს საქართველოს პროექტში მონაწილეობა, ასევე წარმოდგენილია საფრთხეების ნეიტრალიზაციის / ზემოქმედების რისკის მინიმუმამდე დაყვანის მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: შუა დერეფანი, პოლიტიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, დესტაბილიზაცია, საფრთხეების ნეიტრალიზაცია.

The Middle Corridor and Georgia's Security Challenges

Tamar Kiknadze

Professor of Georgian Technical University

tamara_kiknadze@yahoo.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-1071-6490>

David Kukhalashvili

Associate Professor of Caucasus International University

kukhalashvili2390@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0006-8249-296X>

Abstract

The article examines the role and opportunities of Georgia as an important participant in the Middle Corridor project, as well as the potential economic and political benefits that Georgia can receive. The paper discusses the importance of the "middle corridor" or the Trans-Caspian International Transport Route (TITR) for Georgia's political security. Given the potential for economic benefits for states, there are likely actors who could jeopardize the implementation of the project. Accordingly, our article discusses the intelligence activities expected from states during the project implementation process and the likely actions of Georgia intelligence and in response to them. The study identifies threats, the impact of which may hinder Georgia's participation in the project, and also presents important measures to neutralize threats / minimize the risk of impact.

Keywords: Middle Corridor, Political Security, Economic Security, Destabilization, Neutralization of Threat.

შესავალი

„შუა დერეფნის“ პროექტი წარმოადგენს ჩინეთის გლობალური ინიციატივის „ერთი გზა, ერთი სარტყელი“ მნიშვნელოვან შემადგენელს.⁸

2013 წელს, ამ ინიციატივის შესახებ ინფორმაციის გაჟღერებისას, პროექტში საქართველოს მონაწილეობა არ ფიქსირდებოდა. თუმცა გასული საუკუნის

90-იან წლებში საქართველოს ხელისუფლება სისტემატიურად საუბრობდა აღნიშნულ პროექტში ქვეყნის მონაწილეობაზე. ამჟამად, გატარებული საგარეო პოლიტიკის შედეგად, უზრუნველყოფილია საქართველოს მონაწილეობა „შუა დერეფნის“ პროექტში.

პროექტის არსი

„შუა დერეფნის“ მარშრუტი იგივეა, რაც „ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი“. იგი წარმოადგენს სავაჭრო გზას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან - ჩინეთიდან ევროპაში და განეკუთვნება მულტიმოდალური სატრანსპორტო ქსელის კატეგორიას, თავისი საავტომობილო, საკონტეინერო, სარკინიგზო სატვირთო და საბორნე მარშრუტების თვალსაზრისით.⁹ ამ მარშრუტში ჩართული არიან ჩინეთი ყირგიზეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და საქართველო.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, „შუა დერეფნის“ პროექტის სრული ამოქმედების შემთხვევაში, ტვირთბრუნვის მაჩვენებელი 5 მილიონი დოლარით იქნება გაზრდილი. თურქეთი „შუა დერეფნის“ პროექტს თავის აზიურ საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად, ფინანსური, სამხედრო და სტრატეგიული მიზნების აღსრულების საშუალებად მიიჩნევს.¹⁰

ამ მარშრუტით ტვირთების 60%-ის მნიშვნელოვანი ნაწილის ტრანსპორტირება 2030 წლისათვის განხორციელდება ყაზახეთ-აზერბაიჯან-საქართველოს გავლით, თუ ეს სახელმწიფოები დააკმაყოფილებენ პროექტის მოთხოვნებს.¹¹

⁸ Wang Qi, Europe: How Middle Corridor redefines Global Trade routes 14 March 2024 <https://shorturl.at/0KXHK>

⁹ The Context: Growing interest in the Middle Corridor, REALISING THE POTENTIAL OF THE MIDDLE CORRIDOR, OECD, 2023, <https://shorturl.at/6GwQG>

¹⁰ The Belt and Road Initiative and the Middle Corridor: Complementarity or Competition? Insight Turkey Summer 2021 / Volume 23, Number 3 Emel Parlar Dal, “A Normative Approach to Contemporary Turkish Foreign Policy: The Cosmopolitanism-Communitarianism Divide,” International Journal, 70, No. 3 (May 2015), pp. 421-433. <https://shorturl.at/aOlnj>

¹¹ «Средний Кори́дор»: Что показывает «диагноз»? | Лонгрид, 01 АПРЕЛЬ 2024, [vzglyad https://vzglyad.az/news/243070/news.html](https://vzglyad.az/news/243070/news.html)

„შუა დერეფნის“ პროექტის განხორციელებისათვის შექმნილია საგზაო რუკა, რომელშიც გამოკვეთილია აღნიშნული პროექტის მონაწილე ქვეყნების მხრიდან საგზაო ინფრასტრუქტურის, მართვის და კოორდინაციის მიმართულებით ვითარების გასაუმჯობესებლად განსახორციელებელ ღონისძიებათა ნუსხა.¹²

2022 წლის 25 ნოემბერს ყაზახეთის ქალაქ აქტაუში სხვა სახელმწიფოებთან ერთად, საქართველო საგზაო რუკაზე იქნა დატანილი, ხოლო 2022 წლის 31 მარტს „ტრანსკასპიური აღმოსავლეთ-დასავლეთ „შუა დერეფნის“ შესახებ ოთხმხრივი დეკლარაციის ხელმოწერი სახელმწიფო გახდა.¹³ ტვირთბრუნვის გაზრდილ მოთხოვნაზე მეტყველებს ის სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, 2022 წელთან შედარებით 2023 წელს „შუა დერეფნის“ გამოყენებით 1 მილიონ ტონაზე მეტი (წინა წელთან შედარებით თითქმის 65%-ით მეტი) ტვირთის ტრანსპორტირება განხორციელდა.¹⁴

2024 წლის 24 მაისს ყაზახეთის ტრანსპორტის სამინისტროს ცნობით, ყაზახეთმა და ჩინეთმა კურიკის ყაზახური პორტიდან ბაქოში და ტრანს-კასპიური საერთაშორისო მარშრუტით, ავტოგადაზიდვა სატესტო რეჟიმში დაიწყო ევროპაში ტვირთის სატრანზიტო ავტოგადაზიდვა.¹⁵

PMCG კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, „გამოკითხულ ეკონომისტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ „შუა დერეფნის“ განვითარება ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე დამხმარე ინდუსტრიების განვითარების, რუსეთთან და ჩინეთთან ვაჭრობაზე დამოკიდებულების შემცირებისა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების გზით.“¹⁶ თუმცა, აღნიშნული მოსაზრება არ შეესაბამება რეალობას, რადგანაც მხოლოდ პროექტის არსებობა არ შეიძლება იყოს ბაზრების დივერსიფიცირების საფუძველი.

არსებობს გათვლები, რომ საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაციის შემდეგ მისი გამტარუნარიანობა 48 მილიონ ტონამდე გაიზრდება.¹⁷ დღეის მდგომარეობით, ინტერმოდალური გადაზიდვების განვითარება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და

¹² ლევან დავითაშვილმა ეკონომიკურ ფორუმში „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები: გეოპოლიტიკური როლი, ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა“ მიიღო მონაწილეობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 19-04-2024, <https://www.economy.ge/?page=news&nw=2499>

¹³ პერტაია ლ., საქართველო „შუა დერეფანში“ - ჩინეთსა და ევროპას შორის, 20.04.2023, <https://www.radiotavisupleba.ge>

¹⁴ Hunter Stoll, The Middle Corridor: A Renaissance in Global Commerce Mar 12, 2024, <https://shorturl.at/JiA1W>

¹⁵ ბარამიძე გ., პირველი არხი, ჩინეთმა საქართველოს გავლით ევროპის მიმართულებით ავტოტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვა დაიწყო, 24.05.2024. <https://shorturl.at/9Pahn>

¹⁶ შუა დერეფნის განვითარება ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე-PMCG, 11-04-2024, BUSINESS INSIDER GEORGIA, <https://shorturl.at/ppS00>

¹⁷ დობორჯგინიძე გ., საქართველო, როგორც შუა დერეფნის საზღვაო კარიბჭე, 11.02. 2019, <https://forbes.ge/saqarthvelo-rogorcs-shua-de/>

კასპიისა და შავი ზღვების დაკავშირების, აგრეთვე სახმელეთო საკონტეინერო გადაზიდვების ეფექტიანობის ამაღლების გარანტიაა. შესაბამისად, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა და მისი ეფექტური მენეჯმენტი საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების გამყარების მნიშვნელოვანი საფუძველი გახდება.

საერთაშორისო კომპანია „მაერსკის“ მონაცემებით, ჩინეთიდან ევროკავშირამდე ტვირთების ტრანსპორტირება „შუა დერეფნის“ გამოყენებით 40 დღემდე გრძელდება, ხოლო კომპანია Rail Bridge Cargo-ს ინფორმაციით, აღნიშნული პერიოდი 36-დან 40 დღემდე მერყეობს. პროექტი ითვალისწინებს ბაქოდან ტვირთების ნაწილობრივ ტრანსპორტირებას თბილისის გავლით თურქეთის ქალაქ ყარსამდე.

„შუა დერეფნის“ პროექტში საქართველოს მონაწილეობის განმაპირობებელი ფაქტორები

სახელმწიფოს, საერთაშორისო ეკონომიკური და სამხედრო ორგანიზაციების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო არენაზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას.

ინფორმაციის მოპოვებისათვის, სახელმწიფოები ღია და დახურულ წყაროებში, არსებული მონაცემების შეგროვებას ახორციელებენ და აწვდიან გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფებს. ინფორმაციულ ვერტიკალზე დეზინფორმაციული ნაკადების მოხვედრის გამორიცხვის მიზნით, აქტიურად ხორციელდება სადაზვერვო საქმიანობის გამოყენება. ყველა ქმედება მიმართულია სახელმწიფოს, საერთაშორისო ეკონომიკური, სამხედრო ორგანიზაციების პოლიტიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად, ან პირიქით, სამიზნე ობიექტებზე ამ ტიპის დესტაბილიზაციისათვის.

ეკონომიკური უსაფრთხოება მრავალწილად უზრუნველყოფს პოლიტიკურ, სამხედრო და სამეცნიერო უსაფრთხოებას. ეკონომიკურ პროექტებში მონაწილე სუბიექტების მიერ განხორციელებული პროექტები, მასში მონაწილე ქვეყნებისთვის, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. ხელშემწყობი პირობა კი საერთაშორისო ასპარეზზე არსებული პოლიტიკური და სამხედრო სტაბილური ვითარებაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია „შუა დერეფნის“ პროექტში საქართველოს მონაწილეობა.

პროექტის გააქტიურების და მასში საქართველოს მონაწილეობის განმაპირობებელ ფაქტორებს წარმოადგენს: რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები (რომელიც უკრაინაში რუსეთის ფედერაციისა და კოლექტიური დასავლეთის ინტერესების გადაკვეთის შედეგია); რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები - სადაზვერვო ხასიათს ატარებს, რომლის მიზანია რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური და პოლიტიკური დასუსტება, „ჩრდილოეთის დერეფნის“ (ჩინეთი, რუსეთი, ბელორუსი, მონღოლეთი, ყაზახეთი, ევროკავშირი) შეფერხება, ძირითადი

ტვირთების ნაკადების საზღვაო გზებით ტრანსპორტირებაზე გადართვა. ისინი, ამ შემთხვევაშიც, რუსეთის დასასუსტებლად არის გამიზნული; ღაზას სექტორში საბრძოლო მოქმედებები, რომელიც უცხო ქვეყნების ინტერესების გადაკვეთის შედეგია; ჰუსიტების აქტივობებით წითელ ზღვაში საფრთხეების ინსპირირება - სუეცის არხით საზღვაო გადაზიდვებთან დაკავშირებით, რამაც სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტერესების დაზიანება გამოიწვია (მსოფლიო ვაჭრობის 15%-მდე და საკონტეინერო გადაზიდვების 60 % ამ არხის მეშვეობით ხორციელდებოდა).¹⁸ ამ შემთხვევაში, სახეზე იყო მარშრუტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაბალი დონის კოორდინაცია, შესაძლებელია მიზანმიმართულიც).

„შუა დერეფნის“ პროექტში საქართველოს მონაწილეობის საგარეო გამოწვევები

„შუა დერეფნის“ პროექტის განხორციელება ჩინეთის სტრატეგიულ ინტერესებში შედის, რომელიც, როგორც მეცნიერულად, ასევე სადაზვერვო თვალსაზრისით არის შესწავლილი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პროექტში მონაწილეობა საქართველოსათვის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის წინაპირობაა.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ როგორც ტრამპის, ისე ბაიდენის პრეზიდენტობისას, აშშ-სა და ჩინეთს შორის სავაჭრო, სავალუტო და სადაზვერვო ხასიათის ომი ჩინეთის დასუსტებას ითვალისწინებდა. ჩინეთის მიერ განხორციელებული გლობალური პროექტები აშშ-ის და ამ პროექტებში მონაწილე სახელმწიფოებისთვის იდენტიფიცირებულ საფრთხედ აღიქმება. გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს ამერიკული „კონტიჯენცის“ მიერ კონსორციუმის დატოვების ფაქტი.

უნდა

აღინიშნოს, რომ შუა დერეფნის პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ჩინეთი როგორც გეოპოლიტიკურ, ისე გეოეკონომიკურ უპირატესობას მოიპოვებს, რაც ბუნებრივია, არ შეესაბამება აშშ-ის სტრატეგიულ ინტერესებს. აღნიშნული სიტუაცია გასათვალისწინებელია მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირებისას. საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის მამაუკა ბახტაძის აშშ-ი ვიზიტისას, ამ ქვეყნის სახელმწიფო მინისტრის მაიკლ პომპეოს, ანაკლიის პორტთან დაკავშირებული განცხადებაც მნიშვნელოვანია: „მე გამოვხატე ჩვენი მხარდაჭერა, რომ საქართველო დაასრულებს პორტის პროექტს. ეს და სხვა პროექტები გააუმჯობესებს საქართველოს კავშირებს თავისუფალ ეკონომიკებთან და არ მისცემენ უფლებას საქართველოს გახდეს რუსეთის

¹⁸ Hunter Stoll, The Middle Corridor: A Renaissance in Global Commerce Mar 12, 2024, <https://shorturl.at/c3PMV>

ან ჩინეთის ეკონომიკური ზეგავლენის მსხვერპლი. ეს წარმოსახვითი მეგობრები არ ზრუნავენ საქართველოს ინტერესებზე.¹⁹

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის და განვითარების პროცესის შეფერხება „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის მიერ“ (TBC Holding-ი (საქართველო), SSA Marine-ს (აშშ), British Wondernet Expres-ი (ცენტრალური აზია) და G-Star Ltd.-ი(ბულგარეთი)²⁰. კონსორციუმმა „საქართველოს მთავრობას მოსთხოვა 400 მილიონი დოლარის გარანტია - ტვირთბრუნვის არარსებობის შემთხვევაში, ანაკლიის პორტის საქმიანობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსებულიყო.“²¹ ამ შემთხვევაში, პორტის საქმიანობა იქნებოდა წამგებიანი და სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებისათვის საზიანო. ეკონომიკური დივერსიის ნიშნების შემცველი ქმედების თავიდან აცილება, საქართველოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზების დადებით შედეგებზე უნდა მიანიშნებდეს. აღნიშნული პროექტის განხორციელების შემთხვევაში, საქართველო მიიღებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების დივიდენდებს, ამასთანავე, ზოგიერთი ფაქტორის გათვალისწინებით, ამ პროექტს შეიძლება შეექმნას საფრთხე, როგორც გარე, ისე ქვეყნის შიგნით არსებული დესტრუქციული ძალების მიერ. საჭიროა ამ საფრთხეების იდენტიფიცირება და მათზე სათანადო რეაგირება.

ქვეყნის შიგნით არსებული საფრთხეები და მათზე რეაგირების პრევენციული ზომები

საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკების შეფასების, საფრთხეების ნეიტრალიზაციის / მინიმუმამდე დაყვანის პროცესში საქართველომ უნდა გაითვალისწინოს მსოფლიო ბანკის ანგარიშში ასახული პრობლემები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს იდენტიფიცირებულ საფრთხეებად.

საფრთხე 1. დერეფნის გასწვრივ მდებარე ქვეყნებს შორის არასაკმარისი კოორდინაცია (მათ შორის ტერორიზმის სფეროში) და მართვა, დაინტერესებული ქვეყნების მიერ გარკვეული პროცესის მიზანმიმართული ინსპირირება და სხვ.

საფრთხის ნეიტრალიზების / რისკების ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

¹⁹ Avdaliani E., The US Wants Chinese, Russians Kept Out of Anaklia, 13 June 2019, <https://shorturl.at/33lZi>

²⁰ მაჩაიძე რ., „საქართველო დასაკლავი „ქათმის“ როლში“?, 2024, 05 აგვისტო, <https://shorturl.at/6aWYa>

²¹ ანაკლიის პორტი, პროექტის შესახებ, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი, <http://anakliadevelopment.com/ka/>

- საკუთარ სახელმწიფოში არსებული ვითარების შესწავლა, იმ ფაქტორების გამოვლენით, რომლებიც ხელს უშლიან კოორდინაციისა და მართვის მაღალი დონის მიღწევას;
- დერეფნის გასწვრივ მდებარე ქვეყნებში არსებული კონტექსტის ანალიზი, რათა გამოვლინდეს კოორდინაციისა და მართვის ოპტიმალური დონის მიღწევის ხელშემშლელი ფაქტორები;
- დერეფნის გასწვრივ მდებარე ქვეყნებთან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების გამოყენებით, კოორდინაციისა და მართვის მაღალი დონის მიღწევის ხელშემშლელი ფაქტორების ნეიტრალიზაციის მინიმუმადე დაყვანის გზების, საშუალებების, ძალებისა და მეთოდების განსაზღვრა;
- ქვეყნის ინტერესების შესაბამისი სადაზვერვო კოორდინაცია სახელმწიფოებს შორის პრობლემის იდენტიფიცირებისა და დაძლევის, პროექტის განხორციელებაზე ხელშეშლის გამორიცხვის მიზნით.

საფრთხე 2. საქართველოს შავი ზღვის პორტებში მომსახურების დაბალი (მათ შორის მიზანმიმართული) ეფექტურობის ინსპირირება: **საფრთხის ნეიტრალიზების/რისკების**

ზემოქმედების მინიმუმადე დაყვანის მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- ტერმინალის ოპერაციების პროდუქტიულობის, მათ შორის, მიზანმიმართული შეფერხების გამომწვევი მიზეზების დადგენა-ანალიზი;
- საზღვაო პორტებში შრომის, სახანძრო და ეკოლოგიური უსაფრთხოების დარღვევების დროული გამოვლენა, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და ამ პროცესების შეფერხების გამომწვევი მიზეზების ანალიზი;
- საკვლევ მიმართულებაზე დამაზიანებელი ზემოქმედებით დაინტერესებული ქვეყნების სადაზვერვო აქტივობების კონტრსადაზვერვო კონტროლი;
- საკვლევი მიმართულებით საფრთხეების იდენტიფიცირებისათვის საერთაშორისო ასპარეზზე ინფორმაციის შეკრება;
- პრობლემის მოგვარებით დაინტერესებული სახელმწიფოებთან სადაზვერვო კოორდინაცია.

საფრთხე 3. სახელმწიფოს შიგნით სარკინიგზო ინფრასტრუქტურის პრობლემები, განსაკუთრებით საზღვართან შეფერხებების ინტენსიურობის ინსპირირება: **საფრთხის ნეიტრალიზების / რისკების ზემოქმედების მინიმუმადე დაყვანის მნიშვნელოვანი ღონისძიებები:**

- სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გაუმართავობის, მისი გამოსწორების მიზანმიმართული შეფერხების მიზეზების იდენტიფიცირება-ანალიზი და სათანადო რეაგირება;
- საზღვრებთან მიზანმიმართული შეფერხებების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება-ანალიზი და სათანადო რეაგირება;
- სარკინიგზო ტრანსპორტზე, სარკინიგზო მარშრუტებზე, ტვირთების გადაზიდვისას შრომის, სახანძრო და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების, მიზანმიმართული

შეფერხების გამომწვევი მიზეზების დროული გამოვლენა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა;

- საკვლევ მიმართულებაზე დესტრუქციული ზემოქმედების განხორციელების პოტენციური ინტერესის მქონე სახელმწიფოთა სადაზვერვო აქტივობების კონტრსადაზვერვო მონიტორინგი;
- საკვლევი მიმართულებით საფრთხეების იდენტიფიცირებისათვის საერთაშორისო ასპარეზზე ინფორმაციის შეკრება;
- პრობლემის მოგვარებით დაინტერესებულ სახელმწიფოებთან სადაზვერვო კოორდინაცია.

საფრთხე 4. პროექტთან ერთიანი რეჟიმის არარსებობა და სატრანსპორტო სისტემების არათავსებადობა:

საფრთხის ნეიტრალიზების / რისკების ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- ქვეყნის შიგნით გადაზიდვების სამართლებრივ-ნორმატიული რეჟიმების აღნიშნულ პროექტთან არათავსებადობის მიზეზების იდენტიფიცირება-ანალიზი და სათანადო რეაგირება;
- ქვეყნის შიგნით არსებული სატრანსპორტო სისტემების აღნიშნულ პროექტთან არათავსებადობის მიზეზების იდენტიფიცირება-ანალიზი და სათანადო რეაგირება;
- საკვლევ მიმართულებაზე დამაზიანებელი ზემოქმედებით დაინტერესებული ქვეყნების სადაზვერვო აქტივობების კონტრსადაზვერვო კონტროლი;
- საკვლევი მიმართულებით საფრთხეების იდენტიფიცირებისათვის საერთაშორისო ასპარეზზე ინფორმაციის შეკრება;
- პრობლემის მოგვარებით დაინტერესებულ სახელმწიფოებთან სადაზვერვო კოორდინაცია.

საფრთხე 5. სასაზღვრო ზონაში გაციფრულების დონის შეუსაბამობა პროექტთან და წარსადგენი დოკუმენტაციის დიდი რაოდენობა (ხელოვნურად შექმნილი ბიუროკრატიული მექანიზმები: საფრთხის ნეიტრალიზების / რისკების ზემოქმედების

მინიმუმამდე დაყვანის მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- ქვეყნის სასაზღვრო ზონაში გაციფრულების დონის აღნიშნულ პროექტთან არათავსებადობის მიზეზების იდენტიფიცირება-ანალიზი და არსებული ვითარების გამოსასწორებლად სათანადო რეაგირება;
- სასაზღვრო ზონაში წარსადგენი დოკუმენტაციის ოპტიმიზაციის, ციფრული ტრანსფორმაციის დონის ამაღლებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაბამისი სამეცნიერო კვლევების ორგანიზება და კვლევის შედეგების გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის წარდგენა;

- საკვლევ მიმართულებაზე დესტრუქციული გავლენის მქონე სახელმწიფოთა სადაზვერვო აქტივობების კონტრსადაზვერვო მონიტორინგი;
- საკვლევ მიმართულებით საფრთხეების იდენტიფიცირებისათვის საერთაშორისო ასპარეზზე ინფორმაციის შეკრება;
- პრობლემის მოგვარებით დაინტერესებულ სახელმწიფოებთან სადაზვერვო კოორდინაცია.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თანამედროვე ეტაპზე პროექტის ამოქმედებისათვის არსებობს ხელისშემშლელი საშინაო გამოწვევები, რომლებიც შესაძლოა სახელმწიფოს საფრთხედ ექცეს. განვიხილოთ გამოწვევა, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური საფრთხეების იდენტიფიცირებაში, რისკების შეფასებაში, საფრთხის ნეიტრალიზების/რისკის ზემოქმედების შემცირების პროცესებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოს პორტებში დაწესებული მაღალი ტარიფები პროექტის განხორციელებისთვის ხელისშემშლელი გარემოებაა. უნდა აღინიშნოს, რომ ფოთის ღრმაწყლოვანი პორტის გაფართოების მიზნით სამუშაოები „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მმართველ უცხოურ კომპანიას APM TERMINALS POT-ს უნდა განეხორციელებინა. ამ სამუშაოების ღირებულება 250-დან 300 მილიონ დოლარს შეადგენდა, მაგრამ არ განხორციელდა.²² სავარაუდოდ, პორტის მმართველმა კომპანიამ განახორციელა საკუთარი, ან უცხო ქვეყნის სტარატეგიული ინტერესები.

პროექტში ყაზახეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მონაწილეობის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი იყო ამ სახელმწიფოების ეკონომიკურ მოდელებს შორის სხვაობა. ყაზახეთი „საბაჟო კავშირის“, ხოლო საქართველო „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის“ წევრები არიან. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ის არცერთ ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებული არ არის. ვითარება, პროექტში მონაწილეობის თვალსაზრისით, იდენტიფიცირებული იქნა რა საფრთხედ, მისი ნეიტრალიზაციის/რისკების მინიმუმამდე შემცირების უზრუნველსაყოფად 2023 წლისათვის შეიქმნა ერთობლივი ლოჯისტიკური კომპანია-ოპერატორი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პოსტსაბჭოთა საქართველო უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურის ინტერესების სფეროს წარმოადგენდა. საქართველოს ეკონომიკური მოდელების ჩამოყალიბება უცხო ქვეყნების ინტერესების შესაბამისად ხორციელდებოდა. შესაბამისად, მაღალია აღნიშნული პროექტის შეფერხება-ჩაშლის ალბათობა.

²² გელანტია თ., ფოთის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი: APM დუმს. რას ამბობს ეკონომიკის სამინისტრო? 12.10.22, <https://bm.ge/news/fotis-grmawylovani-portis-proeqti-apm-dums-ras-amboobs-ekonomikis-saministro/118426>

აღნიშნული პროექტის განხორციელების შემაფერხებელად მოიაზრება საქართველოში არსებული მთიანი რელიეფი, რაც მნიშვნელოვანი გზების მოწყობასთან დაკავშირებული სირთულეების გარდა, მაღალ ფინანსურ ღირებულებას უკავშირდება. პრობლემის მოგვარება დაგეგმილია და ხორციელდება მსხვილი, უცხოური (ჩინური) ინვესტიციების მოზიდვით რიკოთის უღელტეხილის, ასევე მარაბდა-კარწახის საავტომობილო გზების მოდერნიზება-განახლებით.

ბათუმისა და ფოთის პორტების „შუა დერეფნის“ პროექტთან არათავსებადობის გამო, საქართველოში ახალი პორტის მშენებლობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი იყო. დღეის მდგომარეობით მიღებულია გადაწყვეტილება ანაკლიის პორტის, ჩინური ინვესტიციით მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის 51%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფო იქნება.

აუცილებელია გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ საქართველოში, განსაკუთრებით 2024 წელს, ხელისუფლებისა და საზოგადოების დემორალიზაციის ინსპირირება, პოლიტიკური დესტაბილიზაცია და ხელისუფლებაზე ზეწოლა უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო ლობირების შედეგია, რაც შესაძლოა ამ პროექტის განხორციელების ხელშეშლას ემსახურებოდეს.

კვლევით გამოიკვეთა „შუა დერეფნის“ პროექტში საქართველოს მონაწილეობის ხელისშემშლელი ფაქტორები:

- საქართველოს პორტებში მიზანმიმართულად დაწესებული მაღალი ტარიფები;
- უცხო ქვეყნების სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად, პროექტში მონაწილე ქვეყნების განსხვავებულ, პროექტთან არათავსებად ეკონომიკურ მოდელებში მონაწილეობა;
- უცხო ქვეყნების სადაზვერვო ლობიზმის შედეგად საქართველოში, 2024 წელს, ხელისუფლების და მოსახლეობის მიმართ დემორალიზაციის მაინსპირირებელი პოლიტიკური დესტაბილიზაცია;

იდენტიფიცირებულია პროექტის განხორციელებაზე დამაზიანებლად მოქმედი საფრთხეები:

- დერეფნის გასწვრივ მდებარე ქვეყნებს არასათანადო კოორდინაცია (მათ შორის ანტიტერორიზმი) და მართვა, დაინტერესებული ქვეყნების მიერ ამ პროცესის მიზანმიმართული ინსპირირება;
- შავი ზღვის საქართველოს პორტებში არაეფექტური ოპერაციების ინსპირირება;
- სახელმწიფოს შიგნით სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და განსაკუთრებით, საზღვართან შეფერხებების ინტენსიურობა, მათ შორის, დაინტერესებული ქვეყნების ინსპირირებით;
- რეჟიმის არარსებობა და სატრანსპორტო სისტემების არათავსებადობა, მათ შორის დაინტერესებული ქვეყნების ინსპირირებით;
- სასაზღვრო ზონაში პროექტთან შეუსაბამო გაციფრულების დონე და მისი გამოსწორების შეფერხების ინსპირირება.

დასკვნა

„შუა დერეფნის“ ანუ ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო გზის (TITR) მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. არსებობენ აქტორები, რომელთა სტრატეგიულ ინტერესებში პროექტის განხორციელება, მათ შორის საქართველოს მონაწილეობით, მიუღებელია. ეს იდენტიფიცირებულ საფრთხედ შეიძლება ჩაითვალოს. საფრთხეები უნდა იქნას გათვალისწინებული საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კვლევით გამოიკვეთა „შუა დერეფნის“ პროექტში საქართველოს მონაწილეობის

ხელისშემშლელი ფაქტორები:

- საქართველოს პორტებში მიზანმიმართულად დაწესებული მაღალი ტარიფები;
- უცხო ქვეყნების სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად, პროექტში მონაწილე ქვეყნების განსხვავებულ, პროექტთან არათავსებად ეკონომიკურ მოდელებში მონაწილეობა;
- უცხო ქვეყნების სადაზვერვო ლობიზმის შედეგად საქართველოში, 2024 წელს ხელისუფლების და მოსახლეობის მიმართ დემორალიზაციის მაინსპირირებელი პოლიტიკური დესტაბილიზაცია;
- დერეფნის გასწვრივ მდებარე ქვეყნებს არასათანადო კოორდინაცია (მათ შორის ანტიტერორიზმი) და მართვა, მათ შორის დაინტერესებული ქვეყნების მიერ ამ პროცესის მიზანმიმართული ინსპირირება;
- შავი ზღვის საქართველოს პორტებში არაეფექტური ოპერაციების ინსპირირება;
- სახელმწიფოს შიგნით სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და განსაკუთრებით საზღვართან შეფერხებების ინტენსიურობა, მათ შორის დაინტერესებული ქვეყნების ინსპირირებით;
- რეჟიმის არარსებობა და სატრანსპორტო სისტემების არათავსებადობა, მათ შორის დაინტერესებული ქვეყნების ინსპირირებით;
- სასაზღვრო ზონაში გაციფრულების დონის შეუსაბამობა პროექტთან, მისი გამოსწორების შეფერხების ინსპირირება.

გამოწვევებზე და საფრთხეებზე საქართველოს მხრიდან, წარმატებული შედეგის მომტანი

პრევენციული რეაგირების მნიშვნელოვანი ზომები

- საქართველოს სახდაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების, სხვა უწყებების და დიპლომატიური კორპუსის კოორდინირებული ქმედები იდენტიფიცირებული საფრთხეების

ნეიტრალიზაციის და ზემოქმედების რისკის შემცირების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით საიდუმლოების გრიფირებით კოორდინირებული ქმედებების გეგმის შედგენა, მასში საქართველოს სამეცნიერო სექტორის ჩართულობით;

- იდენტიფიცირებული საფრთხეების ნეიტრალიზაციის, ზემოქმედების რისკის მინიმიზაციისა და კოორდინაციის ჩარჩოს განსაზღვრის მიზნით, სტრატეგიულ სახელმწიფოთა სადაზვერვო ორგანოებთან კოორდინაციის უზრუნველყოფა, საქართველოს სამეცნიერო სექტორის ჩართულობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანაკლიის პორტი, პროექტის შესახებ, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი, <http://anakliadevelopment.com/ka/>
2. ბარამიძე გ. პირველი არხი, ჩინეთმა საქართველოს გავლით ევროპის მიმართულებით ავტოტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვა დაიწყო, 24.05.2024. <https://shorturl.at/9Pahn>
3. დობორჯინიძე გ. საქართველო, როგორც შუა დერეფნის საზღვაო კარიბჭე, 11.02. 2019, <https://forbes.ge/saqarthvelo-rogorcs-shua-de/>
4. გელანტია თელარა12.10.22 23:00 ფოთის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი: APM დუმს. რას აშბობს ეკონომიკის სამინისტრო? <https://bm.ge/news/fotis-grmawylovani-portis-proeqti-apm-dums-ras-ambobs-ekonomikis-saministro/118426>
5. ლევან დავითაშვილმა ეკონომიკურ ფორუმში „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები: გეოპოლიტიკური როლი, ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა“ მიიღო მონაწილეობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო,19-04-2024, <https://www.economy.ge/?page=news&nw=2499>
6. პერტაია ლ. საქართველო „შუა დერეფანში“ - ჩინეთსა და ევროპას შორის, 20.04.2023, <https://www.radiotavisupleba.ge>
7. მაჩაიძე რ. „საქართველო დასაკლავი „ქათმის“ როლში“?, 2024, 05 აგვისტო, <https://shorturl.at/6aWYa>
8. შუა დერეფნის განვითარება ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე-PMCG, 11-04-2024, BUSINESS INSIDER GEORGIA, <https://shorturl.at/0KXHk>
9. Avdaliani E. The US Wants Chinese, Russians Kept Out of Anaklia, 13 June 2019, <https://shorturl.at/33lZi>
10. Stoll Hunter, The Middle Corridor: A Renaissance in Global Commerce Mar 12, 2024, <https://shorturl.at/JiA1W>
11. The Belt and Road Initiative and the Middle Corridor: Complementarity or Competition? Insight Turkey Summer 2021 / Volume 23, Number 3 Emel Parlar Dal, “A Normative Approach to Contemporary Turkish Foreign Policy: The Cosmopolitanism-Communitarianism Divide,” International Journal, 70, No. 3 (May 2015), pp. 421-433. <https://shorturl.at/aOlnj>
12. The Context: Growing interest in the Middle Corridor, REALISING THE POTENTIAL OF THE MIDDLE CORRIDOR, OECD, 2023, <https://shorturl.at/6GwQG>
13. Wang Qi, Europe: How Middle Corridor redefines Global Trade routes 14 March 2024, <https://shorturl.at/c3PMV>
14. «Средний Коридор»: Что показывает «диагноз»? | Лонгрид, 01 АПРЕЛЬ 2024, [vzglyad <https://vzglyad.az/news/243070/news.html>](https://vzglyad.az/news/243070/news.html)

ომის არსი განწყობის თეორიის პრიზმიდან

თამარ კიკნაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

tamara_kiknadze@yahoo.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-1071-6490>

დავით ბარათაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი,

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

Baratashvilidavit@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-0104-5576>

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.03>

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ომის ფენომენს განიხილავს განწყობის ზოგადი თეორიის პრიზმიდან. ომის არსის და მისი გამომწვევი მიზეზების ანალიზი, ასევე მისი მომავლის პერსპექტივების მიმოხილვა განხილულია დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის კონტექსტში. ნაშრომი ხაზს უსვამს ინდივიდისა და კოლექტიური სუბიექტის ურთიერთმიმართებას ომში ჩართვის მოტივაციის ასახსნელად. მასში განხილულია თანამედროვე გეოპოლიტიკური დაპირისპირებები და მათი გავლენა ომის ბუნებაზე. შეფასებულია მასობრივი განადგურების იარაღის როლი და მისი გავლენა ომის მასშტაბებზე. გამოტანილი დასკვნის თანახმად, ომის თავიდან აცილება შესაძლებელია რესურსების სამართლიანი გადანაწილებისა და საერთაშორისო დიალოგის გაძლიერების გზით.

საკვანძო სიტყვები: ომი, განწყობის თეორია, გეოპოლიტიკა, კონფლიქტი, მასობრივი განადგურების იარაღი.

The Essence of War through the Prism of Mood Theory

Tamar Kiknadze

Professor of Georgian Technical University

tamara_kiknadze@yahoo.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-1071-6490>

David Baratashvili

PhD Candidate in Political Science,

Caucasus International University

Baratashvilidavit@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-0104-5576>

Abstract

This article examines the phenomenon of war through the prism of the general mood theory. An analysis of the nature of war and its causes, as well as an overview of its prospects, is discussed in the context of Dimitri Uznadze's theory of disposition. The paper emphasizes the relationship between the individual and the collective subject in explaining the motivation for involvement in war. The article deals with contemporary geopolitical conflicts and their impact on the character of war. It assesses the role of weapons of mass destruction and their impact on the scale of war. According to the conclusion drawn, war can be avoided through a fair distribution of resources and the strengthening of international dialogue.

Keywords: War, Theory, Geopolitics, Conflict, Weapons of Mass Destruction.

ომის ფენომენი, როგორც ადამიანის ისტორიის განუყოფელი ნაწილი, უძველესი დროიდან წარმოადგენდა ინტელექტუალური რეფლექსიის საგანს. ფილოსოფიური, ისტორიული და ლიტერატურული ტრადიციები მდიდარია ომის ბუნების, მისი მიზეზებისა და შედეგების ანალიზით. პოლიტიკურ მეცნიერებაში, რომელიც XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი აკადემიური დისციპლინა,

სახელმწიფოთა ურთიერთობები და მათ შორის კონფლიქტები წარმოადგენს ცენტრალურ კვლევის ობიექტს. აღნიშნული დისციპლინა იკვლევს ომის წარმოშობის, განვითარებისა და დასრულების მექანიზმებს, ასევე მის გავლენას საერთაშორისო სისტემასა და საზოგადოებაზე.

მიმდინარე გეოპოლიტიკური დაპირისპირების და რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, კაცობრიობამ კიდევ ერთხელ დაინახა, რომ მსოფლიოში ომის საფრთხე არსად გამქრალა. ამ ფონს ამძაფრებს ენერგია, რომელიც კაცობრიობამ სოციო-ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად დააგროვა. ამ ენერგიის გამოყენების მწვავე საფრთხე დამანგრეველი შედეგების გამოწვევია ყველასათვის, ვისაც გააზრებული აქვს მასობრივი განადგურების იარაღის მასშტაბები.

ომის ცნება გულისხმობს ინდივიდთა გაერთიანების (კოლექტიური სუბიექტის) დაპირისპირებას სხვა კოლექტიურ სუბიექტთან. ომის კატასტროფაში ჩართული თითოეული ინდივიდი აცნობიერებს სიკვდილთან სიახლოვეს, მაგრამ, ამ საშიშროების მიუხედავად, მაინც ებმება კოლექტიურ ორომტრიალში. ომის სიღრმისეული ანალიზი მოითხოვს ფენომენის შესწავლას, რომელიც კონკრეტულ სუბიექტს (პიროვნებას) აიძულებს, შეუერთდეს კოლექტიურ ერთობას მისი სიცოცხლის განადგურების ფასად. წინამდებარე კვლევის მიზანია ინდივიდუალური განწყობების ტრანსფორმაციის პროცესის ანალიზი, რაც საბოლოოდ კოლექტიური სუბიექტის განწყობათა სისტემის ფორმირებას განაპირობებს. აღნიშნული პრობლემის კომპლექსური გადაწყვეტა მოითხოვს ადამიანის ფსიქოლოგიური მექანიზმების დეტალურ შესწავლას. თუმცა, მხოლოდ ფსიქოლოგიური ანალიზი არ არის საკმარისი. საჭიროა ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც მოიცავს სოციოლოგიურ, კულტურულ და პოლიტიკურ ასპექტებსაც.

ომის ისტორიულ მიზეზებზე და რესურსების დატაცების პარადიგმაზე, როგორც ომების მაპროვოცირებელ ფაქტორზე, ჯერ კიდევ პლატონი წერდა საკუთარ ნაშრომში: „სახელმწიფო“: - „მაშასადამე, იძულებულნი ვიქნებით კაი მოზრდილი ნაწილი ჩამოვაჭრათ მეზობელ სახელმწიფოს, თუ გვინდა სამყოფი საძოვარი და სახნავ-სათესი გვექონდეს, ხოლო მეზობელი სახელმწიფო, თავის მხრივ, მოინდომებს ჩვენი ქვეყნის ნაწილი მიიტაცოს, თუკი თვითონაც დაუსრულებელი მომხვეჭელობის გზას დაადგება და ამრიგად, გადავა იმის ზღვარს რაც აუცილებელია საარსებოდ.

- ყოველ მიზეზ გარეშე, ეგრეც მოხდება, სოკრატე.
- მაშ, ომში უნდა ჩავებათ გლავკონ.
- დიახ, უნდა ჩავებათ.
- ჯერჯერობით არაფერს ვიტყვით იმის თაობაზე, თუ რა მოსდევს შედეგად ომს...
 - სიკეთე თუ ბოროტება; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ უკვე მივაკვლიეთ ომების წყაროს, ხოლო ომი, უდიდესი უბედურების სათავეა, როგორც კერძო პირის, ისე მთელი საზოგადოებისთვის, როცა ისინი იძულებულნი არიან იომონ“.²³

კაცობრიობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, ომის ხელოვნება დაიხვეწა, განვითარდა იარაღები და მეთოდები. მიუხედავად რადიკალური ცვლილებებისა, ერთი რამ უცვლელი რჩება: ომი სიცოცხლეს გამოაცლის ადამიანებს, სპობს და ასამარებს ათასობით სიცოცხლით სავსე ახალგაზრდისა თუ მხცოვანის ოცნებებსა და იმედებს, მის გზაზე ტოვებს ობლების, ქვრივების, შვილმკვდარი მშობლებისა და ახლობლების დაკარგვით გატანჯულ ადამიანთა არმიას. სოკრატემ გონივრულად აღნიშნა, რომ ის უდიდესი ბოროტებაა, როგორც ერთეულისთვის, ისე მთელი საზოგადოებისთვის, როდესაც იძულებული ხარ მასში ჩაება.

ომის ეტიოლოგია მრავალფეროვანია, თუმცა, მისი ერთ-ერთი ძირითადი შედეგი სახელმწიფოთა შორის ძალაუფლების გადანაწილებაა. გამარჯვებული მხარე აფართოებს საკუთარ გავლენის სფეროს და ახდენს დამარცხებული მხარის მატერიალური და არამატერიალური რესურსების აკვიზიციას, რაც უარყოფითად აისახება დამარცხებული მხარის გავლენის სფეროს შემცირებაზე. ადამიანის მხრიდან რესურსებისადმი ასეთი აკვიატებულ დამოკიდებულება არა მხოლოდ ნოოსფეროს²⁴ წიადიდან წარმოიშვება, არამედ ბიოსფეროსეული საფუძვლებიც აქვს. ვინაიდან ადამიანი ბიოსფეროს და ნოოსფეროს ერთდროულად მიეკუთვნება, უმჯობესია დავიწყოთ ომის არსის წარმოჩენა ბიოსფეროდან.

²³ პლატონი, სახელმწიფო, გამომცემლობა carpe diem, 2020, გვ 65-66

²⁴ ნოოსფერო, ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების სფეროა, სადაც ადამიანის გონივრული მოქმედება წარმოადგენს განვითარების მთავარ, მამოძრავებელ ფაქტორს. ცნება ნოოსფერო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში შემოიღეს პიერ ტეიარ დე შარდენმა და ედუარდ ლე რუამ, რომლებიც განსაზღვრავენ მას, როგორც დედამიწის „მოაზროვნე“ გარსს. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 7, თბ., 1984. გვ. 469.

ცოცხალ ორგანიზმს, პირველ რიგში, სიცოცხლის შენარჩუნება და გაგრძელება ამოძრავებს. განწყობა სწორედ ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო ქმედებების განხორციელების ფსიქო-ფიზიოლოგიური მზაობაა. სიცოცხლის პროცესი გულისხმობს სასიცოცხლო რესურსების (საკვები, წყალი, თავშესაფარი და სხვა) მუდმივ მიებას. ამ პრინციპს ემორჩილება ყველა ცოცხალი ორგანიზმი, ერთუჯრედიანიდან ადამიანამდე.

ადამიანიც ემორჩილება რესურსებისადმი მოთხოვნილების საყოველთაო პრინციპს, თუმცა, მისი მოთხოვნილება გაცნობიერებული და მუდმივია. სხვა ცოცხალი ორგანიზმებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ აქტუალურ მოთხოვნილებებს მიჰყვებიან, ადამიანისთვის დამახასიათებელია რესურსებისადმი მუდმივი მიდრეკილება. ეს განსხვავდება სხვა ორგანიზმებისგან, რომელთა რესურსული ორიენტაცია პერიოდულია და მოთხოვნილებაზე დამოკიდებული. ადამიანის რესურსული აზროვნება მუდმივია, მოთხოვნილების არარსებობის პირობებშიც კი. ეს ფენომენი ადამიანის კომპლექსური ფსიქიკის, კერძოდ, ცნობიერების ფუნქციონირებითაა განპირობებული.

ომის არსი რესურსების მოპოვების ბიოლოგიური იმპულსით არ ამოიწურება, რადგან ის, მხოლოდ ბიოლოგიური მასშტაბის მოვლენა არ არის და ინდივიდთა დაპირისპირებისგან განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ ცხოველთა სამყაროში გვხვდება ინდივიდუალური აგრესიის გამოვლინებები და მტაცებლური ქცევა, რაც ხშირად სასიცოცხლო დაპირისპირებაში გადაიზრდება, აღნიშნული ინტერაქციები არ შეესაბამება ომის ცნებას. ომი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, მოიცავს ორგანიზებულ, სისტემურ ძალადობას სახელმწიფოთა ან სხვა კოლექტიურ სუბიექტებს შორის, რაც განპირობებულია პოლიტიკური, ეკონომიკური ან იდეოლოგიური მიზნებით. ცხოველთა სამყაროში არსებული კონფლიქტები, როგორც წესი, ინსტინქტურია და შემოიფარგლება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ დონეზე, რაც არ იძლევა მათ ომის კვალიფიკაციის საფუძველს.

ომის ცნების ქვეშ მოიაზრება ერთი კოლექტიური სუბიექტის მოძრაობა მეორეს დასამორჩილებლად. ომის მასშტაბი, ანუ ამ ორთაბრძოლაში ჩართული ინდივიდების მასშტაბი ბიოსფეროს არცერთ სახეობაში არ გვხვდება, გარდა ადამიანისა. მამასადამე,

ბიოლოგიურ მექანიზმს ემატება კულტურული ასპექტი. პოლიტიკური მეცნიერებების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკას და საზოგადოებას გარკვეული ობიექტური კანონები აქვთ და მის საფუძველზე მოქმედებენ. როგორც ევოლუციის კანონები აერთიანებს და აღწერს ყოველ ცოცხალი ორგანიზმის ჩამოყალიბების და განვითარების წესებს²⁵, ასევე პოლიტიკური მეცნიერებების სკოლის აზრით, საზოგადოებრივი კანონები ყოველი ადამიანის და მათ მიერ წარმოქმნილი ერთობების საფუძველია. ჰანს მორგენტაუ სტატიაში „პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპი“ წერს: „ვინაიდან რეალიზმი აღიარებს პოლიტიკური კანონების ობიექტურად არსებობას, ის ასევე უნდა გულისხმობდეს რაციონალური თეორიის განვითარების შესაძლებლობას, რომელშიც, თუნდაც არასრულყოფილად და ცალმხრივად, ეს ობიექტური კანონები აისახება“.²⁶

საზოგადოება გარკვეული ობიექტური კანონებითა და წესებით ფუნქციონირებს, რაც ნებისმიერი იდეოლოგიის, პოლიტიკური სკოლისა თუ სამეცნიერო მიმართულების საფუძველს წარმოადგენს. სოციალური მეცნიერებების დისციპლინებისთვის აუცილებელია ობიექტური ცოდნის წარმოქმნისკენ სწრაფვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი მეცნიერული სტატუსი ლეგიტიმურობას კარგავს.

კოლექტიურ ხოცვა-ჟლეტაში ინდივიდის ჩართვასაც თავისი ობიექტური მიზეზები ექნება და მისი სიღრმისეული ანალიზი, პირველ რიგში, სწორედ ინდივიდის ფსიქო-ფიზიოლოგიური მზაობიდან უნდა მოხდეს. ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, რომ რესურსებისადმი ასეთი ინტენსიური ლტოლვა ადამიანის ბიოლოგიურ მექანიზმიდან იღებს დასაბამს, მაგრამ ამით არ ამოიწურება. დიმიტრი უზნაძის სტატია „ომის ფილოსოფია“, ²⁷ რომელიც 1914 წელს დაიბეჭდა გაზეთში - „სახალხო ფურცელი“, სწორედ ზემოთ დასმულ საკითხს ეხება.

ლოგიკურია, რომ სტატია იწყება სიკვდილის არსით. სტატიის დასაწყისი ეთმობა სიკვდილის თემატიკას, როგორც ბოროტებას, ხოლო ბოლო, მეშვიდე ნაწილი კი - ომის

²⁵ იხილეთ ჩარლზ დარვინის სახეობათა წარმოშობა.

²⁶ არტი, ჯერვისი, საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2011, გვ 14

²⁷ დიმიტრი უზნაძე, შრომები IX, ომის ფილოსოფია, გვ 213-243

პრობლემატიკას განიხილავს.²⁸ დიმიტრი უზნაძე სიკვდილის პრობლემატიკიდან დაწყებული კოლექტიური სიკვდილის აქტამდე (ომი), განიხილავს იმ ასპექტს, რითაც ერთეულის სიცოცხლე განფენილია საზოგადოების სარბიელზე; ერთვება კოლექტიურ სიცოცხლის მოსპობის აქტში, სადაც ინდივიდის სიცოცხლე მიაღწევს მის უმაღლეს წერტილს, უკვდავებას გამოხატულს ნოოსფერულ ასპექტში. უზნაძეს კვლევის ამ ეტაპს, ჯერ კიდევ არ ჰქონდა მისი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი, „განწყობის თეორია“ სრულად ჩამოყალიბებული, მაგრამ 1914 წლის ამ სტატიაშიც კი, დაკვირვებული თვალი, დაინახავს განწყობის თეორიის კონტურებს.

სიკვდილის ფენომენის გააზრება და გადალახვაც ადამიანის გართულებული განწყობის მექანიზმის საფუძველზე მიმდინარეობს. როგორც აღვნიშნეთ, უზნაძეც ზემოხსენებულ სტატიას სიკვდილის, როგორც დისკრეტული ცოცხალი ორგანიზმისთვის უდიდესი ბოროტების გააზრებით იწყებს: „განა ყოველი ნაბიჯი ჩვენი ცხოვრებისა სიკვდილის შიშის გრძნობით არ არის ნაკარნახევი?! განა ჩვენი დაბადების პირველსავე მომენტიდან იმის ცდაში არა ვართ, რომ სიკვდილის ცელის მსხვერპლი არ შევიქნეთ?! ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, ჩვენი კერძო არსებობის პირობები, ყველა ფორმა ჩვენი ყოფნისა სიკვდილის შიშის გრძნობით არის შექმნილი და გამოწვეული. ეს შიში, ამგვარად, მთელი ჩვენი ცხოვრების მმართველი პრინციპი, უმთავრეს რეგულატური მომენტია ადამიანის მთელი ცხოვრებისა. ამ სახით, სიკვდილის შიში მუდმივი და აუცილებელი ფაქტორია მთელს საკაცობრიო ცხოვრებაში.“²⁹

თუმცა, ამოიწურება კი ადამიანის ცხოვრება მხოლოდ პრაქტიკული შინაარსით - მარადიული გაქცევით სიკვდილისგან? საკითხის მოკლედ ასახსნელად გამოვიყენოთ შოთა ნადირაშვილის „განწყობის ანთროპული თეორია“. აქვე დავძენთ, რომ შოთა ნადირაშვილი განწყობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ტრადიციის გამგრძელებელია. ნადირაშვილის აზრით, შეგვიძლია გამოვყოთ განწყობის სამი დონე: **განწყობის პირველი ორი დონე**, იმპულსური და ინტელექტუალური, ორგანიზმის სიმრთელის მოდუსის შენარჩუნებას უზრუნველყოფს, მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, ისინი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგანწყობო მექანიზმებია და აქტიური

²⁸ იქვე, გვ 213-243

²⁹ დიმიტრი უზნაძე, შრომები IX, ომის ფილოსოფია, გამომცემლობა მეცნიერება, 1986, გვ 213-214

მოთხოვნების იმპულსის შემთხვევაში აღმოცენდება. ლოგიკურია, რომ ასეთი საგანწყობო მექანიზმები ცოცხალი სამყაროს სხვადასხვა სახეობებშიც გვხვდება. **მესამე საგანწყობო სისტემა**, რომელსაც ნადირაშვილი უწოდებს სოციალური განწყობის დონეს, მხოლოდ ადამიანთა სახეობაში გვხვდება. სოციალური განწყობის საფუძველზე ადამიანი უსხლტება ბიოსფეროს და გადადის ნოოსფეროში, ანუ მის მიერ შექმნილ კულტურის სამყაროში. მაშასადამე ომის ფენომენის სწორედ სოციალურ საგანწყობო დონეზე მიმდინარეობს.³⁰

სოციალური დონის განწყობა უსხლტება პრაქტიკული ცხოვრების ნიადაგზე ამუშავებულ ცნობიერებას და მეტაფიზიკურ გარემოში იჭრება, სადაც სიკვდილი არცთუ ისე გადაულახავი პრობლემაა. უზნადისთვის მეტაფიზიკური სიკვდილი აღარაა ბოროტება და ამ აზრში იგულისხმება, რომ ადამიანის ცნობიერება უსხლტება პრაქტიკული აზროვნების ზედაპირზე ტივტივს და საგნების არსამდე ჩაღრმავებისკენ მისწრაფვის. „მაშასადამე, ცხადია, რომ ჩვენი არსებობის აზრი, თვით ჩვენი სიცოცხლის ფარგლებში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის გარეთ ან იმაზე მაღლა“.³¹

სოციალური დონის განწყობა ადამიანს ისეთ არსებად აქცევს, რომელიც ყოველდღიურ პრაქტიკულ მოთხოვნილებებს სცილდება და კულტურის (ნოოსფეროს) სივრცეში ამაღლდება. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი მხოლოდ ბიოლოგიური არსება კი არ არის, არამედ სოციალური და კულტურული ქმნილებაა, რომელსაც შეუძლია აბსტრაქტული ცნებით აზროვნება, ცოდნის დაგროვება, აღნიშნული ცოდნების კოდიფიცირება და გადაცემა. ინდივიდის გააზრებული სასრული არსებობა ტრანსფორმირდება მარადიულ არსებობაში, რადგან ერთეული ადამიანი მხოლოდ ბიოლოგიური არსება აღარაა, არამედ იმ ინფორმაციის მატარებელი ინდივიდია, რომელიც თაობიდან თაობაში გადავიდა და ეს უკანასკნელიც ვალდებულია მომავალს გადასცეს აღნიშნული კულტურული პატერნები.

სოციალური საგანწყობო სისტემა ქმნის ინდივიდს და ლოგიკურია, რომ ეს უკანასკნელი ინდივიდისთვის მნიშვნელოვანია. საბოლოო ჯამში, ყველა ინდივიდი ამ სისტემის ნაწილია, ანუ სოციალური განწყობების საფუძველზე ამოქმედებული ცოცხალი

³⁰ იხილეთ შოთა ნადირაშვილის განწყობის ანთროპული თეორია.

³¹ დიმიტრი უზნაძე, შრომები IX, ომის ფილოსოფია, გვ 213-243

ორგანიზმი, კულტურული არსება, რომლის დაცვა და კვლავწარმოება უაღრესად მნიშვნელოვანია. ეს სისტემა მოიცავს ნოოსფეროს ყველა ატრიბუტს: ენას, ტრადიციებს, ღირებულებებს, ცოდნებს და სხვა კულტურულ ელემენტებს.

სწორედ ამ პირობებში აღწევს ადამიანის გონება უკვდავებას. ინფორმაციის უწყვეტი გადაცემის ხარჯზე, ცოდნა და გამოცდილება თაობიდან თაობას გადაეცემა, რაც უზრუნველყოფს კულტურის და, შესაბამისად, ადამიანის ისტორიული განვითარებით პროცესში ჩრთვას. შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდი არ ქრება, რადგან მისი წვლილი კულტურაში რჩება და აგრძელებს არსებობას

ნოოსფერო, როგორც ინფორმაციული სფერო, თაობიდან თაობას გადაეცემა, რაც მას, ამ გაგებით, უკვდავებას ანიჭებს. ინდივიდის სასრული არსებობა ტრანსფორმირდება მარადიულში, ვინაიდან ინდივიდი ნოოსფეროს განუყოფელი ნაწილია. ამგვარად, ინდივიდუალური ცნობიერების გაერთიანება უფრო დიდ სოციალურ მექანიზმებში ქმნის საფუძველს ოჯახის, თემის, რეგიონის და ერის მყარი სტრუქტურების ფორმირებისთვის. ეს სტრუქტურები, კულტურის სხვადასხვა ატრიბუტის მეშვეობით, უზრუნველყოფენ უწყვეტი განვითარების იდეის შენარჩუნებას. წინაპართა ხსოვნა, რომელიც ყველა საზოგადოებაში მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვლინდება, მეტაფიზიკური უკვდავების თვალსაჩინო კულტურული გამოხატულებაა.

„ერების ფსიქოლოგიის“ ავტორი, გუსტავ ლე ბონი წერს, რომ „ერის ცხოვრება, მისი ინსტიტუტები, მისი აღმსარებლობა და ხელოვნება მისი უხილავი სულის ხილული პროდუქტია“.³² სწორედ ეს უხილავი სულია, რასაც ადამიანის გონება უფრო მეტი მოწიწებით და გაფრთხილებით მიემართება, აღნიშნული კი მის ადამიანურობას გამოსჴედს. ზრუნვის ობიექტზე კონცენტრაცია წარმოშობს კონკრეტული ერის სურვილს გაფართოვდეს და მისი კულტურა გაავრცელოს, ხოლო თავდაცვით პოზიციაში მყოფი ერისას კი, დაიცვას ის, რაც მისი მეტაფიზიკური უკვდავების არსებობას უზრუნველყოფს. ამიტომაც, უზნაძემ ერთი ერის მეორე ერში (დამპყრობელში, ჰეგემონში) გათქვეფა ან ასიმილაცია სიკვდილს და სრულ მოსპობას შეადარა.³³

³² გუსტავ ლე ბონი, ერების ფსიქოლოგია, გამომცემლობა აქტი, თბილისი 2021, გვ 13

³³ დიმიტრი უზნაძე, შრომები IX, ომის ფილოსოფია, გვ 236

ზემოთ განხილული რესურსების აკუმულაციის აკვიატებული ტენდენცია და მისი შედეგად განპირობებული ექსპანსიონისტური პოლიტიკა, ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე, კონსტრუქციულ ფუნქციასაც ასრულებდა, რაც გამოიხატებოდა ერებსა და ცივილიზაციებს შორის კონტაქტების დამყარებაში, ტექნოლოგიური და სხვა სახის განვითარების სტიმულირებაში. თუმცა, ადამიანის სოციალურ-ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, ომებმა დაკარგეს აღნიშნული ფუნქცია და შეიძინეს დესტრუქციული ხასიათი

პოლიტიკური მეცნიერებების მკვლევარმა გრეჰემ ელისონმა ისტორიული დისკურსის შედეგად აჩვენა, რომ არსებულ ჰეგემონურ ძალასა და მომავალ ძალებს შორის დამაბულობა ისტორიულ კონტექსტში ძირითადად ომით მთავრდებოდა, 16 შემთხვევიდან 12 დასრულდა აღმავალსა და უკვე არსებულ ჰეგემონურ ძალას შორის პირდაპირი დაპირისპირებით.³⁴

პერიოდი	მმართველი ძალა	აღმავლობის ძალა	შედეგი
16 საუკუნის პირველი ნახევარი	საფრანგეთი	ჰაბსბურგები	ომი
16-17 საუკუნეები	ჰაბსბურგები	ოსმალეთის იმპერია	ომი
17 საუკუნე	ჰაბსბურგები	შვედეთი	ომი
17 საუკუნე	ნიდერლანდების რესპუბლიკა	ინგლისი	ომი
7-18 საუკუნეების გვიანი პერიოდი	საფრანგეთი	დიდი ბრიტანეთი	ომი
8-19 საუკუნეების გვიანი პერიოდი	გაერთიანებული სამეფო	საფრანგეთი	ომი
9 საუკუნის შუა პერიოდი	საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო	რუსეთი	ომი
19 საუკუნე	საფრანგეთი	გერმანია	ომი
9-20 საუკუნეების გვიანი პერიოდი	რუსეთი, ჩინეთი	იაპონია	ომი
20 საუკუნის დასაწყისი	გაერთიანებული სამეფო	მერიკის შეერთებული შტატები	არა ომი
20 საუკუნის დასაწყისი	რუსეთი, გაერთიანებული სამეფო,	გერმანია	ომი

³⁴ Graham Allison, The Thucydides Trap: Are the U.S. and China Headed for War?, <https://www.theatlantic.com/international/archive/2015/09/united-states-china-war-thucydides-trap/406756/>

	საფრანგეთი		
20 საუკუნის შუა პერიოდი	საბჭოთა კავშირი, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი	გერმანია	ომი
20 საუკუნის შუა პერიოდი	ამერიკის შეერთებული შტატები	იაპონია	ომი
1970-1980-იანი წლები	საბჭოთა კავშირი	იაპონია	არა ომი
1940-1980-იანი წლები	ამერიკის შეერთებული შტატები	საბჭოთა კავშირი	არა ომი
1990-იანი წლები - დღემდე	გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი	გერმანია	არა ომი

35

მონაცემებისთვის მცირედი თვალის გადავლებაც კი კმარა, რათა შევნიშნოთ - მასობრივი განადგურების იარაღი გამოჩენის შემდეგ დიდი გეოპოლიტიკური დაპირისპირებები ომში არ გადაზრდილა. რესურსების დატაცების ან მტრის განადგურების პირდაპირმა ტაქტიკამ შეფარვითი ხასიათი მიიღო, რადგან ბირთვული დაპირისპირება, გაფართოების ტაქტიკის გადახედვას აიძულებს, როგორც არსებულ, აგრეთვე მომავალ ჰეგემონს. სამაგიეროდ აქტიურად იყენებენ პროქსი ომებს, სადაც დიდი ძალა შედარებით მცირე ძალის მქონე ქვეყანასთან ომობს, რომელის უკანაც სხვა დიდი ძალაა. თანამედროვე კონფლიქტების არსებული ფორმით ტრანსფორმირდა და პატარა ქვეყნებს მეტი დაფიქრება მართებს არ გაიჭყლიტონ დიდი ძალების დაპირისპირებაში.

საინტერესოა კოლექტიური განწყობის ევოლუცია თანამედროვე კონტექსტში, სადაც ინდივიდები მუდმივად განიცდიან ზეწოლას, გაწირონ საკუთარი ინტერესები კოლექტიური მიზნებისთვის. განწყობის ფენომენი, რომელიც წინამდებარე კვლევაშია განხილული, კვლავ აქტუალურია და აშკარად ვლინდება თანამედროვე გეოპოლიტიკურ პროცესებში. დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობები კვლავ მიისწრაფვის იმ დინამიკისკენ, რომელიც კაცობრიობის მომავალს გაურკვევლობას უქმნის. მიუხედავად რუსეთის მთავრობის ბირთვული ესკალაციის რიტორიკისა, რუსულ საზოგადოებაში ხელისუფლების რეიტინგი კვლავ მაღალია. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ კოლექტიური

იდენტობის საფრთხე, ანუ მეტაფიზიკური სიკვდილის პერსპექტივა, აღიქმება უფრო მწვავედ, ვიდრე ინდივიდუალური სიკვდილის რისკი. ამ კონტექსტში, საინტერესოა, რა ტრანსფორმაციას განიცდის ომის ფენომენი და მისი ინსტრუმენტალიზაცია?

კოლექტიური განწყობისა და ინდივიდუალური იდენტობის კავშირი, რომელიც ფორმირდება კულტურის, რწმენითი სისტემების, ეროვნული თვითშეგნებისა და სხვა ფაქტორების გავლენით, ფუნდამენტურია ადამიანის არსებობისთვის. ამ კონტექსტში, მუდმივად აქტუალურია ის ღირებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის არსს და ანიჭებენ მას ცხოვრების საზრისს. ეს ღირებულებები წარმოადგენს უპირველეს დასაცავ ობიექტს, რისთვისაც შესაძლებელია ინდივიდმა საკუთარი სიცოცხლეც კი გაწიროს. ომების მომავალი, როგორც ჩანს, მჭიდროდ უკავშირდება რესურსების აკვიზიციის პოლიტიკას. აღნიშნული განწყობების გაღრმავება და გაძლიერება კაცობრიობას მიიყვანს „თუკიდიდეს მახემდე“, რაც არა მხოლოდ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს დააზიანებს, არამედ ეჭვქვეშ დააყენებს ადამიანური ცივილიზაციის არსებობას დღევანდელი ფორმით. აქტუალურია საკითხი, გააჩნია თუ არა რესურსების აკვიზიციის გლობალურ პოლიტიკას რაიმე ალტერნატივა.

დიმიტრი უზნაძე აღნიშნავს, რომ განწყობები მოხსნად-აღდგენადია. რეალობასთან შემეცნებითი დამოკიდებულება ცვლის საგნის მიმართ განწყობებსა და შემეცნებელს აახლოებს შესამეცნებელ საგანთან. გაფართოებისა და რესურსების დატაცების სტრატეგია, მიუხედავად მისი ხანგრძლივი ბატონობისა, მოიხსნება, თუკი კაცობრიობის წინაშე მისი შეცვლის აქტუალობა სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდება. ამასთან, უფრო ეფექტური მექანიზმიც იქნება შემუშავებული, რომელიც ანგარიშს გაუწევს რეალობას. საკუთარი პარადიგმის გაფართოება, როდესაც გასაფართოებელი არეალი აღარ არის, აუცილებლად ფატალურ შედეგამდე მიგვიყვანს და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი მხოლოდ სიმპტომია იმ დიდი დაპირისპირებებისა, რომელიც თანამედროვე სამყაროს წინ ელოდება. თანამედროვე მსოფლიო მილიტარიზმის გზას დაადგა, ყოველი მხრიდან ისმის თავდაცვის რიტორიკა, რაც მეტი რესურსის სამხედრო სფეროში აკუმულაციას გულისხმობს. ეს უკანასკნელი კი კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ერებს შორის დიალოგსა და საერთო გამოსავლის ძიების პროცესს. ე.წ. პროქსი ომები, რაც აქამდე აპრობირებული მეთოდი იყო დიდ ძალებს შორის დაპირისპირების, გაცილებით სახიფათო ხდება, რადგან განვითარებული საინფორმაციო საშუალებებისა და სარაკეტო სისტემების ფონზე პროქსი

ომის დიდი ძალების ურთიერთდაპირისპირებაში გადაზრდის ალბათობა კიდევ უფრო იზრდება.

ენერგია (მატერიალური და არამატერიალური რესურსები) და მის მიმართ მიდრეკილება კვლავაც ფუნდამენტურ ფაქტორად რჩება, თუმცა მისი განაწილების საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონიუნქტურაში. ამ საკითხის მიმართ ადეკვატური მიდგომის შემთხვევაში, შესაძლებელია იმ საფრთხეების პრევენცია, რომელთა წინაშეც დგას თანამედროვე საზოგადოება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არტი, რ., ჯერვისი, რ. საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
2. დარვინი, ჩ. სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით. თბილისი: დიოგენე, 2022.
3. ლე ბონი, გ. ერების ფსიქოლოგია. თბილისი: აქტი, 2021.
4. ნადირაშვილი, შ. განწყობის ანთროპული თეორია. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
5. პლატონი. სახელმწიფო. თბილისი: Carpe Diem, 2020.
6. უზნაძე, დ. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი: საქართველოს მაცნე, 1966.
7. უზნაძე, დ. შრომები ტომი IX, ომის ფილოსოფია, 1986.
8. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 7. თბილისი, 1984.
9. Allison, G. "The Thucydides Trap: Are the U.S. and China Headed for War?" *The Atlantic*, September 24, 2015. <https://www.theatlantic.com/international/archive/2015/09/united-states-china-war-thucydides-trap/406756/>.

ხისტი ძალის გამოვლენის პრეცედენტები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში

დავით ჯოჭუა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამართლისა და საერთაშორისო

ურთიერთობების დოქტორანტი

Davittchotchua@gmail.com

ORCID iD: [https://orcid.org/ 0009-0001-4481-8643](https://orcid.org/0009-0001-4481-8643)

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.04>

აბსტრაქტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკურ სივრცეში, ახალი სუვერენული სახელმწიფოების წარმოშობას თან სდევდა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გაღვივებაც. კავკასია, ამ სივრცეში, კულტურულად და ეთნო-კონფესიონალური თვალსაზრისით, ყველაზე მრავალფეროვან რეგიონს წარმოადგენს, სადაც სამი ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტი წარმოიშვა: ყარაბაღის -სომხურ-აზერბაიჯანული, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური. კავკასია გლობალური და რეგიონული მოთამაშეების დაინტერესების ადგილია და ეს კონფლიქტები დიდი გეოპოლიტიკური თამაშის ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო კონფლიქტის მონაწილე მხარეები ამ მოთამაშეების - პაიკებად. დიდ ძალებს შორის არსებული კონკურენცია კავკასიის ქვეყნების მმართველი ელიტების მანევრირებასაც განაპირობებს. გლობალურ პოლიტიკურ არენაზე აქტორები ახორციელებენ სტრატეგიულ მანევრებს, რომელთა მიზანია საკუთარი ინტერესების რეალიზაცია. საუკუნეების მანძილზე, საქართველო, თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, რუსეთის და სხვა დიდი სახელმწიფოების ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა და წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, აუცილებელია ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი და 2008 წლის კონფლიქტის განხილვა, როგორც საქართველოსთან მიმართებით ხისტი ძალის გამოყენების პრეცედენტული შემთხვევისა.

საკვანძო სიტყვები: კავკასია, გეოპოლიტიკა, ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები, ხისტი ძალა, ძალთა ბალანსი.

David Chochua

PhD Candidate in Law and International Relations,

Georgian Technical University

Davittchotchua@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0001-4481-8643>

Abstract

After the collapse of the Soviet Union, the emergence of new independent states in the post-Soviet space was accompanied by the intensification of ethno-political conflicts. In this space, the Caucasus is the most diverse region in terms of culture and ethno-confession. Three ethno-political conflicts have arisen here - the Armenian-Azerbaijani, Georgian-Abkhazian, and Georgian-Ossetian conflicts. The Caucasus is a place of interest for global and regional players, and these conflicts can be considered as a part of a large geopolitical game, and the parties to the conflict are pawns of these players. The competition between the great powers also determines the maneuvering of the ruling elites of the Caucasian countries. They set the elites of these countries against each other in the global game in order to pursue their interests. For centuries, Georgia, due to its geostrategic location, has been and continues to be an object of interest for Russia and other major powers. Therefore, it is important to analyze ethno-political conflicts and the 2008 war as a precedent for the manifestation of hard power concerning Georgia.

Key words: Caucasus, Geopolitics, Ethno-politics, Conflict, Hard Power, Balance of Power.

საქართველოს საბჭოური სისტემის 30 წლიანი დემონტაჟისა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზა წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოჩნდა. პოსტსაბჭოთა სივრცის ტრანსფორმაციის ზღურბლზე, რამდენიმე ქვეყნის მსგავსად, საქართველოც ვერ გადაურჩა იმპერიის მიერ ჩადებულ ნაღმებს. უპირველეს ყოვლისა, თავს მოხვეულ, ე.წ. ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტებს, რომელთა ტრაგიკულად მძიმე შედეგები დღესაც აისახება ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე.³⁶ საქართველო მრავალჯერ გახდა „ხისტი ძალის“ ობიექტი.

საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საბჭოთა იმპერიის სამართალმემკვიდრე - რუსეთის ფედერაციამ საქართველოს

³⁶ ხონელიძე, ზ., „მშვიდობის ქართული პარადიგმა“, თბილისი, 2021 წ.

ტერიტორიაზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე განაგრძო შეიარაღებული კონფლიქტების ინსპირირება. რუსეთის ფედერაცია სისტემურად აწვდიდა შეიარაღებას სეპარატისტულ მოძრაობებს და მათ აქტიურად უწევდა სამხედრო, ფინანსურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას. აღნიშნული მხარდაჭერა კრემლის სტრატეგიულ ინტერესებში შედიოდა: მას სურდა შეენარჩუნებინა გავლენა პოსტსაბჭოთა რეგიონებში და კონფლიქტების მეშვეობით შეექმნა ზეწოლისა და კონტროლის მექანიზმები.

რუსეთს თავისი ინტერესები გააჩნია კავკასიაში. მის მიზანს წარმოადგენს გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და სამხედრო გავლენის შენარჩუნება და განმტკიცება. რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს მისწრაფებები კი ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა ყოველთვის იყო და რჩება დიდ პრობლემად.³⁷

საქართველოს ისტორიაში 1990-იანი წლები აღინიშნება დამოუკიდებლობის აღდგენითა და ახალი სახელმწიფოს მშენებლობის დასაწყისით, რაც მეტად რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი იყო. აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, მაგრამ რუსეთს, საქართველოსთან მიმართებაში, საკუთარი გეგმები ჰქონდა. ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს და მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობები მუდმივად მანიპულირების საგანი გახდა.

ხისტი ძალის (Hard Power) ცნება გულისხმობს პოლიტიკური მიზნების მიღწევას ძალის გამოყენებით, სამხედრო ან ეკონომიკური ზეწოლის გზით. აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტი (1992-1993) — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მცდელობამ გასულიყო საქართველოს შემადგენლობიდან, სისხლისმღვრელი ომი გამოიწვია, რომელიც დასრულდა რუსეთის სამხედრო ჩარევითა და აფხაზეთის დე ფაქტო დამოუკიდებლობით.

საბჭოთა ხელისუფლება აქტიურად ებრძოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. 1989-1990 წლებში, საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესები ცხადყოფდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა გარდაუვალი იყო. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებამ გამოიწვია საბჭოთა

³⁷ ოხანაშვილი ნ, „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა).“ სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ.2018. 49-50.

ხელისუფლების საპასუხო რეაქცია, რაც გამოიხატა საპროტესტო აქციების დარბევაში, მოძრაობის ლიდერების დევნასა და ეთნიკური და სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებაში, რამაც ხელი შეუწყო ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის შიდა კონფლიქტების წარმოშობას. 1988 წლის 13 დეკემბერს, აფხაზეთში ჩამოყალიბდა სახალხო ფორუმი - „აიდგილარა“. „ორგანიზაციის უმთავრეს მიზანს, რეგიონში კრემლის პოლიტიკის მხარდაჭერა და საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოსვლა წარმოადგენდა“. „აიდგილარა“ აფხაზეთის სუვერენიზაციას მოითხოვდა. რუსეთი ძალის პოლიტიკისა და კლასიკური რეალიზმის პრინციპებით მოქმედებდა, საკუთარ ტერიტორიაზე სეპარატისტულ ტენდენციებს ახშობდა, ამავდროულად, მის ფარგლებს გარეთ მსგავს მოძრაობებს ხელს უწყობდა. სეპარატისტების დახმარებით, რუსეთი ცდილობდა - საქართველოზე გავლენა შეენარჩუნებინა. მისი ინტერესი იყო არ დაეკარგა თავისი გავლენა საქართველოსა და მთელ კავკასიაზე. რუსეთის ეროვნულ ინტერესებში შედის ზესახელმწიფოდ დარჩენა და ამას ვერ შეძლებს თუ მისი ავტორიტეტი მხოლოდ საკუთარ საზღვრებში გავრცელდება.³⁸

რაც შეეხება ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, რუსეთის ხელისუფლება იგივე მეთოდებით იქცეოდა, როგორც აფხაზეთის შემთხვევაში. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი იყო ხელოვნური წარმონაქმნი და შეუსაბამო ტერმინი ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიისთვის, სადაც ოსები ცხოვრობდნენ. დაპირისპირება ქართველებსა და ოსებს შორის პირველად მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, ბოლშევიკური რუსეთის ხელშეწყობითა და წაქეზებით. ეს რუსეთის პირველი მცდელობა იყო ოსების საქართველოს წინააღმდეგ გამოეყენებისა.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტები წარმოადგენენ მკაფიო მაგალითს ხისტი ძალის (Hard Power) გამოყენებისა პოსტსაბჭოთა სივრცეში, რაც უშუალოდ უკავშირდება რეგიონულ უსაფრთხოებასა და ძალაუფლების ბალანსს. ეს კონფლიქტები საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის თეორიის თვალსაზრისით, ნათლად გამოხატავენ სახელმწიფოთა ძალისხმევას ეროვნული ინტერესების დაცვისა და

³⁸ ოხანაშვილი ნ, „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა).“ სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ.2018. 54

ძალაუფლების შენარჩუნებისთვის. რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოები მოქმედებენ ანარქიულ სისტემაში, სადაც გადამწყვეტია ძალა, უსაფრთხოება და გადარჩენა.³⁹

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი (1992-1993) და ქართულ-ოსური კონფლიქტი (1991-1992; 2008) წარმოიშვა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც ეთნიკური დამაბულობები და ტერიტორიული სუვერენიტეტის საკითხები გახდა მწვავე პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირების მიზეზი. 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის იყო ხისტი ძალის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება, რაც დასრულდა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცალმხრივი აღიარებით.

აფხაზური და ოსური კონფლიქტები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ჭრილში, რომ განვიხილოთ, ხისტი ძალის (Hard Power) გამოყენების პრეცედენტი უფრო მკაფიო გახდება.

რეალიზმის, ლიბერალიზმისა და კონსტრუქტივიზმის თეორიული პერსპექტივებიდან განხილული ეს კონფლიქტები შემდეგ ასპექტებს წარმოაჩენს:

რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებს ძალაუფლებისა და უსაფრთხოების ჭრილში განიხილავს, სადაც სახელმწიფოები მოქმედებენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და უპირატესობას ეროვნულ უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს ანიჭებენ.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები რეალიზმის პერსპექტივიდან.

ძალთა ბალანსის (Balance of Power) შენარჩუნებიდან გამომდინარე, რუსეთი მოქმედებდა, როგორც რეგიონული ჰეგემონი, რათა შეენარჩუნებინა კონტროლი პოსტსაბჭოთა სივრცეზე. საქართველოს დასავლური ორიენტაცია და ნატოსკენ სწრაფვა რუსეთისთვის სერიოზულ გამოწვევად იქცა, რის საპასუხოდაც მან სამხედრო ძალა გამოიყენა.

უსაფრთხოების დილემის (Security Dilemma) შესაბამისად, საქართველოს მცდელობა, გაემდიერებინა საკუთარი უსაფრთხოება დასავლეთის დახმარებით, რუსეთმა მუქარად აღიქვა, რამაც სამხედრო ინტერვენცია გამოიწვია.

ლიბერალიზმი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო ინსტიტუტებზე, ეკონომიკურ თანამშრომლობაზე და დემოკრატიულ ღირებულებებზე.

³⁹ Morgenthau, H. J. *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*. New York: Alfred A. Knopf. (1948). 78

ლიბერალიზმის ხედვით, ეს კონფლიქტები ცხადყოფს, რომ საერთაშორისო მექანიზმები ვერ უზრუნველყოფენ მშვიდობის შენარჩუნებას, თუ დიდი სახელმწიფოთა ინტერესები იკვეთება.

კონფლიქტების ხედვა ლიბერალიზმის პერსპექტივიდან:

- მიუხედავად გაეროს და ეუთოს ჩართულობისა, მათ ვერ შეძლეს ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა;
- საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური კავშირები შეზღუდული იყო, რაც თანამშრომლობის შესაძლებლობას ამცირებდა;
- დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთთან არ ომობენ, თუმცა ავტორიტარული რუსეთი დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდა.

კონსტრუქტივიზმი ყურადღებას ამახვილებს იდეებზე, იდენტობებსა და ნარატივებზე, რაც განსაზღვრავს სახელმწიფოების ქცევას.

ამ კონფლიქტებს კონსტრუქტივისტული თვალსაზრისიდან გამომდინარე შემდეგნაირად ვხედავთ:

- აფხაზებსა და ოსებს ჩამოუყალიბდათ განსხვავებული ეროვნული იდენტობა, რაც მათი საქართველოში ყოფნის გაუცხოებას იწვევდა;
- ისტორიული უთანხმოება და ტრადიციული დაპირისპირება ორივე მხარის კონფლიქტისკენ მიდრეკილებას აძლიერებდა;
- რუსეთმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში "სამშვიდობო მისიის" ნარატივი გააჟღერა, თუმცა რეალურად ეს სამხედრო ყოფნის ლეგიტიმაციის მცდელობა იყო.

რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორიაა, რომელიც ამტკიცებს, რომ სახელმწიფოები მოქმედებენ ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში და მიისწრაფვიან ძალაუფლების მაქსიმალიზაციისა და საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ.⁴⁰ რეალიზმის ძირითადი პრინციპებია:

- სახელმწიფო, როგორც მთავარი აქტორი – საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოები მოქმედებენ საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

⁴⁰ Waltz, K. N. Theory of International Politics. Reading, MA: Addison-Wesley.(1979).101-102

- ძალთა ბალანსი (Balance of Power) – ძალაუფლების გადანაწილება საერთაშორისო სისტემაში განსაზღვრავს მშვიდობას ან კონფლიქტს.

უსაფრთხოების დილემა (Security Dilemma) გულისხმობს – სახელმწიფოს მცდელობა, გააძლიეროს საკუთარი უსაფრთხოება, ხშირად იწვევს სხვა სახელმწიფოების რეაქციას და ზრდის კონფლიქტის ალბათობას.⁴¹

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები რეალიზმის თეორიის პრიზმაში შეიძლება შემდეგნაირად შევაფასოთ:

- რეგიონული ჰეგემონიის შენარჩუნების მცდელობა: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთმა დაკარგა გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში, განსაკუთრებით ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში; აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთისთვის იქცა სტრატეგიულ ინსტრუმენტებად, რათა ხელი შეეშალა საქართველოს ნატოში გაწევრიანებისა და დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობისთვის.
- სამხედრო ძალის დემონსტრაცია და პრევენციული ომი: 2008 წლის აგვისტოს ომი პრევენციული ომის მაგალითია. რეალიზმის მიხედვით, პრევენციული ომი ლეგიტიმურია, როდესაც სახელმწიფო ხედავს პოტენციურ საფრთხეს (საქართველოს ნატოში ინტეგრაცია) და ცდილობს დროულად უპასუხოს. რუსეთის სამხედრო ინტერვენციით სამხრეთ კავკასიაში სამხედრო დომინირება კვლავ აღდგა.
- ძალის ბალანსის აღდგენა: რუსეთის მიზანი იყო ძალის რეგიონული ბალანსის შეცვლა და დასავლური გავლენის აღკვეთა; საქართველოს დასუსტებით და სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერით, რუსეთმა მოახერხა ბუფერული ზონების შექმნა და საქართველოში დასავლური სამხედრო ბაზების შესაძლო განთავსების შეზღუდვა.

რუსეთის ქმედებები რეალიზმის ჭრილში აიხსნება, როგორც რეგიონული ჰეგემონიის შენარჩუნების მცდელობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მან დაკარგა კონტროლი პოსტსაბჭოთა სივრცეზე, განსაკუთრებით ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებზე. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთისთვის იქცა სტრატეგიულ ბუფერულ ზონებად, რაც აუცილებელი იყო მისი

⁴¹ Jervis, R. Cooperation Under the Security Dilemma. World Politics, (1978). 30(2), 167-214.

რეგიონული გავლენის შესანარჩუნებლად⁴². რუსეთისთვის საქართველოს დასავლური ორიენტაცია და ნატოში გაწევრიანების მცდელობები პირდაპირ საფრთხედ იქნა აღქმული.

2008 წლის აგვისტოს ომი შეგვიძლია განვიხილოთ პრევენციული ომის კონტექსტში, რაც რეალიზმის თეორიაში ლეგიტიმურად მიიჩნევა, როდესაც სახელმწიფო ცდილობს წინასწარ აღკვეთოს საფრთხე.⁴³ რუსეთის ინტერვენციამ და სამხრეთ კავკასიაში სამხედრო ყოფნის განმტკიცებამ რეგიონული ძალთა ბალანსი კვლავ შეცვალა მის სასარგებლოდ.

2008 წლის ომით გაგრძელდა ის პროცესები, რომელიც 1992 წელს დაიწყო. რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა გაფრთხილებებს, რომ დასავლეთთან სწრაფვა საქართველოს სავალალო შედეგებს მოუტანდა. რუსეთმა ბუქარესტის სამიტს სეპარატისტულ რეგიონებთან კავშირების გაძლიერებით უპასუხა და დაიწყო „მცოცავი ანექსიის“ სტრატეგიის შემუშავება. უკანონოდ შეჰყავდა ჯარი, შეჰქონდა შეიარაღება, რაც იმის წინაპირობას იძლეოდა, რომ რუსეთი თავდასხმისთვის ემზადებოდა.⁴⁴

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში სამხედრო ძალის გამოყენების სამართლებრივი რეგულირება ხდება გაეროს წესდებითა და მის ბაზაზე ჩამოყალიბებული ჩვეულებითი სამართლით. რუსეთის ფედერაციას ძალის გამოყენების უფლებამოსილება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ არ ჰქონდა მინიჭებული და აღნიშნული ქმედება არ ითვლება კანონიერი თავდაცვის უფლების გამოყენებად. ამდენად, რუსეთმა განახორციელა შეიარაღებული თავდასხმა საქართველოზე და მისი ოკუპაცია ყოველგვარი საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლის უგულებელყოფით, გამოვლენილი ხისტი ძალის ფორმით. საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებას რუსეთმა ე.წ. უცხო ქვეყანაში „საკუთარ მოქალაქეთა“ დაცვის უფლებით „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ უწოდა, მაგრამ სინამდვილეში, საერთაშორისო სამართლის თანახმად, რეალურად ეს იყო ტიპური აგრესიული ქმედება.

დასკვნა

⁴² Allison, R. Russia resurgent? Moscow's campaign to 'coerce Georgia to peace'. International Affairs,(2008) 84(6), 1145-1171.

⁴³ Mearsheimer, J. J. The Tragedy of Great Power Politics. New York: W.W. Norton & Company.(2001).65

⁴⁴ ასმუხი რ., მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა. (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა)(2011). 15

თავდასხმითი რეალიზმის მიხედვით სახელმწიფოების მთავარი მოტივაცია არის ძლიერების მაქსიმალურად გაზრდა, რომელიც თავდასხმითი რეალიზმის კონტექსტში გულისხმობს, პირველ რიგში, სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერებას. სახელმწიფოები სამხედრო ძალის გაზრდაზე ზრუნავენ იმიტომ, რომ თავი იგრძნონ მეტად უსაფრთხოდ, თუმცა მერზაიმერი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოები ამას აკეთებენ არა იმის გამო, რომ ამისი შინაგანი მოთხოვნილება აქვთ, არამედ იმის გამო, რომ ის გარემო, რა გარემოშიც ეს სახელმწიფოები არიან, საერთაშორისო სისტემა სხვა საშუალებას არ უტოვებს.⁴⁵ რუსეთს დიდი ინტერესი გააჩნია კავკასიაში. შესაბამისად, მას სურს კონტროლის მოპოვება ენერგორესურსებსა და სატრანზიტო გზებზე. რუსეთს სურს საქართველოზე კონტროლის მოპოვება, რის შედეგადაც შეძლებს ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების წრეში მოქცევას და თურქეთისა და აშშ-ს გავლენის შემცირებას რეგიონში.⁴⁶

მერზაიმერი მიიჩნევს, რომ თავდასხმა ხშირად წარმატებული და მომგებიანია. ყველა სახელმწიფო, ყოველ შემთხვევაში, ყველა დიდი ძალა, ცდილობს ძალაუფლების მაქსიმალურად გაზრდას (მაგალითად, სამხედრო ძალა), რადგან ძალაუფლების გაზრდა ზრდის გადარჩენის შანსს ანარქიულ სისტემაში. იმისათვის რომ სახელმწიფო გადარჩეს ანარქიულ გარემოში უნდა მოიპოვოს ძალაუფლება საკუთარი ხარჯით.⁴⁷

საქართველოსთვის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ძირითადად დასავლეთთან და ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებას ეფუძნებოდა. ეს ნაბიჯები, რუსეთის მხრიდან აღქმული იქნა მტრულად, რამაც სამხედრო ესკალაცია გამოიწვია. უსაფრთხოების დილემამ კიდევ უფრო გაამძაფრა დაპირისპირება, რაც საბოლოოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფით დასრულდა.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები მნიშვნელოვან გამოწვევას უქმნის საერთაშორისო ურთიერთობებს. გაეროს წესდების მე-2 მუხლი კრძალავს ძალის გამოყენებას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის წინააღმდეგ, თუმცა რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ჩარევა და რეგიონების დამოუკიდებლობის ცალმხრივი

⁴⁵ ოხანაშვილი ნ, „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა).“ სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ.2018. 70.

⁴⁶ Bishku M., The South Caucasus Republics and Russia's Growing Influence: Balancing On a Tightrope Gloria Center, Global Research in International Affairs,*(2011). 18

⁴⁷ Snyder G. , Mearsheimer's World – Offensive Realizm and the Struggle for security. New York: Norton.(2001)156.

აღიარება ეწინააღმდეგება ამ პრინციპებს. მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების უარყოფითი რეაქციისა, რუსეთის ქმედებები კვლავ განიხილება, როგორც ძალის პოლიტიკის ნაწილი.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები წარმოადგენენ თვალსაჩინო მაგალითებს იმისა, თუ როგორ გამოიყენება ხისტი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში კონკრეტული პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მისაღწევად. ამავე კონტექსტში, აშკარად იჩენს თავს საერთაშორისო სამართლის მექანიზმების შეზღუდულობა და მათი ეფექტიანობის კრიზისი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება სუვერენიტეტის დარღვევასა და ძალისმიერი ჩარევის აღკვეთას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასმუსი, მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა. (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).2011
2. ოხანაშვილი ნ, „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა).“ სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თბ.2018.
3. ხონელიძე.ზ., „მშვიდობის ქართული პარადიგმა“. რედაქტორი:ლადო ჭანტურია. ISBN. თბილისი (2021).
4. Allison, R. Russia resurgent? Moscow's campaign to 'coerce Georgia to peace'. International Affairs,(2008). 84(6), 1145-1171.
5. Bishku M., The South Caucasus Republics and Russia's Growing Influence: Balancing On a Tightrope Gloria Center, Global Research in International Affairs, 2011.
6. Mearshaimer J.,The Tragedy of Great Power Politics. New York and London: W.W. Norton and Company(2001).
7. Morgenthau, H. J. Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace. New York: Alfred A. Knopf.(1948)
8. Ozkan B.,Who Gains from the “No War No Peace” Situation? A Critical Analysis of the Nagorno-Karabakh Conflict. Routledge.(2008).
9. Jervis, R. Cooperation Under the Security Dilemma. World Politics, (1978) 30(2), 167-214.
10. Snyder G.,Mearsheimer's World – Offensive Realizm and the Struggle for security. New York: Norton.(2001).
11. Waltz, K. N. Theory of International Politics. Reading, MA: Addison-Wesley.(1979).

იუგოსლავიის კრიზისი და სერბული ნაციონალიზმი

ეკატერინე ბებია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

ekabebia@yahoo.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0004-3855-0398>

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.05>

აბსტრაქტი

მრავალეროვნული კომუნისტური ფედერაციების დაშლამ და შემდგომმა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, რომლებიც წარმოიშვა დამოუკიდებელ ეროვნულ-სახელმწიფოებად გარდაქმნის შედეგად, დააბრუნა „ეროვნული საკითხი“ (ანუ ეროვნული ან ეთნიკური ჯგუფის ურთიერთობა სახელმწიფოსთან, რომელიც მოიცავს მრავალ ეთნიკურ ჯგუფს მის ფარგლებში) საერთაშორისო პოლიტიკის, სამართლისა და თეორიის შესახებ დებატების სათავეში. იუგოსლავიის ძალადობრივი დაშლა, ცხადყოფს საერთაშორისო საზოგადოების უუნარობას დაეყრდნოს რაიმე მყარ სამართლებრივ პრინციპებს, სახელმძღვანელო პრინციპებს ან დადგენილ მექანიზმებს, რათა თავიდან აიცილოს ასეთი ქაოსი და მასობრივი ტანჯვა.

ყოფილი იუგოსლავია იყო „ეროვნული საკითხის“ სამი ფუნდამენტური ასპექტის განხილვის მცდელობა: (1) ერის უფლება, რომელიც მოქმედებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნაზე ეროვნული თვითგამორკვევის მოთხოვნით; (2) ეროვნული სამშობლოს უფლება (იქნება სუვერენული სახელმწიფო თუ რესპუბლიკა ფედერაციაში), რომელიც მოქმედებს მისი დიასპორის მეშვეობით, ან თვალყური ადევნოს თავისი მოქალაქეების შედარებით მდგომარეობას სხვაგან, ან მოითხოვოს ეროვნული გაერთიანება და საზღვრების გადახაზვა; და (3) ეროვნული უმცირესობების წევრების უფლებები, წინააღმდეგობა გაუწიონ უმრავლესობის მიერ ახალი ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას კულტურული ან პოლიტიკური ავტონომიის ძიების გზით, ან გამოყოფის გზით, რათა გაერთიანდნენ საკუთარ ეროვნულ სამშობლოსთან.

მრავალეროვნულ სახელმწიფოს, როგორცაა იუგოსლავია, არ შეუძლია რომელიმე ეთნიკური ჯგუფის ინტერესების პრიორიტეტულად განხილვა, რადგან ეს გამოიწვევს სახელმწიფოს დეზინტეგრაციას. იუგოსლავია წარმოადგენდა არა მხოლოდ ეთნიკური მრავალფეროვნების, არამედ ამ მრავალფეროვნების დაბალანსებული თანაარსებობის სისტემას. ნებისმიერი დისბალანსი ამ სისტემაში გამოიწვევდა ფედერაციის ნგრევას.

საკვანძო სიტყვები: კოსოვო, კომუნისტური ფედერაცია, იუგოსლავია, კრიზისი, ნაციონალიზმი.

The Yugoslav Crisis and Serbian Nationalism

Ekaterine Bebia

PhD student, Faculty of Law and International Relations,
Georgian Technical University
ekabebia@yahoo.com

Abstract

The collapse of multinational communist federations and the subsequent armed conflicts that arose as a result of their transformation into independent nation-states brought the "national question", for instance, the relationship of a national or ethnic group to a state that includes multiple ethnic groups within it back to the forefront of debates about international politics, law, and theory. The violent disintegration of Yugoslavia demonstrates the international community's inability to rely on any solid legal principles, guidelines, or established mechanisms to prevent such chaos and mass suffering. The former Yugoslavia was an attempt to address three fundamental aspects of the "national question": (1) the right of a nation, acting to establish its state by demanding national self-determination; (2) the right of a national homeland (whether a sovereign state or a republic in a federation), acting through its diaspora, either to monitor the relative situation of its citizens elsewhere or to demand national unification and the redrawing of borders; and (3) the rights of members of national minorities to resist the establishment of a new nation-state by the majority, either by seeking cultural or political autonomy or by secession to unite with their national homeland. A multinational state like Yugoslavia cannot prioritize the interests of any one ethnic group, as this would lead to the disintegration of the state. Yugoslavia was a system not only of ethnic diversity but also of balanced coexistence of this diversity. Any imbalance in this system would lead to the collapse of the federation.

Keywords: Kosovo, Communist Federation, Yugoslavia, crisis, nationalism.

მრავალეროვნული კომუნისტური ფედერაციების დაშლამ და შემდგომმა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, რომლებიც წარმოიშვა დამოუკიდებელ ეროვნულ-სახელმწიფოებად გარდაქმნის შედეგად, დააბრუნა „ეროვნული საკითხი“ (ანუ ეროვნული ან ეთნიკური ჯგუფის ურთიერთობა სახელმწიფოსთან, რომელიც მოიცავს მრავალ ეთნიკურ ჯგუფს მის ფარგლებში.) საერთაშორისო პოლიტიკის, სამართლისა და თეორიის შესახებ დებატების სათავეში. იუგოსლავიის ძალადობრივი დაშლა, კერძოდ, ცხადყოფს საერთაშორისო საზოგადოების უუნარობას დაეყრდნოს რაიმე მყარ სამართლებრივ

პრინციპებს, სახელმძღვანელო პრინციპებს ან დადგენილ მექანიზმებს, რათა თავიდან აიცილოს ასეთი ქაოსი და მასობრივი ტანჯვა.⁴⁸

შეერთებული შტატები ცდილობდა მსოფლიო წესრიგში ჩინეთი და რუსეთი უმცროს პარტნიორებად ჩაერთო. ამ მცდელობების აშკარა წარუმატებლობისა და არსებული წესრიგის რღვევის შემდეგ, როგორც ჩანს, შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა სრული შეკავების პოლიტიკას დაბრუნებოდა. როგორც დიმიტრი სუსლოვმა 2018 წლის სტატიამ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში აშშ-რუსეთის ურთიერთობების შესახებ აღნიშნა, ვაშინგტონმა გააძლიერა შეკავების პოლიტიკა როგორც ჩინეთის, ისე რუსეთის მიმართ პოლიტიკურ, უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ სფეროებში. ამ პოლიტიკის ფარგლებში, აშშ წარმოაჩენს ჩინეთისა და რუსეთის როლს მსოფლიოში, როგორც ღრმად ნეგატიურსა და მტაცებლურს, და სხვა ქვეყნებს მხარის არჩევისკენ უბიძგებს. ისინი ან შეერთებულ შტატებთან უნდა იყვნენ, როგორც ლიბერალური წესრიგის ნაწილი, ან მის წინააღმდეგ - მოსკოვთან და პეკინთან ერთად. ამის ნათელი მაგალითია რექს ტილერსონის გამოსვლები ლათინური ამერიკისა და აფრიკის შესახებ 2018 წლის თებერვალში ტეხასის უნივერსიტეტში (ოსტინი) და 2018 წლის მარტში ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში. ის აფრთხილებს რეგიონის ქვეყნებს, არ გააღრმავონ ურთიერთობები რუსეთთან და ჩინეთთან. და ბოლოს, შეერთებულმა შტატებმა შეიმუშავა გლობალური პოლარიზაციისა და დაყოფის ახალი იდეოლოგია. ეროვნული უსაფრთხოების უახლეს სტრატეგიასა და სხვა გავლენიან დოკუმენტებში, რუსეთი და ჩინეთი წარმოდგენილნი არიან, როგორც რევიზიონისტული ძალების ავტორიტარული ბლოკი, რომელიც მიზნად ისახავს არსებული საერთაშორისო წესრიგისა და თავისუფალი სამყაროს შერყევას.

წარსულის ბიპოლარობის აღდგენის მცდელობები (რომ აღარაფერი ვთქვათ ახალი გლობალური ცივი ომის მოგებაზე რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგ), რაც შედარებით მომგებიანია შეერთებული შტატებისა და უფრო ფართოდ, დასავლეთისთვის, რეალურად

⁸⁸ Thomas F. Lynch III, James Przystup, and Phillip C. Saunders, *The Indo-Pacific Competitive Space: China's Vision and the Post-World War II American Order*, National Defense University Press, 2020

⁸⁹ Nathan Michael Grant, *China Geostategic Relations: The Belt and Road Initiative, Asian Region Instability and Australia*, 2021

განწირულია წარუმატებლობისთვის. ამის მიზეზი არის ის, რომ თანამედროვე სამყარო ბევრად უფრო რთულია და ნაკლებად არის დამოკიდებული დიდი სახელმწიფოების ნებაზე, ვიდრე მეოცე საუკუნის სამყარო.

ამერიკის მოკავშირეებისა და პარტნიორების აბსოლუტური უმრავლესობა (აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში) არ არის მზად მხოლოდ ერთი მხარის არჩევისთვის - შეერთებული შტატების ან ჩინეთ-რუსეთის ბლოკის. ისინი უპირატესობას ანიჭებენ თავიანთი საგარეო ეკონომიკური და უსაფრთხოების ურთიერთობების დივერსიფიკაციას.⁹⁰

რაც უფრო ძლიერი იქნება ამერიკის ზეწოლა ქვეყნებზე, გააკეთონ არჩევანი, მით უფრო სუსტი იქნება ვაშინგტონის გავლენა და სანდოობა. ინდოეთი ინდო-წყნარი ოკეანის პროცესისა და ოთხმხრივი უსაფრთხოების დიალოგის -QUAD-ის ნებაყოფლობითი მონაწილეა, რაც გამოწვეულია ჩინეთის ეკონომიკური და სამხედრო უპირატესობის გამო მზარდი შეშფოთებით. ნიუ დელი ამას აღიქვამს, როგორც ჩინეთის ჰეგემონიისკენ მიმართულ პოლიტიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ინდოეთის ოკეანის რეგიონში. მიუხედავად ამისა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ინდოეთმა უარი თქვას დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე, უარყოს თავისი ევრაზიული ამბიციები, დატოვოს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია და გახდეს ამერიკის კიდევ ერთი მოკავშირე ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში. მაშინაც კი, თუ ახალი ბიპოლარულობა ოდესმე რეალობად იქცევა, ეს ძნელად თუ მოუტანს სარგებელს შეერთებულ შტატებს ან დასავლეთს. პეკინის ზრდის ტემპის, მეცნიერებაში, განათლებასა და ტექნოლოგიაში ინვესტიციების დონისა და ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის შენარჩუნების შესაძლებლობის გათვალისწინებით (რაც უფრო ეფექტურია საერთაშორისო კონკურენციაში, როდესაც შერწყმულია საბაზრო ეკონომიკასთან), ჩინეთი, სავარაუდოდ, 15 წელიწადში მსოფლიოს წამყვანი ძალა გახდება.

„თუკიდოდეს ხაფანგი“, დომინანტ ძალასა და მზარდ ძალას შორის ომის საშიშროება, ბოლო დროს ინტენსიურად განიხილება. აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ზეწოლამ, ასევე შეერთებულ შტატებთან მეტოქეობის გაძლიერებამ აიძულა პეკინი, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით წინ წაწეულიყო. ამას ორმაგი ეფექტი ექნება: ერთი მხრივ, ეს ხელს შეუწყობს განვითარების ახალი კლასტერების

⁹⁰ Robert D. Blackwill and Richard Fontaine, No Limits? The China-Russia Relationship and U.S. Foreign Policy, 2024

წარმოქმნას ცენტრალურ ევრაზიაში და ყოვლისმომცველი ევრაზიული პარტნიორობის ჩამოყალიბებას; მეორე მხრივ, ეს ერთდროულად გააძლიერებს საპირისპირო ტენდენციას, რაც გამოიწვევს შეშფოთებას ჩინეთის მეზობლებს შორის მისი მზარდი ძალაუფლების გამო.

ახალი და დაბალანსებული მსოფლიო წესრიგის მშენებლობის აქტუალური საკითხები

საერთაშორისო წესრიგის ტრანსფორმაცია საჭიროებს რუსეთის სრულფასოვან ჩართულობას გლობალური ძალაუფლების სხვა ცენტრებთან ერთად, რათა შეიქმნას ახალი და დაბალანსებული მსოფლიო წესრიგი.

რუსული სტრატეგიის ქვაკუთხედად უნდა იქცეს ლიდერობა ახალი ფართომასშტაბიანი ომის თავიდან აცილებისთვის, ის უნდა ტრანსფორმირდეს საერთაშორისო უსაფრთხოების წამყვან აქტორად. ამის მიღწევა შესაძლებელია, როგორც სათანადო შესაძლებლობების განვითარებით, ისე შემაკავებელი დოქტრინის შემუშავებითა და მისი აქტიური შეთავაზებით. საერთაშორისო სტრატეგიული სტაბილურობის გაძლიერება უნდა მოხდეს არა ცალმხრივი ქმედებებით, არამედ საერთაშორისო თანამშრომლობის გზით. სტაბილურობის მიღწევა შესაძლებელია არა მხოლოდ შეიარაღების კონტროლის ტრადიციული მექანიზმებით, არამედ ისეთი დიალოგის სისტემის ჩამოყალიბებით, რომელიც უზრუნველყოფს გამჭვირვალობის ზრდას და მინიმუმამდე დაიყვანს შემთხვევითი თუ ესკალირებული კონფლიქტების რისკს. იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატები თავს აარიდებს ამ პროცესში მონაწილეობას, რუსეთმა და ჩინეთმა სხვა სახელმწიფოებთან ერთად უნდა აიღონ ინიციატივა სტრატეგიული სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. მშვიდობის შენარჩუნება მოითხოვს ინოვაციურ მიდგომებს, მათ შორის ერთობლივ ძალისხმევას არა ბირთვული შეკავების დასაძლევად, არამედ მისი, როგორც უახლოეს მომავალში ომის პრევენციის უმთავრესი ინსტრუმენტის, გასაძლიერებლად. ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია, თუმცა ეს პროცესი უნდა ეფუძნებოდეს მომავალზე ორიენტირებულ ფილოსოფიასა და დიალოგის კულტურას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობა არაოფიციალურ ბირთვულ და პოტენციურ ბირთვულ სახელმწიფოებთან მათი უსაფრთხოების გარანტიების გასაძლიერებლად. სწორედ ეს არის

ბირთვული იარაღის შემდგომი გავრცელების შეზღუდვის ან პრევენციის ერთადერთი ეფექტური გზა.

როგორც წესი, საერთაშორისო წესრიგი ომების შემდეგ ყალიბდება, თუმცა დღევანდელ რეალობაში მასშტაბური ომი ისტორიის ნამდვილ დასასრულს მოასწავებს. ამიტომ, რუსეთმა მკაფიოდ უნდა გამოხატოს ვალდებულება, რომ უზრუნველყოს სტაბილურობა საერთაშორისო სისტემაში.⁹¹ რუსეთი გლობალური უსაფრთხოების მთავარ გარანტად გვევლინება, რასაც ადასტურებს მისი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში, ასევე ევროპაში დასავლური ალიანსების გაფართოების პრევენცია, რომელმაც თავიდან აიცილა ომის საფრთხე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს მისი როლი შეერთებული შტატებისა და სხვა დიდი სახელმწიფოების შეკავების მცდელობებში. ამ სტატუსის განმტკიცება აუცილებელია, როგორც პოლიტიკურ, ისე ინტელექტუალურ დონეზე. მომავალი მსოფლიო წესრიგის საფუძვლის ჩამოყალიბება უნდა მოხდეს ურთიერთშეკავებისა და წამყვან ძალებს შორის დიალოგის გზით. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება მსჯელობა ძირითად პრინციპებზე: თანამშრომლობა, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, პოლიტიკური, კულტურული და ღირებულებითი არჩევანის თავისუფლება. კომუნიზმის, ლიბერალიზმისა და სხვა იდეოლოგიების უნივერსალისტური პრეტენზიები წარსულს უნდა ჩაბარდეს. რუსეთმა უნდა აღადგინოს ლეგალისტური ტრადიცია - ერთგულება საერთაშორისო სამართლისადმი, რომელიც უგულვებელყოფილი იყო ლიბერალური მსოფლიო წესრიგის ეპოქის „ჯუნგლების კანონის“ პირობებში. ამისთვის საჭირო წინაპირობები, მათ შორის ძალთა ხელსაყრელი ბალანსი, თანდათან იკვეთება.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, უახლოეს წლებში რუსეთისთვის ყველაზე პერსპექტიული სტრატეგია იქნება აღმოსავლეთისკენ სვლა დიდ ევრაზიაში ყოვლისმომცველი პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად. მოვლენათა პარალელურად ვარაუდობენ, რომ შეერთებული შტატები თავის მეზობლებთან, რამდენიმე ევროპულ და აზიურ სახელმწიფოსთან ერთად, ჩამოაყალიბებს საკუთარ გავლენის ცენტრს.

რუსეთმა და ჩინეთმა კვლავ დაადასტურეს მზადყოფნა, გააერთიანონ ძალისხმევა სხვა ქვეყნებთან ევრაზიაში ყოვლისმომცველი პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად. რუსეთმა მხარდაჭერა გამოუცხადა ჩინეთის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივას,

⁹¹ Francis Fukuyama, *The End of History?*, Center for the National Interest, No. 16, 1989, 3-18

რომელსაც სხვა პროექტებთან ერთად შეუძლია შექმნას მომავალი პარტნიორობის ეკონომიკური საფუძველი.

ჩინეთმა, თავის მხრივ, მხარი დაუჭირა ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს და დაეთანხმა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის გაფართოებას ინდოეთისა და პაკისტანის ჩართვით. ეს ორი ნაბიჯი აუცილებელია ევრაზიული პარტნიორობის პოლიტიკური, ნორმატიული და ინსტიტუციური საფუძვლების ჩამოსაყალიბებლად.

მოსკოვმა, შემდგომ ეტაპზე, როგორც ჩანს, რუსული მენტალიტეტის გამო, დაკარგა ინიციატივა - მიღწეული გარღვევის შემდეგ დადგა შესვენების პერიოდი. ევრაზიული პარტნიორობის იდეის განხორციელება მოითხოვს სისტემურ თანამშრომლობას, უპირველესად, ჩინეთთან, ინდოეთთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ასევე ევრაზიის ეკონომიკური კავშირის, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ASEAN) წევრ ქვეყნებთან.

დიდი ევრაზიული პარტნიორობა ორმაგ მიზანს ემსახურება. პირველი, ის წარმოადგენს კონცეპტუალურ საფუძველს ერთიანი ევრაზიის შესაქმნელად, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს გლობალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალად და მომავალი მსოფლიო წესრიგის ქვაკუთხედად იქცეს. მეორე, ეს არის მექანიზმი ჩინეთის მზარდი გავლენის დასაბალანსებლად საერთაშორისო ინსტიტუტების, კავშირებისა და დიალოგის გზით. პეკინი ჯერ კიდევ მიჰყვება „შუა სამეფოს" ძველ ტრადიციას, რაც გულისხმობს, დამოკიდებული ქვეყნებით გარშემორტყმულ ძლიერ ცენტრს. თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში ეს მიდგომა საფრთხის შემცველია. ის შეიძლება გადაიზარდოს „თუკიდიდეს ხაფანგში" - სიტუაციაში, როდესაც სხვა ქვეყნები იძულებულნი გახდებიან გაერთიანდნენ მზარდი ძალის შესაკავებლად.

ამ ტენდენციის გამოვლინებაა ინდო-წყნარი ოკეანის სტრატეგიის შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს ჩინეთის შეკავებას აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით. თუმცა, არსებობს რეალური შანსი, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის სისტემური ჩამოყალიბების შემდეგ, ჩინეთი ჩაერთვება თანამშრომლობაზე დაფუძნებულ მრავალმხრივ სისტემაში, სადაც პეკინის გავლენა დაბალანსებული იქნება.

მარტივად რომ ვთქვათ, დიდი ევრაზიული პარტნიორობის მთავარი მიზანია ჩინეთთან ერთად თავიდან აიცილოს ცალმხრივი ჰეგემონური ამბიციების განვითარება. ეს მსგავსია იმისა, თუ როგორ მოახერხა ევროკავშირმა „გერმანიის საკითხის" გადაჭრა - გერმანიის დომინანტური ძალისა და ჰეგემონური მისწრაფებების დაბალანსება,

რომელმაც მეოცე საუკუნეში ორი მსოფლიო ომი გამოიწვია. დღეს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებშია „ჩინეთის საკითხის“ დროული მოგვარება, სანამ მისი ძალაუფლების ცალმხრივმა გამოყენებამ საპირისპირო რეაქცია არ გამოიწვია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, წყნარი ოკეანის რეგიონში, ბიპოლარიზაციის თავიდან აცილება. ერთ მხარეს იკვეთება ინდო-წყნარი ოკეანის ბლოკი - შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, რომელშიც შედიან ოთხმხრივი ალიანსის წევრები და ამერიკის სხვა მოკავშირეები. მეორე მხარეს ყალიბდება დიდი ევრაზიის ბლოკი: ჩინეთის, რუსეთის, ირანის, პაკისტანის, ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და სხვა პოტენციური მოკავშირეების მონაწილეობით. ამგვარ დაყოფას აქტიურად უჭერს მხარს შეერთებული შტატები. თუ ეს მცდელობა წარმატებული აღმოჩნდება, მივიღებთ ახალ გლობალურ დაპირისპირებას, სადაც წყნარი ოკეანის რეგიონი ახალი ცივი ომის მთავარ ფრონტად იქცევა, ხოლო ევროპა მეორე ფრონტის როლს შეასრულებს. ეს რადიკალურად განსხვავდება წინა ცივი ომის გეოპოლიტიკური კონფიგურაციისგან.

განვითარებადი ძალები და მრავალპოლარულობა

განვითარებადი ძალების აღზევება მიმდინარე გარდამავალი პერიოდის განმსაზღვრელი მახასიათებელია. კერძოდ, ჩინეთმა გამოიყენა თავისი ეკონომიკური გავლენა ისეთ გლობალურ ინსტიტუტებზე, როგორებიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) და გაერო. ამასთან, წინ წამოწია ალტერნატიული ინიციატივები, როგორებიცაა „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ (BRI) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB).⁹²

სხვა რეგიონული ძალები, მათ შორის ინდოეთი და ბრაზილია, ცდილობენ გააფართოვონ თავიანთი გავლენა ისეთი მრავალმხრივი პლატფორმების მეშვეობით, როგორებიცაა BRICS და G20. ეს აქტორები მხარს უჭერენ უფრო ინკლუზიურ საერთაშორისო სისტემას, რომელიც უკეთ ასახავს თანამედროვე ძალთა ბალანსს და გამოწვევას უქმნის დასავლური ძალების ტრადიციულ დომინირებას.

დასკვნა

⁹²Marco Bertilorenzi, The Rise of China as a Global Economic Power: Key Policies and Strategies, Università degli studi di Padova Dipartimento di studi Linguistici e Letterari Corso di Laurea Triennale Interclasse in Lingue, Letterature e Mediazione culturale (LTLLM) Classe LT-12, 2022-2023

ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელსაც განაპირობებს ძალთა გადანაწილება, მულტილატერალიზმის გამოწვევები და გლობალიზაციისა და ნაციონალიზმის ურთიერთქმედება. მართალია, ერთპოლუსიანი სისტემის დასუსტება და მრავალპოლუსიანობის ზრდა ქმნის შესაძლებლობებს უფრო ინკლუზიური და სამართლიანი საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებისთვის, მაგრამ ამავდროულად, მნიშვნელოვან გამოწვევებსაც წარმოშობს. ახალი მსოფლიო წესრიგის მომავალი დამოკიდებული იქნება სახელმწიფოებისა და ინსტიტუტების უნარზე, მოერგონ ამ ცვლილებებს და ერთობლივად გადაჭრან გლობალური გამოწვევები. ამ ჩამოყალიბებადი წესრიგის თავისებურებების გააზრება გადამწყვეტია პოლიტიკის შემქმნელებისთვის, მეცნიერებისა და მოქალაქეებისთვის, რადგან ისინი მოქმედებენ სულ უფრო ურთიერთდაკავშირებულ და გაურკვეველ სამყაროში.

დღეს გლობალიზაცია გარდაუვალ რეალობად იქცა, როგორც ძლიერი, ისე სუსტი ქვეყნებისთვის. საერთაშორისო საქონლის, ცოდნისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს კეთილდღეობის ზრდისა და მსოფლიოს პროგრესისთვის. თუმცა, გლობალიზაციის პროცესი, მის ყველა დონეზე, გარკვეულ საფრთხეებთანაა დაკავშირებული, მათ შორისაა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ისეთი გამოწვევები, როგორიცაა მასობრივი განადგურების იარაღზე (WMD) გაზრდილი წვდომა, საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე და ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი სახელმწიფო საზღვრებს მიღმა. ეს ყველაფერი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და განვითარებას. გლობალიზაცია, როგორც კომპლექსური ეკონომიკური და პოლიტიკური ფენომენი, განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება საერთაშორისო ურთიერთობებში. ამერიკის სამომავლო სტრატეგიაზე იქნება დიდწილად დამოკიდებული ის, თუ როგორი იქნება მომავალი მსოფლიო წესრიგი და რამდენად შეძლებს ვაშინგტონი დომინანტური პოზიციის შენარჩუნებას საერთაშორისო სისტემაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კისინჯერი, ჰ. მსოფლიო წესრიგი. გამომცემლობა “ინტელექტი”, თბილისი 2021.
2. ღუდუშაური ნ. ახალი მსოფლიო წესრიგი და კავკასია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ., 2009

3. ჯაფარიძე ე. - სუპრანაციონალური პოლიტიკა ევროკავშირში. გამ. იურისტების სამყარო თბილისი - 2024.
4. სანიკიძე გ., კილურაძე ნ. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. ფონდი ღია საზოგადოება — საქართველო. გამომც. მერიდიანი. თბ., 2001
5. გორგილაძე ი. ახალი მსოფლიო წესრიგი ამერიკულ გეოპოლიტიკაში. სოციალური მეცნიერების საკითხები. გამომც. უნივერსალი, თბ., 2016;
6. Tischer Anuschka, Peace of Westphalia (1648)
<https://www.oxfordbibliographies.com/display/document/obo-9780199743292/obo-9780199743292-0073.xml> [12.12.2024]..
7. amela Beshoff, Christopher Hill, Two Worlds of International Relations Academics, Practitioners and the Trade in Ideas, 1994, 23
8. T.W. Luke, Cold War, International Encyclopedia of Human Geography, 2009, Pages 170-174
9. Samet Gunay, Gokberk Can, The source of financial contagion and spillovers: An evaluation of the covid-19 pandemic and the global financial crisis,
10. A New World Order - A View from Russia, <https://www.cirsd.org/en/horizons/horizons-winter-2019-issue-no-13/a-new-world-order-a-view-from-russia> [12.12.2024]
11. A new world order: A view from Russia <https://eng.globalaffairs.ru/articles/a-new-world-order-a-view-from-russia/> [12.12.2024]
12. Daniel Sargent, The Cold War, Published online by Cambridge University Press, 2015
13. Bretton Woods Revisited: Creating a Monetary and Economic Order Fit for the 21st Century, <https://www.bu.edu/gdp/2024/06/12/bretton-woods-revisited-creating-a-monetary-and-economic-order-fit-for-the-21st-century/> [12.12.2024]
14. Thomas F. Lynch III, James Przystup, and Phillip C. Saunders, The Indo-Pacific Competitive Space: China's Vision and the Post-World War II American Order, National Defense University Press, 2020
15. Nathan Michael Grant , China Geostrategic Relations: The Belt and Road Initiative, Asian Region Instability and Australia, 2021
16. Robert D. Blackwill and Richard Fontaine, No Limits? The China-Russia Relationship and U.S. Foreign Policy, 2024
17. Francis Fukuyama, The End of History?, Center for the National Interest, No. 16, 1989, 3-18
18. Gaziza Shakhanova and Jeremy Garlick, The Belt and Road Initiative and the Eurasian Economic Union: Exploring the “Greater Eurasian Partnership”, Journal of Current Chinese Affairs 2020, Vol. 49(1) 33–57
19. The New Normal of Great Power Competition: The U.S.-China-Russia Relationship and the Indo-Pacific Region, NIDS International Symposium on Security Affairs 2022

20. John E. Herbst, Philip D. Zelikow, Charles Gati, Daniel S. Hamilton, Petr Luňák, European Security, NATO–Russia Relations, and the Post–Cold War Order, *Journal of Cold War Studies*, 2024, 26 (3): 204–241.
- 21 Zofia Studzińska, How Russia, Step by Step, wants to Regain an Imperial Role in the Global and European Security System, Vol. 14, No. 4, 2015, 21–42. <https://www.jstor.org/stable/26326416> [12.12.2024]
- 22 Marco Bertilorenzi, The Rise of China as a Global Economic Power: Key Policies and Strategies, Università degli studi di Padova Dipartimento di studi Linguistici e Letterari Corso di Laurea Triennale Interclasse in Lingue, Letterature e Mediazione culturale (LTLLM) Classe LT-12, 2022–2023

სახელმწიფო და რელიგია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

მაგდა კოტრიკაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების
სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

kotrikadzemagdalena@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-7227-2759>

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.09>

აბსტრაქტი

სტატიაში შესწავლილი და გაანალიზებულია სახელმწიფოსა და რელიგიის მიმართება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. კერძოდ, ნაჩვენებია SER-ის(სახელმწიფოს ჩართულობა რელიგიასთან) განსხვავებული დონე და მაჩვენებელი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, გარკვეული დონის თანამშრომლობა და სუბსიდიები ცალკეული რელიგიური ჯგუფებისა და ეკლესიების მიმართ; წარმოჩენილია ქვეყნები, სადაც სახელმწიფო ინტენსიურად არის ჩართული რელიგიის, მისი შესაბამისი ეკლესიის შიდა საქმეებში და აქვს მტკიცე პოლიტიკა. გაანალიზებულია მძიმე კომუნისტური მემკვიდრეობა რელიგიისა და ეკლესიის მიმართ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მათი დევნა და აკრძალვა, რელიგიური სკოლების დახურვა, ეკლესია-მეჩეთების ნგრევა-გადაკეთება, რელიგიური ლიბერალიზმის პოლიტიკა გორბაჩოვის პერესტროიკის პირობებში. რამაც ხელი შეუწყო რელიგიური აქტივობის ზრდას, ეროვნული მოძრაობების და ეკლესიის დაახლოებას და საბოლოოდ, საბჭოთა კავშირის დაშლას. ასევე გაანალიზებულია რელიგიასთან მიმართებაში სახელმწიფოს ჩართულობის 3 დონე: დაბალი(ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), უკრაინა, საშუალო(საქართველო, სომხეთი, რუსეთი, მოლდოვა) და მაღალი(ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი).

საკვანძო სიტყვები: SER (სახელმწიფოს ჩართულობა რელიგიასთან), ეკლესია, ათეიზმი, რელიგიური ლიბერალიზმი, კონკორდატი.

State and Religion in Post-Soviet Countries

Magda Kotrikadze

PhD Student Faculty of Law and International Relations

Georgian Technical University

kotrikadzemagdalen@gmail.com

ORCID iD: [https://orcid.org/ 0009-0000-7227-2759](https://orcid.org/0009-0000-7227-2759)

Abstract

The article studies and analyzes the relationship between the state and religion in post-Soviet countries. In particular, it shows the different levels and indicators of SER (state involvement in religion) in various post-Soviet countries, a certain level of cooperation and subsidies towards individual religious groups and churches; it presents countries where the state is intensively involved in the internal affairs of religion and its corresponding church and has a firm policy; it analyzes the heavy communist legacy towards religion and the church in post-Soviet countries, their persecution and banning, the closure of religious schools and the destruction and reconstruction of churches and mosques, the policy of religious liberalism under Gorbachev's perestroika, which contributed to the growth of religious activity, the rapprochement of national movements and the church, and ultimately, the collapse of the Soviet Union. Three levels of state involvement concerning religion are also analyzed: low (Lithuania, Latvia, Estonia), Ukraine, medium (Georgia, Armenia, Russia, Moldova), and high (Kazakhstan, Kyrgyzstan, Uzbekistan, Turkmenistan, Tajikistan, Azerbaijan, Belarus).

Keywords: SER (State Involvement in Religion), Church, Atheism, Religious Liberalism, Concordat.

შესავალი

პოსტსაბჭოთა რეგიონი საკმაოდ საინტერესო რეგიონია, სადაც SER⁹³ და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა შესაძლებელია. პოსტსაბჭოთა ტერიტორია მსოფლიოს ერთადერთი რეგიონია, სადაც ყველა სახელმწიფო სეკულარულია. არც ერთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო არ არის ფორმალურად ათეისტური და თითოეულის კონსტიტუცია აცხადებს სახელმწიფო სეკულარიზმს.

⁹³ *SER- state engagement with religion- სახელმწიფოს ჩართულობა რელიგიასთან.

სომხეთში, რუსეთში, მოლდოვასა და საქართველოში არის გარკვეული დონის თანამშრომლობა მითითებულ ძირითად რელიგიებთან, ასევე სახელმწიფო სუბსიდიები კონკრეტული რელიგიური ჯგუფებისთვის, ფორმალური მხარდაჭერა გამოცხადებული „ხალხის“ ან „ერების“ რელიგიებისთვის და რელიგიური სიმბოლოების ფართო გამოყენება სახელმწიფო დონეზე. ამ ქვეყნებს, ასევე, აქვთ რეგულაციები და შეზღუდვები ზოგიერთ რელიგიურ ჯგუფზე.

უზბეკეთში, თურქმენეთში, ტაჯიკეთში, აზერბაიჯანში, ბელორუსიაში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში სახელმწიფო ინტენსიურად არის ჩართული რელიგიაში და აქვს მტკიცე პოლიტიკა. ეს ქვეყნები არ აფინანსებენ რელიგიას, მაგრამ გამსჭვალულია რელიგიური სიმბოლიზმის მაღალი ხარისხით სახელმწიფო დონეზე. ისინი, ასევე, აწესებენ მნიშვნელოვან რეგულაციებსა და შეზღუდვებს რელიგიაზე, იმავდროულად, როდესაც აერთიანებენ რელიგიას (ძირითადად სახელმწიფოს მიერ სანქცირებული ისლამის მეშვეობით ცენტრალურ აზიასა და აზერბაიჯანში) სახელმწიფოში რელიგიური აქტივობების კონტროლის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ეს 15-ვე სახელმწიფო არის სეკულარული და იზიარებს მსგავს საბჭოთა წარსულს, მათ ჰქონდათ SER-ის რადიკალურად განსხვავებული დონეები დამოუკიდებლობის შემდეგ. ვარიაცია, მართლაც გასაოცარია. საბჭოთა კავშირის დროს რელიგიური პოლიტიკის არმცოდნე ადამიანს შეიძლება გაუკვირდეს, რომ ყველა ეს ქვეყანა და მათი სხვადასხვა დონის SER ოდესღაც საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო, რომლის დროსაც სახელმწიფოს მტრული დამოკიდებულება ჰქონდა რელიგიის მიმართ და ცდილობდა მის აღმოფხვრას. დამოუკიდებლობის შემდგომ, სახელმწიფო-რელიგიურ ტრექტორიებში ასეთ მკვეთრ ცვლილებებს არ მოელოდა.

მეთოდოლოგია

კვლევის დროს გამოყენებული იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდები, კერძოდ, სისტემური ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, კრიტიკული ანალიზი და კონტენტ-ანალიზი;

შედეგების ანალიზი:

პოსტსაბჭოთა ქვეყნებს აქვთ მსგავსი ისტორია, რადგან საბჭოთა კავშირის დროს მოკავშირე რესპუბლიკები იყვნენ. საბჭოთა სახელმწიფო ათეისტური იყო და აქტიურად იყო ჩართული ანტირელიგიური პილიტიკური ორგანიზაციების შექმნასა და განხორციელებაში, თავისი არსებობის შვიდი ათწლეულის განმავლობაში. როგორც რ.

ჩარლზი (1993) წერდა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველთვის უწყობდა ხელს რელიგიის გაქრობას⁹⁴.

საბჭოთა კავშირის დაარსებიდან (1922 წლის 30 დეკემბერი), ბოლშევიკები მოქმედებდნენ რაციონალური საზოგადოების ხედვით, რომელშიც რელიგიას ადგილი არ ჰქონდა. ისინი იცავდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, რომ რელიგია საბოლოოდ გაქრებოდა და ამიტომ ახორციელებდნენ სხვადასხვა პოლიტიკას ამ მიზნის მისაღწევად. ანტიპოლიტიკა მოიცავდა: რელიგიური შენობების ჩამორთმევას, რელიგიური განათლების უფლების ჩამორთმევას, რელიგიურ შეკრებების აკრძალვასა და ადამიანთა დაპატიმრებას, მათ გაუჩინარებასა და წინააღმდეგობის გაწევის სხვადასხვა ფორმებს.

რელიგიური ორგანიზაციების ყველაზე ინტენსიური დევნა მოხდა სტალინის დროს, როდესაც 1929 წელს მიიღეს კანონი, რომლითაც აკრძალული იყო რელიგიური განათლების მიღება, რელიგიური ლიტერატურის შექმნა და გავრცელება, რელიგიური ღონისძიებების ორგანიზება და საქველმოქმედო ფონდებისთვის ფულის შეგროვება. რელიგიური დევნის ბუნებამ სხვადასხვა ფორმა მიიღო რეგიონებში. ცენტრალურ აზიაში სახელმწიფომ აკრძალა რელიგიური სკოლები, ყურანის ტრიბუნალები. პრაქტიკოს-მუსლიმებს უფლება არ ჰქონდათ ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავების, მეჩეთები იქცნენ არქიტექტურულ ძეგლებად და მუზეუმებად.

1941 წელს, საბჭოთა კავშირის მეორე მსოფლიო ომში ჩართვამ, სტალინს მოტივაცია მისცა, მიეღო შერიგების ზომები რელიგიურ ჯგუფებთან - ომში მხარდაჭერის მოსაპოვებლად (თუმცა ანტირელიგიური პროპაგანდა ბოლომდე არ შეწყვეტილა). მართლმადიდებლურ ეკლესიას უფლება მიეცა აერჩია რუსეთის პატრიარქი, შეექმნა ცენტრალიზებული ადმინისტრაციული სტრუქტურა, ხელახლა გაეხსნა რელიგიური ინსტიტუტები და დაებეჭდა რელიგიური ლიტერატურა.

ცენტრალურ აზიაში ი. სტალინმა შექმნა შუა აზიისა და ყაზახეთის მუსლიმთა სასულიერო საბჭო (SADUM), რომელიც დომინირებდა 1943 წლის ოქტომბრამდე. ტაშკენტში, 1943-1991 წლებში, დაფუძნებული SADUM იყო ისლამის ერთადერთი ოფიციალური წარმომადგენლობითი ორგანო. საბჭოთა კავშირის მუსლიმებმა,

⁹⁴ Charles R., „Secular Regimes and State Engagement with Religion in post-Soviet Eurasia”, University of California, Berkeley. 2013. P.33.

https://escholarship.org/content/qt7tw454f3/qt7tw454f3_noSplash_3855e32b7cbeb4f880911fa866ef886e.pdf
(ბოლო ნახვა - 25.05.2024)

ცენტრალურ აზიაში, აკადემიების გახსნა, რელიგიური ლიტერატურის დაბეჭდვა შემდგომ. ზოგიერთმა ჯგუფმა, მექაში, პილიგრიმობის ნებართვაც კი მიიღო.

1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ნ.ხრუშჩოვის დროს, რელიგიური თავისუფლებისა და ანტირელიგიური აქტივობის წინააღმდეგობრივი ნაზავი მოჰყვა. „დაყავი და იბატონე“ -ს პრინციპი, ლ. ბრეჟნევის დროს, 1964 წლიდან 1985 წლამდე და მთელი რიგი წარუმატებელი ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავდა საბჭოთა სისტემის რეფორმირებას. სახელმწიფო იდეოლოგია ი.ანდროპოვის (1982-1984) და ვ.ჩერნენკოს (1984-1985) დროს აღინიშნებოდა მზარდი იატაკქვეშა რელიგიური აქტივობები და რელიგიის მდგრადობის აღიარებით. ამ დროისთვის უკვე გასაგები იყო, რომ რელიგია არ გაქრებოდა და ზოგიერთი რელიგიური პრაქტიკა ამგვარად დაუბრუნდა ყოველდღიურ ცხოვრებას - ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში⁹⁵.

საბჭოთა კავშირი, ბოლო ხუთი წელი, გამოირჩეოდა რელიგიური ლიბერალიზმით გორბაჩოვის „გლასნოსტისა და პერესტროიკის“ პოლიტიკით. „პერესტროიკის“ (გარდაქმნის) მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, გორბაჩოვი ცდილობდა სახელმწიფო-რელიგიური ურთიერთობების ნორმალიზებას რელიგიური აქტივობებისა და ინსტიტუტების სანქცირებით.

1990 წლის კანონით, რელიგიურ ორგანიზაციებს მიანიჭათ სრული სტატუსი - ნებადართული იყო რელიგიური განათლება საჯარო სკოლებში.

„პერესტროიკის“ შედეგები, რელიგიურ სფეროში, სახელმწიფო-რელიგიური ურთიერთობების ერთობლიობა იყო, რომელიც სრულიად საწინააღმდეგო აღმოჩნდა წინა საბჭოთა პოლიტიკის. რელიგიური თავისუფლება და აქტივობები იმაზე მასშტაბური აღმოჩნდა, ვიდრე გორბაჩოვი აპირებდა. „პერესტროიკამ“ და „გლასნოსტმა“ ხელი შეუწყო არა მხოლოდ რელიგიური აქტივობის ზრდას, არამედ უფრო მჭიდრო ურთიერთობას გარკვეულ რელიგიურ ჯგუფებსა და ეროვნულ მოძრაობას შორის. უნდა ითქვას, რომ ყოველივე ამან ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის სწრაფ დაშლას.

დაშლის შემდეგ, ახალი სახელმწიფოების ბევრმა პოლიტიკურმა ლიდერმა მიიჩნია, რომ სასარგებლო იყო ცალკეულ რელიგიებთან კავშირი. თითოეულ პოსტსაბჭოთა ქვეყანას აქვს პუნქტი რელიგიის ან კონსტიტუციურ კანონში, რომელიც განასხვავებს

⁹⁵ Charles R., „Secular Regimes and State Engagement with Religion in post-Soviet Eurasia“, University of California, Berkeley. 2013. P.35.
https://escholarship.org/content/qt7tw454f3/qt7tw454f3_noSplash_3855e32b7cbeb4f880911fa866ef886e.pdf
(ბოლო ნახვა - 25.05.2024)

„ტრადიციულ“ და „არატრადიციულ“ რელიგიებს. ბალტიისპირეთის ქვეყნებში ამ ორ ჯგუფს შორის არსებობს იურიდიული განსხვავება. ერთი კონკრეტული რელიგია, ან რელიგიათა ჯგუფი, ცალსახად აღიარებულია ეროვნულ რელიგიად საქართველოში, სომხეთში, მოლდოვაში, რუსეთსა და ბელორუსიაში, რითაც ხდება თანდაყოლილი განსხვავება „ტრადიციულსა“ და „არატრადიციულს“ შორის. სხვა ქვეყნები, როგორცაა აზერბაიჯანი და ცენტრალური აზიის ქვეყნები, კრძალავენ ან ზღუდავენ რელიგიურ ჯგუფებს, რომლებიც მიჩნეულია „უცხო“ ან „არატრადიციულად“⁹⁶.

რელიგიასთან პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ჩართულობა, სამი დონით განისაზღვრება:

1. დაბალი - ბალტიისპირეთის ქვეყნები: ესტონეთი, ლატვია და ლიტვა და უკრაინა;
2. საშუალო- საქართველო: სომხეთი, რუსეთი და მოლდოვა;
3. მაღალი- ცენტრალური აზია: ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი და ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი და ბელორუსია.

ესტონეთს, ლატვიას, ლიტვასა და უკრაინას SER-ის ყველაზე დაბალი დონე აქვს პოსტსაბჭოთა რეგიონში. რა თქმა უნდა, ოთხივე ქვეყანას აქვს გარკვეული რელიგიური დღესასწაულები, როგორც ეროვნული დღესასწაულები (მაგ. სულთმოფენობა, დიდი პარასკევი, აღდგომა და შობა ესტონეთში; ლატვიაში-აღდგომის ორშაბათი, მიძინების დღე, ყველა წმინდანის დღე და შობა; ლიტვაში- შობა, აღდგომის ორშაბათი და წმინდა სამების დღე, უკრაინაში კი იულიუსის კალენდრის მიხედვით აღინიშნება ყოველივე ეს).

არცერთი ეს სეკულარული სახელმწიფო არ უზრუნველყოფს სასულიერო პირის ხელფასს და არც ერთ დონისძიებას, ასევე, არ არის სავალდებულო რელიგიური განათლება. თუმცა, ოთხივე ქვეყანას აქვს, სურვილისამებრ მიიღონ, რელიგიური ცოდნა საჯარო სკოლებში. ესტონეთის საჯარო სკოლებს აქვთ საბაზისო რელიგიური სწავლების პროგრამა. სკოლებმა უნდა შესთავაზონ რელიგიის სწავლება, თუ ამას მოითხოვს მინიმუმ 15 მოსწავლე.

ლიტვაში, 1991 წელს მიღებული კანონით, რელიგიური განათლების შესახებ, საჯარო სკოლებში აფინანსებს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რელიგიური ჯგუფებს. მშობლებს შეუძლიათ შვილებისთვის აირჩიონ რელიგიური სწავლება, ან საერო ეთიკის

⁹⁶ Charles R., „Secular Regimes and State Engagement with Religion in post-Soviet Eurasia”, University of California, Berkeley. 2013. P.36.

https://escholarship.org/content/qt7tw454f3/qt7tw454f3_noSplash_3855e32b7cbeb4f880911fa866ef886e.pdf
(ბოლო ნახვა - 25.05.2024)

გაკვეთილები და სკოლებმა გადაწყვიტონ, რომელი ტრადიციული რელიგიური ჯგუფი იქნება წარმოდგენილი მათ სასწავლო გეგმებში. 14 წლამდე ასაკის ბავშვების მოთხოვნის საფუძველზე, ლატვიაში საჯაროდ შეიძლება ისწავლებოდეს მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღიარებული „ტრადიციული“ სარწმუნოების რელიგიური კურსები (მაგ. ქრისტიანული: ევანგელურ-ლუთერანული, რომაული კათოლიკური, მართლმადიდებელი, ძველი მორწმუნე ან ბაპტისტური კონფესიები ან იუდაიზმი).

უკრაინაში, პრეზიდენტმა 2005 წლის ბრძანებულებით, საჯარო სკოლებში შემოიღო სასწავლო კურსი სახელწოდებით: „რწმენის ეთიკა“. თუმცა, ყოველივე ეს არ განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით, რადგან ებრაელმა და მუსლიმმა ლიდერებმა პრეტენზია განაცხადეს, ამბობდნენ, რომ კურსები ეფუძნებოდა ქრისტიანულ სწავლებებს. 2009 წლის ივნისიდან გაიზარდა საშუალო სკოლების რაოდენობა, რომლებიც სთავაზობდნენ არჩევით კურსებს: ქრისტიანული ეთიკის საფუძვლები, რელიგიური ეთიკის საფუძვლები და ყირიმის ისლამური კულტურის საფუძვლები.

რელიგიური განათლების გარდა, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა და უკრაინა აფინანსებენ რელიგიური შენობების მშენებლობას და მოვლა-პატრონობას, რომლებიც აღიარებულია მათი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობით, როგორც ყველა სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში. ესტონეთი ერთადერთი სახელმწიფოა ამ ჯგუფში, რომელიც აფინანსებს რელიგიურ ბეჭდურ და სამაუწყებლო მედიას. 1994 წლის მაუწყებლობის აქტი საშუალებას აძლევს სამაუწყებლო კომპანიებს გადაწყვიტონ თავიანთი პროგრამების შინაარსი. საზოგადოებრივი მაუწყებლობის ორგანიზაციებს აქვთ შეთანხმება ესტონეთის ეკლესიების საბჭოსთან (CEC) - 10 ეკლესიის საბჭო, მათ შორის, ესტონეთის ევანგელური ეკლესია და სხვა ქრისტიანული ეკლესიები, რაც საბჭოს წევრებს საშუალებას აძლევს უზრუნველყონ გადაცემები რელიგიურ საკითხებზე. ესტონური რადიო და ტელემაუწყებლობა საშობაო და აღდგომის მსახურებას ტელევიზიით გადასცემს⁹⁷.

გარდა ამისა, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა აფინანსებენ რელიგიურ აქტივობებს. ესტონეთის სახელმწიფო აფინანსებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და ათავისუფლებს რელიგიურ გაერთიანებებს საშემოსავლო და ქონების გადასახადიდან. ლატვიამ დააფინანსა ახალი უნივერსიტეტის სასულიერო ფაკულტეტი და ქვეყანაში პირველი

⁹⁷ Charles R., „Secular Regimes and State Engagement with Religion in post-Soviet Eurasia”, University of California, Berkeley. 2013. P.37.

https://escholarship.org/content/qt7tw454f3/qt7tw454f3_noSplash_3855e32b7cbeb4f880911fa866ef886e.pdf
(ბოლო ნახვა - 25.05.2024)

ქრისტიანული დაწყებითი სკოლა. ლიტვაში, სახელმწიფოს - აღიარებულ, ტრადიციულ რელიგიურ თემებს არ მოეთხოვებათ გადაიხადონ სოციალური და ჯანმრთელობის დაზღვევის გადასახადები სასულიერო პირებისა და სხვა თანამშრომლებისთვის. არ ექვემდებარებიან დღგ-ს ძირითად კომუნალურ მომსახურებებს. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული რელიგიური თემები იღებენ ყოველწლიურ სახელმწიფო სუბსიდიებს, არატრადიციულ ჯგუფებს შეუძლიათ მიიღონ სახელმწიფო მხარდაჭერა მათი კულტურული და სოციალური პროექტებისთვის. ამის საპირისპიროდ, უკრაინის სახელმწიფო რელიგიის არ აფინანსებს 2005 წლიდან, საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლების მხარდაჭერის გარდა.

ესტონეთსა და ლიტვას აქვთ რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო დეპარტამენტები, რომლებიც ეხება: ეკლესიების რეესტრს ესტონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში და ლიტვაში - იუსტიციის სამინისტროს რელიგიურ საქმეთა დეპარტამენტი - ისევე როგორც ყველა სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს, გარდა უკრაინის, საქართველოსი და ლატვიისა.

საქართველოს, სომხეთს, მოლდოვასა და რუსეთს აქვთ SER-ის სამუშაო დონე პოსტსაბჭოთა რეგიონში. რელიგიური სიმბოლოების სახელმწიფო გამოყენებასთან დაკავშირებით, ოთხივე ქვეყანას აქვს რამდენიმე რელიგიური დღესასწაული, როგორც ეროვნული დღესასწაულები (მაგ. შობა, დიდი პარასკევი და ხუთი სომხური საეკლესიო დღესასწაულები სომხეთში; მართლმადიდებლური შობა, ნათლისღება, დიდი პარასკევი, მართლმადიდებლური აღდგომა, აღდგომის ორშაბათი, ანდრია მოციქულის, ღვთისმშობლის, გიორგობისა და სვეტიცხოვლის დღე საქართველოში; მართლმადიდებლური შობა, მართლმადიდებლური აღდგომა, აღდგომის ორშაბათი და ხსენების აღდგომა მოლდოვაში; მართლმადიდებლური შობა რუსეთში). სახელმწიფო გერბზე, თითოეულ სახელმწიფოს აქვს რელიგიური სიმბოლო.

გარდა ამისა, რუსეთისა და საქართველოს ეროვნულ ჰიმნებში ჟღერს რელიგიური სიმბოლოები. საქართველოს აქვს რელიგიური სიმბოლოების გამოყენების ყველა ინდიკატორი, გარდა ერთისა: რელიგია სახელმწიფო პირადობის მოწმობებზე; რუსეთს აქვს სამი ინდიკატორი: რელიგიური ეროვნული დღესასწაულები, რელიგიური სიმბოლო გერბზე და სახელმწიფო ჰიმნში; მოლდოვასა და სომხეთს კი მხოლოდ ორი - რელიგიური ეროვნული დღესასწაულები და რელიგიური სიმბოლო გერბზე.

ეს ოთხი ქვეყანა აფინანსებს რელიგიურ შენობებს და რელიგიურ განათლებას საჯარო სკოლებში. საქართველოს, სომხეთსა და რუსეთს აქვს, სურვილისამებრ, რელიგიური

განათლება საჯარო სკოლებში, ხოლო მოლდოვა არის ერთადერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელსაც აქვს სავალდებულო რელიგიური განათლება საჯარო სკოლებში. საქართველოს საჯარო სკოლებს აქვს, სურვილისამებრ აღჩევითი საგანი, სახელწოდებით: „რელიგია და კულტურა“, რომელიც მოზარდებში აყალიბებს ზოგადქრისტიანულ განათლებას.

რუსეთში ფედერალური მთავრობა იძლევა არჩევით რელიგიურ კურსებს საკვირაო სკოლებში, საჯარო საშუალო სკოლებში, ან სპეციალურ რელიგიურ სკოლებში.

საჯარო სკოლებში რელიგიური განათლების გარდა, საქართველო, სომხეთი, რუსეთი და მოლდოვა აფინანსებენ რელიგიურ ღონისძიებებს. მოლდოვაში მიტროპოლიტი ერთადერთი რელიგიური ფიგურაა, რომელიც იმყოფება ეროვნულ დღესასწაულებზე და რეგულარულად ჩნდება მთავრობისადმი მეგობრულად განწყობილი გაზეთების პირველ გვერდებზე. კიშინიოვისა და სრულიად მოლდოვის მიტროპოლიტს აქვს დიპლომატიური პასპორტი. სამთავრობო სატელევიზიო არხები რეგულარულად აჩვენებენ ხელისუფლების მაღალჩინოსნების ვიზიტებს მოლდოვის მართლმადიდებლურ ეკლესიებსა და მონასტრებში.

საქართველოს, სომხეთს, მოლდოვასა და რუსეთს რელიგიაზე გაცილებით ნაკლები შეზღუდვები და რეგულაციები აქვთ, ვიდრე სხვა ქვეყნების ჯგუფს, მაგრამ უფრო მეტი, ვიდრე ცენტრალურ აზიაში, ბელორუსიასა და აზერბაიჯანში. ოთხივე სახელმწიფო მოითხოვს რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციას, რათა ჰქონდეს გარკვეული უფლებები.

რუსეთი, მოლდოვა, საქართველო და სომხეთი არიან საშუალო SER ქვეყნები, რომლებსაც აქვთ მრავალი ინკლუზიური პოლიტიკა გარკვეული რელიგიების საჯარო ხილვადობის მიმართ. ისინი სულაც არ არიან ნეიტრალური რელიგიის მიმართ და არ ცდილობენ რელიგიის გამოდევნას საჯარო სფეროდან. პირიქით, ისინი თანამშრომლობენ კონკრეტულ რელიგიებთან სხვადასხვა მიმართულებით: ისინი მხარს უჭერენ რელიგიურ განათლებას საჯარო სკოლებში, აფინანსებენ რელიგიურ შენობებსა და რელიგიურ ჯგუფებს, მხარს უჭერენ გარკვეულ რელიგიურ აქტივობებს, ოფიციალურად აღიარებენ კონკრეტულ რელიგიას (ან რელიგიათა ჯგუფს). ამ ოთხივე ქვეყანას აქვს რელიგიასთან ჩართულობის საშუალო დონე.

მაღალი SER-ის ქვეყნებია ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და ბელარუსია. ხოლო აზერბაიჯანსა და ბელარუსიას აქვთ SER-

ის ყველაზე მაღალი დონე პოსტსაბჭოთა რეგიონში. ყველა ეს სახელმწიფო, აფინანსებს რელიგიურ შენობებსა და რელიგიურ აქტივობებს, მედიას, ასევე უხდის ხელფასებს სასულიერო პირებს გარდა ტაჯიკეთისა.

სახელმწიფოში, რელიგიის ოფიციალურად ჩართვის თვალსაზრისით, შვიდივე ქვეყანაში არსებობს სახელმწიფო სამინისტრო ან დეპარტამენტი, რომელიც აწესრიგებს რელიგიურ საკითხებს: რელიგიურ ორგანიზაციებთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტი (SCWRO) და კავკასიის მუსლიმთა საბჭო (CMB) აზერბაიჯანში, სრულუფლებიანი წარმომადგენლის ოფისი რელიგიურ და ეროვნულ საკითხებში ბელორუსში, რელიგიურ საკითხთა კომიტეტი (CRA) ტაჯიკეთში, რელიგიურ საკითხთა სახელმწიფო კომისია (SCRA) ყირგიზეთში, რელიგიურ საკითხთა კომიტეტი, რომელიც მოქმედებს იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში ყაზახეთში, რელიგიურ საკითხთა საბჭო (გენგეში) (CRA) თურქმენეთში და რელიგიურ საკითხთა კომიტეტი (CRA) უზბეკეთში.

სეკულარული სახელმწიფოების წინა ორი ჯგუფისგან განსხვავებით, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი ახორციელებენ მთავარ რელიგიურ დანიშვნებს და თითოეულ ქვეყანას, აზერბაიჯანთან ერთად, აქვს სახელმწიფო კონტროლირებადი მუფთიატი (ანუ მუფთის საბჭო) გარდა ზემოაღნიშნული სახელმწიფო დეპარტამენტების ან რელიგიურ საკითხებთან მომუშავე სამინისტროებისა. ეს მუფთიები საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მემკვიდრეობაა. ისინი სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ისლამური ორგანოებია, რომლებიც შექმნილია ისლამის ცენტრალიზებული ფორმის უზრუნველსაყოფად თითოეული სახელმწიფოს საზღვრებში. ეს ინსტიტუტები ხელს უწყობენ სახელმწიფო კონტროლს ისლამზე და განსხვავებას „ოფიციალურ“ და „არაოფიციალურ“ ისლამს შორის, როგორც ამას საბჭოთა სახელმწიფო აკეთებდა. ტაჯიკეთი ცენტრალური აზიის ერთადერთი ქვეყანაა მუფთიატის გარეშე. ტაჯიკეთის ფორმალურად დამოუკიდებელი, მაგრამ არაპირდაპირი გზით კონტროლირებადი ისლამური ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს ულამოს 27 წევრიანი საბჭო (ისლამური სასულიერო პირები) - განმარტავს რელიგიურ პრაქტიკას, იღებს გადაწყვეტილებებს რელიგიასთან დაკავშირებით, არეგულირებს ყველა ისლამურ ორგანიზაციასა და გამოსცემს ფატვას.

ტაჯიკეთსა და ბელორუსში გარდა კონკრეტული რელიგიის ფორმალური მხარდაჭერისა ან იმ ფაქტის აღიარებისა, რომ ყველა მაღალ SER სახელმწიფოს დეპარტამენტი ან სამინისტრო ეხება რელიგიურ საკითხებს, აქედან არცერთ ქვეყანას არ

აქვს რელიგიური სასამართლოები ან ისეთი რელიგიურ-პოლიტიკური მოწყობა, რომ საკანონმდებლო ორგანოებში ადგილები მინიჭებულ იქნას რელიგიური ხაზით, არსებობს რელიგიური მოთხოვნა სახელმწიფო მოხელეებისთვის თანამდებობის დასაკავებლად, ან სახელმწიფო მოხელეებს აქვთ ოფიციალური რელიგიური თანამდებობა მათი პოლიტიკური ოფისის საფუძველზე და პირიქით. გარდა ამისა, საშუალო SER სახელმწიფოებისგან განსხვავებით, შვიდი მაღალი SER სახელმწიფოდან მხოლოდ ორს აქვს კონკორდატი რელიგიურ ორგანიზაციასთან ან კონსტიტუცია, ან კანონი რელიგიის შესახებ, რომელიც ახსენებს ხალხის/ერის კონკრეტულ რელიგიას, კონკრეტული რელიგიის მხარდაჭერას, ან აღიარებას, ან ღვთისადმი რწმენას ან პატივისცემას. 2002 წელს სახელმწიფოსთან კონკორდატი გააფორმა ასევე საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ.

დასკვნა

ამრიგად, მაღალ SER (სახელმწიფოს ჩართულობა ეკლესიასთან) სახელმწიფოებს უფრო მეტი შეზღუდვები და რეგულაციები აქვთ რელიგიაზე, ვიდრე დაბალ და საშუალო SER სახელმწიფოებს. ამ ქვეყნებში რელიგიური ორგანიზაციები უნდა დარეგისტრირდნენ, პრესა და პუბლიკაციები ცენზურას ექვემდებარება, ასევე არსებობს შეზღუდვები სასულიერო პირების ქადაგებაზე, წერილობითი რელიგიური მასალის გამოქვეყნებაზე, გავრცელებასა და საჯარო შეკრებებზე. გარდა ამისა, რელიგიური მოღვაწეები, რელიგიური საქმიანობით დაკავებული ადამიანები ხშირად განიცდიან შევიწროებას, დაპატიმრებასა და შეზღუდვებს. ბელორუსში, აზერბაიჯანში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და უზბეკეთში არსებობს დამატებითი შეზღუდვები ღვთისმსახურების ადგილებში. სასულიერო პირთა გამოსვლები სახელმწიფო თანხმობას მოითხოვს აზერბაიჯანში, ტაჯიკეთში, ყირგიზეთში, თურქმენეთსა და უზბეკეთში. ამ ქვეყნებში არსებობს შეზღუდვები საჯარო ჩაცმულობაზე. ამ უკანასკნელ ოთხს, აქვს შეზღუდვები რელიგიური სიმბოლოების საჯარო ჩვენებასთან დაკავშირებითაც. უზბეკეთი ერთადერთი ქვეყანაა პოსტსაბჭოთა რეგიონში, რომელსაც აქვს ფორმალური შეზღუდვები სარწმუნოების ცვლილებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გეგენავა დ., „ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება“, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი - 2018.
2. გერჰარდ რ., სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რედაქტორი პრ. თარგმანი - კავშირი „21-ე საუკუნე“, თბილისი, 2011 წ.
3. ზვიადაძე გ., „რელიგიური არასახელმწიფოებრივი აქტორების როლი საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესებში: ცივილიზაციათა შეჯახების რეალიები გეოპოლიტიკური ტრანზიციის პირობებში“, დისერტაცია - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი- 2022.
4. ჩიქოვანი ნ., „რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006 წ;
5. Charles R., „Secular Regimes and State Engagement with Religion in post-Soviet Eurasia“, University of California, Berkeley. 2013. P.33.
https://escholarship.org/content/qt7tw454f3/qt7tw454f3_noSplash_3855e32b7cbeb4f880911fa866ef886e.pdf (ბოლო ნახვა - 25.05.2024)

იმამ ალის მნიშვნელობა შიიტური ისლამის რელიგიურ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში

მაია კაპანაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

maiakappanadze@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0000-0002-7460-5374>

ქეთევან შოშიაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

ketevan.shoshiashvili@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0000-0003-1542-5987>

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.10>

აბსტრაქტი

იმამ ალი ისლამის სულიერი სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო. მოციქულ მუჰამმადის შემდეგ უპირველესი მუსლიმი და თორმეტ იმამთაგან პირველი. მიუხედავად იმისა, რომ იმამ ალის უკავშირდება ისლამში შიიტური მიმდინარეობის ჩამოყალიბება, ის ერთნაირადაა მისაღები როგორც შიიტი, ისე სუნიტი მუსლიმებისთვის. ისლამის ფუძემდებლის მუჰამმადის ნების შესაბამისად, ალი უნდა ვიგულისხმოთ ღვთის მოციქულის სულიერ მემკვიდრედ.

ალი იბნ აბუ თალიბი წინასწარმეტყველ მუჰამადის ბიძაშვილი და სიძე იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მოციქულ მუჰამადის გარდა, ისლამის ისტორიაში არ მოიპოვება ადამიანი, რომლის შესახებაც იმდენი დაიწერა, რამდენიც იმამ ალის შესახებ.

იმამ ალი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მოციქულ მუჰამადის ქადაგება იწამა და პირველი მუსლიმი გახდა. ის მუჰამადის ყველაზე ერთგულ თანამებრძოლად ითვლება. ამას ადასტურებს ის, რომ ალიმ ყველა ის სიძნელეები გადალახა, რაც მუჰამადმა მისი მოღვაწეობის მექისა და მედინის პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ ალი მუჰამადის პირდაპირი მემკვიდრე იყო, მას ხალიფად გახდომამდე საკმაოდ რთული და გრძელი გზა ღირსეულად გაიარა. ამიტომაც არის ის ძვირფასი ყველა მუსლიმისათვის. დიდია იმამ ალის მნიშვნელობა შიიტური ისლამის რელიგიურ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში.

საკვანძო სიტყვები: მოციქული, იმამი, ისლამი, შიიზმი, სუნიზმი.

Imam Ali - One of the Key Representatives of the Islamic Spiritual World

Maia Kapanadze

Associate Professor,

Caucasus International University

Mail: maiakapanadze@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0000-0002-7460-5374>

Ketevan Shoshiashvili

Associate Professor,

Caucasus International University

ketevan.shoshiashvili@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0000-0003-1542-5987>

Abstract

Imam Ali is one of the important representatives of the Islamic spiritual world, the first Muslim after the Messenger of God, Muhammad, and the first of the twelve Imams. Although his name is associated with the establishment of the Shiite direction in Islamism, it is Imam Ali who is equally acceptable to both Shiite and Sunni Muslims. According to the will of Muhammad, the founder of Islam, Ali should be understood as the spiritual successor of the Messenger of God. Ali Ibn Abu Talib was the cousin and son-in-law of Prophet Muhammad. It should be noted that except for Prophet Muhammad, there is no other person in the history of Islam who has been written about as much as Imam Ali. It should be noted that Imam Ali was one of the first to believe in the preaching of the Prophet Muhammad and became the first Muslim. He became Muhammad's most loyal companion, always distinguished by his loyalty. This is confirmed by the fact that Ali overcame all the difficulties that Muhammad faced during his ministry in Mecca and Medina. Although Ali was the direct heir of Muhammad, he had to go through a rather difficult and long path before becoming the caliph. He walked this path with dignity. That is why he is precious to all Muslims. Imam Ali's importance in the religious and intellectual life of Shiite Islam is great.

Keywords: Messenger, Imam, Islam, Shiism, Sunnism.

მოციქულ მუჰამადის ბიძაშვილი, მეოთხე მართლმორწმუნე ხალიფა ალი დაახლოებით 600 წელს (ჰიჯრიდან 23 წლით ადრე) დაიბადა ქ. მექაში, ქააბას სახლში. მისი მშობლები იყვნენ აბუ თალიბი (მოციქულ მუჰამადის ბიძა) და ფატიმა ბინთ ასადი. დედამისი დაახლოებით 662 წელს (ჰიჯრის 40 წელს), რამაზანის თვის 27-ში ქ. ქუფაში გარდაიცვალა. ის დასაფლავებულია შიიტთა წმინდა ქალაქ - ნაჯაფში (ერაყში). იმამ ალის მამა - აბუ თალიბი, არ იყო მხოლოდ მოციქულ მუჰამადის ბიძა. მოციქულის პაპის გარდაცვალების შემდეგ აბუ თალიბი მისი მეურვე გახდა. როდესაც ალი ხუთი წლის იყო, მამამისი გაღატაკდა. იგი მოციქულმა მუჰამადმა და მისმა მეუღლემ - ხადიჯამ აიყვანეს

და გაზარდეს. ტრადიციის თანახმად, ალი გახდა მეორე ადამიანი (10 წლის ასაკში) ხადიჯას შემდეგ, რომელმაც მიიღო ისლამი.⁹⁸

ალის მამის - აბუ თალიბისა და მუჰამმადის მეუღლის, ხადიჯას გარდაცვალების (619 წ.) შემდეგ მოციქული იძულებული გახდა მექა დაეტოვებინა და იასრიბში (შემდგომში მედინა) წასულიყო. მექიდან მუჰამმადის წასვლის განზრახვაზე იცოდნენ მისმა მტრებმა. მუჰამმადმაც იცოდა, რომ მის მოსაკლავად რომ ემზადებოდნენ. ის დათანხმდა, ღამით, სიბნელეში ერთი ადამიანის თანხლებით გასულიყო მექიდან. მკვლელებს უნდა ეფიქრათ, რომ წინასწარმეტყველი თავის სახლში იყო. ამიტომ, ვიღაც უნდა ჩაწოლილიყო წინასწარმეტყველის საწოლში. ამ მოვალეობის შესრულება, მისი სიცოცხლის გადარჩენა, საკუთარ თავზე ალიმ აიღო. ის საწოლში ჩაწვა. როდესაც მკვლელები შევიდნენ მუჰამმადის სახლში, მის ნაცვლად იქ ალი დახვდათ.⁹⁹

ეს იყო ალის მამაცობისა და თავგანწირვის მაგალითი. მისი გმირული ქმედებები მრავალ ბრძოლაში გამოჩნდა, რომელიც მან მუჰამმადის გვერდით გადაიტანა. ალი გამოირჩეოდა ღვთისადმი რწმენაში. მას არასდროს გაუკეთებია რაიმე რწმენის გარეშე,¹⁰⁰

იმამ ალის 63 წლიანი ცხოვრება შეიძლება დაიყოს 5 განსხვავებულ პერიოდად, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია მისი მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენებით:¹⁰¹

1. ალის დაბადებიდან მუჰამმადის წინასწარმეტყველად დადგენამდე (600-610 წლები);
2. ალის ცხოვრების მეორე პერიოდი, რომელიც ათ წელზე ოდნავ მეტხანს გაგრძელდა, იწყება 610 წელს და გაგრძელდა წინასწარმეტყველის იასრიბში (მედინაში) გადასვლამდე (ჰიჯრამდე, 610-622 წლები);
3. იმამ ალის ცხოვრების მესამე პერიოდი კი არის დროის მონაკვეთი ჰიჯრიდან, წინასწარმეტყველის გარდაცვალებამდე (622-632 წლები);

⁹⁸ ფაშვაი მ. წმინდა იმამების ცხოვრება და მოღვაწეობა ისტორიის გადასახედიდან. სპარსულიდან აზერბაიჯანულად თარგმნა რ. იგიდოვმა. აზერბაიჯანულიდან ქართულად თარგმნა ო. ქაშიმოვმა. თბილისი, 2016. გვ. 7-11.

⁹⁹ სეიდ ჯაფარ შაჰიდი, ცხოვრება მუჰამადისა. სპარსულიდან თარგმნა ნ. ბართაიამ. თბილისი, 2008. გვ. 115.

¹⁰⁰ ლინკსი დ. ცხოვრება მუჰამადისა. თბილისი, 2008. გვ. 23.

¹⁰¹ იმამ ალის გამონათქვამები. თარგმნა ი. მამედლიმ. თბილისი, 2002 გვ. 4.

4. მეოთხე პერიოდი - წინასწარმეტყველის გარდაცვალებიდან ალის გახალიფებამდე (აბუ-ბაჟრის, ომარის, ოსმანის ხალიფობის პერიოდები, 632-658 წლები);

5. მეხუთე პერიოდი - იმამ ალის ხალიფობის პერიოდი, მის მოწამეობრივად აღსრულებამდე (658-661 წლები).¹⁰²

ჩამოთვლილი ხუთი პერიოდიდან, აღნიშნულ სტატიაში, მეტ ყურადღებას მეოთხე და მეხუთე პერიოდებზე გავამახვილებთ.

იმამების რელიგიური წინამძღვრობის საკითხი წინასწარმეტყველ მუჰამმადის გარდაცვალებიდან 632 წლიდან (პიჯრის 11 წელი) იმამ ჰასან ასკარის გარდაცვალებამდე, 882 წლამდე, (პიჯრის 260 წელი) დაახლოებით ოთხი ეტაპისგან შედგება. ყოველი ეტაპი, იმამების პოზიციების გათვალისწინებით, რიგი თავისებურებების შემცველია. ყურადღებას მხოლოდ ორ ეტაპზე გავამახვილებთ:

1. იმამის მომთმენელობა ან მბრძანებლებთან მორიგების ეტაპი: აღნიშნული პერიოდი წინასწარმეტყველ მუჰამმადის გარდაცვალებიდან, ალის ფაქტობრივ გახალიფებამდე ჟამს მოიცავს;

2. იმამ ალის ხალიფად მოსვლის ეტაპი: ეს პერიოდი ალის 4 წლისა და 9 თვიანი ხალიფობის ხანას, შემდეგ კი - იმამ ჰასანის რამდენიმე თვიანი ხალიფობის დროს მოიცავს. ამ ეტაპის ხანმოკლეობის მიუხედავად, ორივე იმამი - ალიც და ჰასანიც მტრებიდან მრავალ პრობლემას წააწყდნენ. ამავე დროს, აღნიშნული პერიოდი (668-663 წლები) ერთ-ერთ უბრწყინვალეს ეტაპად არის მიჩნეული.¹⁰³

632 წელს, როდესაც მუჰამმადი მედინაში დაბრუნდა ბოლო პილიგრიმიდან, მან ალის შესახებ განცხადებები გააკეთა, რომლებიც ძალიან განსხვავებულად იქნა განმარტებული სუნიტებისა და შიიტების მხრიდან.

ორივე ტრადიციის თანახმად, მუჰამმადმა თქვა, რომ ალი იყო მისი მემკვიდრე და მეგობარი და ვინც წინასწარმეტყველს მიიღებდა თავის მავლად („ბატონი“ ან „სანდო მეგობარი“), უნდა მიეღოთ ალიც, როგორც მისი მავლა.

¹⁰² იმამ ალის გამონათქვამები. თარგმნა ი. მამედლიმ. თბილისი, 2007. გვ. 5.

¹⁰³ იმამ ალის გამონათქვამები. თარგმნა ი. მამედლიმ. თბილისი, 2018. გვ. 7.

შიიტებმა ეს განცხადება ჩათვალეს წინასწარმეტყველის მიერ ალის გამოცხადებად, როგორც მის მემკვიდრედ და პირველ იმამად. ამის საპირისპიროდ, სუნიტებმა მუჰამადის ეს განცხადება აღიქვეს, როგორც წინასწარმეტყველის ალისთან სიახლოვის გამოხატულება. რაც საზოგადოების თვალში ცხადყოფდა მის სურვილს: ალის, როგორც მის ბიძაშვილსა და სიმეს, მისი სიკვდილის შემდეგ, დაემტკიცებინა ოჯახზე პასუხისმგებლობა.¹⁰⁴

უნდა აღინიშნოს, რომ ალი იყო წინასწარმეტყველ მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ, მისივე შექმნილი სახელმწიფოს მმართველი, მემკვიდრე და უფლებამოსილი პირი. რადგან ისლამურ სამყაროში, წინასწარმეტყველის გარდა, სათნოებით, ღვთისნიერებით, შარიათის ცოდნითა და მსგავსი კეთილშობილური თვისებებით ალიზე უპირატესი არავინ იყო.

არსებობდა ვარაუდი, რომ წინასწარმეტყველის გარდაცვალების შემდეგ ახლადშექმნილ მუსლიმურ სახელმწიფოს ალი უხელმძღვანელებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ხალიფას შერჩევის წესი წინასწარმეტყველის გარდაცვალების შემდეგ სრულიად შეიცვალა. ცვლილებების შედეგად, ალი პოლიტიკურ არენასა და ხელისუფლების სადავეებს გარკვეული დროით ჩამოაშორეს.¹⁰⁵

ალი ახლადშექმნილ სახელმწიფოსათვის რაიმე ზიანის მიყენების მცდელობასაც კი ძალიან კრიტიკულად აღიქვამდა და სახელმწიფოს წინაშე მდგარ ნებისმიერ პრობლემას აპროტესტებდა. იმამ ალის ასეთი მიდგომა, სახელმწიფოსთან მიმართებაში, მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადყო.¹⁰⁶

ასეთ ვითარებაში ალი ორ მთავარ გზაგასაყარზე უნდა დამდგარიყო:

I. ან ისლამური სახელმწიფოს ახალი ხელისუფლება უკანონოდ ეცნო და მომხრეების მხარდაჭერით დაესაკუთრებინა ძალა-უფლება;

II. ან არსებულ სინამდვილეს შერიგებოდა.

ალიმ - მეორე გზა აირჩია.

¹⁰⁴ "Sahih Muslim 1532b - The Book of Transactions - باب البيوع - Sunnah.com - Sayings and Teachings of Prophet Muhammad (صلى الله عليه وسلم)". sunnah.com. Retrieved 26 January 2024. გვ. 57-66.

¹⁰⁵ Jumpto:a b c d e f g h i j k l m n o p q r s t u v w x y z aa ab ac ad ae af ag ah ai Afsaruddin & Nasr 2023.98. Al-Nawawi, Yahya bin Sharaf. Tahdhibul Asma Wal Lughat. Rufoof. pp. vol. 1. ISBN 9786338026356. გვ. 409.

¹⁰⁶ Jumpto:a b c d e f g h i j k l m n o p q r s t u v w x y z aa ab ac ad ae af ag ah ai aj ak al am an Poonawala 1982. გვ. 114.

მან, 632 წელს, მუჰამმადის გარდაცვალების შემდეგ, მოვლენათა განვითარების შედეგად გადაწყვიტა, რომ ხელისუფლების ძალისმიერი გზით ხელში ჩაგდების შემთხვევაში, წინასწარმეტყველის 23 წლის განმავლობაში გაწეული ჯაფა ფუჟად ჩაივლიდა.

თავად ალი, ამ საკითხს, ერთ-ერთ ქადაგებაში ასე განიხილავს: „მე

ხელისუფლებაზე უარი განვაცხადე და განზე გავდექი. თავში მიტრიალებდა აზრები, მართოდმართო აღვმდგარიყავი ჩემი და ხალხის უფლებების დასაცავად, თუ ამ დაძაბულ ვითარებასა და ბოროტებაში დავრჩენილიყავი და მოთმინება გამომეჩინა. ასეთმა ვითარებამ ასაკოვნები დააძაბუნა, ახალგაზრდები კი ერთბაშად დააბერა. მორწმუნეები მთელი სიცოცხლის განმავლობაში ტანჯვისთვის იყვნენ განწირულნი. ბოლოს დავინახე, რომ მოთმენა საღ აზრთან უფრო ახლოსაა, ამიტომ თმენა ვარჩიე. ნათლად ვხედავდი, ჩემს მემკვიდრეობას როგორ იტაცებდნენ და ითვისებენ" ¹⁰⁷

ამ გადაწყვეტილების შესახებ ის სხვა სიტყვებშიც მიუთითებს: მაგალითად, როცა საბჭომ ხალიფობა ოსმანის სასარგებლოდ გადაწყვიტა, ალიმ საბჭოს წევრებს ასე მიმართა „მე რომ ხალიფად ყოფნაზე უფრო მეტი უფლებამოსილება გამაჩნია, კარგად მოგეხსენებათ. ვფიცავ უფალს, რომ მოთმენას ვარჩევ". ¹⁰⁸

ალიმ აჯანყების გზით ხალიფობის ხელში ჩაგდების შემთხვევაში მოსალოდნელი საფრთხეების გაჩენა გაითვალისწინა. ჩნდება კითხვა - ახალ საფუძველჩაყრილ სახელმწიფოს რა საფრთხეები შეიძლება დამუქრებოდა?

ალი მისთვის კუთვნილი ხალიფობის მისაღებად რომ აჯანყებულიყო, მისი მომხრეების უმრავლესობას ბრძოლაში დაკარგავდა. გარდა ამისა, ალის ხალიფობაზე უარის მთქმელი წინასწარმეტყველ მუჰამმადის მომხრეებიც დაიხოცებოდნენ. ამიტომაც „თმენის გამოჩენა და მუსლიმებს შორის განხეთქილების ჩამოგდება სისხლის ღვრაზე ბევრად უკეთესი იქნებოდა" ¹⁰⁹

წინასწარმეტყველ მუჰამმადის სიცოცხლის ბოლო ხანებში მრავალი გამუსლიმებული არაბული ტომი ისლამის მოძღვრებას კარგად არ იყვნენ გაცნობილები და შესაბამისად, რწმენით არ გამოირჩეოდნენ. როგორც კი წინასწარმეტყველის გარდაცვალება შეიტყვეს, ამ

¹⁰⁷ Jump up to: a b c d e f Buehler 2014, 33, 185-186).

¹⁰⁸ Jump up to: a b c d e f Buehler 2014, 83, 187.

¹⁰⁹ Jump up to: a b Schmucker 2012. 83, 95

ტომებიდან ბევრი მათგანი ისევ კერპთაყვანისმცემლობას დაუბრუნდა და მედინაში ისლამური ხელისუფლების საწინააღმდეგო ქმედებები წამოიწყო. მათ ჯარის შეგროვებაც კი დაიწყეს და ამით მედინა საფრთხის წინაშე დააყენეს. ამ მოძრაობის საპასუხოდ ახლად ჩამოყალიბებულმა ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ ჯარი შეკრიბა და აჯანყება ჩაახშო.¹¹⁰

ასეთ ვითარებაში იმამ ალის კიდევ ერთი აჯანყება ვერაფრით გამართლდებოდა. ის ეგვიპტის მოსახლეობისადმი გაგზავნილ წერილში ამ საკითხს ეხება; „არასდროს მომივიდოდა აზრად, რომ არაბები წინასწარმეტყველის გარდაცვალების შემდეგ იმამათს და წინამძღვრობას მის ოჯახს წაართმევდნენ და ხალიფობას განმარიდებდნენ. მე ძალიან მალეღვებ, რომ ხალხი აბუ ბაქრის გარშემო შემოკრებილი და მას ემორჩილებიან“.¹¹¹

ალი ამ საკითხს მისი ხალიფად არჩევის პირველ დღეებშიც შეეხო. ის წინასწარმეტყველის მეჩეთში (მედინაში) შეკრებილ ხალხს შეხვდა და მიმართა: „წინასწარმეტყველის ჩვენგან წასვლის შემდეგ ვფიქრობდი, რომ ხალიფობის თაობაზე არავის შევეცილებოდი, რადგან ეს ჩვენი უფლებამოსილება იყო იქედან გამომდინარე, რომ წინასწარმეტყველის სახლეულს წარმოვადგენთ. მაგრამ მოხდა პირიქით, ჩვენი უფლებები უფლებელყოფილი იქნა - ხალიფობა სხვის ხელში აღმოჩნდა. მუსლიმებს შორის განხეთქილება კერპთაყვანისმცემლობის დაბრუნებისა და ისლამის განადგურების საფრთხე რომ არ ყოფილიყო, მე მათ საკადრისად მივუზღავდი“.¹¹²

კერპთაყვანისმცემლების მხრიდან აჯანყების საფრთხის გარდა, გაჩნდნენ ცრუ წინასწარმეტყველები. მათ თავიანთ ირგვლივ ხალხი შემოიკრიბეს და მედინაზე (ყოფილი იასრიბი) გალაშქრება განიზრახეს.¹¹³ ესეც ერთ-ერთ საფრთხედ ითვლებოდა, მაგრამ მუსლიმთა გაერთიანებამ ეს მოსალოდნელი საფრთხე მოსპო.

მუსლიმთათვის საფრთხეს აღმოსავლეთ რომის იმპერიაც ქმნიდა. ზემოთ მოტანილ არგუმენტებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ ალი ხალიფობისათვის ბრძოლაში რომ ჩაბმულიყო, მუსლიმებს შორის სამოქალაქო ომი დაიწყებოდა.

¹¹⁰ Jump up to: a b Schmucker 2012. გვ. 98.

¹¹¹ Jump up to: a b Madelung 1997, გვ. 24.

¹¹² Jump up to: a b Madelung 1997, გვ. 26.

¹¹³ Qutbuddin 2006. გვ. 248.

ნათელია, რომ ალიმ მოთმინებითა და შიორსმჭვრეტელობით ისლამური საზოგადოება ხიფათისაგან იხსნა. მუსლიმთა გახლეჩის შიში რომ არ ყოფილიყო, ალი სხვებს გახალიფების საშუალებას არ მისცემდა.

ალის მოღვაწეობა ხალიფობის პერიოდში. ალის ხალიფობის პერიოდის (658-661 წლები) მოღვაწეობა შემდეგ სფეროებს მოიცავდა; ყურანის განმარტება და აიებში რთულად აღსაქმელი ადგილების ახსნა-განმარტება: მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ ისლამის შესახებ დაინტერესებული და მედინაში ჩასულ მსოფლიო მეცნიერთა შეკითხვებზე, განსაკუთრებით კი- იუდეისტური და ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი მეცნიერების შეკითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა.

ალიმ კარგად იცოდა ძველი აღთქმა და სახარება. აქედან გამომდინარე, მედინაში ჩამოსულ მეცნიერთა შეკითხვებზე ძველი აღთქმისა და სახარების კარგი მცოდნის, ალის გარდა, მათ პასუხს ვერავინ სცემდა. მუსლიმთაგან შეკითხვებზე პასუხს თუ ვერავინ გასცემდა, ეს მაშინდელი ისლამური სამყაროსათვის დიდი დარტყმა იქნებოდა.

ისლამში არსებული სჯულის კანონების ახსნა, მათი განხილვა და ჰაზაგათი იმდენად იყო ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ ყადიებიც კი მათ ახსნაში უძლურები იყვნენ. ამგვარ განხილვებში ალი იღებდა მონაწილეობას, რადგან ის, ამ საქმეში ყველაზე ჩახედული იყო. ალის მსგავსი ვინმე რომ არ ყოფილიყო, ისლამის საწყის პერიოდში მრავალი საკითხი გაურკვეველი დარჩებოდა.¹¹⁴

წინასწარმეტყველ მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ მსგავსი საკითხების წამოჭრა, მათი გადაწყვეტის უნარი და სათანადო ცოდნა მხოლოდ ალის ჰქონდა, ამიტომ მისი ხალიფობის საკითხი სულ უფრო მეტად აქტუალური ხდებოდა. ალის მიერ ჰაზავიებისა და ყურანის აიების გაბნარტებებმა მრავალ ჰადისში და წიგნში ჰპოვა თავისი ადგილი.

ალი უპატრონოთა და უპოვართა დამხმარე იყო. ის საკუთარი შრომით აშენებდა ბაღ-ვენახებსა და გასცემდა უპოვართათვის წყალობას. სახელმწიფო მმართველობაში მყოფი პოლიტიკოსები სხვადასხვა სირთულეებიდან თავის დასაღწევად მხოლოდ ალის მიმართავდნენ, როგორც სანდო მრჩეველს. ალი მისთვის დამახასიათებელი სწორი ხედვით უხსნიდა მათ და სწორ გზას უჩვენებდ. ¹¹⁵

¹¹⁴ Levi Della Vida & Khoury 2012.გვ. 26.

¹¹⁵ Nasr et al. 2015, . გვ. 18.

ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოს მთავარ მტერთაგან ერთ-ერთი რომის იმპერია იყო. წინასწარმეტყველი მუჰამადი რომის იმპერიიდან მოსალოდნელ საფრთხეებს დიდი ყურადღებით ეკიდებოდა. მან დაახლოებით 630 წელს (ჰიჯრის რვა წელს) ჯაფარი-თაიარის სარდლობით სირიის მიმართულებით ჯარი გაგზავნა, მაგრამ ისლამურმა ჯარმა სამი მეთაური და უამრავი მხედარი დაკარგა ამ ბრძოლაში და დამარცხებული დაბრუნდა მედინაში. მომდევნო წელს, წინა წლის დამარცხების საპასუხოდ, წინასწარმეტყველი დიდი ჯარით წავიდა თაბუკის მიმართულებით, მაგრამ მუსლიმები ისე დაბრუნდნენ უკან, რომ მტერს არ შეხვედრიან. ამ ლაშქრობას მთელი რიგი ბრწყინვალე შედეგები მოჰყვა, მაგრამ რომაელების მხრიდან საფრთხე მაინც იყო. მუჰამადმა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, უკვე ავადმყოფობით შეწუხებულმა, მუსლიმთა ჯარი კიდევ გაგზავნა სირიის მიმართულებით. როდესაც ჯარი მედინას რამოდენიმე კილომეტრით გასცდა, მუჰამადი გარდაიცვალა.¹¹⁶

წინასწარმეტყველის გარდაცვალების შემდეგ პირველი მართლმორწმუნე ხალიფა აბუ ბაქრი (632-634 წწ.) რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში ორჭოფობდა, ვერ გადაეწყვიტა, შეებრძოლებოდა თუ არა რომაელებს. აბუ ბაქრმა მის მომხრეთა ერთი ჯგუფი დაიბარა და რჩევა ჰკითხა, როგორ მოქცეულიყო რომაელების წინააღმდეგ. ყოველმა მათგანმა ამ საკითხზე მას განსხვავებული რჩევა მისცა. აბუ ბაქრი რჩევებმა არ დააკმაყოფილა და ამიტომ ალის მიმართა. ალიმ, აბუ ბაქრი წინასწარმეტყველის ბრძანების შესრულების აუცილებლობაში დაარწმუნა და უთხრა, თუ შეებრძოლები რომაელებს, აუცილებლად გამარჯვებას მოიპოვებო. ამით ალიმ გაამხნევა ხალიფა აბუ ბაქრი. რჩევებს იმამ ალისგან იღებდნენ ომარი და ოსმანიც.¹¹⁷

ხალიფა ოსმანის ჩავარდნებმა მმართველობასა და ფინანსებში, ხაზინის არამიზნობრივად ხარჯვამ, კომპეტენტური პირების თანამდებობიდან მოხსნამ და მათ ადგილზე თავისი ახლობლებისა და არაკომპეტენტური პირების თანამდებობებზე დანიშვნამ ხალხი ხალიფა ოსმანის წინააღმდეგ განაწყო და ოსმანისაგან უღირსი ადამიანების სამსახურიდან დათხოვნა მოითხოვეს. ამაზეც ხალიფასგან უარი

¹¹⁶ Shah-Kazemi 2019, pp. 89–90. გვ. 88;89.

¹¹⁷ Shah-Kazemi 2019, pp. 89–90. გვ. 93-96.

მიიღეს, რასაც აჯანყება მოჰყვა. ამ აჯანყებამ ოსმანის სიცოცხლე შეიწირა. ამის შემდეგ ხალხმა ალი აირჩია ხალიფად.¹¹⁸

ალის ხალიფობის პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე მღელვარე პერიოდი იყო მის ცხოვრებაში. ყურეიშის ტომის მრავალი წევრი მის წინააღმდეგ გამოვიდა, რადგან ის იცავდა ჰაშიმიტების უფლებებს. ჰაშიმიტები იყვნენ ყურეიშის ტომის ის გვარი, რომელსაც წინასწარმეტყველი მუჰამადი და ალი ეკუთვნოდნენ. ალის ოპონენტებს შორის უპირველესი იყო სირიის მმართველი მუავია.

ალის მხარს უჭერდნენ ერაყელები. სანამ ის მუავიას წინააღმდეგ მოქმედებაზე გადავიდოდა, უნდა გამკლავებოდა მის წინააღმდეგ მიმდინარე აჯანყებებს. რომელსაც შეუერთდა აიშა, აბუ ბაქრის ასული და მუჰამადის მეუღლე. ალიმ აჯანყებულებთან ბრძოლა გამართა, რომელიც „აქლემის ბრძოლის“ სახელითაა ცნობილი. ამ ბრძოლაში მან გაიმარჯვა. მისი მოწინააღმდეგეები, რომლებიც აჯანყებას ედგნენ სათავეში, მოკლეს, აიშა კი უსაფრთხოდ დააბრუნეს მედინაში.¹¹⁹

იმამ ალის მიერ სამართლიანობაზე აგებულ ხელისუფლებასა და სახალიფოში ისლამის პრინციპების აღორძინებას ადამიანების გარკვეული ჯგუფი ვერ ეგუებოდა. მათ ჩამოყალიბეს ალის მოწინააღმდეგეთა ჯგუფი, რომლებიც ორგანიზებულად დაუპირისპირდნენ მას.¹²⁰

სირიის გამგებელ მუავიას ჯერ კიდევ ალის გახალიფებამდე რამდენიმე წლით ადრე, სირიაში ყოფნისას ხალიფად გახდომის სურვილი გაუჩნდა და ამისთვის მზადებასაც კი შეუდგა. მუავიას ეს განზრახვა ცნობილი იყო იმამ ალისთვის. ხალიფად გახდომის შემდეგ ალიმ ბრძანება გასცა, მუავიას სირიის გამიგებლობიდან გადაყენების შესახებ. მუავია ალის ბრძანებას არ დაემორჩილა. ამ დაპირისპირების შედეგი ის იყო, რომ მათ შორის ბრძოლა გამართა (სიფეინის ბრძოლა). მუავიამ იმამ ალის ჯარში არეულობა შეიტანა. აქედან

¹¹⁸ "Druze in Syria". Harvard Divinity School. Harvard University Press. Archived from the original on 9 December 2023. Retrieved 9 December 2023. გვ. 18-20.

¹¹⁹ چرا ندی گوی اب و راب، (ع)عل حضرت ب ه چرا (29 июля 2013). Дата обращения: 8 сентября 2021. Архивировано 8 сентября 2021. гв. 32-37.

¹²⁰ چرا ندی گوی اب و راب، (ع)عل حضرت ب ه چرا (29 июля 2013). Дата обращения: 8 сентября 2021. Архивировано 8 сентября 2021. гв. 41.

გამომდინარე, ალი ჯარის დაჟინებული მოთხოვნით იძულებული გახდა მოლაპარაკებაზე დათანხმებულიყო მუავიასთან.¹²¹

მათ შორის მოლაპარაკება უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ამ მოლაპარაკების დროს მუავიას სურვილი აშკარად გამოჩნდა. ამ მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ იმამ ალის ჯარის ერთმა ნაწილმა უკმაყოფილება გამოთქვა მოლაპარაკების შედეგებზე და ალის დაუპირისპირდა.¹²²

კასითინის ბრძოლა ჰიჯრის 37 წელს მოხდა. ეს ბრძოლა ისტორიაში „სიფეინის ბრძოლის“ სახელით არის ცნობილი.

ამ მოლაპარაკებების შედეგებით უკმაყოფილო იმამ ალის მხარდამჭერების ერთმა ჯგუფმა ალისგან მოითხოვეს მოლაპარაკების დროს მიღწეულ პირობებზე უარის თქმა. ალი მათ ამ მოთხოვნას არ დაეთანხმა. ამის გამო, ამ ჯგუფმა, ალის წინააღმდეგ ჯარი შეკრიბა. ბრძოლა მათ შორის გაიმართა ნეჰრევანთან. ამ ბრძოლაში ალიმ გაიმარჯვა, მაგრამ მათ შორის დაპირისპირება ამით არ დასრულებულა.¹²³

ოთხი წლისა და ცხრა თვის ხალიფობის შემდეგ, 661 წელს (ჰიჯრის 40 წელს 19 რამაზანის თვეს) ღამით იმამ ალისთან იმ დაპირისპირებულებიდან ერთ-ერთმა მარიგინმა აბდულრაჰმან იბნ მულჯანმა ქუფას მეჩეთში ნამაზზე მდგარ ალის სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. ამ შემთხვევიდან, იმამ ალი ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა.¹²⁴

იმამ ალი ნაჯაფში (ერაყში) დაკრძალეს. ირანის ქალაქ ყუმთან ერთად ნაჯაფი გახდა და დღემდე რჩება შიიტური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ადგილად. მომლოცველებისათვის ნაჯაფი და ყუმი ძალიან მნიშვნელოვანი ლოკაციაა.

იმამ ალის მნიშვნელობა შიიტური ისლამის რელიგიური და ინტელექტუალური ცხოვრების ყველა ასპექტში, გადაუჭარბებლად, ხაზგასმის ღირსია. შიიტებისათვის ყოველწლიურად რამადანის თვის 19-დან 21-მდე, სამ დღიანი პერიოდი ინტენსიური ლოცვისა და ღვთისადმი ვედრების დროა, რაც აღნიშნავს ალის სიცოცხლის ბოლო სამ დღეს. ბევრი შიიტი ამ პერიოდის ღამეებს, რომელსაც „აჰია“-ს უწოდებენ, მეჩეთებში

¹²¹ Ibn Muldjam / Veccia Vaglieri L. // Encyclopaedia of Islam. 2nd ed : [англ.] : in 12 vol. / ed. by P. J. Bearman, Th. Bianquis, C. E. Bosworth, E. van Donzel, W. P. Heinrichs et al. — Leiden : E.J. Brill, 1960—2005. (платн.). გვ. 119.

¹²² Ibn Muldjam / Veccia Vaglieri L. // Encyclopaedia of Islam. 2nd ed : [англ.] : in 12 vol. / ed. by P. J. Bearman, Th. Bianquis, C. E. Bosworth, E. van Donzel, W. P. Heinrichs et al. — Leiden : E.J. Brill, 1960—2005. (платн.). გვ. 121.

¹²³ <https://www.britannica.com/biography/Ali-Muslim-caliph>

¹²⁴ <https://www.britannica.com/biography/Ali-Muslim-caliph>

ატარებს. ამით გამოიხატება იმამ ალისადმი ერთგულება, არა მხოლოდ როგორც წინასწარმეტყველის მემკვიდრისა, არამედ როგორც პირველ იმამის და ყველა შემდგომი იმამის წინაპარის მიმართ. იმამ ალის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შიიზმის რელიგიურ ცნობიერებაში.

იმამ ალიმ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გაატარა ღვთისადმი მორჩილებასა და მსახურებაში. ის ასევე იყო მმართველი, რომელსაც შეეძლო ომები ეწარმოებინა სხვა სახელმწიფოებთან, როგორც თავდაცვის, ისე მისი სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოების მიზნით, მაგრამ ეს არ გააკეთა. იმამმა იცოდა თავისი პოლიტიკური ოპონენტების გეგმების შესახებ. ზოგიერთი მათგანს, ნათესავებსაც კი, სურდათ მისი პოზიციით სარგებლობა. ოპონენტებმა იცოდნენ, რომ როცა ძალაუფლება ალის ხელში იქნებოდა, მათი წარსული საქციელის გამო დაისჯებოდნენ, ამიტომ მის წინააღმდეგ ამოქმედნენ და ბრძოლა გამოუცხადეს მას.

ალი იბნ აბუ თალიბს, რომლის მფლობელობაში არაერთ ქვეყანა იყო, თავისთვის სასახლეც კი არ აუშენებია. ის ცხოვრობდა ერაყში ქუფას მეჩეთის მახლობლად მოკრძალებულ სახლში.

დიდია იმამის წვლილი ფილოსოფიის, სოციოლოგიის, განათლებისა სხვადასხვა დარგების განვითარებაში. იმამ ალი წინასწარმეტყველ მუჰამადის მსგავსად იყო მორწმუნე, პროგრესულად მოაზროვნე და რეფორმატორი.

იმამ ალის ჰყავდა განსაკუთრებული ერთგულებით გამირჩეული თანამებრძოლები.¹²⁵ მაგალითად, მალიქ აშთარ ნახაის რამდენიმე სტრიქონში დახასიათება შეუძლებელია. აღსანიშნავია მალიქის დახასიათება, რომელიც მოცემულია იმამ ალის მიერ ეგვიპტელებისადმი მიწერილ წერილში: „მე გიგზავნიტ ეგვიპტის სამართავად ღვთის ერთ-ერთ ღირსეულ მსახურს, რომელიც მუდამ ფხიზლობს ხიფათის მოლოდინში, არ ეშინია და არ აქცევს ზურგს თავის მტრებს. ვინც ბოროტებას აკეთებს, მის მიმართ ცეცხლზე უარესია. მოუსმინეთ მის სიტყვებს და შეასრულეთ მისი ბრძანებები“. ¹²⁶ იმამ ალის ეკუთვნის შემდეგი შეფასება მის შესახებ: „მალიქი ჩემთვის იყო ის, რაც მე ვიყავი წინასწარმეტყველისთვის“.¹²⁷

¹²⁵ <https://www.al-islam.org/media/how-did-imam-ali-treat-jews-christians-there-compulsion-religion>

¹²⁶ <https://www.al-islam.org/media/how-did-imam-ali-treat-jews-christians-there-compulsion-religion>

¹²⁷ <https://www.al-islam.org/media/how-did-imam-ali-treat-jews-christians-there-compulsion-religion>

მალიქმა დიდი სიმამაცე და თავდადება გამოიჩინა სიფაინის ომში. მუავიამ მას ალის მარჯვენა ხელი უწოდა. სიფაინიდან დაბრუნების შემდეგ ალიმ იგი ეგვიპტის მმართველად დანიშნა. მალიქის გარდაცვალების შემდეგ მალიან შეძრწუნდა. იმამ ალიმ ამ შეუდარებლად მამაცი მეომრის გამო თქვა: „თუ მალიქი მთა იყო, მაშინ მხოლოდ მაღალი თუ ქვა იყო, მაშინ მხოლოდ ყველაზე ძლიერი. ჩვენ ვერასდროს ვიხილავთ სხვა ადამიანს, ისეთი, როგორიც მალიქია“.¹²⁸

უვეის კარანი იყო ასკეტი და მისტიკოსი. იემენში ის აქლემების ქარავანს წინამძღოლობდა. მან დედას ნებართვა სთხოვა, რომ წასულიყო მედინაში წინასწარმეტყველ მუჰამმადთან შესახვედრად. დედამ ნება დართო, უკან დაბრუნების იმედით. მედინაში ჩასულ უვეუსს მუჰამმადი იქ არ დახვდა. უვეისი უკან დასაბრუნებელ გზას გაუდგა ისე, რომ წინასწარმეტყველი არ უნახავს. როდესაც წინასწარმეტყველი დაბრუნდა მედინაში და შევიდა სახლში, ალის ჰკითხა: „რა არის ეს სინათლე, რასაც მე აქ ვხედავ?“ ალიმ უპასუხა, რომ აქლემის წინამძღოლი, სახელად უვეისი, მოვიდა მის სანახავად იემენიდან და რამდენიმე საათის შემდეგ გაბრუნდა უკან. წინასწარმეტყველმა თქვა: „მან დატოვა ეს შუქი საჩუქრად ჩემს სახლში“.¹²⁹ წინასწარმეტყველმა უვეისს ყოვლისშემძლე სული უწოდა.¹³⁰ უვეის კარანი იმამ ალისთან სიფაინში მივიდა და მას ერთგულების ფიცი დაუდო. უვეისი სიფაინში იმამ ალისთან გვერდიგვერდ ირძოდა. ის ამ ბრძოლაში დაიღუპა.

მუჰამედ იბნ აბუ ბაქრი იყო იმამ ალის განსაკუთრებული თანამებრძოლი. თითქმის მისი შვილი. ჯამალისა და სიფეინის ომებში ის იბრძოდა ალის გვერდით. ის ამ ბრძოლებში გამოირჩეოდა გამბედაობითა და თავდადებით. მუჰამედი, სიფეინის ბრძოლის შემდეგ, იმამ ალიმ ეგვიპტის მმართველად დანიშნა. ეგვიპტელები აჯანყდნენ მუჰამედის წინააღმდეგ - მუავიას ინტრიგების შედეგად და მოკლეს.

მისმა გარდაცვალებამ იმამ ალი ძალოან დაამწუხრა. გარდა იმისა, რომ მუჰამედი იყო იმამ ალის ერთგული თანამებრძოლი, დედა ასმა უმადისის ასული, მისი ნათესავი იყო.¹³¹

¹²⁸ <https://www.al-islam.org/media/how-did-imam-ali-treat-jews-christians-there-compulsion-religion>

¹²⁹ <https://www.al-islam.org/media/how-did-imam-ali-treat-jews-christians-there-compulsion-religion>

¹³⁰ <https://www.al-islam.org/media/how-did-imam-ali-treat-jews-christians-there-compulsion-religion>

¹³¹ <https://www.al-islam.org/media/how-did-imam-ali-treat-jews-christians-there-compulsion-religion>

4. მაისამ ტამარი იყო იმამ ალის ერთ-ერთი განსაკუთრებული თანამებრძოლი. მაისამის ალი ძალიან უყვარდა, რის გამოც ის ჩამოახრჩვეს.

მაისამს ალიმ ასეთი დასასრული უწინასწარმეტყველა და ის ფინიკის ხეც კი აჩვენა, რომელზეც მას ჩამოახრჩობდნენ. მაისამი ამ ხეს დროდადრო რწყავდა და მასთან ლოცვებს კითხულობდა.¹³²

კომილ იბნ ზიადი იმამ ალის ერთ-ერთი განსაკუთრებული თანამებრძოლი იყო. ისიც ალის ერთგულების გამო დასაჯეს სიკვდილით.¹³³

6. აბდულა იბნ აბასი იმამ ალის ბიძაშვილი, მისი ერთ-ერთი განსაკუთრებული თანამებრძოლი და ფავორიტი იყო. ის ჭკუითა და გამჭრიახობით გამოირჩეოდა, ამიტომ, სიფეინის ბრძოლაში ალიმ ის ერთ-ერთ სარდლად დაასახელა, მაგრამ ალის მისი მეომრები არ დაეთანხმნენ. იბნ აბასი, როგორც იმამ ალის მიმდევარი და ჭეშმარიტი შიიტი, ძალიან დაამწუხრა იმამ ალის მოწამეობრივმა სიკვდილიმ და გამუდმებით გლოვობდა ალის.¹³⁴

კანზარი იმამ ალის განსაკუთრებული მსახურობის გამო დააპატიმრეს. მისგან მოითხოვეს, უარი ეთქვა ალის მიმდევრობაზე (შიიზმზე), რაზეც კანზარმა უარი თქვა. მისგან უარის მიღებით განრისხებულებმა, უთხრეს აერჩია, როგორ მოეკლათ. კანზარის პასუხი იყო, მოეკლათ, როგორც უნდოდათ. ის სიკვდილით დასაჯეს.¹³⁵

რუშიდ ჰიჯრი იმამ ალის ერთ-ერთი რჩეული თანამოაზრე იყო. იმამ ალიმ მას უთხრა, რომ როგორც ამქვეყნად, ასევე იმქვეყნად, შენ ჩემთან იქნებიო. ლეგენდის მიხედვით, ერთ დღეს, იმამ ალი თანმხლებ პირებთან ერთად ფინიკის ხეობაში წავიდა და ხის ქვეშ დაჯდა. მისმა თანამგზავრებმა რამდენიმე ფინიკი აკრიფეს და იმამს მიუტანეს. რუშიდმა წამოიძახა: „რა გემრიელი ფინიკია!“ ალიმ თქვა; „რუშიდ, შენ ამ ხეზე ჩამოიხრჩობი“. ¹³⁶

¹³² <https://arabic.balaghah.net/content/>

¹³³ <https://arabic.balaghah.net/content/>

¹³⁴ <https://www.imamali-ali.com/ru/>

¹³⁵ <https://www.imamali-ali.com/ru/>

¹³⁶ <https://www.imamali-ali.com/ru/>

იმ დღიდან რუმიდი ყოველდღე მოდიოდა ამ ხესთან და რწყავდა მას. ერთ დღეს რუმიდმა შენიშნა, რომ ხის ტოტი მოტყდა. ის მიხვდა, რომ მისი აღსასრული ახლოვდებოდა¹³⁷ ის მართლაც იმ ფინიკის ხეზე ჩამოახრჩვეს.¹³⁸

9. სუჰაილ იბნ ჰუნაიფი ალის ერთ-ერთი გულწრფელი მიმდევარია, რომელიც მამაცურად იბრძოდა სიფეინში. ის გარდაიცვალა ქუფაში სიფეინიდან დაბრუნების შემდეგ. სუჰაილი ასევე მონაწილეობდა წინასწარმეტყველ მუჰამმადის ბრძოლებშიც. სუჰაილი სანდო ადამიანი იყო. იმამ ალი, როდესაც ბასრაში წავიდა საბრძოლველად, სუჰაილი დატოვა მედინაში მის ადგილას.

ძმები საასათ იბნ სუჰანი და ზაიდინ იბნ სუჰანი იყვნენ ალის განსაკუთრებული თანამებრძოლები, რომლებიც დაიღუპნენ ერთ-ერთ ბრძოლაში, რიმელიც ალიმ მოწინააღმდეგეებთან გამართა.¹³⁹

ამმარ იასირი ქუფას მმართველი, რომელიც გამუდმებით ესაუბრებოდა ქუფელ ხალხს იმამ ალის უპირატესობაზე. ეს შეიტყო თუ არა ხალიფა ომარმა, იგი გადააყენა ქუფას მმართველობიდან. ამარი თავგანწირვით იბრძოდა სიფეინში და მოწამეობრივად დაიღუპა კიდეც ამ ბრძოლაში.¹⁴⁰

იმამ ალის მრავალი ერთგული თანამებრძოლი ჰყავდა, რომლებსაც ის სრულად ენდობოდა. მათი ნაწილი, იმამ ალისადმი ერთგულების გამო, სასტიკად დაისაჯა.

დასკვნა

მიუხედავად იმამ ალის მიმართ არსებული მნიშვნელოვანი წინააღმდეგობისა, მან გადამწყვეტი როლი ითამაშა შიიტური ისლამის რელიგიური და ინტელექტუალური ცხოვრების ჩამოყალიბებაში. მას მხარს უჭერდნენ ერთგული მიმდევრები და თანამებრძოლები, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილზე ვისაუბრეთ წინამდებარე ნაშრომში.

¹³⁷ <https://www.imamali-ali.com/ru/>

¹³⁸ <https://www.imamali-ali.com/ru/>

¹³⁹ <https://old.makarem.ir/>

¹⁴⁰ <https://old.makarem.ir/>

გამოყენებული ლიტერატურა

1. იმამ ალის გამონათქვამები. თარგმნა ი. მამედლიმ. თბილისი, 2002.
2. იმამ ალის გამონათქვამები. თარგმნა ი. მამედლიმ. თბილისი, 2007.
3. იმამ ალის გამონათქვამები. თარგმნა ი. მამედლიმ. თბილისი, 2018.
4. ლინკსი დ. ცხოვრება მუჰამადისა. თბილისი (საქართველო), 2008.
5. სეიდ ჯაფარ შაჰიდი, ცხოვრება მუჰამადისა. სპარსულიდან თარგმნა ნ. ბართაიამ. თბილისი, 2008.
6. ფაშვაი. მ წმინდა იმამების ცხოვრება და მოღვაწეობა ისტორიის გადასახედიდან. სპარსულიდან აზერბაიჯანულად თარგმნა რ. იგიდოვმა. აზერბაიჯანულიდან ქართულად თარგმნა ო. ქაზიმოვმა. თბილისი, 2016.
7. "Druze in Syria". Harvard Divinity School. Harvard University Press. Archived from the original on 9 December 2023. Retrieved 9 December 2023.
8. "Sahih Muslim 1532b - The Book of Transactions - ال - ب ي و ع ك تاب - Sunnah.com - Sayings and Teachings of Prophet Muhammad (صلى الله عليه وسلم)". sunnah.com. Retrieved 26 January 2024.
9. Jumpto:a b c d e f g h i j k l m n o p q r s t u v w x y z aa ab ac ad ae af ag ah ai Afsaruddin & Nasr 2023.98. Al-Nawawi, Yahya bin Sharaf. Tahdhibul Asma Wal Lughat. Rufoof. pp. vol. 1. ISBN 9786338026356.
10. Jumpto:a b c d e f g h i j k l m n o p q r s t u v w x y z aa ab ac ad ae af ag ah ai aj ak al am an Poonawala 1982.
11. Jump up to:a b c d e f Buehler 2014,
12. Jump up to:a b Schmucker 2012.
13. Jump up to:a b Madelung 1997,
14. Ibn Muldjam / Veccia Vaglieri L. // Encyclopaedia of Islam. 2nd ed : [англ.] : in 12 vol. / ed. by P. J. Bearman, Th. Bianquis, C. E. Bosworth, E. van Donzel, W. P. Heinrichs et al. — Leiden : E.J. Brill, 1960—2005. (платн.)
15. Levi Della Vida & Khoury 2012.
16. Nasr et al. 2015
17. Qutbuddin 2006.
18. Shah-Kazemi 2019, pp. 89–90.
19. دگ وید نی می اب و ت راب، (ع) علی حضرت به چرا (перс.). ای سنا (29 июля 2013). Дата обращения: 8 сентября 2021. Архивировано 8 сентября 2021.
20. <https://www.britannica.com/biography/Ali-Muslim-caliph>

21. <https://www.al-islam.org/media/how-did-imam-ali-treat-jews-christians-there-compulsion-religion>
22. <https://arabic.balaghah.net/content/>
23. <https://www.imamali-ali.com/ru/>
24. <https://old.makarem.ir/>

ახალი მულტიპოლარული სამყარო და ჰეგემონური ამბიციები

მაღხაზ კაპანაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის დოქტორი

maxokapanadze@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0003-9941-4309>

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.11>

აბსტრაქტი

დღესდღეობით სამყარო ახალი წესრიგის ფორმირების პროცესშია, რომელიც გარკვეული სირთულით გამოირჩევა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენ მონოპოლარული სამყაროდან გადავდივართ მულტიპოლარულ სამყაროზე. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ერთადერთი სუპერ სახელმწიფო, რომელიც აყალიბებდა წესრიგს და დანარჩენ მსოფლიოს თავის თამაშის წესებს სთავაზობდა, იყო ამერიკის შეერთებული შტატები. თუმცა, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, აღნიშნულ ე.წ. ზესახელმწიფოს აქვს ჰეგემონიის დაღმავალი ციკლი, რომლის არსებობაც ისტორიული კანონზომიერებაა და წინ უძღვის გარკვეული გეოპოლიტიკური პროცესები. რაც ნიშნავს, რომ ლიბერალური მსოფლიო წესრიგი გამოწვევების წინაშე დგას. პრობლემები როგორც საკუთრივ სისტემის შიგნითაა, ასევე გარედან წამოსული წინააღმდეგობის გამო, რაც უპირველეს ყოვლისა ჩინეთის აღზევებითა და სხვა ევრაზიული ქვეყნების (რუსეთის, ირანის) ანტი-დასავლური ქმედებებით არის გამოწვეული.

საკვანძო სიტყვები: ახალი მსოფლიო წესრიგი, აშშ, ჰეგემონია, გეოპოლიტიკა, მულტიპოლარული სამყარო.

The New Multipolar World and Hegemonic Ambitions

Malkhaz Kapanadze

Abstract

Nowadays, the world is in the process of forming a new order, which is characterized by a certain complexity. The reason is that we are moving from a monopolar world to a multipolar world. After the collapse of the Soviet Union, the only superpower that established order and offered its rules of the game to the rest of the world was the United States of America. However, based on today's reality, the so-called superpower has a downward cycle of hegemony, the existence of which was preceded by certain geopolitical processes, as well as a kind of historical regularity.

Keywords: New World Order, USA, Hegemony, Geopolitics, Multipolar Worlds.

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა ახლებურად ყალიბდება და, შესაბამისად, პროცესები ჯერაც ფორმირების ფაზაშია. ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების კომპლექსურობა იმითაც გამოირჩევა, რომ გადადის უნიპოლარული სამყაროდან მულტიპოლარულზე. აღსანიშნავია, რომ გლობალურ სურათში გამოკვეთილია მრავალპოლუსიანი მოდელის უპირატესობა, სადაც ინტერესების ერთობა ყველგან მყარი და სისტემური როდია, ზოგან კონიუქტურულ და სიტუაციურ პარტნიორობას ეფუძნება.¹⁴¹

მსოფლიოს ისტორიის ახალი პერიოდის დაწყებასთან ერთად, საერთაშორისო ურთიერთობების გარდაქმნა იწყება, რაც ურთიერთობათა სისტემაზე პასუხისმგებელი ქვეყნების ვალდებულებებს ზრდის. მაგალითად, წინა საუკუნეში, ომის შემდგომი ევროპისათვის განსხვავებული წესების ათვლის წერტილი აშშ-ის პრეზიდენტ ტრუმენის დოქტრინამ მონიშნა, რის შედეგად კონტინენტის ამ ნაწილში ახალი წესრიგისა და უსაფრთხოების სისტემა დამკვიდრდა.

¹⁴¹ გორგილაძე, ი. „ახალი მსოფლიო წესრიგი ამერიკულ გეოპოლიტიკაში“. სოციალური მეცნიერების საკითხები. გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2016, გვ. 4.

ტრუმენის დოქტრინა, პრაქტიკული სახით, მარშალის გეგმასა და ნატო-ს დაფუძნებაში გამოვლინდა. ამ ორი მეგაპროექტით, დასავლური პოლიტიკური ცივილიზაცია ევროპის სიღრმეში კომუნიზმის გავრცელებას წინ აღუდგა, მნიშვნელოვნად განამტკიცა კომუნიზმის მსხვრევას მოყოლებული პოზიტიური შედეგები და მსოფლიოს ახალი ტალღის განვითარება შესთავაზა, სადაც ერთადერთ სუპერ სახელმწიფოდ აშშ აღმოჩნდა. თუმცა, დღევანდელი გადმოსახედიდან, აღნიშნულ ე.წ. ზესახელმწიფოს აქვს ჰეგემონიის დაღმავალი ციკლი. ფაქტობრივად, დღეს გლობალურ არენაზე ჰეგემონია შეუძლებელია, რაც ძალთა ბალანსის პრიზმაში მრავალპოლუსიანი მოდელის დასაბამი ხდება.¹⁴²

ცივი ომის დასასრული და ახალი მსოფლიო წესრიგი

ცივი ომის დროს, საერთაშორისო სისტემა შეიცვალა და ბიპოლარული გახდა. მსოფლიოში ჩამოყალიბდა ძალის ორი ცენტრი ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ხოლო დანარჩენი სახელმწიფოები, ძირითადად, მათდამი მიტმასნების პოლიტიკას ირჩევდნენ. „ცივი ომის“ პერიოდი გამოირჩეოდა „რბილი ბიპოლარული“ სისტემის არსებობით. ბუნებრივია, ორივე ზემოხსენებული სახელმწიფო სისტემაში დომინირებას და ერთპიროვნული ჰეგემონიის დამყარებას ცდილობდა. ამერიკული თვალთახედვა იქიდან გამომდინარეობდა, რომ სსრკ-სთან ერთხელ დათმობაზე წასვლა დომინოს პრინციპის მსგავსად სხვა არაერთი მარცხის საწინდარი იქნებოდა, რასაც ვაშინგტონი ვერ დაუშვებდა. ამის შედეგად ჩამოყალიბდა შეკავების სტრატეგია, რომელიც გულისხმობდა საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეკავებას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, სადაც იგი შეეცდებოდა თავისუფალი და დემოკრატიული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლას. შეკავების პოლიტიკის გაგრძელება აღმოჩნდა „ტრუმენის დოქტრინა“, როდესაც აშშ-მა დიდძალი სამხედრო და ეკონომიკური დახმარება აღმოუჩინა საბერძნეთსა და თურქეთს, და ეს ქვეყნები გაწითლებას გადაარჩინა. აშშ-მა ცივი ომის საწყის ეტაპზე, საკუთარი სტრატეგია ორი უმნიშვნელოვანესი მიმართულებით დააფუძნა, დაარსა ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) და შეიმუშავა მარშალის გეგმა,

¹⁴² ყიფიანი, ვ. „რეგიონალური ურთიერთკავშირები - დამატებითი შესაძლებლობა ქვეყნის მეტი უსაფრთხოებისა და უკეთესი ეკონომიკისათვის“, „ინტერპრესნიუსი“, თბილისი, 2020, გვ. 7.

რომელიც ევროპის ეკონომიკურ აღდგენას ისახავდა მიზნად, რაც ევროპის საბჭოთა კავშირზე დამოკიდებულებას კიდევ უფრო შეამცირებდა.¹⁴³

ცივი ომის დასრულებამ ახალ მსოფლიო წესრიგს დაუდო საფუძველი. აშშ მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში, სხვა დიდ სახელმწიფოებთან შეუთანხმებლად, უნილათერალურად მოქმედებდა. თუმცა, დროთა განმავლობაში, „დემოკრატიის ექსპორტის“ პროექტმა ამერიკელ მოქალაქეებში უკმაყოფილება გამოიწვია. აშშ-ის შეჭრამ ერაყსა და ლიბიაში მას ევროპელი მოკავშირეების ნდობა დროებით დააკარგვინა. ჯორჯ ბუში უმცროსის ხისტი საგარეო პოლიტიკური კურსი 2008 წელს ობამას იზოლაციონისტურმა კურსმა შეცვალა. შედეგად, აშშ, თავისი ინერტული პოლიტიკით, ვერ შეეწინააღმდეგა მოძლიერებული რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიასა და აღმოსავლეთ უკრაინაში წარმოებულ ომს. იგი არ ჩაერია სირიის სამოქალაქო ომში, შედეგად, დატოვებული ძალაუფლების ვაკუუმი რევიზიონისტული ზრახვების მქონე რუსეთმა შეავსო.

მეორეს მხრივ, ამერიკის დადმავალი ჰეგემონიის ციკლი არის რეალობა, პრობლემა აქვს ეკონომიკის თვალსაზრისით. როგორც წესი, დასავლური პოლიტიკა ყოველთვის პრაგმატულობით გამოირჩეოდა. ეკონომიკა და პოლიტიკა ურთიერთკავშირში იყო. თავის მხრივ, პრობლემა იმ ფინანსურ სისტემასაც აქვს, რაც ჩამოყალიბდა ბრეტონ ვუდსის შემდეგ - დოლარის სავალუტო ერთეულად აღიარება ადარ არის დამაკმაყოფილებელი და ამასაც გარკვეული ცვლილება სჭირდება. დოლარის მსოფლიო ვალუტის ერთეულად აღიარებას ამერიკის კონგრესში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მათ იცოდნენ, რომ ეს იქნებოდა ფინანსური ბუშტი, რომელიც დაინდუსტრიალიზაციას გამოიწვევდა. შემთხვევითი არ იყო ის, რომ ტრამპი პრეზიდენტად არჩევისას, სწორედ ამაზე აკეთებდა აქცენტს. მისთვის უმთავრესი იყო ამერიკის ხელმეორე ინდუსტრიალიზაცია, რომელიც ერთგვარ შესაძლებლობების ფანჯარად მიაჩნდა.¹⁴⁴

ამერიკის დადმავალი ჰეგემონიის ციკლთან დაკავშირებით, მოვიყვანოთ რამდენიმე თეორია არსებობს. მათ შორის, კაპლანის თეორია, რომლის მიხედვითაც, ჰეგემონი ქვეყნების დანახარჯები ძალიან დიდია ნებისმიერი მიმართულებით. ამის გამო, დროთა განმავლობაში ეს ჰეგემონი თანდათან სუსტდება და ჩნდება ჩელენჯერი, რომელიც კონკურენციას იწყებს. თავდაპირველად, ასეთი ქვეყანა აღმოჩნდა ჩინეთი. შემთხვევითი არ არის, რომ დღეს ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები არც თუ ისეთი მარტივია. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთდამოკიდებულნი

¹⁴³ Allison G. „Destined for war: Can America and China escape Thucydides's trap“ ? Houghton Mifflin Harcourt, 2017, გვ. 12.

¹⁴⁴ Amin S. “Beyond US Hegemony? Assessing the prospects for a Multipolar World. Zed Books, 2006, გვ.10.

არიან: ამერიკული ქარხნებისა და ფაბრიკების დიდი ნაწილი ჩინეთშია განთავსებული. უფრო მეტიც, თავის დროზე, ჩინეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირის დაშლაში ერთობლივი მონაწილეობა მიიღეს. იმ პერიოდში, სამყარო ბიპოლარული იყო და ჩინეთი მოიაზრებოდა სოციალისტურ ბანაკში, თუმცა, 70-იან წლებში მაინც დაიწყო ეს პროცესი ე.წ. პინგ-პონგის დიპლომატიით, რომლის ინიციატორიც იყო კისინჯერი.¹⁴⁵ აქედან იწყება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის დაახლოება. ჩინეთის მაშინდელი კომუნისტური პარტიის ლიდერი, ჯო ენ ლაი ამერიკაში ჩასული იყო. მან განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სოციალისტური ბანაკის წარმომადგენლები იყვნენ, , თანამშრომლობაზე მზაობა განაცხადეს. ეს თანამშრომლობით კი ჩინეთმა შეასრულა გარკვეული როლი საბჭოთა კავშირის დაშლაში. „ბოროტების იმპერიის“ ნგრევაში დიდი წვლილი შეიტანა აშშ-ს პრეზიდენტმა - რონალდ რეიგანმა, რომელმაც სსრკ-ს მიმართ საკმაოდ ხისტი საგარეო პოლიტიკა გაატარა.¹⁴⁶ რეიგანი ამომრჩეველთან უშუალო კონტაქტში შევიდა, რამაც გამოიწვია ის, რომ ამერიკული საზოგადოება დიდი უკმაყოფილებით არ შეხვდა სამხედრო ხარჯების გაზრდისა და ე.წ. „კოსმოსური ომების“ დაწყების ინიციატივას, რასაც, სხვა შემთხვევაში, ამერიკელი მოქალაქეები აუცილებლად მწვავედ გააპროტესტებდნენ. შედეგად, სამყარო გადაიქცა უნიპოლარულად. შესაბამისად ჰეგემონი ერთი სახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები აღმოჩნდა.¹⁴⁷ გავიდა რამდენიმე ათეული წელი და წინა პლანზე წამოვიდა ჩინეთი, რომელიც დღესდღეობით ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანაა. თუმცა, ის არ აფიქსირებს პოლიტიკურ ამბიციებს, ვინაიდან, დიდ როლს თამაშობს მისი მენტალიტეტი და კონფუციანური თავისებურებები. თუმცა, თავის მხრივ, იგი სულ უფრო და უფრო აქტიურად მუშაობს კონვენციური და ბირთვული იარაღის განვითარებაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში ქმნის ხელოვნურ სამხედრო კუნძულებს და მასზე ლეგიტიმაციის გამყარებით რეგიონში აშშ-ს ჰეგემონიის შესუსტებასა და საკუთარი ძალაუფლების გავრცელებას ცდილობს.

ერთმნიშვნელოვნად, XXI საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო აქტორი- ჩინეთია, რომლის სწრაფმა ეკონომიკურმა აღმავლობამ საფრთხე შეუქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი, რომელიც ჟოზეფ ნაის „რბილი ძალის“ კონცეფციის პრაქტიკაში გატარების საუკეთესო

¹⁴⁵ Kissinger H. “Diplomacy”, Simon & Schuster, Reprint edition, 1994, გვ. 17.

¹⁴⁶ Kaplan R. “Anarchy and Hegemony”. Global affairs with Robert D. Kaplan, Stratfor. 2013 იხ. <https://worldview.stratfor.com/article/anarchy-and-hegemony> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2022.

¹⁴⁷ Hall, P.A. “Policy paradigms, social learning, and the state: the case of economic policymaking in Britain. Comparative politics, 1993, გვ. 22.

მაგალითია, პრეტენზიას აცხადებს არა მარტო სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე დომინანტობისთვის, არამედ მიზნად ისახავს უძველესი „აბრეშუმის გზის“ აღდგენას, სახელწოდებით „ერთი გზა - ერთი სარტყელი“ და ღიად გამოთქვამს სურვილს, გახდეს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე მსოფლიოს მრავალ რეგიონში.

ამის შემდგომ, 2007 წელს მიუნჰენის კონფერენციაზე დაიწყო რუსეთის პოლიტიკის ცვლილება. აღსანიშნავია, რომ ელცინის რუსეთი იყო სულ სხვა სტრუქტურული გადანაწილების მქონე იყო. ამიტომ, დასავლეთის ლიდერები, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ რუსეთს არ უნდა ჰქონოდა ინტერესები საზღვრებს გარეთ.

ცხადია, რომ აშშ-ს არასოდეს არ აწყობდა რუსეთის გლობალურ სახელმწიფოდ გადაქცევა, მაგრამ რუსეთმა, როგორც არა ერთხელ, ისტორიის განმავლობაში კუდი მოიქნია და პირველად მიუნჰენის კონფერენციაზე განაცხადა თავისი მიზნების შესახებ. ამ კონფერენციაზე გამოვიდა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და დააფიქსირა, რომ მის ქვეყანას აქვს გლობალური ინტერესები. შემდეგ იყო, 2010 წელს ენერგოიმპერიის კონცეფცია. რუსეთი დიდი რესურსები ქვეყანაა და მთელ მენდელეევის ტაბულას ფლობს - ალუმინიდან დაწყებული ცინკით დამთავრებული. მსოფლიოს ლიდერები არ ითვალისწინებდნენ რუსეთის მოთხოვნებს ამ გლობალურ პოლიტიკაში, ამ ეტაპზე, ეს დამოკიდებულება შეიცვალა.

ბოლო მომენტში, ვლადიმერ პუტინმა ოფიციალურად დააფიქსირა თავისი მოთხოვნები და წერილობითაც მოხდა ამ მოთხოვნების კოდიფიცირება. უკრაინაში ომის დაწყებამდე, მან გაილაშქრა ნატოს გაფართოების წინააღმდეგ, მაგრამ დასავლეთის მხრიდან არ მოხდა მისი ულტიმატუმის გათვალისწინება. აქედან დაიწყო რუსეთ-უკრაინის ომი, მისი ნატოში ჩართვის წინააღმდეგ, რომელიც დღემდე გრძელდება.¹⁴⁸

მაშასადამე, რუსეთის ფედერაციის მიერ ჯერ საქართველოს სუვერენული ტერიტორიების ოკუპაციამ, მოგვიანებით კი - ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიამ და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დიდი ძალები კვლავ ახდენენ ძალის დემონსტრირებას მათი „იმპერიალისტური“ ამბიციების დაკმაყოფილებისა და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარების მიზნით. ყოველივე ამან, კვლავ დააფიქრა მსოფლიო თანამეგობრობა იმაზე, თუ როგორია რეალურად XXI საუკუნის მსოფლიო წესრიგი, რომელიც ახლა ყალიბდება და რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შემდეგ მიიღებს სრულყოფილ სახეს.

¹⁴⁸ Keohane, R. "After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy", Princeton University Press, United Kingdom, 1984, გვ. 13.

დასკვნა

ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება, როგორც რთული და ხანგრძლივი პროცესი, მსოფლიოს თანამედროვე დილემას წარმოადგენს. სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო სისტემა უნიპოლარული წყობიდან გადადის მულტიპოლარულ წყობაზე. ახალი სამყაროს ფორმირების კომპლექსურობა იმითაც გამოირჩევა, რომ პანდემიური და პოსტპანდემიური ფაქტორები ძველი „ძალის ცენტრების“ ტრასფორმაციასა და ახლების წარმოშობას უწყობენ ხელს.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე, გეოპოლიტიკური სურათი მნიშვნელოვნად შეიცვალა, რუსეთის ფედერაციას დაუყოვნებლივ შეექმნა ისეთი პრობლემები, როგორიცაა რელიგიური რენესანსი და ფუნდამენტალიზმი, ნაციონალიზმი, ტერიტორიული მთლიანობა და დავა მეზობლებს შორის, რაც დასაბამი გახდა ერთადერთი სუპერ სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების აღმასვლისა, რომელიც კონტროლს ამყარებდა სხვა სახელმწიფოებზე. თუმცა, ჰეგემონიის დაღმავალი ციკლი რეალობაა, რაც ნიშნავს, რომ დღეს მსოფლიო რუკაზე გამოჩნდნენ სახელმწიფოები, რომლებიც კონკურენციას უწევენ აშშ-ს, მათ შორის, ჩინეთი და რუსეთი, თავისი ჰეგემონური ამბიციებით და გეოსტრატეგიული ინტერესებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გორგილაძე, ი. „ახალი მსოფლიო წესრიგი ამერიკულ გეოპოლიტიკაში“. სოციალური მეცნიერების საკითხები. გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2016.
2. ყიფიანი, ვ. „რეგიონალური ურთიერთკავშირები - დამატებითი შესაძლებლობა ქვეყნის მეტი უსაფრთხოებისა და უკეთესი ეკონომიკისათვის“, „ინტერპრესნიუსი“, თბილისი, 2020.
3. Allison G. „Destined for war: Can America and China escape Thucydides's trap“ ?. Houghton Mifflin Harcourt. 2017
4. Amin S. “Beyond US Hegemony? Assessing the prospects for a Multipolar World. Zed Books, 2006.
5. Kaplan R. “Anarchy and Hegemony”. Global affairs with Robert D. Kaplan, Stratfor. 2013 ივ. <https://worldview.stratfor.com/article/anarchy-and-hegemony> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2022.
6. Keohane, R. “After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy”, Princeton University Press, United Kingdom, 1984.
7. Hall, P.A. “Policy paradigms, social learning, and the state: the case of economic policymaking in Britain. Comparative politics, 1993.
8. Kissinger H. “Diplomacy”, Simon & Schuster, Reprint edition, 1994.

გეშტალტი ინტერკულტურულ კომუნიკაციაში

ნანა გამყრელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

gamkrelidzenana12@gtu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0008-2348-13333>

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.12>

აბსტრაქტი

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ინტერკულტურული კომუნიკაცია სერიოზულ გამოწვევებს აწყდება. ეს ბუნებრივი პროცესია, რადგან ნებისმიერი ერის ენობრივ მსოფლმხედვაზე დაფუძნებული ენობრივ-კულტუროლოგიური ფონი, დიდ გავლენას ახდენს აკუმულირებული ცოდნის ვერბალური დეკოდირებისა და ტრანსფერის პროცესზე. რაც მხოლოდ კომუნიკაციურ-კოგნიტური ბარიერების ეფექტურად გადალახვის შედეგად მიიღწევა. მოცემული საკითხის კვლევა, აქტუალურია თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკისთვის, რადგან ენა, არა მხოლოდ ინფორმაციის ტრანსლირების ეფექტური საშუალება, არამედ კულტუროლოგიური აზროვნების სისტემაც არის. ნაშრომში ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში, გეშტალტის, სუბიექტის გეშტალტური აზროვნების, ფრეიმისა და ფრეიმული სემანტიკის როლია განხილული. ყურადღება გამახვილებულია, კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის ეფექტური ტრანსფერის და ადეკვატური დეკოდირების საკითხებზე.

საკვანძო სიტყვები: კულტურა, ფრეიმი, გეშტალტი, კოგნიტური ლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია.

Abstract

In the conditions of modern globalization, intercultural communication faces serious challenges. This is a natural process because the linguistic and cultural background of any nation, based on its linguistic worldview, has a great influence on the process of verbal decoding and transfer of accumulated knowledge. This can only be achieved as a result of effectively overcoming communicative-cognitive barriers. Research on this issue is relevant for modern communicative linguistics because language is not only an effective means of transmitting information but also a system of cultural thinking. The paper discusses the role of Gestalt, the subject's Gestalt thinking, frame, and frame semantics in the process of intercultural communication. Attention is focused on the issues of effective information transfer and adequate decoding in the process of intercultural communication.

Key Words: Culture, Frame, Gestalt, Cognitive Linguistics, Linguoculturology.

შესავალი

თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის და განსაკუთრებით ფსიქოლინგვისტიკისათვის აქტუალურ და საინტერესო კვლევის საგანს წარმოადგენს ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში, როგორც გეშტალტის თეორია და გეშტალტური სემანტიკა, ასევე ფრეიმისა და ფრეიმული სემანტიკის როლი. გეშტალტი (გერმ. *Gestalt*) ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიასა და ლინგვისტიკაში, აღნიშნავს მთლიანობას, ფორმას ან სტრუქტურას, რომელიც აღიქმება, როგორც ერთი მთლიანი მოცემულობა და არა ცალკეული ნაწილების ჯამი. იგი, როგორც თეორია ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. მისი ძირითადი

პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის აღქმა და ფიქრი ორგანიზებულია ერთ მთელ, ფსიქო-ემოციურ და ვერბალურ-კოგნიტურ მთლიანობად.¹⁴⁹

გემტალტის თეორიის საბაზისო პრინციპები უნივერსალურია ნებისმიერი ენობრივი მსოფლხედვისა და კულტუროლოგიურად განსხვავებული ენობრივი კოლექტივისათვის. ესენია: **1. მთლიანობა (Whole vs. Parts)**, სადაც ჩვენ, ენის ჰორიზონტალურ ჭრილს აღვიქვამთ, როგორც სამყაროს ერთ მთლიან სურათს და არა მის ცალკეულ ნაწილებს. **2. ფიგურა და ფონი**, სადაც ობიექტები აღიქმება ენობრივი კოლექტივის ფონურ ცოდნაზე დაყრდნობით, რაც მის ვერბალურ მოცემულობას კონცეპტუალურ მნიშვნელობას ანიჭებს. **3. მიმდებარეობა (Proximity)**, სადაც ურთიერთმომიჯნავე ენობრივი ელემენტები ერთ მთლიან ჯგუფად აღიქმება. **4. მსგავსება (Similarity)** – ოპტიკურად მსგავსი ელემენტების გაერთიანება. **5. დასრულება (Closure)** – შრე, სადაც ჩვენი გონება ავსებს არასრულ ფორმებს, რათა შექმნას სამყაროს სრული ენობრივი ხატი.¹⁵⁰

გემტალტის პრინციპები ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ფსიქოლოგიაში, ფსიქო-ლინგვისტიკაში და კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში. იგი გვეხმარება უკეთ გავიგოთ, როგორ აღიქვამს, ამუშავებს და გადასცემს ინფორმაციას სუბიექტი კომუნიკაციურ სიტუაციაში. გემტალტი შეიძლება გავიგოთ, როგორც ადამიანის ბუნებრივი მისწრაფება, მოძებნოს ერთგავრი წესრიგი, სტრუქტურა და საწყისის აზრი სამყაროში.¹⁵¹

კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში გემტალტის თეორიის მაგისტრალური როლი, ტექსტის დეკოდირების პროცესში განსხვავებული აღქმის პერსპექტივაა. ამ თეორიზე დაყრდნობით გემტალტში აღქმა სუბიექტურია. აღნიშნული გულისხმობს, რომ ერთი და იგივე სურათი სხვადასხვა ადამიანმა შეიძლება განსხვავებულად აღიქვას.

გემტალტის თეორიას მნიშვნელოვანი კავშირი აქვს კომუნიკაციურ ლინგვისტიკასთან, რადგან ორივე სფერო ყურადღებას ამახვილებს მთლიანობის, აღქმისა და კონტექსტის მნიშვნელობაზე. გემტალტის პრინციპები ეხმარება კომუნიკაციური ლინგვისტიკის

¹⁴⁹ Chomsky, N. Language and Mind. Harcourt Brace. New York 1968

¹⁵⁰ Lakoff J. Jonson M. Metaphors We Live By. The University of Chicago Press. Chicago, 1980

¹⁵¹ Croft, William & Cruse, D. Alan. „Cognitive Linguistics“. Cambridge University Press. 2004

ანალიზს. იგი გვაძლევს ხედვას, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები კომუნიკაციის პროცესს და როგორ ქმნიან მასში მნიშვნელობას.¹⁵²

აქ ხდება მნიშვნელობის სუბიექტური - საკუთარ ენობრივ-ფონურ ცოდნაზე დაყრდნობით ინფორმაციის სუბიექტურ ჭრილში კონსტრუირება, სადაც ჩვენი გონება ამატებს „დაკარგულ“ ელემენტებს და ავსებს სუბიექტის კომუნიკაციურ ვაკუუმს.

ნებისმიერი ერის კულტურა წარმოადგენს სისტემურ მთლიანობას, რომელიც დეტერმინირებულია ენობრივი კოლექტივის თვითრეფლექსიითა და გემტალტური მოცემულობით. იგი მოიცავს სიმბოლოების, სტერეოტიპული მოდელების, ინფორმაციის გაზიარების პერსპექტივების, გემტალტურ-კონტექსტუალური მოლოდინებისა და ქცევის ნორმების კომპლექსურ ურთიერთკავშირს.

აღნიშნული, სრულად ასახავს ერის თვითმყოფადობას, ისტორიას, ტრადიციებსა და ღირებულებებს. ინტეკულტურული კომუნიკაციის მიზანი, ადრესატისათვის მკაფიოდ სტრუქტურირებული ცოდნის გაზიარებაა. კულტურათაშორისი კომუნიკაციისას, ინფორმაციის ეფექტური ტრანსფერის და ადეკვატური დეკოდირების ფონზე, განსაკუთრებით აქტუალურია სუბიექტის გემტალტური აზროვნების პრიზმში გარდატეხილი და ფორმირებული ფრეიმული სემანტიკის სტრუქტურირების პროცესი. ეს პროცესი ყოველთვის ორიენტირებულია ენის სემიოტიკურ ასპექტზე და წარმოადგენს ენობრივი კოლექტივის გემტალტურ აზროვნებაზე ორიენტირებული ვერბალური და არავერბალური კოდების კრებულს. იგი, ადრესანტის ინტენციის შესაბამისად, ექსტრა და ინტრალინგვური ფაქტორების გათვალისწინებით, ადრესატის მიერ უნდა იყოს დეკოდირებული.¹⁵³

ნებისმიერი ერის კულტურა, ეროვნული თვითრეფლექსიით დეტერმინირებული სიმბოლოების, სტერეოტიპული მოდელების, ინფორმაციის გაზიარების პერსპექტივის,

¹⁵² გ. ლებანიძე. „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“. ენა და კულტურა თბილისი 2004

¹⁵³ გ. ლებანიძე „სიღრმეთა დიალოგი და ტრაგიკული ტრიადა“ თბილისი 2006

კონტექსტუალური მოლოდინისა და ქცევის ნორმების სისტემური გეშტალტური მთლიანობაა. იგი სრულად ასახავს ერის თვითმყოფადობას, ისტორიას, ტრადიციებსა და ღირებულებებს.

ინტერკულტურული კომუნიკაციის მიზანია ადრესატისთვის მკაფიოდ სტრუქტურირებული ცოდნის ტრანსფერი. ეს ცოდნა, მიუხედავად ზოგადსაკაცობრიო ხასიათისა, რომელიც ინტერკულტურულ ფენომენს წარმოადგენს, ფორმულირდება გეშტალტური აზროვნების პრინციპებზე დაყრდნობით, კონკრეტული ენობრივი კოლექტივის ფარგლებში.

აღნიშნული პროცესი წარმოადგენს ვერბალური და არავერბალური კოდების სემიოტიკურ სისტემას, რომელიც ორიენტირებულია ენის სემიოტიკურ ასპექტებზე. მისი დეკოდირება ადრესატის მიერ უნდა განხორციელდეს ადრესანტის ინტენციის, აგრეთვე ექსტრა- და ინტრალინგვური ფაქტორების გათვალისწინებით.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ გლობალიზაციის პროცესი აფერხებს ერის კულტურის მულტიპროფილური განვითარების ხარისხს, რასაც, შედეგად, ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში, ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაცია შეიძლება მოჰყვეს. სწორედ ამიტომ, თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის აუცილებელია, ცოდნის ტრანსფერის პროცესში კომუნიკაციურ-კოგნიტიური სტრუქტურების გეშტალტის თეორიაზე დაყრდნობით რეალიზება და ფრეიმული სემანტიკის ადეკვატური დეკოდირება.¹⁵⁴

ადამიანის აზროვნება შემოქმედებით-ინტელექტუალური პროცესია, რომლისთვისაც გარდაუვალია არსებითის დიფერენცირება არაარსებითისაგან, მნიშვნელობის დეკოდირება და კომუნიკაციურ დამოკიდებულებათა სწორი მართვა.

საზოგადოების განვითარების მანძილზე მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები ილექება ადამიანთა გამოცდილებაში, მუდმივად რეგულირდება ამ გამოცდილების ფორმალური, სტრუქტურული და ფუნქციური ნიუანსები. აღნიშნული გულისხმობს მის განახლებასა და შინაარსობრივად ახლებურ გადააზრებას.

„ერის წიაღში მიმდინარე მოვლენათა კულტუროლოგიურ ასპექტში განხილვა მაინტეგრირებელი პროცესია, რადგან „კულტურა არა მარტო ჩვენს გარშემო არსებული

¹⁵⁴ Fillmore, Charles J. “ Frame Semantics“. In: Linguistics in the Morning Calm. Hanshin Publishing 1982

ადამიანური სინამდვილის, არამედ ყოველი ჩვენგანის შინაგანი სულიერი განხორციელება“.

კულტურა, ეროვნული თვითრეფლექსიით დეტერმინირებული სიმბოლოები, სტერეოტიპული მოდელები, ინფორმაციის გაზიარების პერსპექტივის, კონტექსტუალური მოლოდინის და ქცევის ნორმების სისტემური მთლიანობაა. იგი სრულად ასახავს ერის თვითმყოფადობას, ისტორიას, ტრადიციასა და ღირებულებებს. ინტერკულტურული კომუნიკაციის მიზანია ადრესატისათვის მკაფიოდ სტრუქტურირებული ცოდნის გაზიარება. ეს პროცესი ენის სემიოტიკურ ასპექტზე ორიენტირებული ვერბალური და არავერბალური კოდების კრებულია. იგი ადრესანტის ინტენციის შესაბამისად, ექსტრა და ინტერლინგვური ფაქტორების გათვალისწინებით ადრესატის მიერ უნდა იყოს დეკოდირებული.

ცხადია, ადამიანი ნებისმიერ ახალ ინფორმაციას მის ცნობიერებაში არსებულ ძველ, აკუმულირებულ ცოდნას ადარებს. ერის კულტურაზე დაფუძნებული ცოდნა აისბერგივითაა. იგი შედგება ზედაპირული და სიღრმისეული პლასტებისაგან. ინტერკულტურული კომუნიკაცია ზეგავლენას ახდენს, ჩვენს ცნობიერებაში არსებულ ზედაპირულ შრეებზე და სწორედ ამ ფაქტით აიხსნება ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში შექმნილი ვერბალური ბარიერები. აღნიშნულში ვგულისხმობთ, განსხვავებულ კულტურებში ენობრივი ნიშნის არა მარტო ვერბალურ-სემიოტიკურ, არამედ არავერბალურ, გემტალტურ აზროვნებაზე დაფუძნებულ ფრეიმული კოდის მცდარ ინტერპრეტირებას. ცხადია, ამ პროცესს არაფერი აქვს საერთო ენის ცოდნასთან, რადგან ენა წარმოადგენს არა მარტო ენობრივ ნიშანთა სემიოტიკურ სისტემას, არამედ სუბიექტის აზროვნების და სამყაროს მისეული ხედვის კომპლექსს.

აღნიშნულში იგულისხმება განსხვავებულ კულტურებში ენობრივი ნიშნის არამარტო ვერბალურ-სემიოტიკური, არამედ არავერბალური კოდის მცდარი ინტერპრეტირება. ამას არაფერი აქვს საერთო ენის ცოდნასთან, რადგან ენა, არამხოლოდ ენობრივ ნიშანთა სემიოტიკური სისტემაა, იგი ამავედროულად, სუბიექტის აზროვნებისა და სამყაროს ხედვის ფორმაა. უფრო მეტიც, დისკომუნიკაციური ბარიერი შეიძლება წარმოიქმნას, არამხოლოდ ინტერკულტურული, არამედ ინტრაკულტურული კომუნიკაციისას. ამის მიზეზი, როგორც წესი, კომუნიკანტთა ენობრივ-მენტალური, დარგობრივ პროფესიული, ან სულაც - ინფორმაციული გაცვლის არათანაბარი საბაზისო

საფუძველია. ზემოხსენებული ბარიერები უცხო არ არის კულტურატაშორისი კომუნიკაციისათვის.

ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში ცოდნის ოპტიმალური მიღებისა და გაზიარების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ენობრივი ნიშნების გამოყენება მხოლოდ მათი დენოტატური მნიშვნელობით, კონკრეტული საკომუნიკაციო სტილის დაცვა, კინეტიკური ფაქტორების ადეკვატურობა და ინტონაციურ-პროსოდული საშუალებების სათანადო მართვა

სრულიად განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს „კოგნიტიური და ქცევით-ემოციური ბარიერების“ გადალახვა, რადგან იგი სუბიექტის ცნობიერებაში, მის ეროვნულ მსოფლხედვაში არსებული კოდირებული სისტემაა, რომლის ფლობაც ეფექტური ინტერკულტურული კომუნიკაციის საწინდარია.¹⁵⁵

თანამედროვე ლინგვისტიკაში კვლევის ანთროპოლოგიური ტენდენციის შემოტანამ გაზარდა ინტერესი კომუნიკანტთა პიროვნულ-სოციალური სტატუსის მიმართ. სრულიად ნათელი გახდა სუბიექტის კულტურული ფონისა და სოციალური ფაქტორის როლი მეტყველების სტრატეგიების რეალიზაციის და ინტერპრეტირების პროცესში. კომუნიკაციისას წინა პლანზე გამოვიდა სუბიექტი, „ანთროპოცენტრისტული პარადიგმა“, ხოლო ენა, როგორც ადამიანის მაკონსტიტუირებელი მახასიათებელი და მისი უმთავრესი სტრუქტურული კომპონენტი.

ანთროპოცენტრულმა პარადიგმამ თანამედროვე ლინგვისტიკაში ორი პრიორიტეტული მიმართულება გამოყო: კოგნიტიური ლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია. ეს უკანასკნელი ორიენტირებულია ენაში კულტურის და ადამიანში ენობრივი ფაქტორის მნიშვნელობის კვლევაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მიმართულებებს შორის არსებობს თეორიული და მეთოდოლოგიური განსხვავებები.

კოგნიტიური ლინგვისტიკა ცდილობს დაადგინოს ადამიანის აზროვნების, შემეცნებისა და მენტალურ სივრცეთა ჯაჭვის ფუნქციური მექანიზმი. ლინგვოკულტუროლოგიისათვის კი პრიორიტეტული ადამიანის, კულტურისა და ენის ურთიერთმიმართებაა. ლინგვოკულტუროლოგია ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს:

¹⁵⁵ Dirk Geeraerts . "Cognitive Linguistics: Basic Readings" – De Gruyter Mouton 2006

- როგორ აღიქვამს ადამიანი სამყაროს?
- როგორია მეტაფორული მნიშვნელობით დეტერმინირებული სიმბოლოს როლი კულტურაში?

კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის აქტუალურია ცოდნის ტრანსფერის პროცესში კომუნიკაციურ-კოგნიტური სტრუქტურების რეალიზება და ფრეიმული სემანტიკის ადეკვატური დეკოდირება, რადგან ფრეიმი კოგნიტურ ლინგვისტიკაში განიხილება, როგორც კომუნიკანტთა ფონურ ცოდნაზე დაფუძნებული ცოდნის რეპრეზენტაციის მზა სტრუქტურა.

ცხადია, განსხვავებულ კულტურებში, სხვადასხვა ენობრივი მოცემულობაა, რომელთა შინაფორმა და ხატოვანი მხარე, ერთმანეთს ან ემთხვევა, ან არა. დამთხვევის შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია, რომ ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში ამა თუ იმ კონკრეტული საგნის ნომინაციის იდენტური წინასწარი განწყობა შეიქმნას. აღნიშნული ფაქტის ახსნა კულტურათაშორის კომუნიკაციაში შეუძლებელია საერთო ენობრივი სივრცით ან საერთო ისტორიულ-კულტურული განვითარების ტენდენციებით. სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში ერთგვაროვანი განწყობის არსებობა, მსგავსი ასოციაციებისა და ზოგად ადამიანური აზროვნების არსებობაზე მიუთითებს. ინდივიდის წინასწარ ფსიქოლოგიურ განწყობას, რეფერენტის ნომინაციის პროცესში, წინ უსწრებს ასოციაციის გზით მის „ფონურ ცოდნაზე“ და ეროვნულ მსოფლმხედვაზე დაფუძნებული აკუმულირებული შინაარსი, მენტალური და სიტუაციური მოდელი - ფრეიმი, რაც სუბიექტს აძლევს შესაძლებლობას ობიექტის ნომინაცია განახორციელოს სხვადასხვა კუთხით, მისთვის რელევანტური საშუალებებით. ამ შემთხვევაში თითოეული სიტყვა ქმნის ე.წ. „კონკრეტულ ფრეიმს“, რაც ინდივიდის ფონურ ცოდნას, მისი ეროვნული მსოფლმხედვით განპირობებულ ასოციაციურ კავშირებს და მასში აკუმულირებულ მენტალურ, ასოციაციურ-სიტუაციურ მოდელებს ემყარება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვათა ჯაჭვი: შესაძლებელია თუ არა კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის გადაკვეთა სამყაროს შემეცნების იმ პროცესში, რომელსაც ერთი დიფერენციალური ფსიქოლოგიისაკენ ანუ სამყაროს ხატის თავისებურებათა სიღრმისეული ანალიზისაკენ მივყავართ? რა ტიპის შინაარსობრივად დეტერმინირებული ერთეულები ასახავს ადამიანის აზროვნებისა და ცხოვრების წესის ცვლილებას დროსა და სივრცეში? შინაარსობრივად განსაზღვრულ როგორ ერთეულებშია შესაძლებელი ინფორმაციის მაქსიმალური დეკოდირება? რა

შეესაბამება იმ საწყისს, საიდანაც ყველა ერი, თავისებურად აღიქვამს სამყაროს ხატს? ამ კითხვებზე პასუხი, თვით კომუნიკაციის პროცესში უნდა ვეძიოთ, რადგან სუბიექტის საკომუნიკაციო ქმედება წარმოადგენს კომუნიკაციურ-კოგნიტურ სტრუქტურათა რეალიზებას. სწორედ კომუნიკაციურ-კოგნიტური, ფონური ცოდნით დეტერმინირებული სოციალურ-კულტურული მენტალური მოდელებია ფრეიმები. აღნიშნული კი, კოგნიტური ლინგვისტიკის და ლინგვოკულტუროლოგიის უცილობელ თანხვედრაზე მიუთითებს, რომლის გარეშეც შეუძლებელია განსხვავებულ კულტურებში სამყაროს ხატის მოდელირების თავისებურებათა სიღრმისეული ანალიზი.

დასკვნა

ადამიანის აზროვნებისათვის თვისობრივია ერთი და იმავე მოვლენის აღქმის არაერთგვაროვნება, რადგან აზროვნება სიტუაციის არა მხოლოდ სარკისებური არეკლვა, არამედ მიღებული ცოდნის ინტერპრეტირებული რეპრეზენტაციის პერსპექტივაა. კომუნიკაციური ინტენციიდან გამომდინარე, სუბიექტი საკუთარი აღქმით დეტერმინირებულ ინტერპრეტაციულ ვერსიას გვთავაზობს. ეფექტის მაქსიმალიზაციისათვის კომუნიკაციის პროცესში ერთგვარ რელევანტური მზა სტერეოტიპული მოდელი - ფრეიმი, რომლის ანალოგიური დეკოდირება წარმატებული ინტერკულტურული კომუნიკაციის ქვაკუთხედიცაა. ამ პროცესს თან ახლავს კომუნიკაციის კოგნიტური ასპექტები, რადგან კომუნიკაციური ინტენციით დეტერმინირებული სამეტყველო სიტუაცია ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობების ერთგვარი „ტრანსფორმატორია“. ენისადმი კოგნიტური მიდგომა წარმოადგენს ადამიანის ცნობიერების, აზროვნებისა და შემეცნების კოგნიტურ სტრუქტურათა ასახვას. ადამიანის აზროვნება შემოქმედებით- ინტელექტუალური პროცესია, რომლისთვისაც გარდაუვალია არაარსებობისაგან არსებობის დიფერენცირება, მნიშვნელობის დეკოდირება და კომუნიკაციურ დამოკიდებულებათა სწორი მართვა. ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში, განსხვავებულ ეთნოკულტურულ სივრცეებში ფრეიმულ-სემანტიკური ადეკვატურობის ახსნა უფრო მიზანშეწონილია საერთო ინტერკულტურული განვითარების ტენდენციებში ძიება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლებანიძე, გ. „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“. ენა და კულტურა თბილისი 2004.

2. ლეზანძე, გ. „სიღრმეთა დიალოგი და ტრაგიკული ტრიადა“ თბილისი 2006.
3. Chomsky, N. Language and Mind. Harcourt Brace. New York 1968
4. **Croft, William & Cruse, D. Alan.** „*Cognitive Linguistics*“. *Cambridge* .University Press. **2004**
5. Fillmore, Charles J. “ Frame Semantics“. In: Linguistics in the Morning Calm. Hanshin Publishing 1982
6. Geeraerts, D. "**Cognitive Linguistics: Basic Readings**" – De Gruyter Mouton 2006
7. Lakoff J. Jonson M. Metaphors We Live By. The University of Chicago Press. Chicago, 1980

დეცენტრალიზაციის გამოწვევები საქართველოში

ნანა თავდუმაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

nanatavdumadze@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0002-8521-6523>

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.13>

აბსტრაქტი

სტატია წარმოადგენს ემპირიული კვლევის შედეგებს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის მიმდინარე, დეცენტრალიზაციის პროცესის ეტაპებისა და თავისებურებების შესახებ, რომლებიც განპირობებულია ერთი მხრივ, ქვეყნის განვითარების ისტორიითა და მეორე მხრივ, არსებული საშინაო და საგარეო ვითარებით. ემპირიული კვლევით შეფასებულია დეცენტრალიზაციის სტრატეგია საქართველოში, დღეს მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესი, მისი დამაბრკვლებელი ფაქტორები და მიზეზები. გაანალიზებულია ის შესაძლო ღონისძიებები, რომლებსაც უნდა მიექცეს ყურადღება საქართველოში დეცენტრალიზაციის მიმართულებით უახლოეს პერიოდში, საშუალო და გრძელვადიან ვადიან პერსპექტივაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს განაპირა რეგიონებში მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესის პრობლემებს. კვლევის შედეგად გამოტანილია სათანადო დასკვნები და შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესის ტემპების დაჩქარებისა და გაუმჯობესების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი თვითმმართველობა, დეცენტრალიზაცია, საქართველოს დეცენტრალიზაციის სტრატეგია, მოქალაქეთა ჩართულობა, გამჭვირვალობა.

Challenges of Decentralization in Georgia

Nana Tavidumadze,

PhD Candidate, Caucasus International University

nanatavidumadze@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0002-8521-6523>

Abstract

The article presents the results of empirical research on the current state and stages of the local self-governance and decentralization process in Georgia, as well as its peculiarities, which are conditioned, on the one hand, by the country's historical development and, on the other hand, by the existing domestic and foreign circumstances. The empirical study evaluates Georgia's decentralization strategy, the ongoing decentralization process today, and the factors and reasons hindering it. The article analyzes potential measures that should be prioritized in the near, medium, and long-term perspectives to advance decentralization in Georgia. Special attention is given to the problems of the decentralization process in Georgia's peripheral regions. Based on the research findings, appropriate conclusions are drawn, and relevant recommendations are developed to accelerate and improve the pace of the ongoing decentralization process in Georgia.

Keywords: Local Self-governance, Georgia's Decentralization Strategy, Citizen Participation, Transparency.

შესავალი

თანამედროვე საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების - ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზიის თავისებურებების შესწავლა და გამოწვევების ანალიზი მეტად რთული და აქტუალური პროცესია. მისი წარმატება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. უპირველეს ყოვლისა, ამ ფაქტორების განსაზღვრისთვის აუცილებელია შეიქმნას მეცნიერული ცოდნა, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცესის თეორიულ ჭრილში მომზადება და რეფორმირების პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობა, გამოვლინდეს დაბალანსებული მიდგომები ქვეყანაში მსოფლიოში არსებული პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით. ეჭვგარეშეა, რომ სახელმწიფო მმართველობაში დეცენტრალიზაციის პრინციპების დანერგვა და სუვერენული, ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება სახელმწიფოს დემოკრატიულობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციით გაცხადებული „საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნება, დავამკვიდროთ დემოკრატიული

საზოგადოებრივი წესწყობილება“¹⁵⁶ პირდაპირ უკავშირდება ქვეყანაში დემოკრატიული, დეცენტრალიზებული მმართველობითი სისტემის შექმნას, სადაც ერთ-ერთი საკვანძო როლი, შესაბამისი ექსკლუზიური უფლებამოსილებით აღჭურვილ, სუვერენულ ადგილობრივ თვითმმართველობას ეკუთვნის.

საქართველოში მიმდინარე ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირებისა და დეცენტრალიზაციის პროცესზე გავლენას ახდენს სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, აგრეთვე საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება. შესაბამისად, დეცენტრალიზაციის საკითხი დაკავშირებულია ხელისუფლებასა და ავტონომიას შორის ოპტიმალური ბალანსის პოვნასა და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებასთან, ამიტომ ყოველთვის ვერ გავიზიარებთ საქართველოში თვითმმართველობის რეფორმირებაში ევროპული გამოცდილების უპირობოდ გამოყენების რეკომენდაციებს¹⁵⁷. მითუმეტეს, რომ ისტორიული განვითარებიდან გამომდინარე, საქართველოში მუდამ არსებობდა მეფის შეუზღუდავი ცენტრალიზებული ძალაუფლება, ხოლო შემდეგ ქვეყნის დაქუცმაცებამ, სამეფო-სამთავროებად, ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა მოწინავე ევროპული ქვეყნების მსგავსი დეცენტრალიზებული მმართველობის სახით განვითარება.

გასათვალისწინებელია, ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიული მოწყობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხია. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა განსაზღვრავს მის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმებს, რომელთა შორის განსხვავება (უნიტარული, ფედერაციული თუ კონფედერაციული) დეცენტრალიზაციის ხარისხსა და ტერიტორიული ერთეულების ავტონომიურობის ხარისხში მდგომარეობს. საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საბოლოო მოდელის ფორმირებისას, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ურთიერთობების განსაზღვრის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კომპლექსურად იქნას გაანალიზებული საქართველოს გარშემო არსებული გეოპოლიტიკური რეალობა, აგრეთვე ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სახელმწიფოს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე.

დეცენტრალიზაცია საქართველოში გულისხმობს ხელისუფლების ორ დონედ დაყოფას, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებად და მათ შორის

¹⁵⁶ საქართველოს კონსტიტუცია

¹⁵⁷ "Theories of European Integration" by Ben Rosamond (2000)

უფლებამოსილებების გამიჯვნას, ხოლო ურთიერთობები ემყარება ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს¹⁵⁸.

საქართველოში დეცენტრალიზაციის პოლიტიკის საფუძველი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და დეცენტრალიზაციის სტრატეგიაა, რომელიც მიზნად ისახავს ავტონომიის, მოქალაქეთა ჩართულობისა და გამჭვირვალობის გაძლიერებას^{159, 160, 161}. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, მათ შორის ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაზრდის მიმართულებით, თუმცა რიგ შემთხვევებში კანონების პრაქტიკაში განხორციელება კვლავ სუსტია.

ამდენად, არსებული სირთულეების გამოსაკვეთად თეორიულ (სამაგიდე) კვლევასთან ერთად უმნიშვნელოვანესია ემპირიული კვლევა უშუალოდ საქართველოს პროფესიონალ ექსპერტთა მონაწილეობით.

1. ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია:

ჩატარებული სამაგიდე კვლევით მკაფიოდ ჩამოყალიბდა თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის ცენტრალიზაცია - დეცენტრალიზაციის ისტორიული და თეორიულ - მეთოდოლოგიური ჩარჩო, განვიხილეთ სახელმწიფოს ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციის თეორიულ -მეთოდოლოგიური საფუძვლები, საქართველოს პოლიტიკური სისტემის და ადგილობრივი მმართველობის განვითარების ისტორიული ეტაპები და თავისებურებები, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის მოდელები და ორგანიზაციის ფორმები.

გამოცდილების გასაანალიზებლად შევისწავლეთ ევროპული ქვეყნების რეგიონული დეცენტრალიზაციის გამოცდილება, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უფლებამოსილებათა გამიჯვნასა და ფუნქციების დაყოფას სახელმწიფო მართვის პროცესში, ადგილობრივი ხელისუფლების ადგილსა და როლს საჯარო მმართველობის

¹⁵⁸ შამუგია ეგნატე. პოლიტიკური ძალაუფლების დეცენტრალიზაცია. თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის სტრატეგია. კვლევითი ინსტიტუტი. GnomonWise. www.gnomonwise.org. თბილისი, 2024.

<https://gnomonwise.org/public/storage/publications/March2024/gHCMSYGHbZhJFgUWlkG9.pdf>

¹⁵⁹ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=63>

¹⁶⁰ დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020–2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4764626?publication=0>;

¹⁶¹ ადგილობრივი თვითმმართველობა pdf ka · დეცენტრალიზაციის 2020 – 2025 წლების სტრატეგიის განხორციელების 2024–2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე.<https://mrdis.gov.ge/ka/%>

სისტემაში, ადგილობრივი ხელისუფლების სამართლებრივი რეგულირებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საკითხებს. ანალიზისას გაანსაკუთრებით გამოიკვეთა მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურის მნიშვნელობა, როგორც დეცენტრალიზაციის აუცილებელი წინაპირობა, რაც თვალსაჩინოდ გამოიხატა ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების მართვის სისტემაში, როგორც მოქალაქეთა თანამონაწილეობის უზრუნველყოფის შესაძლებლობაში, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურასა და ფუნქციების განაწილებაში მართვის ორგანოებს შორის, მოქალაქეთა მონაწილეობითი კულტურის დონეში.

საქართველოში, დეცენტრალიზებული მართვის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური მენეჯმენტში თანამედროვე ციფრული მეთოდების გამოყენება და მათი განვითარების პერსპექტივები.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციის პრობლემატიკისა და დასავლური პოლიტიკური ორიენტაციის საკითხები ურთიერთგადაბმულია. ამიტომ, აუცილებლობას წარმოადგენს, საქართველოში ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციის საკითხების შესწავლა და გაანალიზება, უშუალოდ, ამ საკითხებზე მკვლევარი სპეციალისტების ჩართულობით. ამ მიზნით ჩატარებული ემპირიული კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დარგის თვალსაჩინო სპეციალისტებმა, მეცნიერებმა, პოლიტიკოსებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტებმა და სხვ. მათ შორის: დავით ზარდიაშვილმა-ადგილობრივი თვითმმართველობის ექსპერტმა, კოკა კილურაძემ, საჯარო მმართველობის სპეციალისტმა, აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ ელისო გვალიამ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ - ეკონომიკის აკადემიურმა დოქტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა - ლავრენტი ბიგვაჟამ, ა/ო სდგკ (საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი) აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან ხინთიბიძემ, თბილისის, ქუთაისის, ოზურგეთის, ფოთის, ბათუმის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტების სპეციალისტებმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემათა კვლევის ლაბორატორიის მეცნიერთანამშრომლებმა და აკადემიურმა პერსონალმა პროფესორ შოთა დოლონაძის ხელმძღვანელობით, სტუ-ის საჯარო მმართველობის პრობლემათა კვლევის ინსტიტუტის

დირექტორმა, პროფესორმა, მარიამ ცაცანაშვილმა, გურიის ყოფილმა გუბერნატორმა, სტუ-ის ასოცირებულმა პროფესორმა ზურაბ ნასარაიამ .

რესპონდენტთა გამოკითხვა განხორციელდა არასტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუს სახით, ინტერვიუს ჩატარების რეკომენდაციების გათვალისწინებით¹⁶². ინტერვიუს საკითხები დაჯგუფებულია შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიხედვით:

- რა ძირითადი პრობლემებია დეცენტრალიზაციის პროცესში დღეს საქართველოში?
- რა ვერ გაკეთდა დეცენტრალიზაციის თვალსაზრისით საქართველოში და რა არის ამის მიზეზი?
- რა უნდა გაკეთდეს საქართველოში დეცენტრალიზაციის მიმართულებით: -
- დეცენტრალიზაციის პროცესში რა პრობლემებს ხედავთ საქართველოს განაპირა რეგიონებში?
- რა ფაქტორები ახდენენ გავლენას საქართველოს ტერიტორიულ-პოლიტიკურ მოწყობაზე და რა სახის სამომავლო ხედვაა ამ საკითხთან დაკავშირებით

ჩატარებული ინტევიუს სრული ჩანაწერი ინახება ავტორის პირად ფაილში.

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა

2. კვლევის ანალიზი

ა) საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესის ძირითადი პრობლემები დღეს:

მიუხედავად იმისა, რომ 1998 წლიდან (როდესაც დამოუკიდებელ საქართველოში პირველი თვითმმართველობის ორგანოები იქნა არჩეული) დღემდე, დეცენტრალიზაციის პროცესში არაერთგზის რეფორმა ჩატარდა, კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობების გამართულად მუშაობაში. პირველ რიგში, ეს არის, თვითმმართველობების **სრულად დამოკიდებულება** ცენტრალური ხელისუფლებაზე, რაც გულისხმობს პოლიტიკური (ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციული), ფინანსური (საბიუჯეტო), ქონებრივი და მატერიალური დამოკიდებულების მაღალ ხარისხს. ხოლო იმისათვის, რომ „ცენტრზე“ დამოკიდებულების ხარისხი შემცირდეს და ადგილობრივი თვითმმართველობები გრძნობდნენ სრულ ავტონომიას საკუთარი უფლებამოსილებებისა და კომპეტენციის

¹⁶² ბალათურია გ.ბალათურია ო., კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებსა და ბიზნესში.„ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2020

ფარგლებში, რესპონდენტების აზრით, კვლავ საჭიროა რეფორმების განხორციელება სხვადასხვა მიმართულებით, სახელდობრ:

1. თვითმმართველობების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაცია, ანუ მუნიციპალიტეტების ზომების შემცირება (ფართობისა და მოსახლეობის რაოდენობების გათვალისწინებით), თვითმმართველობებში იერარქიების დადგენა უფლებამოსილებებისა და ტერიტორიული დონეების მიხედვით; ასევე ქალაქის ტიპის დასახლებებისთვის თვითმმართველი ერთეულების სტატუსის მინიჭება;
2. თვითმმართველობებში შეიმჩნევა კვალიფიციური კადრების დეფიციტი. ამდენად, საშურია საჯარო მმართველობის სამსახურების მოხელეთა გადამზადების უწყვეტი სისტემის შექმნა.
3. თვითმმართველობების უფლებამოსილებების გამრავალფეროვნება და გაფართოება სხვადასხვა დარგების მიხედვით, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვანი როლის გამოკვეთა ქვეყნის ეკონომიკასა და წარმოების ხელშეწყობაში;
4. თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობისა და მონაწილეობის რეალური მექანიზმების დანერგვა და მათი განვითარება. მართალია, მიმდინარე კანონმდებლობით, მსგავსი მექანიზმები არსებობს, მაგრამ როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ისინი ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებენ და უმეტეს შემთხვევაში ვერ ასრულებენ თავიანთ მიზნობრივ დანიშნულებას.
5. სუსტია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის ფუნქციონირება. საჭიროა კანონით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნების უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება.
6. სახელმწიფო საკუთრებაში ადგილებზე (მუნიციპალიტეტებში) არსებული ქონების გადაცემა თვითმმართველობებისთვის. აქ საუბარია ისეთ უძრავ ქონებაზე (მიწები, შენობები, ნაგებობები და ა.შ.), რომელსაც სახელმწიფო სათანადო ადმინისტრირებას ვერ უწევს, მდებარეობს ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში და უყურადღებობის გამო, აბსოლუტურად უფუნქციოა, ან დაშლის პირასაა მისული.
7. საბოლოო ანგარიშით, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს დეცენტრალიზაციის პროცესში ძირითადი პრობლემებია: ფინანსური დამოუკიდებლობის ნაკლებობა,

უფლებამოსილებების არასრულფასოვანი გადაცემა, ადმინისტრაციული სისუსტეები, მოქალაქეთა ჩართულობის დაბალი დონე და პოლიტიკური გავლენები.

მნიშვნელოვანია აქცენტის გაკეთება სარჩევნო სისტემაზე - მაჟორიტარული ოლქების გამსხვილებით, საკრებულოს წევრები და ხალხი ერთმანეთს დაშორდა, რამაც თავის მხრივ, შეამცირა პოლიტიკური დეცენტრალიზაციის ხარისხი. პროპორციულ სისტემაში პრობლემა, როგორც ცენტრალურ, ასევე, ადგილობრივ დონეზე ერთი და იგივეა. შერეულ საარჩევნო სისტემებში, ამომრჩევლების განწყობები მახინჯდება საარჩევნო სისტემის მიერ. მაგალითად, თუ რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ აიღო ხმების 40%, ის მანდატების 60-70% და მეტს აკონტროლებს. ანუ საარჩევნო სისტემა ისე უნდა მუშაობდეს, რომ საზოგადოებრივ განწყობებს რეალურად ასახავდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის განწყობები დაუმახინჯებლად არის წარმოდგენილი. ეს ყველაფერი დეცენტრალიზაციის კონტექსტს აზიანებს. თუმცა არჩევითობაში გარკვეული წინსვლა შეინიშნება.

ბ) საქართველოში დეცენტრალიზაციის შემაფერხებელი მიზეზები და გარემოებები:

დეცენტრალიზაციის პროცესის შემაფერხებელ გარემოებად, სხვა, ნაწილობრივ ზემოთ განხილულ საკითხებთან ერთად, კვლავაც რჩება პოლიტიკური ნების არქონა - შეიტანილ იქნას ცვლილებები ცენტრალიზებული მმართველობის ადმინისტრაციული ვერტიკალის დაყოფაში და განახორციელოს ძალაუფლების გადანაწილება მოქალაქეთა მიერ არჩეულ ორგანოებზე, მმართველობის ქვედა დონეს მიკუთვნებულ საკითხებში. დეცენტრალიზაცია წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი თემის გაძლიერებას მოქალაქეებისთვის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადაცემის გზით, ანუ სტრატეგიით, რომელის მეშვეობითაც გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება გადაეცემა მათ, ვისზეც მიღებული გადაწყვეტილების შედეგები ყველაზე მეტად აისახება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო ცენტრალიზებული სახელისუფლებო სისტემა, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიისგან გათავისუფლდა, მაგრამ მისი ადმინისტრაციული ვერტიკალი ფაქტობრივად უცვლელი დარჩა. ამ სისტემისათვის უცხო იყო ძალაუფლების დაყოფისა და განაწილების პრინციპი. შესაბამისად, შინაგანი ბუნებით იგი ვერ ეგუება სახელმწიფოს ქვემოდან ზემოთ შენების გამოცდილებას, ძლიერ ადგილობრივ თვითმმართველობასა და ტერიტორიული (არავერტიკალური) მართვის მოდელს. ამიტომ, თანამედროვე

ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა „საერთაშორისო ზეწოლის“ შედეგი უფროა, ვიდრე ქართული სახელმწიფოს ბუნებრივი განვითარების პროდუქტი. საქართველოს ევროპული მისწრაფებები კი გულისხმობს ქვეყნის მმართველობის დეცენტრალიზაციას ევროპული ნორმების შესაბამისად.

საქართველოში, სამინისტროები თუ ადგილობრივ თვითმმართველობებს გადასცემენ გარკვეულ უფლებამოსილებებს, ბერკეტებსა და ფინანსებს, თვითონ სამინისტროები დაპატარავდება, გაუქმდება დეპარტამენტები და მათ ფუნქციონირებისთვის დიდი რესურსები საჭირო აღარ იქნება. ცენტრალური ხელისუფლება ნებაყოფლობით არასოდეს გადასცემს უფლებამოსილებებს თვითმმართველობებს. ეს მოთხოვნა ქვემოდან უნდა წამოვიდეს.

რესპონდენტთა მოსაზრებებით, თვითმმართველ ერთეულს უფლებამოსილებათა განხორციელებაში ხელს უშლის შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- გრძელვადიანი ხედვის არარსებობა;
- მკაცრი რეგულაციები და ჩარჩოები;
- კერძო სექტორის და მოქალაქეთა ნაკლები ჩართულობა;
- ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობა;
- მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის დაბალი ხარისხი;
- საკანონმდებლო კოლიზიები;
- ქონების გადაცემის საკითხის გაჭიანურება და სხვ;
- ფინანსური დამოუკიდებლობის დეფიციტი;
- არასაკმარისი უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები;
- ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ნაკლებობა;
- საზოგადოებრივი ჩართულობის დაბალი დონე;
- დეცენტრალიზაციის პოლიტიკის არათანმიმდევრულობა;
- პოლიტიკურ ინტერესებს დაქვემდებარებული თვითმმართველობები;
- რეგიონული უთანასწორობა;
- დეცენტრალიზაცია ვერ ახერხებს რეგიონებს შორის არსებული ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის შემცირებას.

გ) საქართველოში დეცენტრალიზაციის მიმართულებით განსახორციელებელი

ღონისძიებები:

განსახორციელებელი, მაგრამ აქ, რომელიმე ერთი, უნივერსალური გეგმის სწრაფად შემუშავება ან კოპირება სხვა ანალოგიებიდან უბრალოდ არ გამოდგება. ანუ არ არსებობს ისეთი დეცენტრალიზაციის უნივერსალური მოდელი, რომელიც ყველგან ერთნაირად იმუშავებს. ამ პროცესში ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი: ქვეყნის ისტორია, ტრადიციები, კულტურა, ფსიქოლოგია, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, რეგიონების სპეციფიკურობა, ეროვნული უმცირესობების თავისებურებები და ა.შ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თავდაპირველად, საჭიროა შეიქმნას დეცენტრალიზაციის გეგმის განხორციელების ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც დაეფუძნება ინკლუზიური კვლევის შედეგებს. კვლევაში უნდა იყოს წარმოდგენილი ამ კუთხით არსებული საჭიროებები, მოთხოვნები და მათი გადაწყვეტის შესაძლო გზები. ამის პარალელურად, მხედველობაშია მისაღები ევროპული ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ეს ეტაპი.

ჩვენთვის საინტერესო იქნება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რეფორმების (მაგ. სლოვაკეთი, პოლონეთი და ა.შ.) განხილვა და გამოცდილების გაზიარება. ყველა ამ საკითხების კოორდინირებას, დაგეგმვასა და განხორციელებას უნდა ასრულებდეს კომისია, რომელშიც შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად ჩართულნი იქნებიან სათანადო გამოცდილებისა და ცოდნის მქონე მოწვეული ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები.

ამ კომისიის დანიშნულება იქნება შეიმუშაოს ქვეყნის დეცენტრალიზაციის კონცეფცია (მოდელი) და მისი განხორციელების გეგმა, რომელიც საერთო-სახალხო განხილვის საგნად უნდა იქცეს. შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იქნას შენიშვნები და მოსაზრებები. დეცენტრალიზაციის კონცეფცია უნდა შეეხოს ყველა ძირეულ საკითხს - დაწყებული თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოპტიმიზაციიდან საკითხიდან (რა თქმა უნდა უფლებამოსილებებს, ამ უფლებამოსილებათა იერარქიებს (დონეებს), ქონებისა და შემოსულობების ზრდის ოპტიმალურ მექანიზმებსა და სხვ.) დასრულებული მუნიციპალიტეტში საჯარო მოსამსახურეთა (მოხელეთა) გადამზადებისა და საკვალიფიკაციო დონეების მოთხოვნის სისტემების დანერგვას.

რეფორმის საბოლოოდ დასრულება ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის სოფლების, თემებისა და ქალაქების გაძლიერებასა და ადამიანებისთვის ღირსეული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

ქვეყნის დეცენტრალიზაციის სტატეგიას აქვს სამი მნიშვნელოვანი მიზანი, მათ შორის, ფინანსების და ქონების გადაცემა და ფისკალური დეცენტრალიზაცია. გაცხადებული მიზანია, რომ უნდა მოხდეს ბიუჯეტების ზრდა. მოცემულ მომენტში მუნიციპალიტეტებისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან შემოსავლების მხოლოდ 7% იხარჯება. დაგეგმილია მისი 15% -მდე ზრდა. ევროპული გამოცდილების თანახმად, თვითმართველობებისთვის მთელი ბიუჯეტის მესამედი უნდა იხარჯებოდეს. დეცენტრალიზაციის სტატეგიაში წერია, რომ უახლოეს პერიოდში უნდა გავცდეთ 7 %-იან მაჩვენებელს და მნიშვნელოვნად გავზარდოთ ბიუჯეტი. მაგრამ როგორ? ალბათ, ეს უნდა მოხდეს საშემოსავლოს ხარჯზე. ჩვენი მოსაზრებით, მოქალაქეების საშემოსავლო ნაწილი უნდა დარჩეს იმ ადგილობრივ ბიუჯეტში, რომლის დაფინანსებითაც ხორციელდება მოქალაქეებისათვის სერვისების მიწოდება და არა მხოლოდ დღე. უნდა მოხდეს საშემოსავლოს პროცენტული ნაწილის დატოვება ადგილობრივ ბიუჯეტში, ეს კი აამაღლებს მის კეთილდღეობასა და არჩეულ აღმასრულებელ ორგანოს მისცემს გამართული, პროგნოზირებადი შემოსავლების არსებობის შესაძლებლობას, ასევე უნდა გაზარდოს და მიიღოს გადასახადები საკუთარი შემოსავლებიდან.

ასე, რომ, პირველი - ფისკალური დეცენტრალიზაციის ნაწილში, ადგილობრივ თვითმართველობას უნდა ჰქონდეს ისეთი ინსტრუმენტები, რომ მუნიციპალიტეტმა შეძლონ საკუთარი შემოსავლების ზრდა.

მეორე - მუნიციპალიტეტებს უნდა გადაეცეთ მეტი უფლებამოსილებები. მხოლოდ მცირე უფლებამოსილებების გადაცემა არსებითად ვერ შეცვლის საერთო სურათს. მაგ. სოფლის მეურნეობა, როგორც დარგი, ცენტრალიზებულია. მუნიციპალიტეტებს არანაირი ბერკეტი არ აქვთ, რომ საკუთარი საჭიროებები დაიკმაყოფილონ. იგივე ხდება სოციალურ სფეროში. ისიც ცენტრალიზებული დარგია და ნებაყოფლობით უფლებამოსილებებს ითვალისწინებს. გამოდის, რომ ამ დროს ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც უშუალოდ უნდა ითვალისწინებდეს ხალხის მოთხოვნებს, საკუთარი ამომრჩევლების საჭიროებებს, ვერ აკმაყოფილებს.

გამოსავალია დელეგირებული უფლებამოსილებების ეფექტურად გამოყენებაც: სახელმწიფომ თავიდან ეს ნებაყოფლობითი უფლებამოსილებები დელეგირებით უნდა

შეცვალოს, ამასთან, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში სათანადო საგანმანათლებლო სამუშაოები ჩაატაროს და დააკვირდეს მათ - შეისწავლოს გადაცემული უფლებამოსილებების ადგილზე მართვის ეფექტურობა, შედეგები და მოსახლეობის განწყობები. ეს ყველაფერი მყისიერად არ უნდა განხორციელდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია დეცენტრალიზაციის პროცესის დაწყება. მისი ამოცანა უნდა იყოს ადგილობრივი ორგანოებისათვის მეტი უფლებამოსილების გადაცემა, მოსახლეობისთვის ხარისხიანი სერვისების მიწოდება და მნიშვნელოვანი ადგილობრივი საკითხების ადგილზევე გადაწყვეტა.

დღეს მოქმედი დეცენტრალიზაციის სტრატეგიით 2020-2025 წლების პერიოდში ძირითადი პრიორიტეტებია:

- 1) ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების გაზრდა;
- 2) ადგილობრივი თვითმმართველობის მატერიალური და ფინანსური გაძლიერება;
- 3) სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება.

დღეისთვის ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე ამ მიმართულებით გარდამტეხი მნიშვნელობის შედეგები გვაქვს.

დ) დეცენტრალიზაციის პროცესის პრობლემები საქართველოს

განაპირა რეგიონებში:

დეცენტრალიზაციის პროცესი მთელ ქვეყანაში ერთნაირია და რაიმე არსებითი განსხვავებები არ შეინიშნება, გამონაკლისია ის მუნიციპალიტეტები, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად არიან დასახლებულები (ან უმრავლესობას ქმნიან) და სადაც, სხვა მიმდინარე გამოწვევებთან ერთად დგას ქართული ენის გამართულად ფლობის პრობლემა. შესაბამისად, ამ უმცირესობების სრულყოფილი ინტეგრაცია. ამიტომ, ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაცია ქართული დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება.

- საქართველოს განაპირა რეგიონებში დეცენტრალიზაციის პროცესში არსებული ძირითადი გამოწვევები კომპლექსურ ხასიათს ატარებს და მოიცავს როგორც სოციალურ-კულტურულ, ისე ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ასპექტებს. კერძოდ:
- ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნა აფერხებს მოსახლეობის სრულყოფილ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ზღუდავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

- ისტორიული და სოციალური ფაქტორების გამო, ხშირად არსებობს ნდობის დეფიციტი ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, რაც მარგინალიზაციის განცდას აძლიერებს და აფერხებს დეცენტრალიზაციის ეფექტურ განხორციელებას.
- განაპირა რეგიონები ხშირად ხასიათდება ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით და ინფრასტრუქტურის დეფიციტით, რაც ზღუდავს ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკურ შესაძლებლობებს და აფერხებს რეგიონულ განვითარებას.
- საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და მეზობელი სახელმწიფოების ინტერესები განსაკუთრებულ გამოწვევებს უქმნის განაპირა რეგიონების დეცენტრალიზაციის პროცესს. ამ რეგიონებში არსებული ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება შესაძლოა გამოყენებული იყოს გარე ძალების მიერ რეგიონული არასტაბილურობის გასაღრმავებლად.

ამ გამოწვევების გადასაჭრელად აუცილებელია კომპლექსური და მრავალმხრივი მიდგომა, რომელიც მოიცავს, როგორც საკანონმდებლო და ინსტიტუციურ რეფორმებს, ისე ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამების განხორციელებას, ასევე ნდობის აღდგენასა და სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებას.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ აქვთ სახელმწიფოსთან პოლიტიკური იდენტობის განცდა; მათი უმეტესობა, სინამდვილეში, დისტანცირებულია ქართული საზოგადოებისგან და ერთგვარ ავტონომიურ, ან, უფრო უარესი – ექსკლუზიურ რეჟიმში ცხოვრობს. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს, რომელთა შორის წამყვანია ენობრივი ბარიერი: კომპაქტურად განსახლებულ ადგილებში ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო ენა. რუსულმა ენამ კი, რომელიც საბჭოთა პერიოდში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კომუნიკაციის ერთადერთი ენა იყო, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად დაკარგა აქტუალობა. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სრულყოფილად ვერ იღებენ ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ყოფნას წარმომადგენლობით თუ აღმასრულებელ ორგანოებში ფორმალური ხასიათი აქვს.

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. სხვა ქვეყნების გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, ის რაც დილემად სახელდება, შესაძლოა დადებით მოვლენად

ვაქციოთ. (ერთ-ერთმა რესპონდენტმა მოიყვანა მაგალითი ი.ჭავჭავაძის წერილიდან გაზეთ „ივერიაში“ ელზასის ოლქში თვითმმართველობის მოწყობაზე ბისმარკის გადაწყვეტილების შესახებ¹⁶³) რომ თვითმმართველობა და დეცენტრალიზაცია გამოვიყენოთ იარაღად, რათა უმცირესობები აქტიურად ჩავრთოთ სახელმწიფოს პოლიტიკურ, ფინანსურ და ადმინისტრაციულ საქმიანობაში. ამასთან უფლებამოსილებების ადგილობრივ დონეზე გადაცემა არ ნიშნავს სახელმწიფო კონტროლის შესუსტებას. ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს კანონების და სტანდარტების დაწესების, აგრეთვე კონტროლის მექანიზმების შემუშავების და იმპლიმენტირების პრეროგატივა.

ე) საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პერსპექტივები:

ყველა ქვეყანა ხელმძღვანელობს საკუთარი გამოცდილებით, ისტორიული, კულტურული, მენტალური და ა. შ. თავისებურებებიდან გამომდინარე. საქართველოს გააჩნია საბჭოთა კავშირის, მეფის რუსეთის გამოცდილება. ჩვენი პირველადი ერთეული მაინც არის ქალაქი, სოფელი და დაბა. პოლონეთის დეცენტრალიზაციის გამოცდილება საინტერესოა ჩვენთვის.

¹⁶³ საზოგადოების წინააღმდეგობის ძირითადი მიზეზი როგორც მაშინ, ისე ახლაც არის სეპარატიზმის საფრთხე. ამასთან დაკავშირებით ილია აღნიშნავს: „თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს; ბევრს უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ საშიშარიო – საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოს: აურზაურს მოჰყვება, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდან გამოვაო. როცა პრუსიამ წაართვა საფრანგეთს ელზასი და ლოტარინგია და პარლამენტში ჩამოვარდა საუბარი მასზედ, თუ რაგვარი მმართველობა მივცეთო ამ ახლად დაჭერილს ქვეყნებს, ბისმარკმა აი, რა სთქვა: „ჩვენი საქმე ელზასსა და ლოტარინგიაში თვითმმართველობის განძლიერება უნდა იყოსო. ადგილობრივნი საზოგადოების კრებანი უნდა დავაწყოთო ადგილობრივის მმართველობისთვისო. ამ კრებათაგან უფრო უკეთ გვეცოდინება იმ ქვეყნების საქიროება, ვიდრე პრუსიის მოხელეთაგანა. ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩეულნი და დაყენებულნი მოხელენი ჩვენთვის არავითარს შიშს არ მოასწავებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე კი მათთვის უცხო კაცი იქნება და ერთი ურიგო რამ ქცევა უცხო კაცისა უკმაყოფილებას ჩამოაგდებს და ეგ მთავრობის განზრახვასა და სურვილს არ ეთანხმება. მე უფრო ისა მგონია, რომ მათგან ამორჩეულნი მოხელენი უფრო ცოტას გვავენებენ, ვიდრე ჩვენივე პრუსიის მოხელენი“. ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი. რჩეული ნაწარმები ხუთ ტომად. ტომი IV. IV “პუბლიცისტური წერილები”; გამომცემლობა საბჭოთა საქართველო. თბილისი, 1987 წ. გვ.324

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელი საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკური ვითარება რადიკალურად განსხვავდება იმ დროინდელისგან. მაშინ საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო და დიახაც სასურველი გახლდათ მეტი დამოუკიდებელი ინსტიტუცია ადგილზე, რაც ხელს შეუწყობდა საქვეყნო ეროვნული საქმეების განვითარებას ამასთან რუსული სასტიკი რეპრესიული აპარატის შიშით სეპარატიზმის არავითარი საფრთხე არ არსებობდა. გერმანიასთან შედარება კი დღეს არ გამოგვადგება. გერმანია უძლიერესი სახელმწიფო გახლდათ, მისი მოწინააღმდეგე საფრანგეთი და მისი პოტენციალური მოკავშირეები ვერავითარ საფრთხეს ვერ შეუქმნიდნენ გერმანულ მმართველობას. ხოლო დღეს დამოუკიდებელი საქართველო მრავალი ეგზისტენციალური საფრთხის წინაშეა, რომლის პრევენცია შეიძლება აღემატებოდეს საქართველოს პოლიტიკურ და სამხედრო შესაძლებლობებს. ამდენად, დეცენტრალიზაციის გზაზე კვლავაც მეტი სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი უნდა გადაწყდეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ. საბჭოთა პერიოდში არსებობდა ორი ავტონომიური (აფხაზეთისა და აჭარის) რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. სწორედ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, უნდა განისაზღვროს თუ რა ტიპის პოლიტიკური და ტერიტორიული მოწყობის ქვეყანა იქნება საქართველო მშვიდობიანი ცხოვრებისათვის ყველა ეთნიკური, რელიგიური შეხედულებების, წარმომავლობისა თუ ა.შ. ადამიანისთვის. ამის მიხედვით უნდა დადგინდეს, როგორი მმართველობა იქნება თანაბრად მისაღები ყველასათვის - უნიტარული თუ რეგიონალური, ფედერაციული თუ ასიმეტრიულ-ფედერაციული, მონარქიული თუ რესპუბლიკური. ამისთვის არა მხოლოდ ტერიტორიულ-პოლიტიკური მოდელის შერჩევა, არამედ საერთო-სახალხო კონსენსუსია საჭირო.

პირველი, რაც უმნიშვნელოვანესია, უნდა გამოიყოს ქალაქები და მათ მიეცეთ თვითმმართველი ერთეულის სტატუსი. შექმნან საკუთარი ღერბი, საკრებულო, თვითმმართველობა, ხოლო სოფლები უნდა გაერთიანდნენ თავიანთი ისტორიული წარსულის, გამოცდილებისა და სხვ. თავისებურებების გათვალისწინებით. თავდაპირველად ქალაქები უნდა გახდნენ დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეულები და მიენიჭოთ სტატუსი, ხოლო დარჩენილი სოფლები გაერთიანდნენ გარკვეული მახასიათებლის საფუძველზე.

დღეს საქართველოში დაახლოებით 3600 სოფელია. ექსპერტების აზრით, ამ მონაცემებით სავარაუდოდ შეიძლება შეიქმნას დაახლოებით 200-250 სათემო მუნიციპალიტეტი და 54 ქალაქის თვითმმართველობა. ამას შეიძლება მოყვეს კონკრეტული უფლებამოსილებების, ფინანსებისა და რესურსების გადანაწილებაც. ასეთ პირობებში დეცენტრალიზაცია სულ სხვანაირ სახეს მიიღებს.

დასკვნა და რეკომენდაციები:

ამრიგად საქართველოში ცენტრალიზაცია - დეცენტრალიზაციის საკითხები კვლავაც მოუგვარებელია. მიუხედავად იმისა, რომ დეცენტრალიზაცია გვთავაზობს შესაძლებლობას უფრო ადგილობრივი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიღებისა და გაზრდილი დემოკრატიული მონაწილეობისთვის. როგორც გაირკვა, მას თან ახლავს მნიშვნელოვანი გამოწვევები, მათ შორისაა პოლიტიკური ფრაგმენტაცია, ეკონომიკური უთანასწორობა, მმართველობის

არაეფექტურობა და პოლიტიკის კოორდინაციის სირთულეები. ამ საკითხების მოგვარება მოითხოვს ავტონომიასა და სახელმწიფოს მთლიანობას შორის, ასევე ძლიერი ზედამხედველობისა და თანამშრომლობის მექანიზმებს შორის ფრთხილ ბალანსს.

ძირითადად დეცენტრალიზაციის გამოწვევები უკავშირდება ისეთ შესაძლო პრობლემებს, როგორიცაა რეგიონული უთანასწორობა, პოლიტიკური დამაბულობისა და რეგიონული ნაციონალიზმის გაღვივება, მმართველობის სტრუქტურების არაეფექტურობა პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულების საკითხების გადაფარვის გამო, შეფერხებები ცენტრალური-რეგიონული პოლიტიკის კოორდინაციის პროცესში, ფისკალურ გამოწვევები და სხვ.

ექსპერტთა შეფასებით, აუცილებელია განხორციელდეს დეცენტრალიზაციის პროცესი ევროპული გამოცდილების შესაბამისად. სახელდობრ, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი რეკომენდაციების გაზიარება ხელისუფლებისათვის სათანადო რეაგირების მიზნით.

საქართველოში დეცენტრალიზაციის ევროპული მოდელის ეფექტიანად და ეფექტურად განხორციელების მიზნით პირველ რიგში მოსაგვარებელია **სტრატეგიული** ხასიათის ამოცანა:

- 1) საჭიროა შეიქმნას დეცენტრალიზაციის გეგმის განხორციელების ყოვლისმომცველი დოკუმენტი, რომელიც დაეფუძნება ინკლუზიური კვლევის შედეგებს. კვლევაში უნდა იყოს წარმოდგენილი ამ კუთხით არსებული საჭიროებები, მოთხოვნები და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზები. ამის პარალელურად, მხედველობაშია მისაღები ევროპული ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ეს ეტაპი.
- 2) 2019-2025 დეცენტრალიზაციის სტრატეგიის პროექტში მკაფიოდ უნდა დაფიქსირდეს საქართველოს პარლამენტის როლი, პოლიტიკის დაგეგმვის დონეზე და განისაზღვროს საქართველოს მთავრობის ანგარიშვალდებულების მექანიზმი საქართველოს პარლამენტთან, აღნიშნული სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.
- 3) საჭიროა სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტის მოვალეობების, ვალდებულებების მკაფიოდ განსაზღვრა, მოხდეს რეგიონული მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მკვეთრი გამიჯვნა (ამ ამოცანის რეალიზება შეიძლება მოხდეს სახელმწიფო რწმუნებულისთვის კონკრეტული დეკონცენტრირებული სახელმწიფო კომპეტენციების გადაცემა).

4) ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი დეცენტრალიზაციის სტრატეგიით გათვალისწინებული გეგმები, **სახელდობრ:**

- ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების გაზრდა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის მატერიალური და ფინანსური გაძლიერება;
- სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის მაქსიმალურად დაახლოება მოქალაქეებთან, მონაწილეობითი, პირდაპირი და უშუალო დემოკრატიის ინსტრუმენტების დანერგვა;
- აღმოსაფხვრელ უნდა იქნას არსებული მანკიერი პრაქტიკა, რაც მდგომარეობს ადგილობრივი ხელისუფლების ფაქტიურ „გახლეჩვაში“ წარმომადგენლობით და აღმასრულებელ „შტოებად“, სადაც ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს და არა საკრებულოს, გააჩნია წამყვანი და გადამწყვეტი როლი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას;
- საშურია „საჯარო სამსახურის პრინციპების“ შესაბამისად პროფესიული, დეპოლიტიზებული, პოლიტიკური კონიუნქტურისგან დამოუკიდებელი და სტაბილური სამოხელეო კორპუსის ჩამოყალიბება.

5) ყველა ამ საკითხების კოორდინირებას, დაგეგმვასა და განხორციელებას უნდა ასრულებდეს კომისია, რომელშიც შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იქნებიან სათანადო გამოცდილებისა და ცოდნის მქონე მოწვეული ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები

6) ამ კომისიის დანიშნულება უნდა იყოს ქვეყნის დეცენტრალიზაციის კონცეფციის (მოდელი) და მისი განხორციელების გეგმის შემუშავება, რომელიც საერთო-სახალხო განხილვის საგნად უნდა იქცეს. იგი აუცილებლად უნდა შეთანხმდეს საზოგადოებასთან, ინტერესთა ჯგუფებთან, სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებთან და შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნას მათი შენიშვნები და მოსაზრებები საყოველთაო ჰარმონიული თანხმობის მიღწევის მიზნით. (რაც ფრიად რთული ამოცანა იქნება). დეცენტრალიზაციის კონცეფცია უნდა შეეხოს ყველა ძირეულ საკითხს - დაწყებული თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოპტიმიზაციის საკითხიდან (რა თქმა უნდა უფლებამოსილებებს, ამ უფლებამოსილებათა იერარქიებს (დონეებს), ქონებისა და შემოსულობების ზრდის ოპტიმალურ მექანიზმებს და სხვ.)

დასრულებული მუნიციპალიტეტში საჯარო მოსამსახურეთა (მოხელეთა) გადამზადებისა და საკვალიფიკაციო დონეების მოთხოვნის სისტემების დანერგვას.

- 7) გრძელვადიან პერსპექტივაში მიზანი უნდა იყოს რეფორმის საბოლოოდ დასრულება ჩვენი სოფლების, თემებისა და ქალაქების გასამდიერებლად, ე.ი. ღირსეული საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად;

აღნიშნულთან ერთად საშურია რიგი კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც შესაძლებელია გახდეს დეცენტრალიზაციის სტრატეგიული გეგმის შემადგენელი ნაწილი.:

- 8) საჭიროა ევროპული **ზენაციონალური ინტეგრაციის** მსგავსი სტრუქტურის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის რეგიონების უფრო ღრმა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციას. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა რეგიონის ეკონომიკური კავშირი, რაც სასარგებლო იქნება ყველა მათგანისთვის. ამ მიზნით, ფართოდ უნდა იქნას დანერგილი ევროკავშირში მოქმედი საერთო პოლიტიკა: სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარების და სხვა პროგრამები, რამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის რეგიონებს შორის უთანასწორობის შემცირება.
- 9) **ევროკავშირის კულტურული და პოლიტიკური რეგიონალიზაციის პოლიტიკის** მსგავსად საჭიროა რეგიონული იდენტობების, ენებისა და კულტურების აღიარება და აღნიშვნა, რეგიონული ენების თუ დიალექტების მხარდაჭრა ქართული ენის საყოველთაო სწავლებასთან ერთად. მხარდაჭერილი უნდა იქნას რეგიონების სპეციფიკური თავისებურებების შენარჩუნება.
- 10) **ვინაიდან რეგიონული უთანასწორობა** გამოიხატება ეკონომიკური დისბალანსისა და ადმინისტრაციული მართველობის პრობლემებით, ამიტომ, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, დეცენტრალიზაციამ შეიძლება გააღრმავოს ეკონომიკური უთანასწორობა მდიდარ და ღარიბ რეგიონებს შორის. რეგიონული უთანასწორობის შესამცირებლად, საჭიროა ინვესტიციების განხორციელება, განსაკუთრებით უფრო განვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ ტერიტორიებს შორის. ევროკავშირის კონვერგენციული პოლიტიკის მსგავსად სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ყველაზე ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს ქვეყნის დანარჩენ რეგიონებთან დაახლოებაში, შემოსავლის დონისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით.
- 11) მიუხედავად საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე უკანასკნელ პერიოდში შედარებითი სიმშვიდისა, მაინც საჭიროა ყურადღება

განსაკუთრებით გამახვილედეს პოლიტიკური დამაბულობისა და რეგიონული ნაციონალიზმის გაღვივების მცდელობათა აღსაკვეთად. ასეთი რეგიონებისთვის დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში გათვალისწინებული უნდა იქნას უფრო მეტი მართვისა და კონტროლის შესაძლებლობები რეგიონული მმართველობის ორგანოებისთვის ადგილობრივ საკითხებთან მიმართებაში, ცენტრალური ხელიუფლებიდან სათანადო მონიტორინგისა დაკონტროლის პირობებით.

12) მკაფიოდ უნდა იქნას გამიჯნული ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულების საკითხები. ამასთან, მკაცრად უნდა აღიკვეთოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, ან სხვა რეგიონების პრიორიტეტებს.

13) მოსაგვარებელია ფისკალური გამოწვევები. რეგიონებს უნდა გაეზარდოს ადგილობრივი შემოსავლები და ცენტრალური ტრანსფერების გამოყენების უფლებამოსილებანი. საჯარო ფინანსების მართვაში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობის როლი; შეიქმნას ფინანსური გამოთანაბრების ეფექტიანი მექანიზმები - კრიტიკული უთანაბრობის აღმოსაფხვრელად; ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს საკუთარი შემოსავლების წილი, რაც თვითმმართველობის ფინანსური ავტონომიურობის უზრუნველსაყოფად სავალდებულო პირობაა.

14) უნდა განხორციელდეს ღონისძიებები ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების გასაძლიერებლად, პირველ რიგში, მათი ჩართულობის გაზრდით ადგილობრივ მმართველობაში. ამ მიზნით, მოქალაქეთა ჩართულობის, მონაწილეობის რეალური მექანიზმების დანერგვა და მათი განვითარება.

15) კვლავაც მაქსიმალური ძალისხმევით უნდა გაგრძელდეს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან შესაძლებელი ჰუმანიტარული თანამშრომლობა.

16) უნდა შემცირდეს თვითმმართველობების ცენტრალური ხელისუფლებაზე დამოკიდებულების ხარისხი, ამ მიზნით საჭიროა თვითმმართველობების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა და მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაცია, ანუ მუნიციპალიტეტების ზომების შემცირება (ფართობისა და მოსახლეობის რაოდენობების გათვალისწინებით), თვითმმართველობებში იერარქიების დადგენა უფლებამოსილებებისა და ტერიტორიული დონეების მიხედვით, ასევე ქალაქის ტიპის დასახლებებისთვის თვითმმართველი ერთეულების სტატუსის მინიჭება;

- 17) უნდა შეიქმნას სპეციალიზებული საგანმანათლებლო ცენტრები თვითმმართველობებში კვალიფიციური კადრების დეფიციტის აღმოსაფხვრელად. ასეთი ცენტრები შესაძლებელია შეიქმნას საქართველოს მოწინავე უნივერსიტეტებთან საჯარო მმართველობის სამსახურების მოხელეთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემის შექმნით.
- 18) საჭიროა თვითმმართველობების უფლებამოსილებების გამრავალფეროვნება და გაფართოება სხვადასხვა ეკონომიკური დარგების მიხედვით,
- 19) გასაუმჯობესებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის ფუნქციონირება; საჭიროა კანონით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნების უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება-სრულყოფა და პრაქტიკაში დანერგვა.
- 20) საჭიროა სახელმწიფო საკუთრებაში ადგილებზე (მუნიციპალიტეტებში) არსებული ქონების გადაცემა თვითმმართველობებისთვის. აქ საუბარია ისეთ უძრავ ქონებაზე (მიწები, შენობები, ნაგებობები და ა.შ.), რომელსაც სახელმწიფო სათანადო ადმინისტრირებას ვერ უწევს, მდებარეობს ამა თუ იმ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და უყურადღებობის გამო აბსოლუტურად უფუნქციოა, ან დაშლის პირასაა მისული.
- 21) დეცენტრალიზაციის პროცესის მიმდინარეობა **განაპირა რეგიონებში**, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად არიან დასახლებულები (ან უმრავლესობას ქმნიან) უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი პირობები, რომელიც აღმოფხვრის ადგილობრივ მოსახლეობაში გარიყულობის განცდას. პირველ რიგში, საჭიროა ქართული ენის გამართულად ფლობის პრობლემის გადაწყვეტა. აგრეთვე ისეთი ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ქვეყნის ცხოვრებაში სრულყოფილ ინტეგრაციას. ამ მიზნით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს სახელმწიფო კომისსია, რომელიც იზრუნებს ამ პრობლემების მიგვარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადგილობრივი თვითმმართველობა დეცენტრალიზაციის 2020 – 2025 წლების სტრატეგიის განხორციელების 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე. <https://mrdi.gov.ge/ka>
2. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=63>

3. ბაღათურია გ., ბაღათურია ო., კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებსა და ბიზნესში., ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2020
4. დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4764626?publication=0>;
5. საქართველოს კონსტიტუცია
6. შამუგია ეგნატე. პოლიტიკური ძალაუფლების დეცენტრალიზაცია. თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის სტრატეგია. კვლევითი ინსტიტუტი. GnomonWise. www.gnomonwise.org. თბილისი, 2024.
<https://gnomonwise.org/public/storage/publications/March2024/gHCMSYGhBzhJFgUWlkG9.pdf>
7. "Theories of European Integration" by Ben Rosamond (2000)

ირანის ბირთვული პროგრამის ჩამოყალიბების
ისტორიულ-პოლიტიკური მიზეზები

ომარ თურმანიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

o.turmanidze1984@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-3957-4472>

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.14>

აბსტრაქტი

ირანის მიერ ბირთვული პროგრამის შექმნის ისტორიულ-პოლიტიკური მიზეზების ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა, ისლამური რევოლუციის შემდეგ ბირთვულ პროგრამასთან მიმართებაში სრულიად განსხვავებულ გზას დაადგა. ირანის მიზანია ბირთვული პროგრამის განვითარებითა და ბირთვული იარაღის შექმნით განსაკუთრებული როლი ითამაშოს, როგორც რეგიონალურ, ისე გლობალურ პოლიტიკაში. თუკი შაჰის დროს ბირთვული ამბიციები მხოლოდ ენერგორესურსების გამდიდრებით იყო განპირობებული, ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ, განსაკუთრებით კი ირან-ერაყის ომის დასრულებისას ახალმა ხელისუფლებამ ბირთვული იარაღის შექმნა დაისახა მიზნად. მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოთა მხრიდან არაერთი კონტროლმა გატარდა იმისათვის, რომ ირანისთვის შეეზღუდათ ბირთვული იარაღის შექმნის საშუალება, დაუწესდა არაერთი ფინანსურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები, დასავლეთისა და აშშ-ის მიერ, ირანი კვლავ განაგრძობს მიზნისკენ სწრაფვას, რომ შექმნას და განავითაროს ბირთვული იარაღის პოტენციალი. 2015 წელს ირანსა და 5+1 (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, რუსეთი +გერმანია) შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობასა და მისი კონტროლის შესახებ, რომელიც იმავე წელს გაეროს რეზოლუციითაც იქნა აღიარებული, მაგრამ ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გავიდა აშშ - 2018 წელს, ტრამპის

ადმინისტრაციის დროს, შემდეგ ირანმა უარს გაცხადა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და ამაში აშშ-ს ადანაშაულებდა. აშშ-ის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლას, ასევე მოჰყვა ირანის მიმართ სანქციების გამკაცრება. დღეისათვის გაერო და ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოები კვლავ მოუწოდებენ ირანსა და აშშ-ს დაუბრუნდნენ ხელშეკრულების პირობებს, თუმცა ამ დროისათვის რაიმე ხელშესახები ნაბიჯები არ გადადგმულა ამ მიმართულებით. ირანის მხრიდან ბირთვული იარაღის შექმნისკენ მისწრაფება კვლავ რჩება, როგორც რეგიონულ, ასევე გლობალური დონის უსაფრთხოების საკითხად.

საკვანძო სიტყვები: ირანი, აშშ, სანქციები, იარაღის გაუვრცელებლობა, გაერო.

Historical-Political Reasons for the Formation of Iran's Nuclear Program

Omar Turmanidze

PhD Student, Caucasus International University,

o.turmanidze1984@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0000-3957-4472>

Abstract

As a result of the analysis of the historical and political reasons for the creation of Iran's nuclear program, it can be said that the Islamic Republic of Iran, after the Islamic Revolution of Iran, took a completely different path regarding its nuclear program. Iran's goal is to play a special role in both regional and global politics by developing a nuclear program and creating nuclear weapons. If, during the Shah's time, nuclear ambitions were determined only by the enrichment of energy resources, after the Islamic Revolution of Iran, especially after the Iran-Iraq War, the new government set the goal of creating nuclear weapons. Even though the nuclear-weapon states took several countermeasures to limit Iran's ability to create nuclear weapons and several financial, economic, and political sanctions were imposed on it by the West and the USA, Iran continues to strive for the goal of creating and developing nuclear weapons potential. In 2015, Iran and the P5+1 (US, UK, France, China, Russia + Germany) signed an agreement on the non-proliferation and control of nuclear weapons, which was also recognized by a UN resolution in the same year, but the US unilaterally withdrew from the agreement in 2018 during the Trump administration. Iran then refused to fulfill the terms of the agreement and, of course, blamed the US for this. The tightening of sanctions against Iran also followed the US withdrawal from the agreement. Today, the UN and other states party to the agreement continue to call on Iran and the US to return to the terms of the agreement, although no tangible steps have been taken in this direction so far. Iran's aspiration to create nuclear weapons remains a security issue, both regionally and globally.

Keywords: Iran, USA, Sanctions, Non-proliferation, UN.

შაჰის ირანმა ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა ისლამურ რევოლუციამდე დაიწყო. ბირთვული პროგრამის მიზანი თავდაპირველად მხოლოდ ბირთვული ენერგიის გამოყენება იყო ენერგეტიკული რესურსების გაზრდის მიზნით. ჯერ კიდევ მოჰამად რიზა-შაჰ ფეჰლევის¹⁶⁴ დროს, აშშ-ირანის ურთიერთობაში მოხდა სამოქალაქო-ბირთვული თანამშრომლობა იმ მიზნით, რომ ირანს შეძლებოდა უფრო მეტი ელექტროენერგიის გამომუშავება. იმ პერიოდისთვის, ირანის ტახტზე უკანასკნელი შაჰი იჯდა. ირანი კი ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე ქვეყანა იყო. აშშ-მა და ირანმა 1957 წელს გააფორმეს შეთანხმება ბირთვული თანამშრომლობის შესახებ, რომელიც გამიზნული იყო სამოქალაქო მიზნებისთვის. ამ შეთანხმების თანახმად, აშშ-მა, 1967 წელს მართლაც იმუშავა და დაასრულა ელექტრულ ბირთვულ რეაქტორზე მუშაობა. ახლად შექმნილი ბირთვული რეაქტორი და მასთან დაკავშირებული ლაბორატორიული კვლევების კომპლექტი გახდა თეირანის ბირთვული კვლევების ცენტრის ნაწილი (TNRC - Tehran Nuclear Research Center)¹⁶⁵.

აშშ-ირანის ბირთვული თანამშრომლობის ხელშეკრულების პირობების თანახმად, 1968 წელს ირანმა ხელი მოაწერა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას (NPT-Non-Proliferation Treaty) და მოახდინა ხელშეკრულების რატიფიცირება 1970 წელს.¹⁶⁶ 1974 წელს, ირანმა, რომლის მიზანიც იყო, სწორედ ბირთვული ენერგიის, როგორც ენერგორესურსად გამოყენება,¹⁶⁷ ხელი მოაწერა უსაფრთხოების შეთანხმებას საერთაშორისო ატომური ენერგეტიკის სააგენტოსთან, (IAEA-International Atomic Energy Agency), რომელიც გლობალურ-მსოფლიო მასშტაბით ახორცილებს ინსპექტირებასა და მონიტორინგს ყველა ბირთვულ ობიექტზე.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1974 წელს შეიქმნა ირანის ატომური ენერგიის ორგანიზაცია (AEOI-Atomic Energy Organization of Iran), რომელსაც დაევა ბირთვული ენერგიის წარმოების გაზრდა. ეს, ფაქტობრივად იყო ამბიციური გეგმა, რაც ითვალისწინებდა მომდევნო 20 წელიწადში, 1995 წლისათვის, ირანის ატომური ენერგიის

¹⁶⁴ ირანის ბოლო შაჰი - ქვეყანას მართავდა 1941-1979 წლებში

¹⁶⁵ Nuclear Threat Initiative, "Iran: Nuclear Overview," www.nti.org/e_research/profiles/iran/Nuclear/index.html. გვ. 29.

¹⁶⁶ <https://www.jstor.org/stable/10.7249/j.ctt1q60rb.10>

¹⁶⁷ Barzegar K. Iran's Foreign Policy Post-invasion Iraq, Middle East Policy. 2008. გვ. 46.

გამომუშავებული სიმძლავრე ყოფილიყო 23 000 მეგავატი. ამ გეგმებში შედიოდა ბირთვული საწვავის განვითარების სრული ციკლი და ურანის გამდიდრება. აგრეთვე ირანმა შეიმუშავა გეგმა 22 ბირთვული რეაქტორის მშენებლობაზე. ამ საკითხზე, ამერიკელ და ევროპელ კონტრაქტორებთან დაიწყო მოლაპარაკებები.

1979 წელს ირანში მოხდა ირანის ისლამური რევოლუცია, შედეგად შაჰი ჩამოგდებული იქნა ტახტიდან. ისლამურ რევოლუციას მრავალმა ფაქტორმა ჩაუყარა საფუძველი. ირანის ისლამური რევოლუციის საფუძველი და წინაპირობები პოლიტიკურ, ეკონომიკურ მიზეზებთან ერთად იყო სოციალური უთანასწორობა და რელიგიური ფაქტორი, რამაც, თავის მხრივ, საფუძველი ჩაუყარა ირანის ისლამური რესპუბლიკის ჩამოყალიბებას.

ისლამური რევოლუციის შედეგად ირანის ხელისუფლებაში მოვიდა სასულიერო ლიდერი აიათოლა ხომეინი¹⁶⁸, რომელიც შაჰის მიერ გამეფებული იყო ირანიდან 1964 წელს. იგი 1979 წლის თებერვალში დაბრუნდა ირანში და გახდა რევოლუციის ლიდერი, მისი დევიზები ეფუძნებოდა ისლამური სახელმწიფოს იდეას, რომელიც ხალხის უფლებებიდან და რელიგიური ფასეულობებიდან გამომდინარეობდა.

ირანის ისლამურ რევოლუციის შედეგად შაჰმა დატოვა ირანი. შაჰის გაქცევამ განაპირობა ისლამური რესპუბლიკის გამოცხადება 1979 წელს, რომლის შემდეგაც ირანი გახდა ისლამური სახელმწიფო, სადაც აღსრულდა ხომეინის შექმნილი "ოფიციალური ისლამური რევოლუციის" იდეები. აიათოლა ხომეინი გახდა ირანის პირველი უმაღლესი სასულიერო ლიდერი და დაიწყო ახალი ისლამური კონსტიტუციის დანერგვა, რომელიც დაფუძნებული იყო შიიტურ ფუნდამენტალიზმზე.

აღნიშნულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა, რომელმაც ფაქტობრივად შეცვალა ირანის სახელმწიფო 1979 წლიდან დღემდე, ცხადია, უდიდესი გავლენა იქონია ირანის ბირთვულ პროგრამაზე. მას შემდეგ, რაც ისლამური რევოლუცია დასრულდა, ირანის ბირთვული პროგრამის განვითარება გაგრძელდა, თუმცა რევოლუციის შემდეგ მისი მიზნები და მიმართულებები მნიშვნელოვნად შეიცვალა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,

¹⁶⁸ აიათოლა რუჰოლა ალ-მუსავი ხომეინი ირანის პოლიტიკური და სულიერი ლიდერი. 1978-1979 წლების ირანის ისლამური რევოლუციის მთავარი შემოქმედი. ქვეყანას მართავდა (სულიერი ლიდერი - რაჰბარი იყო) 10 წლის განმავლობაში - 1979 - 1989 წლწმში.

რევოლუციამდე ირანი საკმაოდ პრაგმატულად უყურებდა ბირთვულ ენერგიას, თუმცა რევოლუციის შემდეგ ბირთვული პროგრამა გახდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხი¹⁶⁹, განსაკუთრებით დასავლეთისთვის, რაც გავლენას ახდენდა, როგორც ქვეყნის შიდა, ისე საგარეო პოლიტიკაზე.

ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ, ახალი მთავრობა, აიათოლა ხომეინის ხელმძღვანელობით, მტკიცედ უარყოფდა შაჰის მიერ განხორციელებულ დასავლურ პოლიტიკას და დაიწყო დამოუკიდებელი ბირთვული პროგრამის განვითარება. თავდაპირველად, რევოლუციის შემდეგ, ირანის ბირთვული პროგრამა შეჩერდა, რადგან ახალი რელიგიური ხელისუფლება არ ენდობოდა დასავლეთის ქვეყნების, განსაკუთრებით, აშშ-ის ბირთვული ტექნოლოგიის მხარდაჭერას. ბირთვული პროგრამის განვითარების მსვლელობაზე განსაკუთრებული როლი ითამაშა ირან ერაყის ომმა. (1980-1988წწ), ამ ომის მიმდინარეობისას და შემდეგ, ირანის ისლამური რევოლუციის შემოქმედებმა, ბირთვული იარაღი განიხილეს, უსაფრთხოების ჭრილში და ბირთვული პროგრამის კვლევები უფრო აქტიურად გაგრძელდა ვიდრე მანამდე. 1989 წელს ირანმა დაიწყო ბირთვული ობიექტების აშენება, რომლის ოფიციალური მიზანი იყო ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და ბირთვული ტექნოლოგიების განახლება, თუმცა, ირანის ხელისუფლება ნაკლებად თანამშრომლობდა აშშ-სა და დასავლეთთან.

იმ მიზეზების ცოდნა, თუ რატომ მიისწრაფვის ირანის ისლამური რესპუბლიკა შექმნას და განავითაროს ბირთვული იარაღი, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, როგორც აშშ-თვის, ასევე ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოთათვის. აღნიშნული მიზეზების ცოდნა მნიშვნელოვანია, რათა მსოფლიო პოლიტიკის დიდმა მოთამაშეებმა განსაზღვრონ და შეიმუშაონ რაციონალური პოლიტიკა ბირთვული იარაღით შეიარაღებული რადიკალური ისლამური რეჟიმის მქონე ირანის თავიდან ასაცილებლად. ირანი, როგორც ენერგიით მდიდარი და სტარტეგიულად სასიცოცხლო მნიშვნელობის - სპარსეთის ყურის რეგიონში მდებარეობს და დომინირებს ჰორმუზის სრუტეზე, რომელიც კონტროლს უწევს მნიშვნელოვან საზღვაო ენერგომარშრუტებს. ირანის ჩრდილოეთით მოქცეულია კასპიის ზღვა, რომელიც მდიდარია ენერგორესურსებით. აღნიშნული გეოპოლიტიკური

¹⁶⁹ მაისაია ვ. მადრაძე გ. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია. მითი და რეალობა და გლობალური ასპექტები. თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2017. გვ. 26.

მდებარეობა იწვევს კონფლიქტებს რეგიონში - რესურსების კონტროლის გამო და გავლენების განაწილების თვალსაზრისითაც. აღნიშნული ენერგო და ბუნებრივი რესურსების კონტროლის მონოპოლია იწვევს არამხოლოდ რეგიონულ, არამედ გლობალურ დაპირისპირებას, სადაც აშშ-ს საკუთარი მისწრაფებები და ამბიციები გააჩნია, ასევე, რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ, კასპიის ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის რესურსებზე მზარდია ინტერესი დასავლეთ ევროპის მხრიდანაც გაიზარდა. შესაბამისად, ირანის ისლამურ რესპუბლიკას, როგორც რესურსებით მდიდარ და ისტორიულად ძლიერ ქვეყანას გააჩნია ამბიცია შექმნას ბირთვული იარაღი და, ამ იარაღის საშუალებით, თავი დაიმკვიდროს, როგორც გლობალურმა მოთამაშემ, დააბალანსოს ისრაელი და ახლო აღმოსავლეთში გახდეს რეგიონული ჰეგემონი.

მიუხედავად იმისა, რომ ირანის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში განსხვავებები არსებობდა, ქვეყანას შეუმჩნეველი სურვილი ჰქონდა, წარმოეჩინა საკუთარი წამყვანი როლი სპარსეთის ყურეში და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ირანისთვის, დომინანტული პოზიცია რეგიონულ პოლიტიკაში და ეკონომიკაში იყო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, რაც შეუწყობდა ხელს ქვეყნის გავლენას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო არენაზე.

ბირთვული შესაძლებლობების განვითარება ირანის ბირთვული პროგრამის ძირითადი კომპონენტი იყო, რომელიც ჯერ კიდევ 1950-იან წლებიდან დაიწყო. აღნიშნული პროგრამა გაწვდილი იყო აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი ინიციატივის ფარგლებში, სახელწოდებით „ატომები მშვიდობისთვის“, რაც გულისხმობდა ბირთვულ ენერგიასა და ტექნოლოგიებს მშვიდობიანი მიზნებისთვის.

ბირთვული პროგრამის განვითარება აქტიურად მიმდინარეობდა 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის წინ, თუმცა, რევოლუციის შედეგად მასშტაბური ცვლილებების შედეგად, პროგრამის უმეტესი ნაწილი შეჩერდა. ამის მიუხედავად, ირანს კვლავ უმაღლესი მიზნები და გეგმები ჰქონდა ბირთვული ტექნოლოგიისა და ენერგიის სფეროში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა რეგიონულ და გლობალურ პოლიტიკაზე.

1980-1988 წლებში, როდესაც მიმდინარეობდა ირან-ერაყის ომი, მთელი მსოფლიო ერაყს უჭერდა მხარს და ირანი ფაქტობრივად სტრატეგიული მოკავშირის გარეშე აღმჩნდა. ამ ომში ირანის წინააღმდეგ, ერაყის მხრიდან, რამდენჯერმე გამოყენებული იქნა ქიმიური იარაღი, რაც ირანს უქმნიდა ეგზისტენციალურ საფრთხეს, თუმცა აღნიშნულ ფაქტზე მსოფლიომ არ მოახდინა სათანადო რეაგირება, რამაც უფრო მეტად გაუმწვავა ირანს

ბირთვული იარაღის შექმნის მოთხოვნილება და ამბიცია, როგორც მოწინააღმდეგის/მტრის შემაკავებელი ფაქტორი.¹⁷⁰

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ირანის ბირთვული პროგრამის განვითარება ძირითადად იყოფა ორ ეტაპად, ესენია: ბირთვული პროგრამა შაჰის დროს, ანუ ისლამურ რევოლუციამდე და ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ. ირანის ბირთვული პროგრამა 1979 წლამდე, ვიდრე ისლამური რევოლუცია მოხდებოდა და ირანის უკანასკნელ შაჰს ჩამოაგდებდნენ ტახტიდან, პროგრამა ენერგეტიკულ მიზნებს ემსახურებოდა და ამ პროგრამას ძალიან აქტიურად უჭერდა მხარს აშშ. როგორც ვთქვით, ბირთვული ტექნოლოგიებით, ირანის თავდაპირველი ინტერესის ერთ-ერთი მთავარი მოტივაცია იყო ენერგიის დივერსიფიკაციის საჭიროება. ნავთობის უზარმაზარი მარაგის მიუხედავად, ირანის ხელმძღვანელობამ აღიარა ენერგიის ალტერნატიული წყაროების უზრუნველყოფის მნიშვნელობა მისი მზარდი ეკონომიკისთვის. ბირთვული ენერგია განიხილებოდა, როგორც ნავთობზე და ბუნებრივ გაზზე დამოკიდებულების შემცირების საშუალება, რაც უზრუნველყოფდა ქვეყნის გრძელვადიან ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.¹⁷¹

ისლამური რევოლუციის შემდეგ, ირანის ახალმა ხელმძღვანელობამ, აიათოლა ხომეინის მეთაურობით, მკაცრი ანტიდასავლური პოზიცია დაიკავა. ეს ცვლილება გამოიხატა 1979 წლის ნოემბერში თეირანში აშშ-ს საელჩოს დაკავებით, რამაც გამოიწვია დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა შეერთებულ შტატებთან. აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ, მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე გამოსვლისთანავე, თვალშისაცემად უარყო ვესტფალიის საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რაც გულისხმობს დიპლომატიურ იმუნიტეტს, როდესაც ირანის დედაქალაქ თეირანში თავდასხმა განახორციელა შეერთებული შტატების საელჩოზე და საელჩოს თანამშრომლები 44 დღის განმავლობაში მძევლად ჰყავდა აყვანილი.¹⁷² რევოლუციის ლიდერები შაჰის ბირთვულ პროგრამას განიხილავდნენ, როგორც დასავლური იმპერიალიზმის იარაღს, ხოლო ახალი ისლამური მთავრობა

¹⁷⁰ A. Ogunnoiki. - UNITED STATES FOREIGN POLICY ON IRAN'S NUCLEAR PROGRAMME: FROM BUSH TO TRUMP ADMINISTRATION. African Journal of Social Sciences and Humanities Research, ISSN: 2689-5129 Volume 4, Issue 1, - 2021. გვ. 142.

¹⁷¹ Reardon R.J., - Iran's Nuclear Program: Past, Present, and Future – 2023. გვ.26.

<https://www.jstor.org/stable/10.7249/j.ctt1q60rb.10>

¹⁷² კისინჯერი 3, მსოფლიო წესრიგი, გამომცემლობა ინტელექტი. თბილისი -2020. გვ. 329.

ცდილობდა დისტანცირებას წინა რეჟიმის ბირთვული ამბიციებისგან. 1980 წელს დაწყებულმა ომმა ირანსა და ერაყს შორის მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ირანის გადაწყვეტილებაში, საბოლოოდ აღედგინა თავისი ბირთვული პროგრამა. რვაწლიანმა ომმა გამოიწვია დაუცველობის განცდა, რადგან ერაყმა, სადამ ჰუსეინის¹⁷³ დროს, როგორც აღვნიშნეთ, არაერთხელ გამოიყენა ქიმიური იარაღი ირანული ძალების წინააღმდეგ. ამ დაუცველობამ აიძულა ირანი განეხილა მოწინავე იარაღის, მათ შორის ბირთვული იარაღის შექმნა, როგორც გარე საფრთხეების შეკავების საშუალება. ირანის ბირთვული პროგრამა „ახალი ეპოქის“ შემდეგ, ასევე ემსახურებოდა გეოპოლიტიკურ მიზნებს, განსაკუთრებით ქვეყნის რეგიონული ძალაუფლებისა და გავლენის გაძლიერებას. ბირთვული ტექნოლოგიის შეძენა განიხილებოდა, როგორც ირანის სტრატეგიული პოზიციის განმტკიცების საშუალება მისი რეგიონალური მეტოქეების, განსაკუთრებით ერაყის მიმართ, და პოტენციურად შეაჩეროს ნებისმიერი გარე საფრთხე.¹⁷⁴

ირან-ერაყის ომის შემდეგ, 1990-იანი წლებისთვის ირანმა ფარულად დაიწყო ბირთვული პროგრამის აღდგენა, მიუხედავად იმისა, რომ მზარდი საერთაშორისო კონტროლი და შეზღუდვები ემუქრებოდა. ირან-ერაყის ომის დასრულებამ და ქვეყნის შიგნით სისტემური რეკონსტრუქციის აუცილებლობამ ირანს საშუალება მისცა ხელახლა ფოკუსირება მოეხდინა თავის სტრატეგიულ მიზნებზე, მათ შორის, ბირთვული ამბიციების გაცოცხლებაზე. ფარული ბირთვული საქმიანობების მიზნით, ირანი აქტიურად ემუშავდა ბირთვულ ტექნოლოგიებს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის - რუსეთიდან, ჩინეთიდან და ჩრდილოეთ კორეიდან¹⁷⁵. ეს მცდელობები, უმეტეს შემთხვევაში, ფარულად მიმდინარეობდა, რადგან ირანი დიპლომატიურად იზოლირებული იყო და მზარდ ზეწოლას განიცდიდა საერთაშორისო საზოგადოებისგან, განსაკუთრებით შეერთებული შტატებისგან, რომელიც ადანაშაულებდა ირანს ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაში. ამ დროის განმავლობაში ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო ირანის პარტნიორობა რუსეთთან. 1992 წელს რუსეთი დათანხმდა იმ ატომური რეაქტორის დასრულებას, რომელიც დაუმთავრებელი იყო ირანის ისლამური რევოლუციის დროს. ამ თანამშრომლობამ გამოკვეთა ორ ქვეყანას შორის მჭიდრო

¹⁷³ სადამ ჰუსეინი - ერაყის პრეზიდენტი 1979-2003 წწ.

¹⁷⁴ Behrang F., - U.S. Foreign Policy Interests and Iran's Nuclear Program. University of Saskatchewan. - 2012. URI <http://hdl.handle.net/10388/ETD-2012-08-721> (12.05.22); გვ. 71.

¹⁷⁵ Barzegar K., - Iran's Foreign Policy post-invasion Iraq, Middle East Policy – 2008. გვ. 64. <https://www.belfercenter.org/> ,

კავშირის დასაწყისი ბირთვული ტექნოლოგიების სფეროში. მაშინ, როცა შაჰის ირანი შეერთებულ შტატებს მიიჩნევდა მოკავშირედ და პარტნიორად, ხოლო საბჭოთა კავშირს მოწინააღმდეგე ბანაკად განიხილავდა. ირანის რევოლუციური ხელისუფლება კი მჭიდრო კავშირს ამყარებდა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთთან, ხოლო უფრო და უფრო მტრულად იყო განწყობილი დასავლეთისა და შეერთებული შტატების მიმართ.

2000-იანი წლების დასაწყისისთვის ირანის ბირთვული ამბიციები უფრო თვალსაჩინო გახდა და მის საქმიანობას საერთაშორისო საზოგადოება სულ უფრო მეტად ამოწმებდა. დასავლურმა ქვეყნებმა¹⁷⁶, განსაკუთრებით შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა, გამოხატეს მზარდი შეშფოთება იმის გამო, რომ ირანი ატომური იარაღის შექმნას ცდილობს ენერგეტიკული მიზნებით ატომური ენერგიის განვითარების საფარქვეშ.

2000-იანი წლებიდან, ახალ საუკუნესთან ერთად, ახალი გეოპოლიტიკური მიდგომები ყალიბდება ირანსა და ახლო აღმოსავლეთის მიმართ შეერთებული შტატების მხრიდან. შეერთებულ შტატებში ხდება პრეზიდენტი ჯორჯ ბუში¹⁷⁷ (უმცროსი), რომელიც მკვეთრად ცალსახა და ხისტი მიდგომებით გამოირჩეოდა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ბუშის ადმინისტრაციამ მკაფიოდ გამოხატა უნილატერალისტური მიდგომა, როდესაც დაიწყო „მსოფლიო ომი ტერორიზმის წინააღმდეგ“, რომელიც შემუშავდა ძირითადად აშშ-ის ძალების მიერ, მულტილატერალური პარტნიორების გარეშე. ამ პერიოდიდან იწყება ხისტი მიდგომები ახლო აღმოსავლეთის მიმართ, განსაკუთრებით ერაყსა და ირანის წინააღმდეგ. მდგომარეობა იქამდე მივიდა, რომ 2002 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ირანი მოიხსენია, როგორც „ბოროტების ღერძის“ ნაწილი ერაყისა და ჩრდილოეთ კორეის გვერდით. ირანი დაადანაშაულა მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის მცდელობაში.¹⁷⁸ ამ რიტორიკამ, ირანის ფარული ბირთვული საქმიანობის მტკიცებულებებთან ერთად, გამოიწვია ირანზე ზეწოლის გაძლიერება, რათა შეეწყვიტა ურანის გამდიდრების საქმიანობა. აშშ-ის ამ შეშფოთების საპასუხოდ, გაეროს უშიშროების საბჭომ დაუწესა მთელი რიგი სანქციების კომპლექსი ირანს, რომლებიც მიზნად ისახავდა ირანის ბირთვული და ბალისტიკური რაკეტების პროგრამების შეზღუდვასა და შეჩერებას. შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა ასევე

¹⁷⁶ Cohen, John H. "Collaborative Security: A new framework for International Peace". The Marshall Center Papers. No.3. 2000. გვ. 153.

¹⁷⁷ ჯორჯ უოკერ ბუში - აშშ-ის 43 პრეზიდენტი, 20.01.2001-20.01.2009 წწ.

¹⁷⁸ ჯენტელსონი ბ. ამერიკის საგარეო პოლიტიკა - არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში. მთარგმნელი აფრასიძე, მიქაუტაძე ა, აბაშიძე ა, ფავლენიშვილი ნ. თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2014. გვ. 428.

განახორციელეს დიპლომატიური აქტები ირანის დიპლომატიური იზოლაციისთვის. ევროკავშირმა, თავის მხრივ, შესთავაზა მოლაპარაკებები ირანს ურანის გამდიდრების შეჩერების სანაცვლოდ. 2006 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, რუსეთი) წევრთან ერთად და გერმანიასთან ერთად შეიქმნა და ჩამოყალიბდა P5+1 ჯგუფი. ამ ჯგუფის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიციების კოორდინაცია.

2015 წლის ბირთვული შეთანხმება, რომელიც ცნობილია, როგორც **ერთობლივი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა (JCPOA)**¹⁷⁹, მნიშვნელოვანი დიპლომატიური გარღვევა იყო. შეთანხმებაზე მოლაპარაკება გაიმართა ირანსა და ექვს მსოფლიო ძალას P5+1 (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და გერმანია) შორის ევროკავშირთან ერთად. ეს შეთანხმება ნამდვილად განიხილება ირანის ბირთვულ პროგრამასთან მიმართებაში, როგორც მნიშვნელოვანი დიპლომატიური მიღწევა, რომელიც მიზნად ისახავდა ირანს უარი ეთქვა იმ განმრავლებაზე, რაც ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით ჰქონდა ჩაფიქრებული. სამაგიეროდ კი ირანს საშუალებას მისცემდა შეენარჩუნებინა ბირთვული პროგრამა სამოქალაქო დანიშნულებით - ელექტრო ენერგიის წარმოებისთვის. ამასთან ერთად, ირანს შეუმსუბუქდებოდა მასზე დაკისრებული სანქციები და შეძლებდა საერთაშორისო ბაზარზე ვაჭრობას¹⁸⁰.

2016 წელს, ამერიკის პრეზიდენტად არჩეული იქნა დონალდ ტრამპი¹⁸¹, რომლის დამოკიდებულება ირანთან მიმართებაში, განსაკუთრებულად ხისტი და მკაცრი იყო, განსაკუთრებით ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით. ტრამპის დამოკიდებულება ირანის ბირთვულ პროგრამასთან მიმართებაში პირდაპირ შეესაბამება რეალისტური იზოლაციონიზმის თეორიას. ის მოქმედებდა ისე, რომ მინიმუმამდე შეამცირა საერთაშორისო ჩარევა და მართლაც, 2018 წელს, ცალმხრივად გამოაცხადა შეერთებული შტატები JCPOA შეთანხმებიდან გასულად¹⁸², ამით ირანის მისცა საბაზი აღარ შეესრულებინა შეთანხმების სულისკვეთება, გაეგრძელებინა რეგიონული ბირთვული პროგრამა და ურანის გამდიდრება, მთელი თანმდევი საფრთხეებითა და გამოწვევებით. ირანმა თანდათანობით დაიწყო კიდევ, შეთანხმების პირობების დარღვევა, გაზარდა გამდიდრებული ურანის მარაგი და განაახლა ზოგიერთი ბირთვული აქტივობა,

¹⁷⁹ JCPOA – Joint Comprehensive Plan of Action

¹⁸⁰ Tabatai A. Preserving the Iran Nuclear Deal. Perils and Prospects. 2017. გვ. 114.

¹⁸¹ Donald John Trump - ამერიკელი ბიზნესმენი და პოლიტიკოსი, აშშ-ის 45-ე და 47-ე პრეზიდენტი

¹⁸² Kroenig M.M. The Logic of American Nuclear Strategy: Why Strategic Superiority Matters. 2018. გვ.83.

რომელიც შეჩერებული იყო შეთანხმების ფარგლებში. ტრამპის ქმედებები ირანთან მიმართებით არ შემოიფარგლა მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლით. მან შეთანხმებიდან აშშ-ის გაყვანის შემდეგ, კვლავ დაუწესა მკაცრი სანქციები ირანს, რამაც სერიოზულად იმოქმედა მის ეკონომიკაზე, განსაკუთრებით ნავთობის ექსპორტზე¹⁸³. სანქციების განახლებამ ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის დამაბულობის ზრდას. ირანი, თავის მხრივ, აშშ-ს ადანაშაულებს შეთანხმების დარღვევაში და შეთანხმების ჩაშლის საპასუხოდ, ირანმა დაიწყო ნაკისრი ვალდებულებების შემცირება. ქვეყანამ გამოაცხადა, რომ დაიწყებდა ურანის გამდიდრებას უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე შეთანხმებით იყო გათვალისწინებული. ასევე დაიწყო მუშაობა ბირთვული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. მიუხედავად დიპლომატიური მცდელობებისა, რომ დანახლებულიყო JCPOA-ხელშეკრულების პირობები, 2020 წლიდან ირანმა გააგრძელა ბირთვული შესაძლებლობების გაზრდა. პრეზიდენტ ჯ. ბაიდენის ადმინისტრაციამ გამოხატა ინტერესი ხელახლა შეუერთებოდა შეთანხმებას, მაგრამ მოლაპარაკებები ძალზედ შენელებული და გართულებული არმოჩნდა ირანის ქმედებებითა და რეგიონული დამაბულობებით.¹⁸⁴

დღეისათვის ირანის ბირთვული აქტივობები, განსაკუთრებით მისი ურანის გამდიდრების მცდელობები, კვლავ იწვევს შეშფოთებას დასავლეთში და მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით ისრაელში, რომელიც ბირთვული იარაღით შეიარაღებულ ირანს ეგზისტენციალურ საფრთხედ მიიჩნევს. დიპლომატიური ძალისხმევა, მათ შორის არაპირდაპირი მოლაპარაკებები აშშ-სა და ირანს შორის, ფოკუსირებულია JCPOA-ს აღდგენის შესაძლებლობაზე, მაგრამ გამოწვევები რჩება, განსაკუთრებით ირანის სარაკეტო პროგრამასთან და რეგიონულ კონფლიქტებში მის ჩართვასთან დაკავშირებით. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები და ცვლილებები სირიაში (იგულისხმება ბაშარ-ალ-ასადის რეჟიმის დამხობა), ცხადია გავლენას იქონებს ირანის ბირთვულ პროგრამის განვითარებაზე. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს ემატება ასევე დ. ტრამპის დაბრუნება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად. JCPOA -შეთანხმების აღდგენა ან განახლება დამოკიდებული იქნება მთელ რიგ მოვლენებზე.

¹⁸³ Tekayh R. The Nuclear Deal Fallout: The Global Threat of Iran. 2017. გვ.38.

¹⁸⁴ Reardon R.J., - Iran's Nuclear Program: Past, Present, and Future – 2023. გვ. 54.
<https://www.jstor.org/stable/10.7249/j.ctt1q60rb.10>

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის ამჟამინდელი ხელისუფლება, თავის ლეგიტიმურობის და ხელისუფლების შენარჩუნების საშუალებად მთლიანად ისლამზე ამყარებს. იგი იძულებულია შეეწინააღმდეგოს, არ მიიღოს, საერთაშორისო სისტემაში დამკვიდრებულ ძალაუფლების განაწილების პრაქტიკა. ირანის მიერ ბირთვული იარაღის მოპოვება და ამ გაცხადებული მიზნის მიღწევა, ცხადია სასარგებლო იქნება რეჟიმისათვის შიდა მხარდაჭერის გასაძლიერებლად. სასულიერო ელიტა, რომელიც მართავს ირანს, ყოველთვის ეძებდა და ეძებს შესაძლებლობებს, არსებული, მზარდი, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემებით შეწყუბებული მოსახლეობის ყურადღების გადასატანად. ბირთვული იარაღის შექმნა რეჟიმს მისცემს შესაძლებლობას აიმაღლოს პრესტიჟი საკუთარ მოსახლეობასთან და ამით გადაფაროს ქვეყნის შიგნით არსებული რთული სოციალ-ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა. ირანის ისლამურმა რეჟიმმა წარმატებით მოახდინა ბირთვული იარაღის შექმნის იდეის ნაციონალიზაცია, საკითხის ნაციონალიზმის კუთხით ჩამოყალიბება. ირანელები ფიქრობენ, რომ ბირთვული იარაღის შექმნით შეძლებენ კიდევ უფრო დაამტკიცონ იდენტურობა და სიდიადე, რომ არიან ტექნოლოგიურად განვითარებული, დამოიკიდებელი სახელმწიფო, რომელიც საუკუნეებია იმსახურებს განსაკუთრებულ აღიარებას, ისინი თვლიან, რომ თუ ბირთვული იარაღის შექმნის იდეას მიაღწევენ დაიმსახურებენ საერთაშორისო პრესტიჟსა და პატივს. ასევე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ირანის მტერი სახელმწიფო - ისრაელი, აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირეა და მას გააჩნია ბირთვული შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი ოფიციალურად არასდროს არ ადასტურებს ბირთვული იარაღის ფლობას, თანამედროვე ირანისთვის ეს ფაქტი, რომ ისრაელი ფლობს ბირთვულ შესაძლებლობებს, უმაღლესი დონის საფრთხეს წარმოადგენს და ამიტომ, მას აქვს კიდევ უფრო სტრატეგიული მიზანი შექმნას ბირთვული იარაღი და დააბალანსოს ისრაელი რეგიონში, ამით უზრუნველყოს საკუთარი თავის უსაფრთხოება. მოსახლეობისა და ტერიტორიის გათვალისწინებით კი, ბირთვული იარაღის შექმნის შემდეგ ირანი უპირატესობაშიც გამოდის.¹⁸⁵

¹⁸⁵ არტი რ. და ჯერვისი რ, საერთაშორისო პოლიტიკა, მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი - 2011. გვ. 261.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ირანის ისლამური რესპუბლიკის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის მოტივები მასშტაბური და კომპლექსურია. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ბირთვული შესაძლებლობების განვითარება ირანს მისცემს საშუალებას უფრო გაბედულად იმოქმედოს საერთაშორისო ასპარეზზე ირანის ინტერესების რეალიზაციისთვის და მისთვის სასურველი საერთაშორისო პოლიტიკური დღის წესრიგის წარმართვის თავალსაზრისით.

(დასკვნა ამ ფორმითაც შეიძლება თუ გსურთ: იხილეთ გაწითლებული ჩანაწერი)

როგორც უკვე აღინიშნა, ირანის ისლამური რესპუბლიკის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის მოტივები მრავალმხრივი და კომპლექსურია. ბირთვული შესაძლებლობების განვითარება არ მხოლოდ ტექნოლოგიურ ასპექტებს არ მოიცავს, არამედ აქვს ეფექტური გავლენა ირანის საერთაშორისო პოზიციასა და პოლიტიკურ გავლენაზე.

ბირთვული პროგრამის განხორციელება ირანის ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, უფრო გაბედულად მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში, რაც აუცილებელია ქვეყნის ეროვნული ინტერესების ეფექტური რეალიზაციისათვის. ამგვარი შესაძლებლობები გამოავლენს ირანის როლის გაძლიერებას, როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ ასპარეზზე, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ადგილობრივ უსაფრთხოებას, არამედ შესაძლოა ისეთი რეგიონული სტაბილურობის მიღწევას, რაც საჭიროა საერთაშორისო დღის წესრიგის ფორმირებისთვის.

აქედან გამომდინარე, ირანის ბირთვული შესაძლებლობების განვითარება ქმნის მძლავრ საფუძვლებს არა მარტო ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის განხორციელებისთვის, არამედ ქვეყანას საშუალებას აძლევს ეფექტურად მართოს საერთაშორისო დამოკიდებულებები და ურთიერთობები, რაც ირანის გრძელვადიანი მიზნების განხორციელების გასაღებია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არტი, რ. ჯერვისი, რ. საერთაშორისო პოლიტიკა - მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
2. კისინჯერი, ჰ. მსოფლიო წესრიგი. მთარგმნელი მაია ფანჯიკიძე. თბილისი: ინტელექტი, 2014.
3. მაისაია, ვ. მაღრაძე, გ. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები. თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი, 2017.
4. ჯენტლესონი ბ. ამერიკის საგარეო პოლიტიკა - არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში. მთარგმნელი აფრასიძე დ, მიქაუტაძე ა, აბაშიძე ა, გვალია გ, ტიკარაძე ნ, სიხარულიძე ტ, ქუმსიაშვილი თ და ფავლენიშვილი ნ. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014.
5. Barzegar K. Iran's Foreign Policy post-invasion Iraq, Middle East Policy. 2008. <https://www.belfercenter.org/> .
6. Behrang F. U.S. Foreign Policy Interests and Iran's Nuclear Program. University of Saskatchewan. 2012. <http://hdl.handle.net/10388/ETD-2012-08-721>
7. Cohen, John H. "Collaborative Security: A New Framework for International Peace." The Marshall Center Papers, No.3, 2000.
8. Kroenig M. M. "The Logic of American Nuclear Strategy: Why Strategic Superiority Matters." 2018. <https://www.jstor.org/stable/26430819>
9. Ogunnoiki A. United States Foreign Policy on Iran's Nuclear Programme: from BUSH to TRUMP Administration. African Journal of Social Sciences and Humanities Research, ISSN: 2689-5129 Volume 4, Issue 1, 2021.
10. Reardon R.J. Iran's Nuclear Program: Past, Present, and Future. 2023. <https://www.jstor.org/stable/10.7249/j.ctt1q60rb.10>
11. Tabatabaei A. Preserving the Iran Nuclear Deal: Perils and Prospects. 2017. <http://www.jstor.com/stable/resrep04931>
12. Takeyh R. The Nuclear Deal Fallout: The Global Threat of Iran. 2017. <https://www.cfr.org/report/nuclear-deal-fallout-global-threat-iran>

ძალადობა, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი

კახი კოპალიანი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

<mailto:kkopaliani@sou.edu.ge>

ORCID iD: <https://orcid.org/0000-0002-0597-2306>

სოფიო ტალახაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

Sophiotalakhadze012@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0005-5799-4565>

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.15>

აბსტრაქტი

წინამდებარე გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს მოზარდთა ჯგუფებში ფსიქოლოგიური მიკროკლიმატისა და მოზარდთა ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდის ემპირიული შესწავლის საფუძველზე, მათ მიერ ძალადობის გამოვლენის თავისებურებათა დადგენა. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით. კვლევაში მონაწილეობდა 13-17 წლის 503 მოზარდი, რომელიც შეირჩა თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში, საკვლევი ნიმუში შემთხვევითად იქნა შერჩეული აღწერის მონაცემების საფუძველზე. კვლევის ამოცანებად განისაზღვრა მოზარდთა ძალადობრივი ქცევის განმაპირობებელი ფაქტორების თეორიული ანალიზი და ემპირიული კვლევა, მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების შერჩევისა და შემუშავების საფუძველზე. კვლევის ძირითადი ვექტორი მიმართული იყო მოზარდთა სოციალურ მახასიათებლებისა და ძალადობის განზომილებების თავისებურებათა გამოვლენა-აღწერისა და მათი ურთიერთკავშირის დადგენის მიზნით. კვლევამ დაადასტურა, რომ თანატოლთა წრე დიდ როლს ასრულებს მოზარდობის სოციალური უნარების განვითარებაში. მნიშვნელოვანია თანასწორობის განცდა, რომელიც ხელს უწყობს პოზიტიური რეაქციების განვითარებას სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციაში. კვლევამ აჩვენა, რომ მოზარდებში საფრთხის ძლიერი განცდა იმდენად მჭიდრო კავშირშია ძალადობის მაჩვენებლებთან, რომ შესაძლებელია, მაპროვოცირებელ ფაქტორად ჩაითვალოს - ინდივიდში გამოხატული საფრთხე ერთგვარი წახალისებაა პოტენციური მოძალადისთვის, განახორციელოს ძალადობრივი ქმედება ამა თუ იმ ფორმით. მოზარდებისთვის ჯგუფთან მიკუთვნებულობისა და თასწორობის მისაღწევად, თანაბარი პირობებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით, პიროვნულ ნიშან-თვისებებთან ერთად, დიდწილად დაკავშირებულია გარე რეალობაზე ორიენტირებასთან (სოციალურ და პრაქტიკულ ასპექტებთან). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჯგუფთან მიკუთვნებულობას, ანუ გარეგან სტიმულირებასა და თანასწორობას. კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ ფსიქოლოგიური კლიმატი

დინამიკური ერთეულია და მოზარდებისთვის განსაზღვრავს ფსიქოლოგიური ფაქტორების ურთიერთქმედების ძირითად მიკროგარემოს.

ამრიგად, მიღებული მონაცემების თანახმად, მოზარდთა ჯგუფში არსებული ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი და ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდა უარყოფით კორელაციაშია მოზარდის მიერ ძალადობის გამოვლენასთან. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გამოიყო მოზარდთა ეფექტური ჯგუფების შექმნის სტრუქტურული და ფუნქციური მახასიათებლები. აქედან გამომდინარე, მოზარდებთან სკოლის ფსიქოლოგთა ინტენსიური ჩართულობა მნიშვნელოვანია, ჯგუფში ჯანსაღი ფსიქოლოგიური მიკროკლიმატის ხელშეწყობისთვის.

საკვანძო სიტყვები: ძალადობა, ჯგუფთან მიკუთვნებულობა, ჯგუფში არსებული ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი, საფრთხის განცდა, ფსიქოლოგიური კეთილდღეობა.

Violence as a Socio-Psychological Phenomenon

KAKHI KOPALIANI

Professor, Faculty of Business and Social Sciences, Sukhumi State University

<mailto:kkopaliani@sou.edu.ge>

ORCID iD: <https://orcid.org/0000-0002-0597-2306>

SOPHIO TALAKHADZE

PhD Student, Georgian Technical University

Sophiotalakhadze012@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0005-5799-4565>

:

Abstract

The study aims to determine the peculiarities of violence manifestation by adolescents based on the empirical study of the psychological microclimate within their groups and the sense of belonging to a group of adolescents. The study was conducted using a quantitative research method and it involved 503 adolescents aged 13-17 years old who were selected from general educational institutions of Tbilisi. The study sample was randomly selected based on census data. Statistical algorithms were used to select the respondents from the population census data. The objectives of the study were defined to be the theoretical analysis and empirical study of factors determining the aggressive behavior of adolescents, based on the selection and development of methodological instruments. The main vector of the study was to identify and describe the features of social characteristics and dimensions of adolescent violence and determine their relationships. Research has confirmed that the peer circle plays a major role in the development of social skills during adolescence age. It is important to have a sense of equality that promotes positive reactions in various crises. Research has shown that a strong sense of danger in adolescents is so closely related

to the level of violence that it can be seen as a provoking factor - the danger experienced by an individual is a kind of motivation for the potential abuser to commit a violent act in one form or another. For adolescents, achieving belonging to a group in the social microclimate to gain equal conditions and opportunities and gaining equality of personal characteristics is largely related to the orientation on the external reality (social and practical aspects). Belonging to a group, i.e. external stimulation and equality, is of particular importance. The results of the study demonstrate that psychological climate is a dynamic entity and defines the main microenvironment of the interaction of psychological factors for adolescents. Thus, according to the obtained data, the psychological microclimate within the adolescent group and the feeling of belonging to the group correlates negatively with the violence manifestation by the adolescents. Based on the above results, the structural and functional features of creating effective groups of adolescents are highlighted. Therefore, the intensive work of school psychologists with adolescents is important for the formation of a healthy psychological microclimate in the group.

Keywords: Violence, Group Affiliation, Psychological Microclimate within the Group, Sense of Threat, Psychological Well-being

შესავალი

მოზარდთა ძალადობა, მკვლევრებისთვის აქტუალობას არ კარგავს, რადგან მსოფლიო მასშტაბის მზარდი პრობლემაა. ამ მიმართულების საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო კვლევების შედეგები მოზარდთა ძალადობის ყველაზე გავრცელებულ მოტივებს ავლენს. მათ შორის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, სასკოლო თემი და თანატოლთა წრე მოიაზრება. კვლევითვე დასტურება, რომ მოზარდებისთვის დამახასიათებელია, სხვადასხვა სოციალურ ავტორიტეტის მოპოვების მცდელობები. გამოვლენილია, ყურადღების ცენტრში ყოფნის სურვილით გამოწვეული ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის ფაქტები. ასევე, მოწინააღმდეგის დამცირების ან შურისძიების მცდელობები. მწირია ისეთი კვლევები, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოზარდთა ჯგუფთან მიკუთვნებულობაზე, ჯგუფში არსებულ ფსიქო-სოციალურ მიკროკლიმატზე და მის მნიშვნელობაზე.

ძალადობა არის სოციალური ქცევა და შესწავლილია მრავალმხრივ, როგორებიცაა: სოციალური ფსიქოლოგიის სფეროს პროფესიონალთა თეორიული მოდელები და ემპირიული კვლევები, რომლებმაც წარმოაჩინეს ძალადობის ირგვლივ არსებული

პრობლემები¹⁸⁶. ბოლო წლების განმავლობაში, მოზარდების მხრიდან ძალადობრივი ქმედებების ტალღა გვაჩვენებს, რომ ის წარმოადგენს მოზარდთა სოციალიზაციის პროცესში აღმოცენებულ პრობლემებს, რაზეც გავლენა აქვს ოჯახებს, სკოლებსა და მათ ირგვლივ არსებულ თემებს¹⁸⁷. მოზარდებთან ძალადობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მათი ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდის ნაკლებობა და ჯგუფში არსებული ნეგატიური ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი. ამგვარმა გარემომ კი შესაძლოა, ხელი შეუწყოს დესტრუქციული პიროვნული მახასიათებლების ჩამოყალიბებას.

ლიტერატურული ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ თანატოლთა წრე, მოზარდების სოციალური უნარების განვითარებაში დიდ როლს ასრულებს. მნიშვნელოვანია თანასწორობის განცდა, რომელიც ხელს უწყობს პოზიტიური რეაქციების განვითარებას სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციებში.

სკოლამდელ ასაკში, ყველაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ზრდასრულებისგან იგნორირება, განსაკუთრებით მშობლების, ან ავტორიტეტებად ჩამოყალიბებული პირების მხრიდან, რომლებიც უგულებელყოფენ ბავშვის მოთხოვნილებებს¹⁸⁸.

ოჯახში არსებული კომფლიქტური ვითარება ბავშვებსა და მოზარდებში აგრესიის მძიმე ფორმების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა სკოლის ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი. სოციალური გარემო, ძალადობის მსხვერპლთათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის შეიძლება აღმოჩნდეს დამცავი ფაქტორი ძალადობის ზოგიერთი ნეგატიური შედეგის წინააღმდეგ და მოსალოდნელია პოტენციური გავლენა მოახდინოს მოზარდის განვითარებაზე. მაშინ, როცა სკოლაში არსებულმა ნეგატიურმა ფსიქოლოგიურმა კლიმატმა შესაძლოა, ხელი შეუწყოს დესტრუქციული პიროვნების ჩამოყალიბებას.

ნებისმიერ სოციალურ გარემოში, მოზარდის განვითარებას, სწავლისა და პოზიტიური გამოცდილების მიღებას, ესაჭიროება უსაფრთხოება და სიმშვიდე. სოციალური დეზორგანიზაციის თეორიის მიხედვით, ფიზიკური და სოციალური გარემო გავლენას

¹⁸⁶ Brook, M. D. (2019). Early Risk Factors for Violence in Colombian Adolescents. *Am J Psychiatry*.

¹⁸⁷ Pate, R. R. (2018). Sports participation and health-related behaviors among U.S. youth. *Archives of Pediatric and Adolescent Medicine*, 904-911.

¹⁸⁸ MacDonald, J. P. (2005). The relationship between life satisfaction, risk-taking behaviors, and youth violence. *Journal of Interpersonal Violence*.

ახდენს ძალადობრივ ქცევებზე. ძალადობრივი ქცევის ჩადენის გარემო, როგორც სოციალური გარემოს ფაქტორი ძირითადად ინსტიტუციონალიზებულია ინდივიდებში, სოციალური სწავლების გზით. სოციალური სწავლების თეორიის თანახმად, ინდივიდები მიდრეკილნი არიან, ჩაერთონ დანაშაულებრივ ქცევებში იმ დამოკიდებულებების ფონზე, რომლებიც ამართლებენ და წახალისებენ კანონის დარღვევას და ითვისებენ ძალადობრივ ქცევებს ცოცხალ სოციოკულტურულ კონტექსტში¹⁸⁹.

თანამედროვე კვლევებით დასტურდება, რომ მოზარდთა საგანმანათლებლო მიღწევები დაბალია იმ გარემოში, სადაც რამე სახის ძალადობის ნიშნები იკვეთება. აღმოჩნდა, რომ სკოლებში, სადაც ძალადობისა და ბულინგის მაღალი დონეა, აკადემიური მოსწრების დაბალი მაჩვენებელი აქვს. ეს ფაქტი, ხაზს უსვამს პრევენციული ძალისხმევის აუცილებლობას, რომელიც ფოკუსირებულია არა მხოლოდ რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებზე, არამედ ყველა მოსწავლესა და სკოლის გარემოზე¹⁹⁰.

სკოლის ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი - ძალადობის მსხვერპლთათვის სოციალური გარემო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ის ერთგვარი დამცავი ფაქტორია ძალადობის ზოგიერთი ნეგატიური შედეგის წინააღმდეგ და პოზიტიურად აისახება მოზარდის განვითარებაზე. მისგან განსხვავებით, ნეგატიური სასკოლო კლიმატი აყალიბებს დესტრუქციულ პიროვნულ მიდრეკილებებს.

ერთ-ერთი კვლევის მონაწილეებმა შეისწავლეს მოზარდთა საგანმანათლებლო მიღწევები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ძალადობას, სექსუალურ ძალადობასა და ბულინგს, იმ მოზარდებთან შედარებით, რომლებსაც არ გამოუცდიათ ძალადობის მსგავსი ფორმა. კვლევაში მონაწილეობდა ოსლოს (ნორვეგია) 56 სკოლის 15-16 წლის 7343 მოზარდი. შესწავლილ იქნა კავშირი ძალადობას, სექსუალურ ძალადობას, ბულინგს, თანატოლებთან ურთიერთობას, მასწავლებლის მხარდაჭერასა და აკადემიურ მიღწევებს შორის. შედეგებმა გამოავლინა, რომ მოსწავლეებს, რომლებიც ძალადობის რაიმე ფორმით დაზარალდნენ, საგრძნობლად დაბალი აკადემიური მოსწრება ჰქონდათ მათთან შედარებით, რომლებსაც ძალადობა არ განუცდიათ. ამასთან, ძალადობის მსხვერპლი მოსწავლეები, რომლებსაც ჰქონდათ მასწავლებლების მხარდაჭერა, უფრო მაღალ

¹⁸⁹ Tobin, A. (2016). A study of the impact of crime shows on contemporary criminal investigations. The George Washington University.

¹⁹⁰ Strøm, I. (2013). Violence, bullying and academic achievement: A study of 15-year-old adolescents and their school environment . Child Abuse and Neglect Vol. 37. № 4.

აკადემიურ შედეგზე გადიოდნენ. კვლევით აღმოჩნდა, რომ სკოლებში, სადაც ძალადობისა და ბულინგის მაღალი მაჩვენებელი იყო, საერთო ჯამში, აკადემიური მოსწრების დაბალი ხარისხი დაუფიქსირდათ. ეს ფაქტი ხაზს უსვამს პრევენციული ძალისხმევის აუცილებლობას, რომელიც ფოკუსირებულია არა მხოლოდ რისკის ქვეშ მყოფ ჯგუფებზე, არამედ ყველა მოსწავლესა და სასკოლო თემზე¹⁹¹.

გაერთიანებული სამეფოს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები, (n=1016) ასევე ექვემდებარებოდნენ თანატოლთა ძალადობას, განსაკუთრებით სოციალურ გარიყულობას, მაგრამ არ დაფიქსირდა ფიზიკური ძალადობის ნეგატიური გავლენა მაღალ აკადემიურ მიღწევებზე. ამერიკულ სკოლებში ნიჭიერი მერვე კლასელების 67%-მა განიცადა მარკირება, მეტსახელები (მაგ., „გიკი“, „ნერდი“ და ა.შ.) ძირითადად გარეგნობისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო. არსებობს მტკიცებულება, რომ ნიჭიერი ახალგაზრდების 28% თავად მონაწილეობდა ბულინგის პროცესში. ეს ფაქტი აყალიბებს არასწორი ლიდერობისკენ მიდრეკილებას. ეს მონაცემი გვაფიქრებინებს, თუ როგორ შეიძლება ნიჭიერმა ახალგაზრდებმა არასწორი მიმართულება აირჩიონ, განსაკუთრებით სოციალურ გარემოში. კვლევები აჩვენებს, რომ ბულინგის პროცესში მონაწილე ბავშვები და მოზარდები ხშირად ივითარებენ არასწორ ლიდერულ თვისებებს, რომლებიც ეფუძნება დომინაციას, მორჩილების იძულებასა და შიშის წარმოქმნას, ნაცვლად იმისა, რომ ჩამოყალიბდნენ ემპათიურ და პასუხისმგებლიან ლიდერებად

იმავდროულად, ჰონგ-კონგსა და ლოს-ანჯელესში მოღვაწე სოციოლოგებმა, ჩენმა და ასტორმა, ვერ დააკავშირეს აკადემიური მიღწევები და სკოლაში ძალადობა ტაივანში, თუმცა, მათ დამაჯერებლად დაასკვნეს, რომ რისკის ქვეშ მყოფ თანატოლებთან მეგობრობამ გამოიწვია უფრო ხშირი ძალადობა ტაივანის საშუალო სკოლის მოსწავლეებს შორის (Chen 2009). ეს კვლევა საინტერესო კუთხით გვაჩვენებს, რომ აკადემიური მიღწევები და ძალადობა სკოლაში ყოველთვის პირდაპირ კავშირში არ არის. ჩენისა და ასტორის დასკვნა განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ის ხაზს უსვამს თანატოლების გავლენას მოზარდების ქცევაზე. აკადემიური წარმატება არ არის გადამწყვეტი ფაქტორი ძალადობისადმი მიდრეკილების განსაზღვრაში. განსაკუთრებით რისკის ჯგუფში მყოფი მეგობრები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლეების ქცევაზე. როდესაც მოზარდები

¹⁹¹ Strøm, I. (2013). Violence, bullying and academic achievement: A study of 15-year-old adolescents and their school environment . Child Abuse and Neglect Vol. 246. № 4.

დროის დიდ ნაწილს ატარებენ ძალადობისადმი მიდრეკილ თანატოლებთან, ისინი უფრო მეტად ერთვებიან აგრესიულ ქცევაში. მიკუთვნებულობის მოთხოვნილება, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც ხშირად აიძულებს ახალგაზრდებს ძალადობრივი ქცევის მიღებას, რათა ჯგუფში დარჩნენ. ეს კვლევა აჩვენებს, რომ ძალადობის პრევენცია მხოლოდ აკადემიურ მიღწევებზე ფოკუსირებით არ არის საკმარისი.

ნიუ ჰემფშირის უნივერსიტეტის ფსიქოლოგების, დევიდ ფინკელჰორისა და ჰეზერ ტერნერის ნაშრომებიდან ირკვევა, რომ ბულინგის შემთხვევაში, თანატოლები მოქმედებენ შესაბამისი ქცევის ნორმების დარღვევით. მათი მოქმედებები მიმართულია ან აღიქმება სხვა ადამიანებისთვის ზიანის მიყენებად. კვლევამ ასევე ნათელი ურთიერთობა ბულინგსა და სკოლის კლიმატს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლეების ქცევასა და ასეთი ქცევის მონიტორინგის ქვეშ მყოფთა შორის.

სასკოლო კლიმატის შესახებ, კიდევ ერთი კვლევა ჩატარდა ვირჯინიის 291 საშუალო სკოლის 7318 მეცხრე კლასის მოსწავლეებს შორის. იერარქიული ხაზოვანი მოდელირების შედეგებმა აჩვენა, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც გრძნობდნენ, რომ მათი მასწავლებლები და სკოლის სხვა პერსონალი მხარდაჭერას უცხადებდნენ, უფრო მეტად ეძებდნენ დახმარებას ბულინგისა და ძალადობის მუქარის შემთხვევაში. სკოლებში, სადაც არსებობდა მხარდაჭერი გარემო, გოგონები დახმარების მცირეოდენ სურვილს გამოთქვამდნენ. შედეგებმა ცხადყო, რომ სკოლის პერსონალის ძალისხმევა მიმართული პოზიტიური ფსიქოლოგიური კლიმატისა და დამხმარე ატმოსფეროს შექმნისკენ. ეს იყო პოტენციურად ღირებული სტრატეგია, რათა მოსწავლეები ჩართულიყვნენ ძალადობის, აგრესიისა და ბულინგის პრევენციაში¹⁹².

ჯგუფთან მიკუთვნებულობის მნიშვნელობა მოზარდობის ასაკში

¹⁹² Baumeister, R. L. (1995). The need to belong: Desire for interpersonal attachments as a fundamental human motivation. *Psychological Bulletin*.

ჯგუფთან მიკუთვნებულობის შეგრძნება საბაზისოა, რომელიც ყალიბდება მაშინ, როდესაც ურთიერთობები წარმატებით დამყარდება და შენარჩუნდება, სადაც მარტოობა და გაუცხოება ჩაანაცვლებს თანამეგობრობას და ურთიერთვალდებულების გრძნობას. ჯგუფთან მიკუთვნებულობის შეგრძნება ერთ-ერთი საბაზისო ფსიქოლოგიური მოთხოვნილებაა, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ემოციურ კეთილდღეობასა და სოციალურ ქცევაზე. როდესაც მოზარდს ჰყავს ახლობელი ჯგუფი, ის თავს დაცულად და მხარდაჭერილად გრძნობს. ჯგუფი გვაძლევს შესაძლებლობას, განვსაზღვროთ ვინ ვართ და როგორ აღგვიქვამენ სხვები. თანამეგობრობის და ურთიერთვალდებულების შეგრძნება ხელს უწყობს ემპათიის განვითარებას და კონფლიქტების თავიდან არიდებას.

მიჩიგანის უნივერსიტეტის ქცევის მკვლევართა ჯგუფმა, ბონი ჰაგერტის ხელმძღვანელობით, დაასკვნა, რომ ჯგუფთან მიკუთვნებისთვის ორი ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს წარმოდგენილი. პირველ რიგში, მოზარდმა უნდა იგრძნოს, რომ მისი ჩართულობა ფასდება ჯგუფის წევრების მიერ. მეორე - ის სძენს ღირსებას ჯგუფის სხვა წევრებს. უნდა არსებობდეს პოზიტიური (ან, სულ მცირე, ნეიტრალური) გრძნობები, რომლებიც მოზარდს შეეძლება ჯგუფის ან პიროვნების მიმართ; თუ ამ ორი ფაქტორიდან ერთ-ერთი არ არსებობს, მიკუთვნება არ მოხდება¹⁹³.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფთან მიკუთვნების შესახებ აკადემიური ნაშრომების უმეტესობა ფოკუსირებულია პიროვნებებს შორის ურთიერთობებზე, ამერიკელმა ფსიქოლოგმა გლენ მელოუნმა და მისმა კოლეგებმა აღნიშნეს, რომ „ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და მიკუთვნებულობის განცდისთვის შესაძლოა, სასიკეთო გავლენა იქონიოს ცხოველებთან, ბუნებასთან, ურთიერთობამ“. გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომ მიკუთვნებულობა უფრო აღქმას ეხება, ვიდრე რეალობას¹⁹⁴. ამერიკელი ფსიქოლოგების, რიჩარდ ლისა და სტივენ რობინსის ნაშრომებმა ხაზგასმით გამოკვეთეს, რომ კუთვნილება სუბიექტურია. მაგალითად, მოზარდთა ჯგუფმა შეიძლება რეალურად არ დააფასოს სხვა მოზარდის წევრობა ჯგუფში, მაგრამ თუ ის თავს აღიქვამს ისე, როგორც აფასებს ჯგუფის სხვა წევრებს, მიკუთვნების საჭიროება მაინც შეიძლება

¹⁹³ Hagerty, B. &. (2009). Mood disorders: Depression and mania. Psychiatric-Mental Health Nursing, Ed. 4. St. Louis: Elsevier.

¹⁹⁴ Malone, G. (2012). Leadership perceptions, challenges, & opportunities.

დაკმაყოფილდეს¹⁹⁵. მეორე მხრივ, რობინსის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სოციალური კავშირი შეიძლება იყოს ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ქმნის მიკუთვნების ცნებას. როდესაც ცნობილმა ფსიქოლოგმა აბრაამ მასლოუმ 1940-იან წლებში შეიმუშავა მოთხოვნილებების იერარქია, მან მხოლოდ ფიზიოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნილებები მიიჩნია ბევრად უპირატესად, ვიდრე მიკუთვნება. წლების განმავლობაში, მკვლევრებმა დაადგინეს ინდივიდუალური და სოციალური კეთილდღეობისადმი მიკუთვნებულობის მნიშვნელობა. დუკის უნივერსიტეტის პროფესორები მარკ ლირი და კოდი კოქსი, ამტკიცებდნენ, რომ მიკუთვნების მოთხოვნილება არ არის მხოლოდ სოციალური მოქმედების მრავალმხრივი მოტივი, არამედ არის „ფუნდამენტური სოციალური მოტივი, რომელიც საფუძვლად უდევს და ეხმარება ახსნას- ადამიანის ქცევის დიდი ნაწილი“¹⁹⁶.

საერთო ჯამში, აშკარაა, რომ ჯგუფთან მიკუთვნილება არის ადამიანის ძირითადი მოთხოვნილება და, რაც უფრო მეტად გრძნობს ადამიანი ჯგუფის წევრად თავს, მით მაღალია მისი რწმენა და ქცევა საკუთარ თავთან და სხვებთან მიმართებით.

მოზარდებთან ძალადობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მათი ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდის ნაკლებობა და ჯგუფში არსებული ნეგატიური ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი.

ამრიგად, ზემოთ მოცემული მასალის გათვალისწინებით მოვახდინეთ შემდეგი ჰიპოთეზის ფორმულირება: მოზარდთა ძალადობას განსაზღვრავს ჯგუფში არსებული ნეგატიური ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი და ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდის ნაკლებობა.

მასალა და მეთოდები

აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად კვლევა ჩატარდა თბილისის მაშტაბით ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებში. რესპონდენტთა რაოდენობა შეადგენდა 13-17 წლის 503 მოზარდს. კვლევის ფარგლებში, გამოყენებულ იქნა შემდეგი

¹⁹⁵ Lee, R. M. (1995). Measuring belongingness: The Social Connectedness and the Social Assurance scales. *Journal of Counseling Psychology*.

¹⁹⁶ Leary, M. K. (2013). Schreindorfer LS. Construct validity of the Need to Belong Scale: Mapping the nomological network. *Journal of Personality Assessment*.

ინსტრუმენტი: ბულინგის რისკის კითხვარი, 2014 წლის ვერსია¹⁹⁷, ბულინგის საკვლევი კითხვარი „თანატოლებთან ურთიერთობა“ – კითხვარი შეიქმნა მოზარდების თანატოლებთან ურთიერთობის შესაფასებლად, ორ ცალკეულ საშუალო სკოლას შორის, შედარების კვლევისას, 1993 წელს, პროფესორ კენ რიგბისა (ბულინგისა და ვიქტიმიზაციის საკითხების სპეციალისტის) და ფილიპ სლის მიერ¹⁹⁸, ენდრიუ ფიდლერის ჯგუფის ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შეფასების სკალა¹⁹⁹, ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის კითხვარი, ფსიქიკურ აშლილობათა დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოს (DSM – IV TR)-ის მიხედვით.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ემპირიული ანალიზის საფუძველზე, ჩვენი ჰიპოთეზა დადასტურდა: მოზარდთა ჯგუფებში, ძალადობის სკალის მონაცემები უარყოფით კორელაციაშია ჯგუფში არსებულ დადებით ფსიქოლოგიურ მიკროკლიმატთან $r=-0.320$, ($P<0.05$) და ასევე მოზარდის მიერ ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდასთან $r=-0.340$, ($P<0.05$). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო მაღალია ჯგუფში უარყოფითი ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი და რაც უფრო დაბალია მოზარდის მიერ ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდის მონაცემები, მით უფრო მაღალია მოზარდის მიერ ჯგუფში აგრესიის გამოვლენის მონაცემები.

დასკვნა

კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ, რაც უფრო მაღალია ჯგუფთან მიკუთვნებულობა, მით უფრო დაბალია საფრთხის განცდა, რაც თავის მხრივ ამაღლებს ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. ჯგუფთან მიკუთვნებულობა ადამიანს აძლევს უსაფრთხოების, მხარდაჭერის და თანადგომის განცდას. როდესაც მოზარდი გრძნობს, რომ ის არის ჯგუფის ნაწილი, რომელსაც მისი ესმის და მხარს უჭერს, ის უფრო დაცულად გრძნობს თავს და ნაკლებად განიცდის საფრთხეს. ასევე ხელს უწყობს სოციალური იდენტურობის ჩამოყალიბებას.

¹⁹⁷ Alexandra Bochaver (2015). The risk of bullying questionnaire. Psychol. Issues 5, 146–157.

¹⁹⁸ Ken Rigby & Phillip Slee. 1993. Peer Relations Questionnaire. **Psychology Roots**.

¹⁹⁹ Andrew Fidler. 2002. Methodology for assessing the psychological atmosphere in the team.

აგრეთვე , დადასტურდა, ჯგუფთან მიკუთვნებულობის პოზიტიური კავშირი თანასწორობასთან. ამდენად, ფსიქოლოგიური თანასწორობა ამცირებს შფოთვის და წარმოადგენს ძალადობისგან დაცვის საშუალებას.

ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდა კრიტიკული მნიშვნელობისაა მოზარდთა ქცევაზე.

უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა, პოზიტიური მიკროკლიმატისა და თანასწორობის პრინციპების დაცვით, ძალადობის პრევენციის ერთ-ერთი სტრატეგიაა.

შედეგები ხაზს უსვამს სკოლებში მხარდამჭერი და ინკლუზიური გარემოს შექმნის აუცილებლობას, რაც ხელს უწყობს მოზარდების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და მაღალ აკადემიურ მიღწევებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Brook, M., D., (2019). Early Risk Factors for Violence in Colombian Adolescents. Am J Psychiatry.
2. Pate, R., R., (2018). Sports participation and health-related behaviors among U.S. youth. Archives of Pediatric and Adolescent Medicine.
3. MacDonald, J., P., (2005). The relationship between life satisfaction, risk-taking behaviors, and youth violence. . Journal of Interpersonal Violence.
4. Tobin, A., (2016). A study of the impact of crime shows on contemporary criminal investigations. The George Washington University.
5. Strøm, I., (2013). Violence, bullying and academic achievement: A study of 15-year-old adolescents and their school environment . Child Abuse and Neglect Vol. 37. № 4.
6. Strøm, I., (2013). Violence, bullying and academic achievement: A study of 15-year-old adolescents and their school environment . Child Abuse and Neglect Vol. 246. № 4.
7. Baumeister, R., L., (1995). The need to belong: Desire for interpersonal attachments as a fundamental human motivation. Psychological Bulletin.
8. Hagerty, B., &, (2009). Mood disorders: Depression and mania. Psychiatric-Mental Health Nursing, Ed. 4. St. Louis: Elsevier.
9. Malone, G., (2012). Leadership perceptions, challenges, & opportunities.
10. Lee, R., M., (1995). Measuring belongingness: The Social Connectedness and the Social Assurance scales. Journal of Counseling Psychology.

11. Leary, M., K., (2013). Schreindorfer LS. Construct validity of the Need to Belong Scale: Mapping the nomological network. *Journal of Personality Assessment*.
12. Alexandra Bochaver (2015). The risk of bullying questionnaire. *Psychol. Issues* 5,
13. Ken Rigby & Phillip Slee.1993. Peer Relations Questionnaire. *Psychology Roots*.
14. Andrew Fidler. 2002. Methodology for assessing the psychological atmosphere in the team.

რელიგია და კულტურა, როგორც ეთნიკური უმცირესობების მანიპულაციის საშუალება საქართველოში

ნიკოლოზ ხაჩიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

n.khachidze85@gmail.com

ORCID: 0009-0004-3076-9678

სოფიკო მეტრეველი

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების

ასისტენტ-პროფესორი

sometreveli@gmail.com

ORCID: 0000-0001-8480-2024

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.16>

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია რელიგიისა და კულტურის, როგორც პოლიტიკური მანიპულაციის კომპლექსური საშუალება საქართველოში ეთნიკური კონფლიქტის გაღვივების პროცესში. ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო გამოირჩევა მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობით, სადაც მართლმადიდებლური ქრისტიანობა ღრმად არის გადაჯაჭვული ეროვნულ იდენტობასთან, თუმცა არსებული მოცემულობა ხშირად ქმნის ეთნიკურ დამაბულობას, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებში. სტატია ამტკიცებს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელოვან როლს კონფლიქტებში. მათი უფრო ღრმა გაგება მოითხოვს ხშირად შეუმჩნეველი რელიგიური და კულტურული განზომილებების შესწავლას. ნაშრომში გაანალიზებულია, თუ როგორ ხდება კულტურული და რელიგიური ნიშნები ეთნიკური კუთვნილებისა და განსხვავებულობის ძლიერი სიმბოლოები, რომლებიც ხშირად არიან გამოყენებული პოლიტიკური აქტორების მიერ კონფლიქტის ინიცირებისათვის. სტატია, ასევე, იკვლევს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და ქართულ ნაციონალიზმს შორის არსებულ რთულ ურთიერთობას, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ერთიანობის ან დაყოფის პროცესზე.

საკვანძო სიტყვები: რელიგია, კულტურა, ეთნიკური კონფლიქტი, იდენტობა, საქართველო.

Religion and Culture as a Means of Manipulating Ethnic Minorities in Georgia

Nikoloz Khachidze

PhD Student, Caucasus International University

n.khachidze85@gmail.com

ORCID: 0009-0004-3076-9678

Sophiko Metreveli

Assistant Professor,

LEPL – David Aghmashenebeli National Defense Academy of Georgia

sometreveli@gmail.com

ORCID: 0000-0001-8480-2024

Abstract

The article examines religion and culture as a complex tool of political manipulation in the process of fueling ethnic conflict in Georgia. Located at the crossroads of Europe and Asia, Georgia is distinguished by its rich and diverse cultural heritage, where Orthodox Christianity is deeply intertwined with national identity, although the existing situation often creates ethnic tension, which was especially evident in the conflicts in Abkhazia and South Ossetia. The article argues for the important role of political and socio-economic factors in conflicts. A deeper understanding of them requires the study of the often-overlooked religious and cultural dimensions. This article examines the cultural and religious markers that gain powerful symbols of ethnicity and difference and are often used by political actors to fuel conflict. The article also explores the complex relationship between the Georgian Orthodox Church and Georgian nationalism, which influences the process of unity or division of society.

Keywords: Religion, Culture, Ethnic Conflict, Identity, Georgia.

შესავალი

საქართველო არის ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყანა, რომელიც გამოირჩევა მდიდარი და რთული ისტორიით, მრავალფეროვანი კულტურისა და რელიგიური ტრადიციების ურთიერთქმედებით. თუმცა საქართველოში

მულტიკულტურალიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობასთან. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები უდავოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეთნოკონფლიქტების გაღვივებაში, საქართველოს ეთნიკური კონფლიქტების უფრო ღრმა გაგება მოითხოვს ხშირად შეუმჩნეველი რელიგიური და კულტურული განზომილებების შესწავლას. სტატია განიხილავს ამ ელემენტებს შორის რთული ურთიერთობას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რელიგია და კულტურა არ არის კონფლიქტის ერთადერთი მამოძრავებელი ძალა, თუმცა ისინი მაინც მოქმედებენ, როგორც იდენტობის მძლავრი მარკერები და ამძაფრებენ არსებულ განხეთქილებას.²⁰⁰ საქართველოში ეთნიკური ურთიერთობების კონკრეტული მაგალითების ანალიზით ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და სამხრეთ ოსებსა და სხვა უმცირესობათა ჯგუფებს შორის დინამიკის გაანალიზებით ნათელი მოჰყვინოს ისტორიული ფაქტების კომპლექსურ ურთიერთკავშირს, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონში ეთნიკურ დაპირისპირებას.

მულტიკულტურალიზმის ზოგადი მიმოხილვა საქართველოში

საქართველოს ისტორია არის მდიდარი და რთული მოცემულობა, რომელიც აგებულია სხვადასხვა კულტურის, ტრადიციებისა და რელიგიის გავლენით. ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე ეს პატარა ქვეყანა იყო ხიდი ცივილიზაციებს შორის, რომელიც შთანთქმავს მულტიკულტურულ გავლენებს აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. ამ გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო უნიკალურ კულტურულ სინთეზს, სადაც მართლმადიდებლური ქრისტიანობა ღრმად იყო გადაჯაჭვული ეროვნულ იდენტობასთან. ამავდროულად ქვეყანაში არსებულმა სხვა რელიგიურმა და კულტურულმა ტრადიციებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ერის სოციალური ქსოვილის ჩამოყალიბებაში²⁰¹. საქართველოში ეთნიკური დაპირისპირების სირთულეების გასაგებად აუცილებელია იდენტობის კომპლექსურობის შესწავლა და ისტორიული მოვლენების ამოცნობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობებზე.

²⁰⁰ Bercovitch, J. Regan, P. THE STRUCTURE OF INTERNATIONAL CONFLICT MANAGEMENT: AN ANALYSIS OF THE EFFECTS OF INTRACTABILITY AND MEDIATION. International Journal of Peace Studies. 1999. გვ-10-15.

²⁰¹ Buzan, B. Kelstrup, M. Lemaitre, P. Elzbieta Tromer, E. and London, W. The European Security Order Recast. Pinter Publishers . 1990. გვ 40-45

საქართველოში მართლმადიდებლურ ეკლესიას გამორჩეული ადგილი უკავია ერის ისტორიასა და კოლექტიურ ცნობიერებაში. ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად მიღებულ იქნა ჩვენი წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნეში, რაც გადამწყვეტი მომენტი იყო საქართველოს ისტორიაში²⁰². მართლმადიდებლობის მიღებამ განსაზღვრა ეკლესიის როლი არა მხოლოდ სულიერი მეგზურის, არამედ ქართული კულტურის მცველისა და ეროვნული ერთიანობის სიმბოლო. საუკუნეების მანძილზე ეკლესიამ გაუძლო უამრავ გამოწვევას და ემსახურებოდა ეროვნული იდენტობის დაცვას.²⁰³ ღრმა კავშირი ქართულ იდენტობასა და მართლმადიდებლურ ქრისტიანობას შორის აისახება მრავალრიცხოვან ისტორიულ ცნობებში, რელიგიური მოწამეობისა შესახებ, რომლებიც ხშირად განასახიერებენ, როგორც რელიგიურ ღვთისმოსაობას, ასევე პატრიოტულ სულისკვეთებას. ისტორიულად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელობა ხშირად სცილდებოდა მის წმინდა რელიგიურ ფუნქციას. ეკლესიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართული ენის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის ჩამოყალიბებაში. მაგალითად, ხატწერის მდიდარი ტრადიცია ეკლესიის მხატვრული და სულიერი მემკვიდრეობის დასტურია.²⁰⁴ ანალოგიურად, ქართული ანბანის განვითარება და ქართული მწერლობის აყვავება მჭიდრო კავშირშია ეკლესიის ძალისხმევასთან. (წიგნიერების გავრცელების ხელშეწყობასთან).²⁰⁵

მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლურ ქრისტიანობას დომინანტური პოზიცია უკავია, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ საქართველო არის რელიგიური თემების მრავალფეროვნების სამშობლო. თავისი ისტორიის მანძილზე ქვეყანა შედარებით ტოლერანტული სივრცე იყო სხვა სარწმუნოების, მათ შორის სომხური სამოციქულო ქრისტიანობის, ისლამის, იუდაიზმისა და სხვა ქრისტიანული კონფესიებისთვის.²⁰⁶ აღნიშნულმა საზოგადოებებმაც შეიტანეს წვლილი საქართველოს კულტურულ

²⁰² Bercovitch, J. Regan, P. THE STRUCTURE OF INTERNATIONAL CONFLICT MANAGEMENT: AN ANALYSIS OF THE EFFECTS OF INTRACTABILITY AND MEDIATION. International Journal of Peace Studies. 1999. გვ 14-17

²⁰³ Buzan, B. Kelstrup, M. Lemaitre, P. Elzbieta Tromer, E. and London, W. The European Security Order Recast. Pinter Publishers . 1990. გვ 20-25

²⁰⁴ Bercovitch, J. Regan, P. THE STRUCTURE OF INTERNATIONAL CONFLICT MANAGEMENT: AN ANALYSIS OF THE EFFECTS OF INTRACTABILITY AND MEDIATION. International Journal of Peace Studies. 1999. გვ. 20-25

²⁰⁵ Buzan, B. Kelstrup, M. Lemaitre, P. Elzbieta Tromer, E. and London, W. The European Security Order Recast. Pinter Publishers . 1990. გვ 28-30

²⁰⁶ Cahn, D. Abigail, R. (2007). Managing conflict through communication. Pearson/Allyn and Bacon. 2014. გვ. 15-30

სიმდიდრეში და ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი - დადებითი როლი ითამაშეს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

სომეხი სამოციქულო ქრისტიანების არსებობა საქართველოში, განსაკუთრებით სამხრეთ რეგიონებში, საუკუნეებით თარიღდება. საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სომხურ სამოციქულო ეკლესიას შორის ისტორიული ურთიერთობა რთული იყო და გამოირჩეოდა, როგორც თანამშრომლობის, ისე კონკურენციის პერიოდებით.²⁰⁷ ანალოგიური მდგომარეობაა მუსულმანურ თემებთან მიმართებაში. აზერბაიჯანელებს საქართველოში ხანგრძლივი ცხოვრების ისტორია აქვთ, განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში. მათი ცხოვრება საქართველოში მეზობელ ისლამურ ქვეყნებთან ისტორიული კავშირების შეხსენებაა. ებრაული თემებიც საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ საქართველოში, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას.

საქართველოში კულტურული და რელიგიური იდენტობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. რელიგიური ტრადიციები და პრაქტიკა ღრმად არის ჩადებული სხვადასხვა კულტურულ გამოხატულებაში, ტრადიციული მუსიკიდან და ცეკვიდან დაწყებული სადღესასწაულო დღეებით და ყოველდღიური წეს-ჩვეულებებით დამთავრებული. კულტურისა და რელიგიის ამ ურთიერთქმედებამ ხელი შეუწყო ქართველებში კოლექტიური იდენტობის ძლიერ განცდას, რაც ხშირად განმტკიცებულია საერთო ისტორიული გამოცდილებითა და საერთო კულტურული მემკვიდრეობით.²⁰⁸ თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ კულტურასა და რელიგიურ იდენტობას შორის მჭიდრო კავშირმა შეიძლება ზოგჯერ შექმნას საზღვრები და ხელი შეუწყოს განსხვავებული აღქმების ჩამოყალიბებას იმ ჯგუფებში, ვინც არ მიეკუთვნება დომინანტურ რელიგიურ ან კულტურულ ეთნოსს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს შედარებითი რელიგიური ტოლერანტობის ისტორია, რელიგიური და კულტურული იდენტობების ურთიერთქმედება ყოველთვის არ იყო ჰარმონიული. მე-20 და 21-ე საუკუნეების განმავლობაში საქართველო ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა, განსაკუთრებით აფხაზეთისა და

²⁰⁷ Cahn, D. Abigail, R. (2007). Managing conflict through communication. Pearson/Allyn and Bacon. 2014. გვ 30-40

²⁰⁸ colon, G. War, peace and international relations: an introduction to strategic history. Routledge. 2023. გვ. 16-19

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების კონტექსტში. ამ კონფლიქტებმა გამოავლინა ეთნიკურ უმცირესობებს შორის ურთიერთობების სირთულე, რელიგიური/კულტურული განსხვავებების პოლიტიზირება და გამოყენება კონფლიქტის გასაძლიერებლად.²⁰⁹ ამ კონფლიქტების კონტექსტში რელიგიური და კულტურული ნიშნები იქცა ეთნიკური კუთვნილების მძლავრ სიმბოლოებად, რომლებიც ხშირად გამოიყენება დაპირისპირების იარაღად.

რელიგია, კულტურა და პოლიტიკური მანიპულირება საქართველოში

მნიშვნელოვანია განვიხილოთ საკმაოდ სახიფათო ურთიერთკავშირი რელიგიას, კულტურას და პოლიტიკას შორის საქართველოში. შეიძლება ითქვას, რომ ეს სამი ელემენტი ქმნის „კონფლიქტის სამკუთხედს“, სადაც პოლიტიკური აქტორები სტრატეგიულად იყენებენ რელიგიურ და კულტურულ იდენტობის სიმბოლოებს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რაც ხშირად ამძაფრებს არსებულ ეთნიკურ დაძაბულობას და აფერხებს მშვიდობიანი თანაცხოვრების პერსპექტივებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოცემულობა არ არის კონფლიქტის ერთადერთი მიზეზი, ის მაინც მოქმედებს, როგორც ძლიერი კატალიზატორი. ეგრეთ წოდებული კონფლიქტის სამკუთხედი ეთნიკურ უმცირესობებში აძლიერებს განხეთქილების სურვილს და ქმნის უნდობლობის კლიმატს. საზოგადოებაში დადებითი კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანია ძლიერი ინსტიტუტის ჩართულობა, როგორც არის საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია. ეს რელიგიური ინსტიტუტი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის არის ეროვნულ იდენტობასთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული, თუმცა ეს გამორჩეული როლი მას ასევე პოლიტიკური მობილიზაციის ძლიერ ინსტრუმენტად აქცევს. პოლიტიკოსები ხშირად ცდილობენ საკუთარი თავის ეკლესიასთან ასოცირებას, იყენებენ რელიგიურ რიტორიკას და რელიგიურ ფასეულობებს ლეგიტიმაციისა და ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად.²¹⁰ ამ სტრატეგიულ ალიანსს შეიძლება ჰქონდეს ორმაგი ეფექტი. აღნიშნულ მოცემულობას შეუძლია გააძლიეროს პოლიტიკის ნდობა ეთნიკურ ქართველებში, რომლებიც

²⁰⁹ Cahn, D. Abigail, R. Managing conflict through communication. Pearson/Allyn and Bacon. 2014. გვ. 35-7

²¹⁰ Deutsch, M. Theory of Co-operation and Competition. Human relations. 1949. გვ. 20-22

რელიგიურად დაკავშირებულები არიან ეკლესიასთან, მაგრამ მას შეუძლია გაუცხოება ან მარგინალიზება მოახდინოს უმცირესობათა ჯგუფების, რომლებიც არ იზიარებენ მართლმადიდებლების რელიგიურ ღირებულებებს.²¹¹ ეს დინამიკა აძლიერებს ეკლესიის აღქმას, როგორც ქართული ეთნიკური ნაციონალიზმის სიმბოლოს და არა ყველა მოქალაქის გამაერთიანებელ სულიერ ინსტიტუტს, რითაც ხელს უწყობს ეთნიკურ დაყოფას და არა გაერთიანებას.

გარდა ამისა, პოლიტიკით ნაკარნახევი რელიგიური ნარატივები და სიმბოლოები ხშირად გამოიყენება ეთნიკურად ქართველების დამახინჯებული აღქმის ჩამოსაყალიბებლად. მსგავსი ნარატივი ხშირად ასახავს უმცირესობებს, როგორც საფრთხეს ერის რელიგიურ და კულტურულ სიწმინდეების წინააღმდეგ. ცრურწმენების გაღვივებით და ექვსის ატმოსფეროს გაძლიერებით შიდა და გარე პოლიტიკური აქტორები ცდილობენ თავიანთი ქმედებების ლეგიტიმაციას და იმ პოლიტიკის მხარდაჭერას, რომელიც შეიძლება იყოს დისკრიმინაციული ან თუნდაც ძალადობრივი.²¹²

კულტურა, მისი ფართო გაგებით, ასევე მანიპულირებულია პოლიტიკური მიზნებისთვის. კონკრეტული კულტურული ნიშნები, როგორიცაა ენა, ისტორიული ნარატივები და ტრადიციები, ხდება ეთნიკური კუთვნილებისა და განსხვავების ძლიერი სიმბოლო. პოლიტიკური აქტორები ხშირად შერჩევით ხაზს უსვამენ კულტურული მემკვიდრეობის გარკვეულ ასპექტებს, რომელიც აძლიერებს არსებულ განხეთქილებას და ამართლებს პრეტენზიებს ძალაუფლებაზე ან ტერიტორიებზე.²¹³

„კონფლიქტის ამ სამკუთხედის” შედეგები შორსმიმავალია. ის ამცირებს ნდობას განსხვავებულ ჯგუფებს შორის, ძირს უთხრის დიალოგის შესაძლებლობას და ქმნის საშიშ/დაუცველ ატმოსფეროს. რელიგიისა და კულტურის პოლიტიზირებით, სახელმწიფოს მიმართ მტრულად განწყობილი პოლიტიკური აქტორები ართულებენ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, პოლიტიკური მარგინალიზაცია და ისტორიული წყენა. გარდა ამისა, ამ მანიპულაციამ შეიძლება შექმნას ძალადობის მუდმივი ციკლი, სადაც აგრესიის ყოველი აქტი აძლიერებს

²¹¹ Sayin F. Modebadze, V. The Role of Russia in Provoking Conflict between Georgians and Abkhazians. International Journal of Alanya Faculty of Business. 2015. გვ. 30-35

²¹² Bercovitch, J. Regan, P. THE STRUCTURE OF INTERNATIONAL CONFLICT MANAGEMENT: AN ANALYSIS OF THE EFFECTS OF INTRACTABILITY AND MEDIATION. International Journal of Peace Studies. 1999. გვ. 13-17

²¹³ Cahn, D. Abigail, R. (2007). Managing conflict through communication. Pearson/Allyn and Bacon. 2014. გვ. 5-8

არსებულ ცრურწმენებს და ხელს უწყობს შემდგომ შურისძიებას. მნიშვნელოვანია ვაღიაროთ, რომ ურთიერთობა რელიგიას, კულტურასა და პოლიტიკას შორის რთული და მრავალმხრივია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ელემენტების მანიპულირება შესაძლებელია კონფლიქტის გასაძლიერებლად, ისინი ასევე შეიძლება იყვნენ დადებითი მუხტის მატარებელი ცვლადები. მათ შეიძლება ხელი შეუწყონ სოციალურ ერთიანობას, კულტურათაშორის ურთიერთგაგებას და მშვიდობის მშენებლობას.

კონფლიქტის დასრულების შესაძლებლობა

ზემოთ განვიხილეთ რელიგიის, კულტურისა და პოლიტიკური მანიპულაციის კომპლექსური ურთიერთქმედება ეთნიკურ კონფლიქტებთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე დახატული სურათი შეიძლება გაბუნდოვანებული ჩანდეს, გადამწყვეტია იმის აღიარება, რომ კონფლიქტის დინამიკა არ არის სტატიკური. რელიგია და კულტურა შეიძლება იყოს ბერკეტი დაყოფისთვის და ამავდროულად ძლიერი ინსტრუმენტი შერიგებისთვის.

შერიგება შესაძლებელია, თუ შესაბამისი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული პირობები იქნება, რაც ხელს შეუწყობს სახალხო უსაფრთხოების განმტკიცებას და კონფლიქტების ეტაპობრივ გაუმჯობესებას.

შერიგების ერთ-ერთი პერსპექტიული გზა არის კულტურათაშორისი დიალოგი, სადაც სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე პირებს შეუძლიათ ურთიერთობა. მოცემულობა, სადაც განსხვავებული ჯგუფები გაუზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს და უკეთესად გაიცნობენ ერთმანეთის კულტურას, შესაძლებელს ხდის დაიმსხვრეს სტერეოტიპები/ცრურწმენები და ჩამოყალიბდეს პატივისცემა და ნდობა, რომელიც ჯანსაღი ურთიერთობის საწინდარი იქნება. ამ ინიციატივებს შეიძლება ჰქონდეს მრავალი ფორმა, ორგანიზებული კულტურული ღონისძიებებიდან და საგანმანათლებლო პროგრამებიდან დაწყებული სათემო პროექტებით დამთავრებული, რომლებიც აერთიანებს ადამიანებს საერთო მიზნების გარშემო.²¹⁴

²¹⁴ Quencez, M. and Besch, S. The Challenges Ahead for EU Defense Cooperation. Policy Brief. 2020. გვ. 15-18

რელიგიურ ინსტიტუტებს, მანიპულირების პოტენციალის მიუხედავად, შეუძლიათ დადებითი როლი შეასრულონ შერიგებაში. რელიგიათა დიალოგი, სადაც სხვადასხვა რელიგიური თემის წარმომადგენლები იკრიბებიან საერთო ღირებულებებისა და საერთო გამოწვევების განსახილველად, შეიძლება იყოს ძლიერი ინსტრუმენტი ხიდების ასაგებად და ურთიერთპატივისცემის გასაძლიერებლად.²¹⁵ რელიგიურ ლიდერებს, რომლებსაც ხშირად აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა, შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ მშვიდობის, ტოლერანტობისა და შერიგების გზავნილების გავრცელებაში. სიძულვილის ენის დაგმობით და ცრურწმენების გაქარწყლებით, მათ შეუძლიათ წვლილი შეიტანონ უფრო ინკლუზიური და ჰარმონიული საზოგადოების შექმნაში.

გარდა ამისა, გრძელვადიანი შერიგებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძირეულ სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობებს, რომლებიც ხშირად იწვევს ეთნიკურ დაძაბულობას. ეკონომიკურმა უთანასწორობამ შეიძლება გააძლიეროს წყენის განცდა, რაც ინდივიდებს უფრო მგრძნობიარეს გახდის გამყოფი რიტორიკის მიმართ. ამიტომ ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას შესაბამის რეგიონებში, შექმნას სამუშაო შესაძლებლობები და უზრუნველყოს რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ეთნიკური ჯგუფისთვის, რაც აუცილებელია სამართლიანი საზოგადოების შესაქმნელად.²¹⁶

ასევე აღსანიშნავია განათლების ხელმისაწვდომობა, რადგან განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ დამოკიდებულებებისა და აღქმების ჩამოყალიბებაში. სასწავლო გეგმები, რომლებიც ხელს უწყობენ კრიტიკულ აზროვნებას, აპროტესტებენ სტერეოტიპებს და ასწავლიან სხვადასხვა კულტურისა და რელიგიის შესახებ, შეიძლება დაეხმაროს უფრო ინკლუზიური და ტოლერანტული საზოგადოების განვითარებას. განათლებას შეუძლია აღჭურვოს ახალგაზრდები იმ ინსტრუმენტებით, რაც მათ სჭირდებათ მრავალეთნიკურ საზოგადოებაში სწორი ნავიგაციისთვის. გარდა ამისა, კვლევებისა და სტიპენდიების ხელშეწყობა, რომელიც შეისწავლის ეთნიკური ურთიერთობების სირთულეებს საქართველოში, შეუძლია უზრუნველყოს ღირებული ინფორმაცია პოლიტიკოსებისა და

²¹⁵ Quencez, M. and Besch, S. (2020). The Challenges Ahead for EU Defense Cooperation. Policy Brief. 2020. გვ. 20-23

²¹⁶ Solana, J. European Security Strategy, European Communities. 2009. გვ. 13-18

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მუშაობენ შერიგების ინიციატივებზე. აქვე უნდა აღინიშნოს რომ

„1+4 ერთ-ერთი წარმატებული სახელმწიფო პროგრამაა და ის საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს უმაღლესი განათლების გამარტივებული წესით მიღების საშუალებას 2010 წლიდან აძლევს. აბიტურიენტები ზოგადი უნარების გამოცდას სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ან ოსურ ენაზე აბარებენ. რის შემდეგაც თითოეული ეთნიკური თემიდან ყველაზე მაღალქულიან 100-100 სტუდენტს სახელმწიფო ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან კურსს და სწავლის გაგრძელებას უფინანსებს. მათთვის, ვინც პროგრამის დასაწყის ეტაპზე გრანტს იღებს, სახელმწიფო დაფინანსებით ბაკალავრიატში მოხვედრაც შესაძლებელია.”²¹⁷

რთულ მდგომარეობაში არიან ის სტუდენტები, რომლებიც განკუთვნილი კვოტის მიღმა რჩებიან. აღნიშნული ინიციატივა ძალიან სასარგებლოა ინტეგრაციის პროცესისთვის, თუმცა არა საკმარისი, რადგან მოცემულობა უფრო ფართო მიდგომას მოითხოვს.

არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი შერიგების ხელშეწყობაში. ორგანიზაციები, რომლებიც ხშირად მუშაობენ აღნიშნულ რეგიონებში, ისინი ასრულებენ გადამწყვეტ როლს დიალოგის ხელშეწყობაში, კონფლიქტის მსხვერპლთა მხარდაჭერასა და მშვიდობისა და სამართლიანობის ხელშეწყობი პოლიტიკაში.²¹⁸ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან უშუალო თანამშრომლობით, მათ შეუძლიათ დაეხმარონ ადგილობრივებს საჭიროებების დაკმაყოფილებაში და ნდობის ჩამოყალიბებაში სხვადასხვა ჯგუფებს შორის. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ სასიცოცხლო როლი შეასრულონ ადამიანის უფლებების დარღვევის მონიტორინგში და დაცვაში.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ შერიგება არ არის სწრაფი გამოსავალი კონფლიქტების დეესკალაციისთვის. ეს არის ხანგრძლივი და რთული პროცესი, რომელიც მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას და ჩართულობას ყველა დაინტერესებული მხარისგან.

²¹⁷ მალხასიანი. ფ. რა ბარიერებს აწყდებიან ეთნიკური უმცირესობები უნივერსიტეტებში. მთის ამბები. 2022.

²¹⁸ Tenner, F. Conflict prevention and conflict resolution: limits of multilateralism. ResearchGate. 2000. გვ. 5-13

დასკვნა

ეთნიკური კონფლიქტის ამგვარმა ანალიზმა საქართველოში გამოავლინა რელიგიის, კულტურისა და პოლიტიკური მანიპულაციის რთული ურთიერთქმედება. კვლევამ აჩვენა, რომ ეს ელემენტები რთული გზებით, აყალიბებენ აღქმას, აძლიერებენ დამაბულობას და გავლენას ახდენენ ეთნიკური უმცირესობების ურთიერთობების ტრაექტორიაზე. კულტურულ-რელიგიურ-პოლიტიკური ნარატივებით მანიპულირებამ ხელი შეუწყო საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევების გაძლიერებას. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, ეროვნული იდენტობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი სიმბოლოა, ასევე წარმოჩენილია, როგორც პოლიტიკური მობილიზაციის პოტენციური ინსტრუმენტი, რომელიც ზოგჯერ, უნებლიედ, ხელს უწყობს უმცირესობათა ჯგუფების მარგინალიზაციას. კულტურული ნიშნები, როგორიცაა ენა, ტრადიციები და ისტორიული ინტერპრეტაციები, სტრატეგიულად იქნა გამოყენებული საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსების სუბიექტური აღქმების გასაძლიერებლად. გარდა ამისა, პოლიტიკური ველი ხშირად ხასიათდება რელიგიური და კულტურული სენტიმენტების მანიპულირებით, შიდა და გარე პოლიტიკური აქტორები ამ მძლავრ სიმბოლოებს იყენებენ საკუთარი დღის წესრიგის წარმართვისთვის.

თუმცა, ამ ანალიზმა ასევე ხაზი გაუსვა რელიგიისა და კულტურის დადებით პოტენციალს შერიგების საკითხში. კულტურათაშორისი დიალოგი და რელიგიათა შორისი ინიციატივები აჩვენა ადამიანური კავშირის ძალა განხეთქილების გადალახვისა და ურთიერთგაგების გასაძლიერებლად. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ინდივიდების გამძლეობა, მათი ერთგულება მშვიდობისა და სამართლიანობისთვის მომავლის იმედს იძლევა.

ცრურწმენებისა და უნდობლობის მემკვიდრეობის მოგვარება, რელიგიისა და კულტურის მანიპულირების წინააღმდეგ ბრძოლა, პოლიტიკური მიზნებისთვის და სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის დაძლევა ყველაზე გადამწყვეტი ნაბიჯია. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა აუცილებელია ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების საფუძვლის შესაქმნელად. საბოლოო ჯამში, შერიგების მცდელობების წარმატება დამოკიდებულია კოლექტიურ ვალდებულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ გამოწვევები მნიშვნელოვანია, გაანალიზებული პრობლემებიდან გამომდინარე

საქართველოს მაინც შეუძლია გამოძერწოს მშვიდობიანი, სამართლიანი, ერთიანი და ნათელი მომავლისკენ.

ეროვნული შერიგების პროცესის წარმატება დამოკიდებულია ყველა აქტორის კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე და მზაობაზე, გადალახონ ისტორიული ტრავმები და ააშენონ საერთო მომავალი. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, საქართველოს აქვს პოტენციალი, ჩამოაყალიბოს მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოება, რომელიც დაფუძნებული იქნება ურთიერთპატივისცემაზე და თანამშრომლობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაღზასიანი. ფ. რა ბარიერებს აწყდებიან ეთნიკური უმცირესობები უნივერსიტეტებში. „მთის ამბები“. თბილისი. 2022 .
2. Bercovitch, J. Regan, P. THE STRUCTURE OF INTERNATIONAL CONFLICT MANAGEMENT: AN ANALYSIS OF THE EFFECTS OF INTRACTABILITY AND MEDIATION. International Journal of Peace Studies. 1999.
<https://www.jstor.org/stable/41852865>
3. Buzan, B. Kelstrup, M. Lemaitre, P. Elzbieta Tromer, E. and London, W. The European Security Order Recast. Pinter Publishers . 1990.
4. Cahn, D. Abigail, R. (2007). Managing conflict through communication. Pearson/Allyn and Bacon. 2014. <https://www.pearsonhighered.com>
5. Communication from the Commission to the Council and the European Parliament, Black Sea Synergy: A new regional cooperation initiative. Brussels: EU Commission. 2007.
6. Colon, G. War, *peace and international relations: an introduction to strategic history*. Routledge. 2023. <https://www.routledge.com/War-Peace-and>
7. Deutsch, M. Theory of Co-operation and Competition. Human relations. 1949.
<https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/001872674900200204>
8. Solana, J. *European Security Strategy*, European Communities. 2009.
9. Tenner, F. Conflict prevention and conflict resolution: limits of multilateralism. ResearchGate. 2000. <https://www.researchgate.net/publication>
10. Tuula, T. Foreign policy: aims, instruments and achievement. 2018.
11. Sayin F. Modebadze, V. *The Role of Russia in Provoking Conflict between Georgians and Abkhazians*. International Journal of Alanya Faculty of Business 2015.
<https://dergipark.org.tr/en/download/article-file/201853>
12. Quencez. M. and Besch, S. (2020). The Challenges Ahead for EU Defense Cooperation. Policy Brief. 2020.